

ჩვენ უბვიძლია!

სიძულვილის ენის წინააღმდეგ
მოქმედება საპირისპირო და
ალტერნატიული ნარატივებით



შესწორებული გამოცემა
2017



ერა
სიკავშირს
მეორაობა
სიკავშირს ანის
წინააღმდეგ

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

ჩვენ უგვიძლია!

სიძულვილის ენის წინააღმდეგ მოქმედება
საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივებით

დანერვილია

აგათა დე ლათოურის, ნინა პერგერის, რონ სალაჯის,
კლაუდიო ტოისა და პალომა ვიეხო ოტეროს მიერ

რედაქტირებულია და კოორდინირებულია

სელინა დელ ფელისეს და მენო ეტემას მიერ

საბოლოო რედაქტირება

რუი გომესი

ქართულ პუბლიკაციაზე მომუშავე ჯგუფი:

თარგმნის ხარისხის შემოწმება

სულხან ჩარგეიშვილი

რედაქტირება და დაკაბადონება:

ნიკა ბახსოლიანი, ნათია გოგრიჭიანი, მარი კომახიძე

ჩვენ უმჯობესია!

სიძულვილის ენის წინააღმდეგ მოქმედება
საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივებით

შესწორებული გამოცემა, 2017

ამ სახელმძღვანელოში გამოხატული შეხედულებები
შესაძლოა არ ასახავდნენ ევროპის საბჭოს მოსაზრებებს.

ამ პუბლიკაციაზე საავტორო უფლებას ფლობს ევროპის საბჭო.
აკრძალულია ამ პუბლიკაციის ნებისმიერი ნაწილის კომერციული
მიზნით გამრავლება ან გაგზავნა ნებისმიერი ფორმით ან
საშუალებით იქნება ეს ელექტრონული (CD-ROM, ინტერნეტი და
სხვა) თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოასლის გადაღება, ჩანწერა ან
ინფორმაციის შენახვა ან ნებისმიერი სახით ინფორმაციის შენახვა ან
აღმდგენი სისტემის გამოყენება ევროსაბჭოს კომუნიკაციების
სამდივნოს საგამომცემლო სამმართველოს (publishing@coe.int)
წერილობითი თანხმობის გარეშე.

ამ პუბლიკაციიდან მასალის რეპროდუქცია
ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული
საგანმანათლებლო მიზნებისათვის და იმ პირობით თუ
წყარო იქნება სათანადოდ ციტირებული.

ამ დოკუმენტთან დაკავშირებული ყველა სხვა კორესპონდენცია
ჟნდა გაიგზავნოს ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის დეპარტამენტში:

ევროპული ახალგაზრდული ცენტრი სტრასბურგი
30, პიერ დე კუბერტინის ქუჩა
F-67075 სტრასბურგი,
CEDEX, საფრანგეთი
ელ.ფოსტა: youth@coe.int

პუბლიკაციის ქართული თარგმანის შესახებ:
ა.ა.ი.პ. ახალგაზრდები მშვიდობისა და თანასწორობისთვის
ელ.ფოსტა: info@ype-ngo.org

ყდის ფოტოსურათების საავტორო უფლება ეკუთვნით (მარცხნიდან მარჯვნივ):
რუი გომესს
მიკო ტოივონენს

ნახატები: © Studio1 web & design

კორექტურა: რეიჩელ ფელაი
დაკაბადონება და დიზაინი: Studio1 web & design

© ევროპის საბჭო, 2017 - ინგლისური პუბლიკაციისთვის
© ა.ა.ი.პ. ახალგაზრდები მშვიდობისა და თანასწორობისთვის, 2018 - ქართული პუბლიკაციისთვის



ტორბიორნ იაგლანდი
გენერალური მდივანი
ევროპის საბჭო

წინასიტყვაობა

დღევანდელ ევროპაში არატოლერანტულობისა და ქსენოფობიის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა არის სიძულვილის ენა. ეს განსაკუთრებით უკავშირდება ონლაინ საქმიანობას: ინტერნეტი ხშირად არის ბოროტად გამოყენებული მათ მიერ, ვისაც სურთ, რომ გაავრცელონ პროპაგანდა და აძაგონ სხვადასხვა ჯგუფები და პირები. მინისტრიულ პოლიტიკურ დისკურსში უფრო მეტად და მეტად ვხვდავთ სიძულვილის ენის, ყალბი ინფორმაციისა და „ალტერნატიული ფაქტების“ ტოქსიკურ ნარევს, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან თავისუფლებასა და დემოკრატიას.

ეს ტენდეციები მკვეთრ დაპირისპირებაშია ევროპის საბჭოს ღირებულებებსა და მიზნებთან, რომელიც იღწვის ადამიანის უფლებების გავრცელებისთვის მთელს კონტინენტზე. ჩვენს ორგანიზაციას უკავია წამყვანი როლი სიძულვილის ენის განსაზღვრების შემუშავებაში და სიძულვილის ენის გამოშვებულთა მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების ხელშეწყობაში. ჩვენ განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს განათლებას, როგორც სიძულვილის ყველაზე სარწმუნო ანტიდოტს და ვმუშაობთ ჩვენს წევრ ქვეყნებთან ერთად, რომ ახალგაზრდა მოქალაქეებს ვასწავლოთ ტოლერანტული, დემოკრატიული კულტურის დასაცავლობა. ჩვენმა „მოდრაობამ სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ შეძლო მთელი ევროპის მასშტაბით ახალგაზრდების მობილიზება, რათა მათ გამოავლინონ ცრურწმენები, ნებისმიერ ადგილას სადაც მას შეხვდებიან, იმუშაონ უფრო პატივსაცემი ციფრული სივრცის შექმნისათვის.

სახელმძღვანელო „We CAN!“ ჩვენ შეგვიძლია! არის სიძულვილის წინააღმდეგ სამოქმედოდ არსებულ ხელსაწყოთა შორის ბოლო დანამატი. სიძულვილის ენის ყველაზე მეტად მაგიანო მაგალითები ხშირად უბრალო ისტორიებში ვლინდება, რომლებიც მუდმივად სხვადასხვა ფორმებით მეორდება. მაგალითად, ისეთი ნარატივი, როგორიც არის „მიგრანტები გვართმევენ სამუშაო ადგილებს“, ან რადიკალების მიერ ნარმოთქმული ტიპური განცხადება, რომ „ისლამს ებრძვიან“. ამგვარი ნარატივები, ხშირად ყურადღების გარეშე რჩება, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი ან ბანალური ხდება ან მათი მიზნდება დახვეწილი გზებით ხდება.

ეს სახელმძღვანელო დაეხმარება ახალგაზრდებს რომ დაუპირისპირდნენ, გააუქმონ და ჩაანაცლონ სიძულვილის შემცველი ნარატივები. აქ არ არსებობს ადვილი მეთოდები: ამ გვერდებზე მკითხველი ვერ იპოვის ვერცერთ განცხადებას, სლოგანს, მემეს ან კარიკატურას, რომელიც უპასუხებს ყველანაირ სიძულვილის ენის გამობატულებას. თუმცა, ის თქვენ დაგეხმარებათ, რომ ამოიცნოთ სამიში თხრობის მანერა, რომელიც ვრცელდება ჩვენს საზოგადოებაში.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ თქვენ აღმოაჩინოთ ნაცად და გამოყენებულ მეთოდებს, რისი საშუალებითაც მოახდინთ მძლავრი ალტერნატივების შეთავაზებას. არა მხოლოდ უბრალოდ სხვადასხვა ისტორიების მოყოლით, არამედ ჩვენს გარშემო სამყაროში მეტად სარწმუნო პასუხების აგებითა და მოშველიებით, რომლებიც წაახალისებენ სხვებს, რომ რეაგირება მოახდინონ ცრურწმენის მიმართ და იფიქრონ კრიტიკულად, რაც გააღრმავებს ჩვენს ცოდნასა და ურთიერთგაგებას.

ეს სახელმძღვანელო არის დროული და მეტად საჭირო. გისურვებთ მის პრაქტიკაში წარმატებულ გამოყენებას.

მადლიერების გამოხატვა

ჩვენ გვსურს, რომ გამოვხატოთ მადლიერება ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ნვლილი შეიტანა ამ სახელმძღვანელოს შექმნაში, კერძოდ კი:

- იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც გაგვიზიარეს პრაქტიკა, გამოცდილებები და შეხედულებები, განსაკუთრებით კი ბელგიის ფრანგული საზოგადოების კამპანიას სახელმძღვანელოს საცდელი ვერსიის შემოწმებისათვის და მარიუს ჭიტეას მისი ნვლილისათვის კარგი პრაქტიკების შეგროვებაში.
- სალვადორ სალას (დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებისათვის შექმნილი ექსპერტა გუნდი), გავან თაითლის (ირლანდიის ეროვნული უნივერსიტეტი), ანკა-რუქსანდრა პანდეას (ბუდაპეშტის ევროპული ახალგაზრდული ცენტრის საგანმანათლებლო მრჩეველი) და სამუშაო ჯგუფის ყველა იმ მონაწილეს, რომელიც ჩართული იყო ამ სახელმძღვანელოს შექმნაში.
- „ჩვენ შეგვიძლიას“ სასწავლო კურსის მონაწილეებსა და ტრენერებს, რომელიც გაიმართა სტრასბურგის ევროპულ ახალგაზრდულ ცენტრში 2017 წლის მარტში და ლასზლო ფოლდის, კამპანიის ონლაინ-საზოგადოების მენეჯერს სახელმძღვანელოს პირველი ვერსიის შესახებ გაცემული უკუკავშირისთვის;

ჩვენ ძალისხმევა არ დავიშურეთ, გვეპოვნა ტექტების და აქტივობების ავტორები და ბიბლიოგრაფიაში დაგვეფიქსირებინა მათი ვინაობა, რათა დაგვეცვა საავტორო უფლებები. ბოდიშს ვიხდით ნებისმიერი შეცდომისა და უზუსტობისათვის. მოხარულნი ვიქნებით, რომ შევასწოროთ ისინი შემდგომ გამოცემაში.

სარჩევი

თავი 1 – სახელმძღვანელო

1.1. ზოგადი ცნებების გაცნობა	9
1.2. სახელმძღვანელოს საჭიროება	13
1.3 ნარატივების გამოყენება სიძულვილის ენასთან მიმართებით	17
1.4 სახელმძღვანელოს ამოცანები	19
1.5 სახელმძღვანელოს მომხმარებლები	20
1.6 საგანმანათლებლო მიდგომა	22
1.7 კამპანია მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ	23
1.8 სახელმძღვანელოს სტრუქტურა	25

თავი 2 – სიძულვილის ენა

2.1 სიძულვილის ენის განსაზღვრა	31
2.2 სიძულვილის ენის სოციალური ანალიზის კატეგორიები.....	35
2.3 ვინ არის სიძულვილის ენის სამიზნე?.....	38
2.4 სიძულვილის ენის ორი მაგალითი ევროპაში.....	39

თავი 3 – სიძულვილის ენა ონლაინ სივრცეში და სოციალურ მედიაში

3.1 კომუნიკაცია და ვებ 2.0	45
3.2 სოციალური მედიის მიდგომები სიძულვილის ენასთან მიმართებით	48
3.3 ინტერნეტნიგნიერების როლი	52
3.4 კამპანიის წარმართვა სოციალური მედიის საშუალებით	55

თავი 4 – ნარატივები

4.1 რატომ ვსაუბრობთ ნარატივებზე	59
4.2 აბა, რა არის ამბავი?	62
4.3 ნარატივები, როგორც მოქმედებების საშუალება (ორი მაგალითი).....	67

თავი 5 – საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივები

5.1 საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების გაცნობა	77
5.2 საპირისპირო თუ ალტერნატიული ნარატივები?.....	79
5.3 საპირისპირო გზავნილები: საჯარო სივრცის ოკუპაცია	80
5.4 ალტერნატიული ნარატივები: გზა დამკვიდრებული..... მჭერმეტყველების შესაცვლელად	81
5.5 ნარატივებისადმი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა	82
5.6 ნარატივები, როგორც ერთ-ერთი ინსტრუმენტი ხელსაწყობა ყუთში	86

თავი 6 – მოზალაბა მოქველახისთვის

6.1 ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება!92

6.2 პასუხის გაცემა ადამიანის უფლებების მეშვეობით.....93

6.3 კომპეტენციების განვითარება მოქმედების მეშვეობით..... 94

6.4 გამონწვევები ონლაინ და ოფლაინ კამპანიის წარმართვის პროცესში..... 96

6.5 ჩართულობის სახეები 97

6.6 ემოციები, უსაფრთხოება და კეთილდღეობა 99

6.7 ენის ძალა 102

6.8 სამართლიანობის უზრუნველყოფა105

6.9 თქვენი მოქმედებისათვის სოციალური მხარდაჭერის გაძლიერება 108

6.10 ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინება 109

6.11 მეტი ინფორმაციის მოძიება 110

თავი 7 – ნაბიჯ-ნაბიჯ მოქველაბა

7.1 ფაბა 1: მჩაგვრელი ნარატივის შეფასება 117

7.2 ფაბა 2: საპირისპირო ნარატივის შექმნა129

7.3 ფაბა 3: საპირისპირო ნარატივის განხორციელება143

7.4. ფაბა 4: საპირისპირო ნარატივის მონიტორინგი და შეფასება 151

დანართები

დანართი 1: ხშირად დასმული კითხვები..... 160

დანართი 2: ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია (შეჯამება)..... 162

დანართი 3: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (შეჯამება)..... 163

დანართი 4: ვორქშოფის სანიმუშე ზოგადი გეგმა..... 165

დანართი 5: რეკომენდებული რესურსები 167

დანართი 6: ლექსიკონი 170

სახელმძღვანელო

ეს სახელმძღვანელო გვთავაზობს საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების განვითარებისათვის მითითებებს, რათა დავამარცხოთ სიძულვილის ენა და მხარი დავუჭიროთ ადამიანის უფლებებს, განსაკუთრებით ონლაინ სივრცეში. სახელმძღვანელო გვთავაზობს ონლაინ და ოფლაინ კომუნიკაციების კომპლექტსა და საგანმანათლებლო მიდგომებს, აგრეთვე ხელსაწყობებს, რომლებიც შეგვიძლია გამოვიყენოთ ისეთ ნარატივებთან სამუშაოდ, რომლებიც ამკვიდრებს და გამართლებულს ხდის სიძულვილის ენის არსებობას. მისი მიზანია, რომ გააძლიეროს იმ ახალგაზრდების, განმანათლებლების და აქტივისტების ხელაწყობის ნაკრები, რომლებიც უკვე ჩართულნი არიან ადამიანის უფლებათა საკითხებში და განათლებაში ან აქვთ სურვილი, რომ ჩაერთონ აღნიშნულ პროცესებში. ის შექმნილია ევროპის საბჭოს ახალგაზრდული კამპანიისთვის „**მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ**“ და კამპანიის ფარგლებში. კამპანია ორიენტირებულია ადამიანის უფლებების დაცვაზე ონლაინ სივრცეში.

შესავალი თავი განმარტავს სახელმძღვანელოს საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების შესახებ არსებული სახელმძღვანელოს დანიშნულებას, როგორც სიძულვილის ენის დაძლევისთვის არსებულ ერთ-ერთ გზას. განსაკუთრებით, ადამიანის უფლებების სწავლების მიდგომასთან გამოყენებით. ეს თავი აგრეთვე აღწერს სახელმძღვანელოს მიზნებს, მის მომხმარებლებსა და იმას, თუ რა წვლილი შეაქვს სახელმძღვანელოს კამპანიის „**მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ**“ საქმიანობაში. ის აგრეთვე გვთავაზობს სახელმძღვანელოში გამოყენებული მთავარი ტერმინების ზოგად განმარტებებს: სიძულვილის ენა, ნარატივი, საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივები, რომლებიც უფრო დეტალურად განმარტებულია მომდევნო თავებში. საბოლოოდ, ამ თავში განმარტებულია, თუ როგორ არის სახელმძღვანელო ორგანიზებული.

1.1 | ზოგადი ცნებების გახსნობა

სიძულვილის ენა მოკლად

სიძულვილის ენა, როგორც ეს არის განმარტებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ, მოიცავს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქვებებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ სიძულვილს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან სიძულვილის ნებისმიერ ფორმას, რომელიც დამყარებულია არატოლერანტობაზე, მათ შორის, შეუწყნარებლობაზე, რომელიც გამოხატულია აგრესიული ნაციონალიზმითა და ეთნოცენტრიზმით, ისევე, როგორც უმცირესობების, მიგრანტებისა და ემიგრანტული წარმოშობის ადამიანების დისკრიმინაციითა და მათ მიმართ მტრობით.

კამპანიისათვის „**მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ**“ ვი, დისკრიმინაციისა და ცრუ შეხედულებების სხვა ფორმები, ისეთი როგორც არის ბოშების სიძულვილი, ქრისტიანოფობია, ისლამოფობია, ქალთომოტულება, სექსიზმი და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაცია, მუსტად ჯდება სიძულვილის ენის ფარგლებში.

სიძულვილის ენა ონლაინ სივრცეში

ონლაინ სიძულვილის ენა არის განსაკუთრებული მნიშვნელობის ფენომენი. ინტერნეტმა შექმნა კომუნიკაციისა და ინტერაქციის ახალი სივრცეები, მაგრამ ნაკლები აკრძალვებით: მომხმარებლებს შეუძლიათ ამოეფარონ ანონიმურობასა და დისტანციას, რათა გამოხატონ სიძულვილი სხვების მიმართ. გარდა ამისა, სიძულვილის გავრცელება და გაზიარება უფრო ადვილია, მაგალითად, კომენტარების ან ინფორმაციის, პოსტების გაზიარებით და ორიგინალი პოსტების შესახებ თავისი პირადი აზრის დაფიქსირებით. ამის შედეგები შესაძლოა დამანგრეველი იყოს სიძულვილის ენის სამიზნესათვის, მაგრამ ამასთანავე ის ახდენს ზემოქმედებას მთლიან საზოგადოებაზე.

ნარატივის ზოგადი განმარტება

ინგლისურ ენაში ნარატივი მომდინარეობს ლათინური „Naratio“-საგან ან „Naration“-ისაგან, რომელიც ასევე ვრცელდება სხვა ენებზეც, რომლებზეც გავლენა იქონია ლათინურმა ენამ, მაგალითად ესპანურად ეს არის „Narrativa“ ან რუმინულად „Narrativ“. ამ ენების ლექსიკონებში ნარატივი ჩნდება, როგორც ან ამბავის (ისტორიის) ფორმალური ტერმინი ან ტერმინი ლიტერატურულ ჟანრთან მიმართებით, ისეთები, როგორც არის ნოველები ან პროზა. თხრობა ნიშნავს ამბის მოყოლას, მოვლენებისა და გამოცდილებების გადმოცემას იქნება ეს ნამდვილი თუ მოგონილი.

ორივე ტერმინი, ნარატივიც და ამბავიც გამოიყენება ურთიერთჩამნაცვლებლად, მაშინ როდესაც ისინი საერთო ზოგად მნიშვნელობას იზიარებენ: ნარატივის განვითარება ან ამბის მოყოლა მოიცავს პერსონაჟებისა და სიუჟეტის შექმნას. ეს ნიშნავს ადამიანების და იმ როლების შექმნას, რომელსაც ისინი ითამაშებენ ამ ამბავში, ისევე, როგორც მოვლენების ან მოქმედებების თანმიმდევრობას. ნარატივები ძირითადად აერთიანებს ნამდვილ და მოგონილ ელემენტებს, რათა ისინი უფეროდ და მარტივად, საინტერესოდ და რეალურად. მაგალითად, ჩვეულებრივ საბავშვო წიგნებში მოთხრობილ ისტორიებში არის ორი მთავარი პერსონაჟი: პრინცესა და პრინცი. ტიპური სიუჟეტი, რომ პრინცესას იტაცებენ, პრინცი კი გადაარჩენს მას, ისინი ქორწინდებიან და ცხოვრობენ ბედნიერად.

მოთხრობები ხშირად კავშირშია საზოგადოებაში არსებულ პრედომინანტურ გაგებებსა და აზრებთან იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს რეალობა და რა არის მიჩნეული შესაძლებლად და ნორმალურად. მაგალითად, პრინცებისა და პრინცესების ისტორიები უკავშირდება საზოგადოებაში არსებულ გენდერისა და ძალაუფლების გადანაწილების „უფრო დიდ ამბებს“ ან ნარატივებს. ის ამბავი, სადაც პრინცესის ნარმოჩინება ხდება, როგორც სუსტისა და უსუსურის, მაშინ, როდესაც მის გადასარჩენად მიდის პრინცი და ის ჩნდება, როგორც ძლიერი და ბრძენი, ამყარებს არათანაბარი გენდერული ურთიერთობების ნარატივს და აძლიერებს გენდერული როლების გარკვეულ სოციალურ მოლოდინს. ეს ყოველთვის ასე არ ხდება, სხვა ტრადიციული ისტორიები მდებარეობს პერსონაჟებს ნარმოაჩენენ ძლიერებად და ისინი უკავშირდებიან პრინცს სხვა სახით. შესაძლოა არსებობდეს ბევრი ისტორია ერთი და იმავე არსის მქონე ნარატივით. ამავდროულად, შესაძლოა არსებობდეს ბევრი ისტორია განსხვავებული ნარატივებით, პერსონაჟების, სიუჟეტისა და კონტექსტის ცვლილებით.



ზღაპარი

აურორა არის ახალგაზრდა ლამაზი პრინცესა, რომელიც ცხოვრობს სასახლეში. ჯადოქარი დაწყველის მას, რომ ერთ დღეს ის თითქმის თითისტარის წევრს იჩხველეს და დაიძინებს დიდი ხნით. როდესაც ის გახდება 16 წლის, ის გაიჭრის თითს თითისტარზე და დაეძინება, 100 წლის შემდგომ, მამაცი ახალგაზრდა პრინცი იპოვნის მას, შეუყვარდება და აკოცებს. კოცნით პრინცესას ჯადო მოეხსნება. ისინი დაქორწინდებიან და ცხოვრობენ დიდხანს და ბედნიერად.

ნარატივები

გენდერთან დაკავშირებული ნარატივები: პრინცესების გადასარჩენად მიდიან მამაცი პრინცები. ქალები და მამაკაცები ქორწინდებიან და ცხოვრობენ დიდხანს და ბედნიერად.

პოლიტიკურ მოწყობასთან დაკავშირებული ნარატივები: ქვეყნებს მართავენ ბრძენი და კეთილშობილი მეფეები და დედოფლები, რომლებიც იღებენ ძალაუფლებას მათი მშობლებისაგან (მონარქია).

ნარატივი არის ლოგიკური, შინაგანად შეთავსებადი მოთხრობა და დაკავშირებული მოვლენების ან ინფორმაციის ნაწილების ინტერპრეტაცია, რასაც მკითხველისათვის/ მსმენელისათვის აქვს მნიშვნელობა. პრინცისა და პრინცესას მაგალითში არის ინტერპრეტაციის ორი დონე იმის შესახებ, თუ რა მოხდა. ერთი არის ის, რომ პრინცი არის მამაცი და მან გადაარჩინა პრინცესა. მაგრამ ამ ისტორიაში არსებობს უფრო დიდი ისტორია და გენდერული ურთიერთობების ინტერპრეტაცია. “პატარა” ისტორია ან ზღაპარი შეიცავს და გამოხატავს იმ ღირებულების სისტემას, რომლის იდეებიც ითვლება კარგ და ნორმალურ ქცევად.

პრობლემები წარმოიშობა მაშინ, როდესაც ყველა „ისტორია“ გადმოგვემსხვერპლეთ და იმავე „დიდ“ ისტორიას და ეს წარმოდგენილია, როგორც ერთადერთი ნარატივი. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში დაუქორწინებელი ქალები ან ერთსქესიანი წყვილები განიცდიან დისკრიმინაციას, ვინაიდან ისინი არ არიან შესაბამისობაში იმ დომინანტურ შეხედულებებთან თუ როგორიც უნდა იყოს გენდერული როლები და ურთიერთობები. როდესაც ერთი ნარატივი წარმოდგენილია, როგორც ერთადერთი სწორი ან ნამდვილი, რომელიც უარყოფს ალტერნატივებს ან უკიდურეს შემთხვევებში აქვს მათ ძალადობას მათ მიმართ ვინც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს „დამკვიდრებულ, ნორმად ჩათვლილ“ ნარატივს. ამგვარად, პლურალისტული და მრავალფეროვანი საზოგადოების საფუძვლები, როგორც არის აზრის თავისუფლება, რელიგიის და რწმენის თავისუფლება და ა.შ. საფრთხის ქვეშ დგება. პრობლემა კიდევ უფრო სერიოზული ხდება ძალადობრივი და ექსტრემისტული ნარატივების, მათ შორის სიძულვილის ენის შემთხვევაში.



- რა არის ის ტერმინები, რომლებიც გამოიყენება თქვენს ენაში სიძულვილის ენასთან, ნარატივებს ან ამბავთან მიმართებით?
- რას ნიშნავს ისინი?
- განსხვავდება თუ მსგავსია ისინი იმ ძირითადი განმარტებების, რომლებიც შემოთავაზებულია ამ სახელმძღვანელოში?

საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების ზოგადი განმარტება

საპირისპირო და ალტერნატიულ ნარატივებზე საუბარი მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ იძენს, როდესაც ის კავშირშია იმასთან თუ რას ეწინააღმდეგებიან ან რისი ალტერნატივა არიან ისინი. ეს სახელმძღვანელო ფოკუსირებას ახდენს იმ ნარატივებზე, რომლებიც უპირისპირდება და გვთავაზობს ალტერნატივებს სიძულვილის ენის წინააღმდეგ და იმ ძალადობის და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომლის გავრცელებას, გამართლებასა და გამრავლებასაც ის ცდილობს.

საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივები სიძულვილის ენას უპირისპირდება იმ ნარატივების დისკრედიტაციითა და დეკონსტრუქციით, რომელზეც არიან ისინი დამყარებული. ის აგრეთვე გვთავაზობს (ალტერნატიულ) ნარატივებს, რომლებიც დაფუძნებულია ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიულ ღირებულებებზე, ისეთები, როგორიც არის გულახდილობა, განსხვავებულის პატივისცემა, თავისუფლება და თანასწორობა. მათ ეს შეიძლება გააკეთონ ალტერნატიული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებით, იუმორის გამოყენებით და არსებულ საკითხებში ემოციებზე აპელირებით, აგრეთვე განსხვავებული პერსპექტივებისა და შეხედულებების აღნიშვნით. მაგალითად, იუმორის გამოყენებით გენდერული უთანასწორობის გაბატონებული ნარატივების ალტერნატიული ნარატივის ნახვა შესაძლებელია ქვემოთ მოცემულ სურათზე, სადაც პრინცესის პერსონაჟი გამოხატავს, რომ არის თავდაჯერებული და უფლებამოსილი, იმაზე, რომ მოითხოვოს თანასწორობა რესურსებსა და შესაძლებლობებზე წვდომაზე.



... და ჩვენ ვიცხოვრებთ დიდხანს და ბედნიერად!

ეს იმას ნიშნავს, რომ მე მექნება კარიერა და თავად გავაკონტროლებ ჩემს ფინანსებს?

დაფუძნებულია სოციალური კინოს მიმზე

ტერმინი „საპირისპირო ნარატივები“ ხშირად გამოიყენება აღნიშნული მოკლე ფორმით, განსაკუთრებით იმ მოქმედებების ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ და ხაზს უსვამს იმის საჭიროებას, რომ მოხდეს იმ ძალადობრივი ნარატივის დეკონსტრუქცია და დასუსტება, რომლებიც შესაძლოა მიმზიდველი იყოს ადამიანებისათვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისათვის. ტერმინის „ალტერნატიული ნარატივების“ გამოყენება ხაზს უსვამს განსხვავებული შეხედულებების წინ წამოწევის და იმ პოზიტიურ ალტერნატივებს, რომლებიც არ არიან იმ ნარატივების მხოლოდ ნეგატიური გამოსახულებები, რომელსაც ისინი ეწინააღმდეგებიან და მათ არ უნდა გააძლიერონ ან გააღრმავონ ისინი მათზე კონცენტრირებით.

პრაქტიკაში ამ ორ ტერმინს შორის განსხვავება ხშირად ბუნდოვანია, ვინაიდან საპირისპირო ნარატივი ვარაუდობს ან ირიბ კავშირშია ალტერნატიულ ნარატივთან. ამ სახელმძღვანელოში გამოყენებულია ორივე ტერმინი, საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივები ან ერთ-ერთი მათგანი მოკლე ფორმით, გააჩნია ხაზგასმას. თუმცა, სახელმძღვანელო გვერდს უვლის იმ აზრს, რომ არ არის საკმარისი, რომ დავუპირისპირდეთ, დავგმოთ და გავაქროთ ძალადობრივი ნარატივი. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს არაგამომრიცხავი, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ალტერნატიულ ნარატივების შეთავაზება, განვითარება და გავრცელება.

ეს სახელმძღვანელო, ისევე, როგორც კამპანია „მოდრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ შეგნებულ არჩევანს აჩერებს ადამიანების უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაზე. ნებისმიერი საპირისპირო ან ალტერნატიული ნარატივი უნდა იყოს დაფუძნებული ორ ცენტრალურ იდეაზე:

- სიძულვილის ენასთან ბრძოლისას ადამიანის უფლებები არის ნარატივების საფუძველი.
- ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ნარატივები მნიშვნელოვან როლს თამაშობს განმათავისუფლებელ და გარდამქმნელ მიდგომაში ახალგაზრდებისთვის, განსაკუთრებით კი იმათთვის, ვინც იყვნენ სიძულვილის ენის პირდაპირი სამიზნეები ან აგენტები.



- რა კონტექსტში გაიგეთ პირველად ნარატივების, საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების შესახებ?
- რა არის მთავარი მნიშვნელოვანი ნარატივები თქვენს კონტექსტში?
- რას გეუბნებათ თქვენ ისინი თქვენს სოციალურ კონტექსტში ძალაუფლების ურთიერთობების შესახებ?

1.2 | სახელმძღვანელოს საჭიროება

ეს სახელმძღვანელო შეიქმნა რამოდენიმე მიმდინარეობის შერწყმით: პირველი, კამპანიის „მოდრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ შედეგად გამოვლენილი საჭიროებები და გამოცდილებები სიძულვილის ენაზე საპასუხოდ; მეორე, დემოკრატიის კულტურის და ადამიანის უფლებების წინაშე არსებული გამოწვევები და ძალისხმევები ამ თემებზე სამუშაოდ. მესამე, სათანადო საშუალებების შემუშავება ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ მოქმედებისათვის, განსაკუთრებით ონლაინ სივრცეში წარსული გამოცდილებების გათვალისწინებით.

კამპანიის "მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ" კრიტიკული შეფასება

კამპანიის "მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ" მონაწილეები და ორგანიზატორები ჩაერთნენ შეფასების პროცესში და გააანალიზეს კამპანიის მეთოდები და შედეგები (2013-2015). ერთ-ერთი დაკვირვება იყო ის, რომ კამპანიის მონაწილეები ხშირად ახდენდნენ ფოკუსირებას სიძულვილის ენის გამომწვევ მიზეზებსა და ძირითად მოტივებზე. მაგალითად, ისინი ებრძოდნენ სიძულვილის ენას ადამიანის უფლებათა სწავლების და ცნობიერების ამაღლების გზით. ისინი აგრეთვე ფოკუსირებულები იყვნენ სიძულვილის ენის ფაქტებზე, მაგალითად, ისინი შლიდნენ სიძულვილის შემცველ კონტენტს ან შეტყობინებას აფიქსირებდნენ ამის შესახებ. საბოლოოდ, ისინი პროცესებში რთავდნენ, როგორც სიძულვილის ენის სამიზნეს ასევე სიძულვილის ენის გამომგზავნს, მაგალითად, იწყებდნენ სასამართლო საქმის წარმოებას, ფარდას ხდიდნენ გამომგზავნის ანონიმურობას.

თუმცა, ნაკლებად ხდებოდა კონცენტრირება სიძულვილის ენის შინაარსზე. ამასთანავე, საპირისპირო ნარატივები ჩანდა განსაკუთრებით სასარგებლო და საჭირო სიძულვილის შემცველი შეტყობინებების შინაარსის ან ტექსტის ნეიტრალიზაციისათვის. სიძულვილის შემცველი შინაარსის ნეიტრალიზაცია შესაძლებელია სხვა ისტორიების წარმოჩენითა და განვითარებით. ასევე, წარმოჩენილი რეალობისაგან განსხვავებული რეალობის ინტერპრეტაციის საშუალებით.

კამპანიის მეორე ფაზის დაგეგმვისას ეს გამოხატულებები იქნა გათვალისწინებული. 2015-2017 პერიოდში, კამპანიისათვის ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ერთიანი საბჭოს მიერ მიღებულმა სტრატეგიამ მოითხოვა არსებული საგანმანათლებლო და ინსტრუმენტებში საპირისპირო ნარატივების გამოყენების დამატება. ადვილად გამოყენებადი ონლაინ ხელსაწყო უნდა დაეხმაროს კამპანიის მონაწილეებს, რომ გამოიყენონ საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივები იმისათვის, რომ მეტად ეფექტურად შეეპასუხონ სიძულვილის ენას.

2016 წლის თებერვალში, ამ მოლოდინების საპასუხოდ, ექსპერტების ჯგუფმა განიხილა ამ სახელმძღვანელოს განვითარების შესაძლებლობები და გამოწვევები და საპირისპირო ნარატივების გამოყენება კამპანიაში სტრატეგიული ხელსაწყო სახით. ახალგაზრდობისა და ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი პირებით, განმანათლებლებით, აკადემიკოსებითა და მედია ექსპერტებით დაკომპლექტებულმა ჯგუფმა წარმოადგინა პარამეტრები და რეკომენდაციები და განსაზღვრა ამ სახელმძღვანელოს ძირითადი შინაარსი. სახელმძღვანელო შედგა ერთობლივად ჯგუფის წევრების მიერ, რომლებმაც შეავსეს მისი ტექსტები ეროვნული კამპანიებისა და პარტნიორების პრაქტიკების მაგალითებით.

კამპანიის გავლენასა და შედეგის შესახებ წარმოდგენები განხორციელდა იმ კონტექსტში, სადაც ვეროპა შეეჩეხა მნიშვნელოვან გამოწვევებს: მკაცრი ზომების გავლენა, ტერორისტული თავდასხმების შედეგები და ქსენოფობიისა და ისლამოფობიის ზრდა და ეს მხოლოდ რამოდენიმე მათგანია. საფრთხის გამომწვევი საკითხების კომპლექსურობა და მათგან მომდინარე შეკითხვები საშიშა ყველასთვის: პოლიტიკური ლიდერების, განმანათლებლებისა და ახალგაზრდობისათვის, რომლებიც გრძობენ იმის საჭიროებას, რომ დასვან ეს შეკითხვები. პასუხები არ არის ადვილი და მარტივი და ამ მიზეზით მათი თავიდან არიდება არ შეიძლება. მიმდინარე გამოწვევები უნდა იქნას გამოყენებული, როგორც კონსტრუქციული მოქმედების შესაძლებლობა.

ევროპის საბჭოს მისია ადამიანის უფლებების შესახებ

ინსტიტუციური დონეზე ადამიანის უფლებათა ღირებულებების წასახალისებლად და დასაცავად ხორციელდება გაძლიერებული ძალისხმევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებით. ადამიანის უფლებათა ახალი სტანდარტები, როგორცაა სტამბოლის კონვენცია (ქალების წინააღმდეგ ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღკვეთა და მის წინააღმდეგ ბრძოლა) და ლანცაროტეს კონვენციაში (ბავშვების დაცვა სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისაგან) არის იმის მტკიცებულება, რომ არსებობს კონსენსუსი 47 წევრ ქვეყანას შორის, რათა ყველასთვის გაუმჯობესდეს და გაფართოვდეს ადამიანის უფლებები.

ამ მიღწევებს სათუთს ხდის ევროპულ ქალაქებში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები, რომლებსაც პირდაპირ ჰქონდათ გავლენა ათასობით მსხვერპლზე. ამას ევროპის საბჭომ უპასუხა სამოქმედო გეგმით, რომლის მიზანაც არის ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას მისი პრევენციის ზომების გამოყენებისათვის, განსაკუთრებით, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის გამომწვევი რადიკალიზაციის წინააღმდეგ არსებული სამოქმედო გეგმის გამოყენებით (2015-2017), რომელიც მიღებულ იქნა 2015 წლის მაისში მინისტრთა კომიტეტის მიერ. მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის ძალადობრივი რადიკალიზაციის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა საგანმანათლებლო და სოციალური ზომების გამოყენებით. სამოქმედო გეგმა ხაზს უსვამს განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის მნიშვნელობას:

მოქმედება საჭიროა იმისათვის, რომ ავირიდოთ ძალადობრივი რადიკალიზაცია და გავზარდოთ ჩვენი საზოგადოებების შესაძლებლობა იმისათვის, რომ უარვყოთ ექსტრემიზმის ყველა ფორმა. ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას, ახალგაზრდულ აქტივობებს და ძირითადი ჩართული მხარეების გადამზადებას (მათ შორის მედია, პოლიტიკური სფერო და სოციალური სექტორები) აქვს გადამწყვეტი როლი ამ საკითხთან მიმართებით.

სამოქმედო გეგმაში განსაკუთრებით აღნიშნულია საპირისპირო ნარატივების არსებობის საჭიროება რელიგიის არასწორი გამოყენებისას და ონლაინ მედია სივრცის გამოყენება სამოქალაქო ჩართულობისა და დემოკრატიული მოქალაქეობის ადგილად:

აუცილებელია იმ გზის უფრო ნათლად გაგება, რომლის საშუალებითაც სოციალური მედია და ინტერნეტი გამოყენებული, როგორც რადიკალიზაციის გადამზიდი და უფრო მეტად უნდა გაესვას ხაზი ორივეს, ექსტრემისტული შეხედულებების გავრცელების პრევენციისა და ახალი საკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით ტერორისტი მებრძოლების გადაბირების თავიდან აცილებას. არსებულ სიტუაციაზე პასუხის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება დამატებული საპირისპირო ნარატივის განვითარება, საყრდენი ინიციატივების გამოყენება და იმავე საკომუნიკაციო ქსელებით მათი გავრცელება.

სამოქმედო გეგმა მოიცავს „მოდრაობის სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ (2015-2017) გაფართოებასა და გაძლიერებას, რაც უზრუნველყოფს:

პრაქტიკულ ხელსაწყოებს იმ ეროვნული ორგანოებისათვის, რომელთაც სურთ განმანათლებლების, ახალგაზრდული და სოციალური მუშაკების და სამართალდამცავი პირების გადამზადება და სკოლების, უნივერსიტეტების, ახალგაზრდული კლუბებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების მეშვეობით ბავშვებისათვის, ახალგაზრდებისათვის, მშობლებისა და სხვა მოზარდებისათვის გავრცელების საგნების ფართო წარმოება და მიწოდება.


ამ სახელმძღვანელოს განვითარებაც არის სამოქმედო გეგმის ნაწილი. სახელმძღვანელოს შექმნა გაგრძელდება ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის გრძელვადიანი თავდადებული მუშაობისა, რათა უზრუნველყოს იმ პრაქტიკული ხელსაწყოების შექმნა, რომლებიც დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებების მიდგომებზე, სიძულვილს ენის, არატოლერანტობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის საპასუხოდ. სახელმძღვანელო აგრძელებს უკვე შექმნილი რესურსების მიდგომებს: ახალგაზრდული კამპანიის „ყველა განსხვავებული - ყველა თანასწორი“ რასიზმის, ანტისემიტობის, ქსენოფობიისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა სწავლების ახალგაზრდული პროგრამის მიღწევებს, სადაც განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელმძღვანელოები - „კომპასი“ და „კომპასიტო“.

ახალი ხელსაწყოები. მამრამ წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით

მართალია ტერმინი „საპირისპირო ნარატივი“ მეტად ცნობილი გახდა რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ საქმიანობის კონტექსტში, ნარატივების გამოყენებას, რომელთა მიზანაც არის ძალადობის პრევენცია და ჩახშობა დიდი ხნის ტრადიცია აქვს რამოდენიმე დისციპლინასა და პროფესიულ სფეროში. მაგალითად, საპირისპირო ნარატივები მეთოდის სახით გამოიყენება სოციალურ მუშაობაში, ფსიქოლოგიაში, პოლიტიკურ მეცნიერებაში, მედიაციასა და ჟურნალისტიკაში. იოჰან ვალთუნგმა (1996) მეცნიერმა მშვიდობის სფეროში გამოიგონა ტერმინი „კულტურული ძალადობა“, რათა განემარტა თუ როგორ შეიძლება კულტურის ან იდეის ნებისმიერი ასპექტის, როგორც არის მოთხრობები, სიმღერები ან ენა გამოყენება იმისათვის, რომ დაეკანონებინათ პირდაპირი ან სტრუქტურული ძალადობა, გაგებული, როგორც სტრუქტურები, რომლების იწვევენ ან სჩადიან უსამართლობას.

ისტორიულად, ჩავვრას და უსამართლობას უპირისპირდებოდნენ ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემის მთავარ იდეალებზე აპელირებით,რაც დადასტურებულიც არის ადამიანის უფლებათა დასაცავად არსებული მოძრაობების ისტორიაში. ნარატივები გამოიყენებოდა ბევრი იმ ორგანიზაციისა და სოციალური მოძრაობის მიერ, რომლებიც მუშაობდნენ, რათა დაპირისპირებოდნენ ნეგატიურ სტერეოტიპებს და იმ იდეებს, რომელიც ახალისებდა და ლეგიტიმურს ხდიდა ძალადობას. ერთი მაგალითი არის ანტიდისკრედიტაციის ლიგა, დაარსებული 1913 წელს აშშ-ში „რათა შეეჩერებინათ ებრაელი ხალხის ჩაგვრა და ყველასათვის დაეცვათ სამართლიანობა და სამართლიანი მოპყრობა“. მეორე მაგალითი არის ამსტერდამში ანა ფრანკის ფონდის საქმიანობა. ის იყო პირველი, ვინც გამოიყენა და იყენებს ნარატივებს მის საგანმანათლებლო პროგრამებში 1957 წლიდან. ანა ფრანკის ისტორია და მისი წიგნი „ახალგაზრდა გოგონას დღიური“ ბევრისათვის იყო შთამაგონებელი და ფართოდ გამოიყენებოდა, როგორც საგანმანათლებლო რესურსი. უფრო უახლოეს წარსულში, 2016 წელს რადიკალიზაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების ქსელმა სხვა ფორმებთან ერთად, ვიდეო ისტორიების სახით შექმნა რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის ნარატივები.

ეს სახელმძღვანელო დგას ამ გამოცდილებებზე და შეაქვს წვლილი საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების გამოყენების განვითარებაში. ამჟამად და ცენტრალური როლი აქვს ადამიანის უფლებების სწავლებას.



- რა გჭირდებათ თქვენ, რომ ისწავლოთ, რათა ისაუბროთ სიძულვილის ენის შესახებ თქვენს კონტექსტში?

- რა სჭირდებათ იმ ახალგაზრდა ადამიანებს, რომელთან ერთადაც მუშაობთ, რომ (ისწავლონ, როგორ) იმოქმედონ?

1.3 | ნარატივების გამოყენება სიკულვილის ენის მიმართებით

სიკულვილის ენა დაგყარებულია სრურწმენასა ნებათიურ სტერეოტიპებზე

ცრურწმენაზე დამყარებული შეხედულებების შეცვლა ძალიან რთულია; ცრურწმენის ძალა ხშირად უძლებს რეალობის ტესტს, რის მაგალითადაც შეგვიძლია მოვიყვანოთ მრავალი შეთქმულების თეორია. იმ ადამიანებისათვის, რომლებიც უარყოფდნენ ადამიანის მთვარეზე ყოფნას, ის ფოტოსურათები, სადაც ნილ არმსტრონგი ფეხს დგამდა მთვარეზე შესაძლოა ყოფილიყო გაყალბებული, ვინაიდან არ არსებობს იმ პიროვნების ფოტოსურათი, რომელმაც გადაიღო ეს ფოტოსურათი. მაგრამ ცრურწმენასთან ბრძოლა ცრურწმენის გამოყენებით არ შეიძლება; მასთან დაპირისპირება ან დაბალანსება უნდა მოხდეს იმ ფაქტებისა და სტრატეგიების საშუალებით, რომელიც იწვევს და მოტივაციას აძლევს ადამიანებს, რომ დაინახონ იმავე რეალობის სხვა სახეები და მოახდინონ მათი ინტერპრეტირება სხვაგვარად.

ნარატივები ქმნის სრურწმენასა და სტერეოტიპებს

ჩვენ ხშირად მივიჩნევთ და გვჯერა, რომ ამბები არის მართალი, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ისინი ჩანან დამაჯერებლები და მომდინარეობენ ისეთი ადამიანებისაგან, რომელთაც ჩვენ ვუნდობთ ან რომელთაც აქვთ ძალაუფლების პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ან კულტურული ფორმები. ბევრი ადამიანი იცნობს ვილასას, ვინც იცნობს ვილასას, რომელიც შეხვედრია ვილას სხვას, ვინც მოიტყუა იმისათვის, რომ მიეღო სოციალური დახმარება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სტატისტიკას მოჰყავს მტკიცებულება, რომ ამგვარი თაღლითური საქციელი არის არარელევანტური სოციალური უსაფრთხოების მდგრადობისათვის, ზოგიერთს მაინც ეწევა იმის რწმენა, რომ ზუსტად ღარიბები ან იმიგრანტები არიან ისინი, ვინც სოციალური ვეთილდღეობის სისტემებს რისკის ქვეშ აყენებს.

ნარატივებს ღილი ქალა აქვთ ონლაინ სივრცეში

ნარატივები გავლენას ახდენენ იმაზე, თუ როგორ ვფიქრობთ და აღვიქვამთ სამყაროს; ნათელია, რომ ისინი აგრეთვე ტრიალებს და ვრცელდება ონლაინ სივრცეში. ჩვეულებრივ, ნარატივებს ონლაინ იმიტომ ვძლევათ ახალი სიცოცხლე, რომ კომენტარების გაკეთება შესაძლებელია ანონიმურად და დაუსჯელობის სინდრომის გაცნობით. მათი გავრცელების არეალისა და მოძრაობის გამო ისინი გავლენიანია მრავალ პლატფორმასა და ონლაინ სივრცეებში. ისინი მძლავრია, ვინაიდან მათ შეაქვთ წვლილი იმის განსაზღვრაში, თუ რა არის მიჩნეული ნორმალურად და სოციალურად მისაღებად, მაგალითად, ონლაინ სოციალიზაციისას გავრცელებული ხუმრობების ან ვიდეოების ფორმით. ახალგაზრდებზე ზეწოლა ადვილად შესაძლებელია მისი წრიდან შეგავლენის და ინტერნეტის ჭარბი გამოყენების და აგრეთვე ონლაინ სოციალიზაციისა და კომუნიკაციის საშუალებებზე დამოკიდებულების გამო. ამის გავლენა ფართოვდება მაშინ, თუ ისინი არ არიან ინტერნეტ ნიგნიერები ან მედია ნიგნიერები. მედიაციის გარეშე ონლაინ ნარატივები შესაძლოა სარწმუნო ჩანდეს და ნებისმიერ შემთხვევაში მოახდენს გავლენას ახალგაზრდა ადამიანების სამყაროზე მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაამეტებული ან ხელოვნურია.

ნარატივები აგრეთვე გამოიყენება ძალადობის გასამართლებლად და ხელშესაწყობად. ექსტრემისტული პროპაგანდა იყენებს ძალადობრივ და რადიკალურ იდეოლოგიებზე დაფუძნებულ ნარატივებს სამყაროს პოლარიზებული შეხედულებებით („ისინი“ „ჩვენს“ წინააღმდეგ) და შიშის, სიბრაზისა და აღშფოთების გრძნობებზე აპელირებით. ექსტრემისტები იყენებენ პერსონალიზებულ ტაქტიკებს, რომლებიც ითვალისწინებს ახალგაზრდა ადამიანების საჭიროებებსა და ემოციებს. ონლაინ კომუნიკაცია არის ისეთი სახის, რომ იგრძნობოდეს მეგობრულობა და პირდაპირობა, რაც ქმნის რაღაც უფრო დიდისა და საგმიროსადმი კუთვნილებას. კვლევა გვიჩვენებს, რომ ნეგატიურ სტერეოტიპებსა და ექსტრემისტულ ნარატივებს შეაქვთ დიდი წვლილი, რომ ძალადობა და ძალადობრივი ქცევა გახდეს მისაღები. შეუძლებელია ძალადობრივი ქცევის განმარტება მხოლოდ სიძულვილით სავსე ნარატივის არსებობით, თუმცა ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ნარატივები ხელს უწყობს ადამიანის უფლებებს ონლაინ სივრცეში

იმ ნარატივებში, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანის უფლებებს აგრეთვე დაიკავებს ონლაინ სივრცე. ცალკეული პირები და აქტივისტთა საზოგადოებები ინტერნეტს იყენებენ იმედისა და ადამიანის უფლებების ნარატივების გავრცელებისა და განვითარებისათვის. უახლოეს წარსულში შესაძლებელია შთამბგონებელი ემანსიპატორული ნარატივების მრავალი მაგალითის პოვნა, ისეთები როგორც არის კამპანია [HeforShe](#), დაკავშირებული გენდერულ თანასწორობასთან ან მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ, რომლის ნაწილსაც შეადგენს ეს სახელმძღვანელო. ორივე შემთხვევაში, ახალგაზრდები ონლაინ მოქმედებებით მხარს უჭერენ და ხელს უწყობენ ადამიანის უფლებებსა და განსხვავებულის პატივისცემის, თავისუფლებისა და თანასწორობის დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ ნარატივებს.

არის თუ არა ყველაფერი დაკავშირებული სიყვარულსა და სამართალთან?

სიძულვილის ენის ნარატივების მიმზიდველობა აგრეთვე მდგომარეობს იმაშიც, რომ ისინი ხშირად არის დაფუძნებული სიყვარულისა და სამართლიანობის იდეალებთან: ერის, ოჯახის, ღმერთის სიყვარული. უმრავლესობისა და ყოვლისშემძლე და ძალაუფლების მქონე ადამიანების წინააღმდეგ დადგომა, იქნებიან ესენი სახელმწიფო ავტორიტეტები, მედია თუ ინტელექტუალური ელიტები, მიმზიდველია, ვინაიდან ეს სამართლიანი ჩანს და სამართლიანობა კი არის არასწორების გამოსწორება. რობინ ჰუდის, ალადინის ან ზოროს შესახებ არსებული ისტორიები და მითები არის სიმამაცის, სამართლიანობისა და უმრავლესობის ან ძალაუფლების მქონეთა მიერ დაჩაგრულების დაცვის არქეტიპები. სიძულვილის ენის ნარატივები ეჭიდება ამ გრძნობებსა და იდეალებს: „ჩვენი“ ქალების დაცვის საჭიროება შემოსეული უცხოელებისაგან, „ჩვენი“ ტრადიციების დაცვა კულტურული გლობალიზაციისაგან ან თვითმფრინავიდან თავდასხმისგან დაღუპული უდანაშაულო მსხვერპლის გამო სამართლიანობის ძიება.

სიყვარულისა და სამართლიანობის წყურვილი შესაძლოა დაკმაყოფილდეს მსგავსი ისტორიებით სიყვარულსა და სამართლიანობაზე, რომელიც არ მოიცავს სიძულვილის ენასა და ძალადობას. არა არის აუცილებელი, რომ მათ აპელირება მოახდინონ იმავე ხალხზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი არის გადამწყვეტი მნიშვნელობის სიცოცხლესა და სამყაროზე ალტერნატიული შეხედულებების დასაცავად.

1.4 | სახელმძღვანელოს ამოცანები

ეს სახელმძღვანელო მხარს უჭერს ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პოლიტიკის მიზნებს: უზრუნველყოს ახალგაზრდა ადამიანებისათვის თანაბარი შესაძლებლობები და გამოცდილება, რაც მისცემთ მათ საშუალებას, რომ განავითარონ ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, იმისათვის, რომ საზოგადოების ყველა ასპექტში ითამაშონ სრულყოფილი როლი, მათ შორის იმის შესაძლებლობაც, რომ მიიღონ განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის და ადამიანის უფლებების სწავლება. ამ თვალსაზრისით, ამ სახელმძღვანელოს მიზანია, რომ წარმოაჩინოს ახალგაზრდები და მათთან მომუშავე პირები სოციალური მოქმედების წამყვან პოზიციაზე.

სახელმძღვანელო აცხებს ნიგნ „ბუქმარქსს“ როგორც რესურსს, რათა შეებრძოლოს სიძულვილის ენას ადამიანის უფლებების სწავლებით და მიზნად ისახავს რომ შეიტანოს წვლილი კამპანიის „მოძრაობა სიძულილის ენის წინააღმდეგ“ ძირითადი მისიის შესრულებაში: მოახდინოს ეროვნული და ევროპული პარტნიორების მობილიზაცია, რათა აღკვეთოს და შეენიანადმდგოს სიძულვილის ენას და არატოლერანტობას, იქნება ეს ინტერნეტ სივრცეში თუ მის გარეთ.

ამ კონტექსტში, ამ სახელმძღვანელოს მთავარი მიზანი არის ის, რომ სიძულვილის ენის შეწინააღმდეგებით, ნეიტრალიზაციითა და პრევენციის გზით გააძლიეროს თავისი პასუხები სიძულვილის ენის წინააღმდეგ და დაიკავოს ონლაინ მედია სივრცე პოზიტიური ნარატივებითა და სამოქალაქო სიმამაცის მაგალითებით. ეს ზოგადი მიზანი ასევე შესაძლოა დაიყოს ქვემოთ მოცემულ განსაზღვრულ ამოცანებად:

- სიძულვილის ენის წინააღმდეგ მოქმედებების გაუმჯობესება და თანდათან გაზრდა საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების ინსტრუმენტების სახით გამოყენების მეშვეობით.
- ონლაინ სივრცის დაკავება ალტერნატიულ, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ნარატივების საშუალებით.
- ნარატივების როლის ანალიზის სტიმულირება, როგორც სიძულვილის ენის გავრცელებაში წვლილის შეტანაში, ასევე ონლაინ სივრცეში ადამიანის უფლებების ინიციატივების გაძლიერებაში;
- კარგი პრაქტიკების გაზიარება საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების გამოყენების შესახებ, განსაკუთრებით ევროპული კონტექსტებიდან. ასევე ადამიანის უფლებების სწავლებისა და ახალგაზრდების ჩართულობის შესახებ.

ეს სახელმძღვანელო არ წარმოადგენს მზა საპირისპირო და ალტერნატიულ ნარატივებს სიძულვილის ენის წინააღმდეგ გასაგები მიზეზების გამო: ონლაინ სიძულვილის ენას აქვს ბევრი ინსტანცია და ნებისმიერ პასუხში გათვალისწინებული უნდა იყოს რამოდენიმე ფაქტორი, მათ შორის ტექსტი და კონტექსტი და რა თქმა უნდა ენა. ეს არათუ წარმოუდგენელია პრაქტიკაში, არამედ არასასურველიც: ადამიანის უფლებათა და კამპანიის აქტივისტებს სჭირდებათ ავტონომია და თავდაჯერებულობა, რათა განავითარონ მათი პირადი საპირისპირო ნარატივები, არ არის აუცილებელი, რომ გამოიყენონ სხვის მიერ შექმნილი საპირისპირო ნარატივები, თუნდაც ისინი ევროპის საბჭოს შექმნილი იყოს.

1.5 | სახელმძღვანელო მომხმარებლები

ეს სახელმძღვანელო ძირითადად განკუთვნილია კამპანია „მოდრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ მონაწილეებისა და ახალგაზრდა აქტივისტებისათვის, მაგრამ აგრეთვე ნებისმიერი ახალგაზრდა აქტივისტისა და განმანათლებლისათვის, რომლებიც უკვე მუშაობენ ადამიანის უფლებების გაუმჯობესებაზე ან არიან მოტივირებულნი ამისათვის.

ახალგაზრდები ადამიანის უფლებებისათვის ინტერნეტ სივრცეში

სიძულვილის ენას განსაკუთრებული გავლენა აქვს ახალგაზრდებზე, განსაკუთრებით ეს ეხება სიძულვილის ენას ონლაინ სივრცეში, ინტერნეტისა და სოციალური მედია პლატფორმის მნიშვნელოვანი როლის გამო ეგრეთ წოდებული „ციფრული სივრცის მკვიდრთათვის“. მაგრამ ის ფაქტი, რომ მათ იციან, თუ როგორ გამოიყენონ ონლაინ საშუალებები ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მათ იციან, თუ როგორ დაიცვან თავი ონლაინ საფრთხეებისაგან და როგორ ამოიციონ და გასცენ პასუხი მანიპულაციურ ტექნიკებსა და პროპაგანდას. მოზარდობა და ახალგაზრდობა არის მნიშვნელოვანი პერიოდი პიროვნების იდენტობისა და უნარების განვითარებისათვის, მათ შორის არის ინტერნეტ ნივნიერების უნარებიც. ამავდროულად, მხარდაჭერის არსებობის შემთხვევაში ახალგაზრდებს აქვთ პოტენციალი, რომ ისწავლონ უარყოფითი გამოცდილებიდან. ეს შესაძლოა დაეხმაროს მათ, რომ გაიზარდონ, როგორც ინდივიდები და როგორც მოქალაქეები. მათ შეუძლიათ გაუზიარონ თავისი ცოდნა მათ თანატოლებს და ენთუზიაზმით, კრეატიულობითა და სიმამაცით გაუძღვენ ინოვაციურ ინიციატივებს.

განმანათლებლები და ახალგაზრდული მუშაკები ცენტრალურ როლს თამაშობენ ახალგაზრდების სასწავლო გამოცდილებების მხარდაჭერაში. განმანათლებლები აქ ნახსენები არიან ფართო გაგებით და ესენი არიან ისინი, ვინც არიან ჩართულნი ფორმალურ განათლებაში, არაფორმალურ განათლებაში ან/და ფორმალურს გარე განათლებაში. განმანათლებლები ხშირად აღქმულნი არიან მასწავლებლებად, რომლებიც მუშაობენ ფორმალური განათლების სისტემაში და უფრო ნაკლებ ფართო გაგებით ისინი ვინც, ჩართულნი არიან არაფორმალურ განათლებაში, მაგალითად, ახალგაზრდული მუშაკები ახალგაზრდულ კლუბებში ან ახალგაზრდულ ორგანიზაციებში. აქ ადამიანის უფლებათა აქტივისტები და კამპანიის მონაწილეები მიჩნეული არიან მნიშვნელოვან ფაქტორებად განათლებაში, თუმცა, მათი მოქმედებები შესაძლოა არ იყოს ფორმალური ან სერტიფიცირებული განათლების შემადგენელი ნაწილი, არამედ უფრო მეტად იყოს არაფორმალური და ფორმალურს გარე საგანმანათლებლო აქტივობა.

ამ სახელმძღვანელოს პირდაპირი ბენეფიციარები არიან ახალგაზრდა აქტივისტები და განმანათლებლები, რომლებიც უკვე მუშაობენ კამპანიის ფარგლებში, ასევე ის განმანათლებლები, ადამიანის უფლებების აქტივისტები და ახალგაზრდული მუშაკები, რომლებიც ახალგაზრდებთან ერთად მუშაობენ ადამიანის უფლებათა სწავლების საკითხებზე ან არიან ამით დაინტერესებულნი. მიჩნეულია, რომ ახალგაზრდები უნდა იყვნენ საგანმანათლებლო აქტივობების მთავარ გმირები და ლიდერები, ვინაიდან მათ ყველაზე კარგად ესმით რეალობა და ახალგაზრდების ენა ამ კონტექსტში. მეტ-ნაკლებად ახალგაზრდა აქტივისტები არიან თანატოლგანმანათლებლები. სხვა სიტყვებით, სახელმძღვანელო განკუთვნილია განმანათლებლებისათვის, რომლებიც აღქმულნი არიან, როგორც ისინი, ვინც მუშაობს ყველანაირ საგანმანათლებლო გარემოში.



განმანათლებლები

არაფორმალური განათლება

იმ განმანათლებლებს, რომლებიც მუშაობენ არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში საპირისპირო ნარატივების ინსტრუმენტებად გამოყენებით შეუძლიათ მხარი დაუჭირონ მოძრაობას სიძლიერის ენის წინააღმდეგ ან განავითარონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ახალი საგანმანათლებლო კამპანიები. ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ახალგაზრდულ ცენტრებსა და კლუბებს, სტუდენტთა გაერთიანებებსა და არაოფიციალურ ონლაინ ჯგუფებს შეუძლიათ განავითარონ ინიციატივები, რათა ხმა მიანვიდინონ ახალგაზრდებს მათ სამოგადოებაში. ეს ჯგუფები და ასოციაციები წარმოადგენს მნიშვნელოვან სივრცეებს ახალგაზრდების სოციალიზაციისა და დემოკრატიული მოქალაქეობის განათლებისათვის. არაფორმალური საგანმანათლებლო მეთოდოლოგიები ხაზს უსვამს ემპირიული სწავლების მნიშვნელობას და მოსწავლემე ორიენტირებულ მიდგომებს, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ გამოიკვლიონ და ისწავლონ უსაფრთხო სივრცეში.

ფორმალური განათლება

ამ რესურსიდან სარგებლის მიღება ასევე შეუძლიათ იმ პედაგოგებს (განმანათლებლებს), რომლებიც მუშაობენ სკოლებში, პროფესიულ სასწავლებლებში ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მას წვლილი შეაქვს დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლებასა და ადამიანის უფლებების სწავლების პროცესში „ევროპის საბჭოს ქართული დემოკრატიული მოქალაქეობის განათლებასა და ადამიანის უფლებების სწავლების შესახებ“ ფარგლებში. აგრეთვე, ის დამყარებულია და ხელს უწყობს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებს. განმანათლებლებების როლი არის სასიცოცხლო მნიშვნელობის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ისინი არიან პირველები, ვინც ამჩნევენ სიძლიერის ენას, რომელიც გავლენას ახდენს მათ მოსწავლეებზე. ამ სახელმძღვანელოს შეუძლია, რომ შეიტანოს წვლილი სოციალური მეცნიერებების გარკვეულ საგნებში, მაგალითად ისეთების, როგორიც არის ისტორია, (გლობალური) მოქალაქეობა და სამოქალაქო განათლება კურიკულუმის ფარგლებში. სპეციალური დისციპლინათმორისი პროექტები ან კლასგარეშე აქტივობები შესაძლოა შედგებოდეს მოსწავლეებისათვის საინტერესო საკითხის საპირისპირო ნარატივის კამპანიის განვითარებისაგან და ამაში ჩაერთოს მთლიანი საგანმანათლებლო სამოგადოება.

უმაღლესი განათლების გარემოში ეს სახელმძღვანელო განსაკუთრებით საინტერესო იქნება სოციალური სამუშაოს, განათლების, ჟურნალისტიკის, მედია კვლევების, ხელოვნების/კინოს/თეატრის, სოციოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერებების, კონფლიქტისა და მშვიდობის კვლევების, გენდერის კვლევებისა და გლობალური კვლევების სტუდენტებისათვის.

ფორმალურს გარე განათლება

ადამიანის უფლებების აქტივისტებს, სოციალურ მუშაკებს, ჟურნალისტებს, ონლაინ სამოგადოების მენეჯერებს, ადგილობრივი მთავრობის ოფიციალურ პირებს და პოლიტიკოსებს შეუძლიათ გააერთიანონ ნარატივისა და ადამიანის უფლებების ობიექტივი მათ ქმედებებში და საჯარო საგანმანათლებლო კამპანიებში. ფორმალურს გარე განათლების აქტივობების საუკეთესო მაგალითებია მედიის და გართობის გავლენა ახალგაზრდებზე და ამის დაუფასებლობა არ შეიძლება. გარდა ამისა, საჯარო სივრცეებიც აგრეთვე საგანმანათლებლო სივრცეებია. პარკებში მხატვრული გამოფენები, კედელზე ნახატები საჯარო სივრცეებში, მუზეუმები და სხვა კულტურული აქტივობები არის ფორმალურს გარე განათლების ფორმები და დადასტურებულია, რომ ისინი სამოქალაქო განათლების მნიშვნელოვანი საშუალებებია.

სახელმძღვანელო ეყრდნობა ახალგაზრდული საქმიანობის და ადამიანის უფლებების სწავლების გამოცდილებებსა და ტრადიციებს ევროპულ კონტექსტში და ავლენს პარალელს გარკვეულ გამოწვევებთან, მაგალითებსა და პრაქტიკებთან. თუმცა, მრავალფეროვანი ახალგაზრდული საქმიანობისა და ადამიანის უფლებების სწავლების ერთ წიგნში ჩატევა შეუძლებელია.

გლობალიზებულ სამყაროში და იმ კამპანიის ფარგლებში, რომელიც არის აქტიური ოთხ კონტინენტზე, სახელმძღვანელო აგრეთვე იყენებს გამოცდილებებს ევროპის გარეთ, ვინაიდან ონლაინ სიძულვილის ენის ნარატივები და საპირისპირო ნარატივები არ ეკუთვნის ექსკლუზიურად ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს. ვიმედოვნებთ, რომ სახელმძღვანელო ადვილად (და კრიტიკულად) იქნება ადაპტირებული, რათა მოხდეს მისი გამოყენება ბევრ განსხვავებულ კონტექსტში და გაუმჯობესება მიმდინარე დიალოგის მეშვეობით.

1.6 | საგანმანათლებლო მიდგომა

კამპანია „მოდრობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ არის ახალგაზრდული კამპანია ადამიანის უფლებებისათვის, რომელსაც მართავს და ასაზრდოებს ადამიანის უფლებების სწავლების პრინციპები. ეს სახელმძღვანელო იყენებს აშკარა ადამიანის უფლებების სწავლების მიდგომას და განკუთვნილია ახალგაზრდებისათვის და ახალგაზრდებთან ერთად აქტივობებისათვის.“ კომპასიდან “,სახელმძღვანელოდან ახალგაზრდებისათვის ადამიანის უფლებების სწავლების შესახებ ჩვენ შეგვიძლია შევაჯამოთ ქვემოთ მოცემული საკვანძო პარამეტრები ადამიანის უფლებებთან სწავლებასთან დაკავშირებით:

ადამიანის უფლებების შესახებ სწავლა

მნიშვნელოვანია, რომ გვეჩვენოს ცოდნა ადამიანის უფლებების შესახებ, რა არის ისინი და როგორ არიანი ისინი დაცული ეროვნული და საერთაშორისო ადამიანის უფლებების ინსტრუმენტების საშუალებით. სიძულვილის ენის კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ ვიცოდეთ თუ ადამიანის რომელი უფლებებია დარღვეული და შელახული და როგორ და რომელთა შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები ერგება მათ.

ადამიანის უფლებების მეშვეობით სწავლა

ის გზა, თუ როგორც არის ორგანიზებული და ხელშეწყობილი საგანმანათლებლო აქტივობები უნდა იყოს შეთავსებადი ადამიანის უფლებების ისეთ ღირებულებებთან, როგორც არის მონაწილეობა, გამომხატვის თავისუფლება და განსახვავებულის პატივისცემა და განათლებაში ადამიანის უფლებების პრაქტიკის მხარდაჭერა. სწავლის პროცესი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც შინაარსი. ეს არის სწორედ ადამიანის უფლებების ღირებულებები, რომელიც უნდა იქნას გათავისებული და გაცოცხლებული ამსახველ და ემანსიპატორულ პროცესის მეშვეობით. ეს პროცესი შესაძლოა იყოს ინდივიდის თვით ამსახველი პროცესი ან ჯგუფის ამსახველი და მოქმედებაზე ორიენტირებული პროცესი დამყარებული „პრაქტიკის“ იდეაზე, რომელიც განავითარა ბრამილიელმა პედაგოგმა პაულო ფრეიერემ. ეს ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს ახლო ურთიერთკავშირი მოქმედებასა და რეფლექსიას შორის. რეფლექსიას მივყავართ მოქმედებისაკენ და მოქმედებას სჭირდება შემდგომი რეფლექსია.



სწავლა ადამიანის უფლებებისათვის

სატირო, რომ სწავლა იყოს მოქმედებაზე ორიენტირებული. ადამიანის უფლებების სწავლება მხარს უნდა უჭერდეს მოსწავლეებს მათ ცხოვრებაში ადამიანის უფლებების გამოყენებით და მოქმედებაში მოყვანით, რაც მდგომარეობს ადამიანის უფლებების დაცვასა და ხელშეწყობაში, მათ შორის ადამიანის უფლებები ონლაინ. სიძულვილის წინააღმდეგ მოქმედებებში ჩართვა შესაძლოა წარმოადგენდეს ძვირფას შესაძლებლობას ინდივიდის განვითარებისათვის და მთელი ჯგუფის ან საზოგადოების უფლებების წინ წამოწევისათვის.

არსებული მიდგომა ასახულია ევროპის საბჭოს ქარტიამი დემოკრატიული მოქალაქეობის განათლებისა და ადამიანის უფლებების სწავლების შესახებ, რომელიც ხაზს უსვამს იმის სატიროებას, რომ აღჭურვოს მოსწავლეები ცოდნითა და უნარებით სოციალური კავშირის ნახალისებისათვის, თანასწორობისა და მრავალფეროვნების დაფასებისათვის და არაძალადობრივი მანერით კონფლიქტებთან გასამკლავლებლად ერთმანეთის უფლებების გათვალისწინებით. ეს მოიცავს მედია და ინტერნეტ წიგნიერებას, რომელიც დამყარებულია განსხვავებულ აზრებსა და ადამიანის უფლებების პრინციპებზე, როგორც ონლაინ სივრცეში ასევე მის გარეთაც.

1.7 | კავშირის „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ შესახებ

ევროპის საბჭოს ცენტრალური მისია მდგომარეობს დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის ხელშეწყობაში. სიძულვილის ენა ძირს უთხრის ამ მისიას. სიძულვილის ენა წარმოადგენს საფრთხეს დემოკრატიასა და სოციალური კავშირისათვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმ როლთან ერთად, რომელიც აწესებს სანქციებს იმ სიძულვილის ენის შემთხვევებზე, რომლებიც არღვევენ ადამიანის უფლებების ევროპულ კონვენციას, ევროპის საბჭო აგრეთვე მხარს უჭერს ონლაინ უსაფრთხოებას, უმკლავდება დისკრიმინაციას და ხელს უწყობს დემოკრატიული მოქალაქეობის შესაძლებლობებს სხვადასხვა ინსტიტუციებისა და პროგრამების მეშვეობით. ისეთი საგანმანათლებლო რესურსები, როგორებიც არის კომპასი Compass და ბუქმარქსი Bookmarks, ბუდაპეშტისა და სტრასბურგის ევროპის ახალგაზრდული ცენტრების პროგრამები და ევროპის ახალგაზრდობის ფონდის მიერ მხარდაჭერილი აქტივობები უზრუნველყოფენ ახალგაზრდული საქმიანობისა და ადამიანის უფლებების სწავლების ამ გრძელვადიანი ძალისხმევის მრავალ მაგალითს. ისეთი კამპანიები, როგორიც არის წარსულში არსებული კამპანია „ყველა თანასწორი- ყველა განსხვავებული“ და მიმდინარე კამპანია „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ მნიშვნელოვან როლს თამაშობს პარტნიორობის ნახალისებასა და აქტორების ნახალისებაში წევრ ქვეყნებში, რათა მათ მხარი დაუჭირონ და ნახალისონ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული მოქალაქეობის ღირებულებები. ისინი აგრეთვე წარმოადგენს ევროპის საბჭოს თავდადების მნიშვნელოვან მაგალითებს დისკრიმინაციასა და არატოლერანტულობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლაში ადამიანის უფლებების სწავლების ფარგლებში.

კამპანია „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ მხარს უჭერს თანასწორობას, ღირსებას, ადამიანის უფლებებსა და მრავალფეროვნებას. ეს არის პროექტი სიძულვილის ენის, რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ მათ ონლაინ გამოხატულებაში.

საპირისპირო და ალტერნატიულ ნარატივებზე საუბარი მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ იძენს, როდესაც ის კავშირშია იმასთან თუ რას ეწინააღმდეგებიან ან რისი ალტერნატივა არიან ისინი. ეს სახელმძღვანელო ფოკუსირებას ახდენს იმ ნარატივებზე, რომლებიც უპირისპირდება და გვთავაზობს ალტერნატივებს სიძულვილის ენის წინააღმდეგ და იმ ძალადობის და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომლის გავრცელებას, გამართლებასა და გამრავლებასაც ის ცდილობს.

კამპანიის სტრატეგიული განზომილებები

კამპანია არ მიმდინარეობს იმისათვის, რომ შემლუდოს ონლაინ გამოხატვის თავისუფლება. ის არც სიძულვილის წინააღმდეგ არის და არც იმისაკენ მიგვითითებს, რომ კარგად მოვექცეთ ერთმანეთს. კამპანია არის ონლაინ სიძულვილის ენის ყველაწიერი ფორმის წინააღმდეგ, მათ შორის იმთა წინააღმდეგაც, რომლებიც ძირითად გავლენას ახდენენ ახალგაზრდებზე ისეთი ფორმებით, როგორც არის კიბერ-ბულინგი და კიბერ-სიძულვილი. კამპანია დაფუძნებულია ადამიანის უფლებების სწავლებაზე, ახალგაზრდების ჩართულობასა და მედია წიგნიერებაზე. ის მიზნად ისახავს, რომ შეამციროს სიძულვილის ენა, შეეზღოვოს რასიზმს და დისკრიმინაციის მის ონლაინ გამოხატულებაში და შეაქვს წვლილი ძალადობრივი ექტრემიზმის ყველაწიერი ფორმის პრევენციასა და უარყოფაში.

კამპანიის მიზნები

კამპანია ათვისცნობიერებს და ებრძვის სიძულვილის ენას ახალგაზრდების მობილიზებით, როგორც ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული მოქალაქეობის კულტურის აქტორებისა და გამავრცელებლების ინტერნეტ სივრცეში თუ მის გარეთ:

- რათა მხარი დაუჭიროს ადამიანის უფლებების სწავლებასთან დაკავშირებულ აქტივობებს, სიძულვილის ენის და იმ რისკის წინააღმდეგ სამოქმედოდ, რომელსაც ის წარმოადგენს დემოკრატიისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისათვის.
- რათა სიძულვილის ენის შეტყობინებებისათვის განავითაროს და გავრცელოს საშუალებები და მექანიზმები, განსაკუთრებით კი მის ონლაინ სივრცეებში, მათ შორის ეროვნულ დონეზე მყოფების მეშვეობით.
- რათა მოახდინოს ეროვნული და ევროპელი პარტნიორების მობილიზება, იმისათვის, რომ აღკვეთოს და დაუპირისპირდეს სიძულვილის ენას და შეუწყნარებლობას ინტერნეტ სივრცეში და მის გარეთ.
- რათა ხელი შეუწყოს მედიის განათლებას და ციფრულ მოქალაქეობას და მხარი დაუჭიროს ახალგაზრდობის მონაწილეობას ინტერნეტ მართვაში.

ეროვნული კამპანიები

კამპანია ინიცირებულია და მოქმედებს ევროპის საბჭოს მიერ, მაგრამ ის დაფუძნებულია ეროვნულ კამპანიებზე, რომლებიც მიმდინარეობს წევრ ქვეყნებში. ეროვნული მთავრობები მონვეულ იყვნენ, რათა წამოეწყოს ეროვნული კამპანიის კომიტეტების რეგულირება, რომლებიც ამოქმედდნენ მათ პირად ეროვნულ კამპანიის პლატფორმებს და ონლაინ საშუალებებს მათ ეროვნულ ენაზე (ენებზე). ეროვნული კამპანიების პრაქტიკების მაგალითების ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე: www.coe.int/youthcampaign

ონლაინ კამპანიის საშუალებები

ონლაინ პლატფორმა - www.nohatespeechmovement.org

ეს არის ონლაინ პლატფორმა ყველასთვის, ვინც დაინტერესებულია, რომ შეუერთდეს მოძრაობას „არა სიძულვილის ენას“. ის შეიცავს რეკომენდაციებს თვითნაკვეთი ვიდეოების, ფოტოსურათების ან სხვა ვიზუალური ნარმოდგენების მეშვეობით. ახალგაზრდა აქტივისტ-მოდერატორები მუშაობენ ვებგვერდზე, რათა უზრუნველყონ უსაფრთხოებისა და პატივისცემის ასპექტები.

სიძულვილის ენაზე თავლყურის დევნება - www.nohatespeechmovement.org/hsw

ეს არის ონლაინ მონაცემთა ბაზა ინტერნეტში სიძულვილის ენის შემცველ კონტენტზე დასაკვირვებლად, გასაზიარებლად და მის განსახილველად. ამ ვებგვერდის მეშვეობით შესაძლებელია ინტერნეტიდან ნებისმიერი სიძულვილის ენის შემცველი შინაარსის ნახვა. მოდერატორები აკვირდებიან და ხელს უწყობენ ვებგვერდის მუშაობას და ყოველთვე ქმნიან საკონცენტრაციო თემებს, რომლებიც დაფუძნებულია ონლაინ საზოგადოების ძირითად ინტერესზე. აგრეთვე ხელმისაწვდომია სპეციალური „დაინყე მოქმედების“ ფუნქციები თუ სიძულვილის ენის იდენტიფიცირებული და განხილული შინაარსი მოითხოვს დამატებით ქმედებას.

კამპანიის საკოორდინაციო ვებგვერდი - www.coe.int/youthcampaign

ეს ვებ-გვერდი უზრუნველყოფს კამპანიის მასალებს, რესურსებსა და ინფორმაციას ეროვნული კამპანიების, ევროპელი პარტნიორებისა და სიძულვილის ენასთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს მიერ შესრულებული სამუშაოს რეზიუმეს შესახებ.

1.8 | სახელმძღვანელოს სტრუქტურა

ეს სახელმძღვანელო დაყოფილია შვიდ თავად. მეორე და მესამე თავები განსაზღვრავს და განმარტავს სიძულვილის ენას, განაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ის ხორციელდება ინტერნეტში. მეოთხე და მეხუთე თავები გვაცნობს ნარატივების იდეას და განსაზღვრავს საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივებს. მეექვსე და მეშვიდე თავები უფრო მეტად არის ორიენტირებული მოქმედებაზე და გვთავაზობს ნაბიჯ-ნაბიჯ მითითებებს სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლისას საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების განვითარებაში, მინიშნებების, მაგალითებისა და პრაქტიკული საშუალებების შემოთავაზებით.

გამოყენებულია გამოგონილი ისტორია ახალგაზრდების ჯგუფის შესახებ, რომლებიც გადაწყვეტენ, რომ განავითარონ საპირისპირო ნარატივის კამპანია. ისტორია დაფუძნებულია სიძულვილის ენის გამოცდილებებსა და მოქმედებებთან დაკავშირებულ ნამდვილ შემთხვევებზე. ის თან სდევს თითოეული თავის ტექსტს, როგორც მოგზაურობისას, ეს არის მათი მოგზაურობა გამოკვლევაში, აღმოჩენაში, უფლებამოსილებასა და მოქმედებაში. რა თქმა უნდა ეს არ არის განკუთვნილი იმისათვის, რომ ის იყოს სიძულვილის ენასა და სიძულვილით სავსე ნარატივებისადმი მიდგომის ერთადერთი გზა. ამ სახელმძღვანელოში არსებული მაგალითების გამოვლენა კრიტიკული გააზრების გარეშე არ უნდა მოხდეს. თითოეულმა მომხმარებელმა და აქტივისტმა უნდა შექმნან მათი პირადი გზა და გეგმები იმ ახალგაზრდებთან ერთად, რომელთან ერთადაც მუშაობენ და მოახდინონ ნარმოდგენილი საშუალებების მათ კონტექსტებთან ადაპტირება.

ისტორია იწყება ოლით. ის არის 18 წლის გოგონა, რომელიც გამოცდის სიძულვილის ენას. ის დაულალავად ეძებს პასუხებს, რათა გაიგოს, თუ რა არის სიძულვილის ენა და რისი გავლენა შეუძლია მას ამასთან დაკავშირებით.

მისი მეგობარი ალექს არის პირველი, ვინც გაიგებს ამის შესახებ. ის არის ბიჭი, რომელსაც წარსულში უკვე აქვს საკუთარ თავზე გამოცდილი სიძულვილის ენა და გამოიარა პროცესი, რომელმაც გააძლიერა და რის შედეგადაც გახდა ონლაინ აქტივისტი. ეს ორი ჩამოაყალიბებს ჯგუფის საფუძველს, რომლებიც გადანაცვდებიან, რომ იმოქმედონ. სხვადასხვა ადამიანებთან შეხვედრებით ისინი აღმოაჩენენ ნარატივებს იმ მესიჯებში, რომლებსაც ისინი იღებენ. ისინი ერთად პოულობენ საპირისპირო ნარატივების სხვადასხვა გზებს და გაუმკლავდებიან ბევრ გამოწვევას, რომელსაც ეჩვენებიან. ისინი ამას აგებენ იმ რესურსებზე, რომელიც არის მათთვის ხელმისაწვდომი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამას აკეთებენ მათი გულწრფელი მოტივაციითა და სიმამაცით!



მე ოლი მექვია. მე მივიღე ელექტრონული წერილები, სადაც ეწერა ასეთი რაღაცეები: „ჩაალაგე ბარგი და წადი სახლში“. ჩემი მეგობრებიც კი დამცინიან ინტერნეტში. მეშინია, მაგრამ აგრეთვე მინდა, რომ გარდა ამის შესახებ შეტყობინების დაფიქსირებისა, კიდევ გავაკეთო რამე. შემომიერთდებით ამ გზაზე მე?

თავების მიმოხილვა

თავი მეორე: სიძულვილის ენა

ეს თავი სიძულვილის ენას განმარტავს ადამიანის უფლებების კანონმდებლობის გადმოსახედიდან, რომელიც მდგომარეობს იმაში, თუ როგორც არის ეს განმარტებული ეროვნული და საერთაშორისო კანონებით. ის აგრეთვე გვთავაზობს ძირითად საშუალებებს სიძულვილის ენის სოციალური ანალიზისათვის.

თავი მესამე: სიძულვილის ენა ინტერნეტში და სოციალურ მედიაში

მესამე თავი განმარტავს იმას, თუ როგორ ხვდება და ვრცელდება სიძულვილის ენა ინტერნეტში, განსაკუთრებით სოციალური მედიის საშუალებით და როგორ განსაზღვრავენ და არეგულირებენ სოციალური მედია პლატფორმები სიძულვილის ენას. სოციალური მედია პლატფორმები არიან ის აქტორები, რომლებიც დასაშვებს ხდიან ან ზღუდავენ სიძულვილის ენას არა მხოლოდ ინტერაქციის ვირტუალურ სივრცეებში. ეს თავი განმარტავს, თუ რატომ არის საჭირო ინტერნეტ განათლება და თუ როგორ გამოვიყენოთ სოციალური მედია სიძულვილის ენის საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების განვითარებისას.

თავი მეოთხე: ნარატივები

მეოთხე თავი განმარტავს ნარატივის კონცეფციას და მის როლს სიძულვილის ენის ნახალისებასა თუ შეზღუდვაში. ის გვთავაზობს პრაქტიკულ საშუალებებს სოციალური და პოლიტიკური ნარატივების ანალიზისა და დეკონსტრუქციისათვის და იყენებს მათ ორ მაგალითთან მიმართებით. ერთი არის ქსენოფობიური ნარატივი: „ისინი იპარავენ ჩვენს სამსახურებს“ და ბარაკ ობამას საარჩევნო კამპანიის „დიახ, ჩვენ შეგვიძლია“ ინკლუზიური ნარატივის.

თავი მეხუთე: საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივები

მეხუთე თავი საპირისპირო და ალტერნატიულ ნარატივებს განმარტავს, როგორც მოქმედების სტრატეგიებს. ის გამოყოფს მოკლევადიან და გრძელვადიან სტრატეგიებს და ადგილს უჩენს საპირისპირო და ალტერნატიულ ნარატივებს მოქმედებების სხვა ფორმების კონტექსტის ფარგლებში: ადამიანის უფლებების შესახებ განათლება, პოლიტიკური დაცვა, ახალგაზრდული სამუშაო და კანონიერი მოქმედებები.

თავი მეექვსე: მზადება მოქმედებისათვის

მეექვსე თავი გვთავაზობს გამოსახულებებს და საშუალებებს მოქმედებისთვის მოსამზადებლად. პოლარიზებულ სიტუაციებში მოქმედება არის სენსიტიური და ნეგატიური ბევრი კუთხით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მასში ჩართულნი არიან ახალგაზრდები. ამგვარად, კარგად მომზადება არის გადამწყვეტი.

თავი მეშვიდე: ამის ნაბიჯ-ნაბიჯ კეთება

მეშვიდე თავი შეიცავს ნაბიჯ-ნაბიჯ გამკვლევებს ალტერნატიული და საპირისპირო ნარატივების კამპანიის განვითარებაში. ის გვთავაზობს ოთხ ფაზას: განსაზღვრის, დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების და თითოეულ ფაზაში რამოდენიმე ეტაპს. ის მოიცავს ხელსაწყოებისა და მინიშნებების სერიებს ილუსტრირებულ მაგალითებთან ერთად.

დანართები

დანართები შეიცავს რამოდენიმე დამატებით, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან ინსტრუმენტს: რიგ ხშირად დასმულ შეკითხვებს, ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის რეზიუმეს, ვორქშოფის ზოგადი გეგმის ნიმუშს, გამოყენებული რესურსების ნუსხასა და ლექსიკონს.

გამოყენებული ნიშნები



ძირითადი აზრი

ეს სახელმძღვანელო გვთავაზობს ახსნას თემაზე თეორიიდან და პრაქტიკიდან. ეს ნიშანი მიუთითებს საკვანძო კონცეფციებზე, პუნქტსა თუ შეტყობინებებზე.



შეკითხვები რეფლექსიისათვის

ეს შეკითხვები მიზნად ისახავს, რომ დაგვეხმაროს, რეფლექსია მოვახდინოთ თუ რას ნიშნავს წარმოდგენილი აზრები განსხვავებულ პერსონალურ, საგანმანათლებლო, ახალგაზრდული საქმიანობისა ან აქტივიზმის კონტექსტებში.



ინსტრუქციები

კონკრეტული ინსტრუმენტები ანალიზისა და მოქმედებისათვის.



მინიშნაები

სასარგებლო მინიშნებები და იდეები, რომელიც მომდინარეობს თემის პრაქტიკიდან და კვლევიდან.



მაგალითი

აზრები წარმოდგენილია გარკვეული მაგალითებით. ეს ნიშანი მიუთითებს მაგალითის მოკლე აღწერაზე.



მაგალითები კავშირშია

მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ

ეს სახელმძღვანელო წარმოადგენს მოქმედებისათვის საჭირო იდეებს კამპანიისთვის „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ აქტივობების შესაბამისი, განსაზღვრული და ახალი მაგალითების მოკლე აღწერებით.



ამ სახელმძღვანელოს გამოგონილი ისტორიის პერსონაჟები

პერსონაჟები არიან ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებიც გადაწყვეტენ, რომ სკოლაში წამოიწყონ საპირისპირო-ნარატივის კამპანია, რომელსაც მხარს უჭერენ მათი მასწავლებლები და ახალგაზრდული მუშაკი. მათი სურათები ჩნდება ამ სახელმძღვანელოში, რომლებიც თან ერთვის მათი ამბის მოკლე აღწერას, რომელიც დამყარებულია იმ ახალგაზრდების ცხოვრებისეულ მაგალითებზე, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს სიძულვილის ენა და გადაწყვიტეს მოქმედება.




თავის რეჟიმზე სუთ ვუძებნა

- ეს სახელმძღვანელო გვთავაზობს მითითებს და პრაქტიკულ ხელსაწყოებს საპირისპირო ნარატივებისა და ალტერნატიული ნარატივების განსავითარებლად, რათა გავათვითცნობიეროთ ნებისმიერი დაინტერესებული პედაგოგი, აქტივისტი ან ახალგაზრდა სიძულვილის ენის საკითხებში.
- ნარატივები მოქმედებს ინტერნეტ სივრცეში და მის გარეთ და ისინი არიან ძლიერები ნეგატიური სტერეოტიპების დარღვევაში და ადამიანის უფლებების წინ წამოწევაში.
- ეს სახელმძღვანელო პასუხობს კამპანიის მონაწილეების მიერ იდენტიფიცირებულ საჭიროებებს და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სამოქმედო გეგმაში „ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის გამომწვევი რადიკალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა CM (2015) 74“ გამოხატულ მითითებას მოქმედებაზე.
- სახელმძღვანელო გვთავაზობს საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების განვითარებას აშკარად ადამიანის უფლებების სწავლების მიდგომის გამოყენებით, ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ პოლიტიკასა და ადამიანის უფლებებისა და მოქალაქეობის შესახებ განათლებაზე
- მოქმედება საჭიროა! შენ შეგიძლია განავითარო საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივის კამპანია!

სქოლიო

- 1 მეტი ინფორმაციის პოვნა სიძულვილის ენის, ინტერნეტ განათლების და ონლაინ მოქალაქეობის შესახებ შესაძლებელია აქ: გომესი, არ. (ჩასწ.) (2013), სანიშნეები: ადამიანის უფლებების შესახებ განათლების მეშვეობით ინტერნეტ სივრცეში სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმძღვანელო, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, ხელმისაწვდომი: www.coe.int/youthcampaign-გე, მოძიებული: 2016 წლის 20 მაისს.
- 2 „სოციალური კინოდან“ ადაპტირებული მიმის ნახვა შესაძლებელია <https://es.pinterest.com/pin/443329603272919/>- გე, მოძიებული 2017 წლის 16 თებერვალს.
- 3 ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, ასევე ცნობილი, როგორც „სტამბოლის კონვენცია“, ხელმისაწვდომი www.coe.int/en/web/istanbul-convention/home, მოძიებული 2016 წლის 1 დეკემბერს.
- 4 ევროპის საბჭოს კონვენცია ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის შესახებ, ასევე ცნობილი, როგორც „ლანცარეტის კონვენცია“, ხელმისაწვდომი www.coe.int/en/web/children/lanzarote-convention/home-გე, მოძიებული 2016 წლის 1 დეკემბერს.
- 5 2015 წლის 19 მაისის ევროპის საბჭოს მინისტრების საბჭო CM/Rec (2015) 74 , ხელმისაწვდომი www.coe.int/t/DGHL/STANDARDSETTING/PRISONS/RCCP%20documents%202015/CM%20Action%20Plan.pdf, მოძიებული 2016 წლის 2 აგვისტოს.
- 6 რადიკალიზაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების ქსელი (RAN), ხელმისაწვდომი: http://ec.europa.eu/dgs/home-affairs/what-we-do/networks/radicalisation_awareness_network/index_en.htm, მოძიებული 2016 წლის 1 დეკემბერს.
- 7 ვიდეოს ნახვა შესაძლებელია „ტერორიზმისა და რადიკალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის“ ნაწილში, ხელმისაწვდომი http://ec.europa.eu/dgs/home-affairs/e-library/multimedia/videos/index_en.htm#08012624906b251f/c_ და მათ ფისიბუქ გვერდზე www.facebook.com/radicalisationAwarenessNetwork/, მოძიებული 2016 წლის 1 დეკემბერს.
- 8 HeForShe კამპანია, ხელმისაწვდომი www.heforshe.org/en-გე, ხელმისაწვდომი 2016 წლის 21 ნოემბერს.
- 9 ევროპის საბჭოს მინისტრების კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)7 ნევერ ქვეყნებს ევროპის საბჭოს წესდება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების განათლების შესახებ, ხელმისაწვდომი www.coe.int/en/web/ed-c/charter-on-education-for-democratic-citizenship-and-human-rights-education, მოძიებული 2016 წლის 27 აგვისტოს.
- 10 ევროპის საბჭო (2016), დემოკრატიული კულტურის საშუალებები- კულტურულად მრავალფეროვან დემოკრატიულ სამოგადობებში თანაცხოვრება, ევროპის საბჭო, სტრასბურგი.
- 11 გომეს, რ. (ჩასწორება.), (2012) კომპასი: ახალგაზრდებთან ადამიანის უფლებების შესახებ განათლების სახელმძღვანელო, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, ხელმისაწვდომი www.coe.int/t/dg4/eycc/Source/Compass_2012_FINAL.pdf, მოძიებული 2016 წლის 22 ივნისს.
- 12 მეტი ინფორმაცია პაულო ფრეირის საშუალოთან დაკავშირებით პრაქტიკის კონცეპტის შესახებ ხელმისაწვდომია www.freire.org/paulo-freire/concepts-used-by-paulo-freire, გე, მოძიებული 2016 წლის 7 სექტემბერს.

ოლი საკუთარ თავზე გამოცდის სიძულვილის ენას და ეტყვის მეგობარს



მე მეიღები მივიღე. „დაიწყე
ჩალაგება და წადი სახლში“.
„შე @#! ეს ჩვენი ქვეყანაა“.
„წადი, ან ნახავ..“ სკოლის
ფეისბუქ ჯგუფებში ჩემი
მეგობრებიც კი დასცინიან
როლონიელებს.
მეშინია. რა არის ეს?



ეს არ არის ხუმრობა. ეს
კომენტარები ავრცელებს
და ამართლებს სიძულვილს
და შენ შემთხვევაში ეს შენს
წარმომავლობას ეხება.
ამას სიძულვილის ენა
ჰქვია.

სიძულვილის ენა

ეს თავი განმარტავს სიძულვილის ენას, ხსნის თუ როგორ განვითარდა კონცეფცია და გვანვდის რამოდენიმე ხელსაწყოს, რომ მოხდეს მისი, როგორც სამართლებრივი ტერმინის ანალიზი, როგორც ეს არის განსაზღვრული და რეგულირებული კანონებით და როგორც ძალადობის ფორმა, რომელიც არსებობს ხალხსა და ჯგუფებს შორის. ოლისა და ალეს გამოგონილი ისტორიები გვიჩვენებს სიძულვილის ენის ტიპურ გამოვლინებებს. დამატებით წარმოდგენილია სიძულვილის ენის ორი მაგალითი ევროპულ კონტექსტში.

2.1 | სიძულვილის ენის განსაზღვრა

სიძულვილის ენა ძირითადად განსაზღვრულია, როგორც ვერბალური გამოხატულებები, რომლებიც არის დისკრიმინაციული ხალხის ან ჯგუფების მიმართ ისეთი დამახასიათებელი თვისებების გამო, როგორიც არის ეთნიკურობა, წარმომავლობა და კულტურული ფონი, ეროვნება, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია ან შეზღუდული შესაძლებლობა. თუმცა, სიძულვილის ენა აგრეთვე მოიცავს არავერბალურ გამოხატულებებსაც, ისეთებს, როგორსაც შეიცავს სურათები, ვიდეოები ან ინტერნეტ სივრცეში და ინტერნეტ სივრცის გარეთ არსებული ნებისმიერი საკომუნიკაციო ფორმა, რაც არის მოხსენიებული ევროპის საბჭოს განსაზღვრებაში და დადასტურებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებებში.



ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ განსაზღვრული სიძულვილის ენა მოიცავს „გამოხატვის ყველა იმ ფორმას, რომელიც ავრცელებს, ახალისებს, იწვევს ან ამართლებს რასობრივ სიძულვილს, ქსენოფობიას, ანტიცემიტიზმსა და სიძულვილის სხვა ფორმებს, რომლებიც დამყარებულია შეუწყნარებლობაზე, მათ შორის: არატოლერანტობა გამოხატული აგრესიული ნაციონალიზმითა და ეთნოცენტრიზმით, უმცირესობების, მიგრანტებისა და იმიგრანტული წარმოშობის ადამიანების დისკრიმინაცია და მათ წინააღმდეგ ბრძოლა“ (მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, CM/Rec (1997) 20).



კამპანიისათვის „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ დისკრიმინაციისა და ცრურწმენის სხვა ფორმები, ისეთი როგორც არის ბოშების სიძულვილი, ქრისტიანოფობია, ისლამოფობია, ქალთა მიმართ სიძულვილი, სექსიზმი და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაცია, ზუსტად ჯდება სიძულვილის ენის ფარგლებში.

სიძულვილის ენა წარმოადგენს ადამიანის უფლებების დარღვევას და უმრავლეს ქვეყნებში ის რეგულირდება კანონით, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებზე. მაგალითად, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა (168) უერთდება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენანტს (ICCPR), რომელიც აცხადებს, რომ „ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის, რომელიც აქვებს დისკრიმინაციისკენ, მტრობისა ან ძალადობისაკენ, ნებისმიერი ნაქმეზა, დისკრიმინაციული ქმედება არის აკრძალული კანონით. რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია კი (ICERD), კრძალავს რასიზმის ყველა სახით ნაქმეზას (177 ქვეყანა).



ოლი გამოსცის სიძულვილის ენას

ოლი იღებს მეილებს იმ ანონიმური გამოგზავნებისაგან, ვინც იციან მისი ელექტრონული ფოსტის მისამართი და ასევე „ხუმრობებს“, რომლებსაც მისი მეგობრები გამოთქვამენ ონლაინ სივრცეში იმ სოციალურ პლატფორმაზე, სადაც ისიც მონაწილეობს. სავარაუდოდ ისინი ვერ გაბედავდნენ ამ კომენტარების მისთვის პირისპირ თქმას. მის წინააღმდეგ გამოხატული სიძულვილის ენა დაფუძნებულია მის წარმომავლობაზე. ოლის მშობლები როლონიიდან ემიგრირდნენ მარკადიაში უკეთესი ეკონომიკური პერსპექტივების ძიებაში. ის თავს გრძობს შეშინებულად, იმედაცრუებულად და საგონებელშია ჩავარდნილი. ის ხალხი, ვისაც ის მიიჩნევს მეგობრებად ხუმრობების სახით მისი მისამართით დისკრიმინაციულ კომენტარებს აკეთებს. ის გულნატკენია.

სიძულვილის ენის საერთაშორისო ცნების წარმოგავლობა და გამოწვევები

თავისუფლების შემლუდვის საჭიროების აღმოჩენა შესაძლებელია ზიანის პრინციპში. თავისუფლების კანონიერად შემლუდვა შესაძლებელია მაშინ, თუ გამოხატვის ფორმა ან აქტი ზიანს აყენებს სხვებს. 1859 წელს, ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ სტიუარტ მილი მის ნაშრომში თავისუფლების შესახებ წერდა, რომ „ერთადერთი მიზეზი, სადაც ძალაუფლება კანონიერად შესაძლებელია იყოს გამოყენებული ცივილიზებული საზოგადოების ნებისმიერ წევრზე მისი სურვილის საწინააღმდეგოდ არის სხვებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება“. ამ პრინციპმა გავლენა იქონია სიძულვილის ენის იურიდიულ განმარტებაზე და სიტყვის თავისუფლების შემლუდვის გამართლებაზე, როდესაც გამოხატვის ფორმები ახალისებს დისკრიმინაციასა და ძალადობას სხვების წინააღმდეგ.³

იმის ფორმულირება, თუ რას წარმოადგენს სიძულვილის ენა და რომელ განსაზღვრულ ჯგუფებზე უნდა გავრცელდეს რეგულაციები პრობლემატურია და კანონმდებლობა განსხვავდება თითოეულ ქვეყანაში. სიძულვილის ენის განსაზღვრა და კლასიფიკაცია დამოკიდებულია გამოხატვის შინაარსსა და ტონზე, ამ გამოხატვაზე პასუხისმგებელი პირის განზრახვაზე, კონტექსტზე, გამოხატვის სამიზნეზე და სამიზნე პირზე ან ჯგუფზე მომხდარ გავლენაზე⁴ ონლაინ გარემოში სიძულვილის ენის შესახებ იუნესკოს 2015 წლის ანგარიში აცნობიერებს ამ გამოწვევებს და გამოკვეთს დეფინიციების პრაქტიკაში გატარების მთავარ გამოწვევას⁵, მაშინ, როდესაც ზღვარები ხშირად ბუნდოვანია.



ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ სიძულვილის ენის წინააღმდეგ სტრატეგიების მომზადებისა და შემუშავებისას განვიხილოთ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურობა და კანონიერება. სიძულვილის ენის განსაზღვრა და მის წინააღმდეგ, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევისადმი ბრძოლა, როგორც იურიდიულ ტერმინებში არის იმპერატიული, მიუხედავად გამოწვევებისა. სიძულვილის ენა შესაძლოა დაიგმოს და არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე მასზე ვრცელდებოდეს სანქციები. მაგრამ სიძულვილის ენა აგრეთვე უნდა იქნას აღქმული, როგორც შემანახველი სოციალური ფენომენი, რომელიც ძირს უთხრის დემოკრატიული საზოგადოებების საფუძველს, რომელიც მდგომარეობს განსხვავებულის პატივისცემაში და მისი გამომწვევი მიზეზი უნდა იქნას აღმოფხვრილი, სხვა შემთხვევაში, შესაძლოა, რომ მხოლოდ „სიმპტომები“ შემსუბუქდეს.

სიძულვილის ენის გამომწვევი მიზეზები

სიძულვილის ენის ძირითადი მიზეზები, როგორც ეს არის სახელმძღვანელო „ბუქმარქსში“ არის „ნეგატიური სტერეოტიპები, რომლებიც ზოგ ჯგუფს ან პირებს მიიჩნევს მასზე ქვემოთ მდგომად, განსხვავებულად ან ნაკლებ პატივსაცემად“⁶. სწორედ ამიტომაც არის საჭირო უფრო ფართო მიდგომა სიძულვილის ენისადმი, რომელიც გაითვალისწინებს მის გამომწვევ მიზეზებს, რომელიც გვიჩვენებს საგანმანათლებლო აქტივობების მნიშვნელობას, რათა აღკვეთოს ნეგატიურ სტერეოტიპები და ცრურწმენები, რომელიც ამყარებს სიძულვილის ენას.

მაგრამ, რატომ ჩნდება ნეგატიური სტერეოტიპები? ეს არის მთავარი შეკითხვა აქტივისტებსა და სოციალური მეცნიერებისათვის. ზოგმა მკვლევარმა⁷ განმარტა, თუ როგორ მოახდინეს ჯგუფებმა ერთმანეთის დისკრიმინაცია ისტორიის მანძილზე და როგორ იყო დისკრიმინაცია ჩაგვრის სისტემის ნაწილი. მაგალითებისათვის კვლევებში გამოკვლეულ იქნა კლასის განმასხვავებელი ნიშნები, გენდერული ურთიერთობები და კოლონიალიზმი. ამ ისტორიულ პროცესში გამოიკვეთა იდეები, რომ ერთი ჯგუფი ზევით/ქვევით იდგა სხვასთან შედარებით და სისტემები გამოიყენებოდა ამ არათანაბარი სოციალური ურთიერთობების გასამართლებლად და მომსაზარაგებლად, მაგალითად, განათლებაზე წვდომის შეზღუდვის საშუალებით იმ იდეების საფუძველზე, რომ ბუნებით ზოგი ჯგუფი ნაკლებად უნარიანი ან ნაკლები შესაძლებლობის მქონეა.

სხვა მკვლევარებმა გამოკვეთეს ის საკითხი, რომ ადამიანის ქცევას მართავს უსაფრთხოების, იდენტურობისა და თავისუფლების საჭიროება. როდესაც ადამიანები გრძობენ საფრთხეს და ფაქრობენ, რომ მათი საჭიროებები შესაძლოა ვერ დაკმაყოფილდეს, ისინი რეაგირებენ. ისინი ასე იქცევიან ჯგუფების ფორმირების საშუალებით, რათა უზრუნველყონ მათი საჭიროებების დაცვა და რეალიზაცია. ნარატივები გამოიყენება იმისათვის, რომ შექმნას ჯგუფის იდენტურობა და შეიცავს ზოგად განმარტებებს იმის შესახებ, თუ რატომ სჭირდება ჯგუფს დაცვა. იდეები „ჩვენ“ „მათ“ წინააღმდეგ ჩნდება იმისათვის, რომ გააძლიეროს ჯგუფების იდენტურობა და ლეგიტიმურობა. ეს არის სწორედ ის, რატომაც სიძულვილის ენა არ იყენებს აშკარა და დამამაყრებელ სიძულვილის ენის ფორმებს, არამედ სიყვარულის სახით გამოხატავს ამას, მაგალითად „ჩვენი ქვეყნის სიყვარულისათვის“, „ჩვენი მიწის სიმშინდე“ ან „ჩვენი რწმენის სიმართლე“.

სიძულვილი არ მიეკუთვნება არცერთ ჯგუფს

ისტორიული და სოციალური ანალიზი გვეხმარება განვმარტოთ, თუ რატომ გაჩნდა დისკრიმინაცია, მაგრამ ის მხოლოდ ნაწილობრივ ხსნის, თუ რატომ იღებს სამიზნეში სიძულვილის ენა ვარკვეულ ჯგუფებს, სხვებს კი არა. სახიფათოა ზოგი ჯგუფის საძულველად მოხსენიება ზოგის კი სიძულვილის ენის სამიზნეებად. როგორც ამის შესახებ დავობს მკვლევარი სარა აპმედი, სიძულვილი არ ეკუთვნის რომელიმე განსაზღვრულ ჯგუფს; უფრო მეტად ის ცირკულირებს და ქმნის კუთვნილებას. აპმედი იყენებს ტერმინს „აფექტური ეკონომიკა“, რათა შემოგვთავაზოს, რომ ემოციები, კერძოდ კი სიძულვილი არ ეკუთვნის რომელიმე განსაზღვრულ ჯგუფს⁵. ადამიანებს აქვთ ემოციები, მაგალითად გრძნობენ სიბრაზეს ან მხიარულებას. მაგრამ ემოციის ფლობა უძრავი ქონების ფორმით შეუძლებელია, არამედ ის არის ვაპიტალის ფორმით. როგორც ვაპიტალი მოძრაობს, ასევე შესაძლებელია, რომ მოძრაობდეს ემოციებიც ადამიანებს შორის და ემოციების გაზიარება ქმნის დამოკიდებულებას. ამიტომ ემოციების განსაზღვრა შეიძლება ეკონომიკის სახით: ის მოძრაობს ადამიანებს და ჯგუფებს შორის და ახდენს გავლენას იმაზე თუ ვინ არიან და რას აკეთებენ ისინი. ამიტომ, შეიძლება დავასკვნათ, რომ სიძულვილი არ არის ადამიანების თანდაყოლილი თვისება. სიძულვილი ადამიანებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთობების კონტექსტში ჩნდება იმ ძალაუფლების გამო ბრძოლის ისტორიულ პროცესებში, რომელსაც ჯგუფები გადიან.



სიძულვილის ენა უნდა იქნას გაგებული, როგორც ეს განმარტებულია იურიდიულ ტერმინებში და როგორც სოციალური ფენომენი არათანასწორი სოციალური და ძალაუფლებრივი ურთიერთობის კონტექსტში, სადაც სტერეოტიპები, ემოციები და ნარატივები თამაშობს მნიშვნელოვან როლს.



რას ნიშნავს ეს ოლის ისტორიაში?

მის საქმეში ოლის შეუძლია შეტყობინება გააკეთოს ამის შესახებ, ვინაიდან მარკადიაში სიძულვილის ენა რეგულირდება კანონით. მაგრამ ის საგონებელშია ჩავარდნილი ამ კომენტარების მიზეზების გამო და იწყებს ფიქრს მათ შინაარსზე, რატომ ხდება ისინი ახლა და ვისგან მოდის ეს. ის იფჭვებს, რომ ეს მოდის მისი კლასელებისაგან. როგორ იპოვეს მათ მისი ელექტრონული ფოსტის მისამართი? უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობის ძიებაში ოლის მშობლები ემიგრირდნენ მარკადიიდან. ოლის მამას შესთავაზეს სამსახური საკვების დამამუშავებელ ინდუსტრიაში. არსებობს ბევრი ნეგატიური სტერეოტიპები როლონიის მკვიდრების შესახებ, მაგალითად, რომ ისინი არიან ზარმაცები და ცხოვრობენ დახმარებებზე. უკანასკნელ ხანებში მარკადიაში ეკონომიკური სიტუაცია გაუარესდა და ახალგაზრდებს შორის არის მაღალი უმუშევრობის დონე. ზოგიერთი პოლიტიკოსი აპელირებს ამ შიშებზე იმ ნარატივის გამოყენებით, რომ მიგრანტების შემოსვლას გვთავაზობს, როგორც სოციალური დაავადების გამომწვევს. ისინი გვთავაზობენ ცვლილებებს მიგრაციის კანონებში. როლონიელები თავს გრძნობენ არასასურველად და უძლურად. ოლი ხდება, რომ ეს არ ხდება პირადად მის გამო, არამედ ის დაკავშირებულია იმ ჯგუფთან, რომელიც ამოცნობილია, როგორც უცხო და საფრთხის შემცველი.





- როგორ გვსმით თქვენ სიძულვილის ენა?
- რა კანონმდებლობა არსებობს თქვენს ქვეყანაში სიძულვილის ენასთან დაკავშირებით?
- რომელ ნეგატიურ სტერეოტიპებს შეხვედრიხართ თქვენ სიძულვილის ენასთან დაკავშირებით?
- რას ამბობს ეს სტერეოტიპები ძალაუფლებისა და სოციალური ურთიერთობების შესახებ თქვენს კონტექსტში?

2.2 | სიძულვილის ენის სოციალური ენალიზის კატეგორიები

სიძულვილის ენა ხდება არათანაბარი სოციალური და ძალაუფლებრივი ურთიერთობების კონტექსტში, რომლის იდენტიფიცირებაც არ არის ადვილი. იმისათვის, რომ ამოვიცნოთ ის გამრიყავი პრაქტიკები, რომლებიც წარმოშობს არათანაბარ ძალაუფლებრივ ურთიერთობებს, შესაძლოა გარკვეული კონცეფციებიც იყოს გამოსადევი: პრივილეგია, ურთიერთგადაკვეთა და ნორმატიულობა.



სიძულვილის ენა შესაძლოა გაგებულ იქნას, როგორ არათანაბარი სოციალური და ძალაუფლებრივი ურთიერთობების მანიფესტაცია და როგორც მექანიზმი, რომელიც ამრავლებს მათ. არათანაბარუფლებიანობა ვრცელდება მზაკვრული ხერხებით, მაგალითად იმ მექანიზმებით, რომელიც სხვადასხვა ჯგუფებს აძლევს სხვადასხვა შესაძლებლობებსა და რესურსებზე წვდომას, რომელიც ქმნის პრივილეგიებს სხვებისათვის და შედეგად ინვესტ მარგინალიზაციას.

პრივილეგია

პრივილეგიები არის ის ბენეფიტები, რაც სისტემატურად ეძლევა გარკვეულ სოციალურ ჯგუფებს ან ადამიანებს, რომლებიც აღიარებულნი არიან, როგორც ამ ჯგუფის წევრები, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ეს ხალხი არ ახდენდეს თავის იდენტიფიცირებას ამ ჯგუფის წევრობასთან.¹⁰ ყველაზე მეტად ნათელი, თუმცა აგრეთვე მარტივი მაგალითი არის სოციალური ჯგუფი, რომელთა წევრებიც არიან კაცები და რომელთაც აქვთ არაპროპორციულად უფრო ადვილი წვდომა სოციალურ რესურსებსა და ძალაუფლებისა და ავტორიტეტულ პოზიციებზე სოციალურ ჯგუფებთან მიმართებით, ვიდრე ქალებს.¹¹

ურთიერთგადაკვეთა

ერთი თითქმის არ არის ერთპიროვნულად პრივილიგირებული ან მარგინალიზირებული. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმას, რომ პიროვნება არ ეკუთვნის ერთ სოციალურ ჯგუფს, არამედ ამავდროულად აქვს სხვადასხვა კუთვნილებები იდენტობასთან მიმართებით. მაგალითად, გეი, შავკანიანი სამედიცინო მიმართულების სტუდენტი მამაკაცი თავს შესაძლოა აკუთვნებდეს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს ერთდროულად: მამაკაცები, „შავი“ ან აფრიკული კულტურა, ლგბტ, მის ქვეყანაში უნივერსიტეტის სტუდენტები, სამედიცინო მიმართულების სტუდენტები მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ა.შ.. მრავალ და ერთმანეთის გადაკვეთ იდენტურობაზე დამყარებით, პრივილეგია უნდა იყოს გაგებული ურთიერთკვეთის პერსპექტივის საშუალებით.

ეს ნიშნავს იმას, რომ პირი ყოველთვის არის სხვადასხვა იდენტობის გადაკვეთის ადგილას. პიროვნება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს ეკუთვნის ერთდროულად. მაგალითად, მამაკაცად ყოფნა შესაძლოა მოიაზრდებდეს გარკვეულ ბუნეფიტებს, მაშინ, როდესაც გვი მამაკაცად ყოფნა არაა. ჩვენი ბუნეფიტები განისაზღვრება სხვებთან კავშირში. მაგალითად, ერთი ჯგუფი, თეთრები არიან პრივილეგირებულები, მაშინ როდესაც არათეთრები - არ არიან.

ადამიანების სხვადასხვა კულტურული იდენტურობა გავლენას ახდენს მათ სოციალურ შესაძლებლობებზე, რაც ფართო გაგებით ნიშნავს მათ შესაძლებლობას, რომ მოახდინონ გავლენა მათი ცხოვრების მიმდინარეობასა და მოქმედებებზე.



- რა არის თქვენი იდენტური კუთვნილებები?
- ყოფილხართ თუ არა როდესმე დისკრიმინირებული ან სიძულვილის ენის სამიზნე?
- გრძობთ თუ არა, რომ ხართ პრივილეგირებული ან გაქვთ განსაკუთრებული ბუნეფიტები? თუ ასეა, რა სახით?
- რას იტყოდით იმ ახალგაზრდებზე, ვისთან ერთადაც მუშაობთ? აქვთ თუ არა მათ პრობლემები იდენტობის საკითხებთან დაკავშირებით? განიცდიან თუ არა ისინი დისკრიმინაციას ან/და პრივილეგიებს?

წარმომავლობა

გენდერი

სექსუალური ორიენტაცია

მოქალაქეობა



მარკადია

ქალი

ჰეტეროსექსუალი

როლონია

ოლის იდენტურობის კუთვნილებების გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ, რომ მისი სოციალური პოზიცია არის ურთიერთკვეთაში, სადაც ის არის ჰეტეროსექსუალი ახალგაზრა გოგონა, მარკადიის მოქალაქე და ჰყავს მშობლები, რომლებიც როლონიიდან არიან. ამ კუთვნილებებს გავლენა აქვს მისი ცხოვრების ტრაექტორიაზე. ის განიცდის სიძულვილის ენას, რომელიც დამყარებულია მის წარმომავლობაზე, მაგრამ ის ფიქრობს მოექცეოდნენ მას იგივენაირად თუ არა იმ შემთხვევაში თუ იქნებოდა ბიჭი.



წარმომავლობა

გენდერი

სექსუალური ორიენტაცია

მოქალაქეობა



მარკადა

კაცი

ჰომოსექსუალი

მარკადა

ალეს იდენტობის კუთვნილებების გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ, რომ მისი სოციალური პოზიცია არის ურთიერთკვეთაში, სადაც ის არის ჰომოსექსუალი ახალგაზრდა კაცი და მარკადის მოქალაქე, რომლის მშობლები მარკადიდან არიან, თუმცა მან იცის, რომ ერთ-ერთი მისი დიდი ბებია ან ბაბუა იყო მეზობელი ნორლენდიდან. ამ კუთვნილებებს ვაჯღენა აქვს მისი ცხოვრების ტრავექტორიაზე. ის არ განიცდის სიძულვილის ენას, რომელიც დამყარებულია მის წარმომავლობაზე, არამედ სიძულვილის ენას, რომელიც დაფუძნებულია მის სექსუალურ ორიენტაციაზე.

სოციალური ნორმები და ნორმატივები

სოციალურ ჯგუფებს შორის იერარქიული ურთიერთობები დამყარებულია სოციალური ნორმების საფუძველზე. სოციალური ნორმები წარმოადგენს სოციალურ კონტექსტში ინდივიდებისაგან მოსალოდნენ ქცევას. ეს სოციალური ნორმები არის იმ ადამიანებისათვის ან სოციალური ჯგუფებისათვის პრივილეგიის მინიჭების გზა, რომელთა ყოველდღიური ცხოვრებისეული პრაქტიკები და სოციალურად აღიარებული პოზიციები ყველაზე მეტად ახლოს არის სოციალურ ნორმებსა და იდეალებთან. ეს ნორმები აგრეთვე წარმოშობს დეპრივილეგირებულად და მარგინალიზებულად ყოფნის პოზიციებს.

სოციალური ნორმები მრავლდება და ძლიერდება სოციალური ცხოვრების ყველა დონეზე ინტერპერსონალური ურთიერთობებიდან დაწყებული სოციალური ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების კონტექსტში ინტერაქციებით დამთავრებული და „რა თქმა უნდა, აგრეთვე მედიის წარმოდგენებში. ინდივიდები იქცევიან ისე, როგორი მოლოდინებიც აქვთ სხვებს და წინასწარ განჭვრეტენ მათი ქცევისადმი შესაძლო რეაქციებს. სოციალური ქცვიდან გადახვევა ხშირად ნეგატიურად ისჯება სხვადასხვა მექანიზმების მეშვეობით. სიძულვილის ენა ილტვის, რომ გააძლიეროს სოციალური ნორმები, რომლის დესტაბილიზაციაც ხდება ნორმიდან გადახვევის ან გამოწვევების შედეგად. ამავდროულად, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ სოციალური ნორმები მეტ-ნაკლები სიღრმით ერთდროულად მრავალდება და იცვლება და არ არის აუცილებელი, რომ ამას დაუპირისპირდეს ან მიგვიყვანოს სიძულვილის ენამდე.



რას ნიშნავს ეს ოლის ზემოთხევაში?

ოლის შემთხვევაში, მისგან მოელიან, რომ დამატკიცოს ერთგულება მარკადისადმი. მან გააანალიზა, რომ შენყვიტა როლონიურად საუბარს თავის დასთან, რათა თავიდან აერიდებინა დაცინვა. მან ისწავლა მოსალოდნელი ნეგატიური რეაქციების განჭვრეტა და ის ფიქრობს, რომ როლონიური კულტურა არის ნაკლებად „მაგარი“ ან მარკადიულ კულტურაზე ქვევით დგას. მას სჯერა, რომ მარკადიელები იმსახურებენ განსხვავებულ მოპყრობას და მათი პრივილეგიები და უპირატესობები არის ნორმალური.



მისი მეგობრები უხსნიან ოლის, რომ მარკადიელებსაც აქვთ „სასაცილო“ ტანსაცმელი. ეს ყოველივე დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ განსჯის ამას. ისინი ოლის ეუბნებიან, რომ მას არ უნდა შერცხვეს თავისი წარსული, არამედ იამაყოს ამით. ისინი ეუბნებიან მას, რომ დააიგნოროს ეს დაცინვა და შეკითხვები და რომ ისინი ვინც დასცინიან, ცდილობენ, რომ გავლენა იქონიონ მის ცხოვრებაზე.

2.3 | 306 არის სიძულვილის ენის სამიზნე?



სიძულვილის ენა ყველაზე მეტად მიზანში იღებს იმ სოციალურ ჯგუფებს, რომელთა პოზიციაც საზოგადოებაში დაქვემდებარებულია სხვებზე ან რომელთა იდეებიც და ქცევაც უპირისპირდება ნორმების გაბატონებულ სისტემას.

სანამ ნებისმიერი გახდება სიძულვილის ენის სამიზნე, ევროპაში არის რამოდენიმე ჯგუფი, რომელიც რეგულარულად ექცევა სიძულვილის ენის მიზანში.



კამპანიის „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ ონლაინ გამოკითხვამ, რომელიც ჩატარდა 2015 წელს გამოავლინა ქვემოთ მოცემული ჯგუფები, როგორც სიძულვილის ენის მუდმივი სამიზნეები: ლგბტ თემი, მუსლიმები, ქალები, იმიგრანტები და ეთნიკური უმცირესობები, ბომები, ებრაელები, ღარიბები, შებლუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები, ქრისტიანები და სხვა რელიგიური უმცირესობები. ეს დასტურდება სხვა მსგავსი კვლევებითა და გამოკითხვებით. სამწუხაროდ ახალგაზრდების, როგორც სიძულვილის ენის სამიზნეების შესახებ მონაცემები შემზღუდულია, მაგრამ, რასაკვირველია სიძულვილის ენა იმდენად იღებს მიზანში ახალგაზრდებს, რამდენადაც ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფს და აქვს მეტად ღრმა ეფექტი ახალგაზრდებზე მათი მონყვლალობისა და ონლაინ გარემოში მათი აქტიური ჩართულობის გამო.



მასათვალისწინებალია:

- დომინანტური სოციალური ნორმების გაგება მნიშვნელოვანია იმის გამოსავლენად არის თუ არა ეს ნორმები წარმოდგენილი, როგორც ერთადერთი „სათანადო“, „ნორმალური“ და „კარგი“ ნორმები გავლენიან ნარატივებში და აშკარად უარყოფენ თუ არა ისინი აზრების და პერსპექტივების განსხვავებულობას. ეს გაგება მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ხდება კამპანიის შინაარსისა და შეტყობინების განსაზღვრა, რომელიც შემდგომ განმარტებულია მეშვიდე თავში.
- იმ იდეის გაგება, რომ ინდივიდებს აქვთ მრავალი იდენტური კუთვნილება მნიშვნელოვანია ჯგუფებისათვის, რათა კამპანიების განხორციელებისას ჯგუფებს შორის ჩამოაყალიბოს ემპათია, გაძლიერებისაკენ მისწრაფება, ერთიანობის შეგრძნება და ხიდეები. მაგალითად, დისკრიმინაციის გამოცდა წარმომავლობიდან გამომდინარე შესაძლოა დაეხმაროს ადამიანებს, რომ გაიგონ, თუ როგორია სიძულვილის ენის გამოცდა გენდერული იდენტობის საფუძველზე. ემპათია არის საკვანძო საკითხი, როდესაც ხდება სხვების აზრების გათვალისწინების წახალისება.
- პრივილეგიების გაანალიზება გამოსადეგია მაშინ, იმის გასაგებად, თუ როგორ არის ზოგი სოციალური ნორმა მიღებული, როგორც ნაბოძები და რამდენადაა შესაძლებელი შესაძლებლობებსა და რესურსებზე არათანაბარმა წვდომამ გაამყაროს ზოგი ჯგუფის მარგინალიზაცია და თავად იყოს საფრთხე თანასწორობისა და ადამიანის ღირსების პრინციპებისადმი.

2.4 | სიკულვილის ენის ორი მკაალითი ეპროკაჟი

სამწუხაროდ ოლისა და ალეს ისტორიები არც ისე იშვიათია ევროპაში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით საგრძნობლად გაიზარდა ევროპაში რასიზმისა და არატოლერანტობის დონე ევროპის საბჭოს მონიტორინგის მექანიზმებისა და ორგანოებზე დაყრდნობით: „ამჟამად ევროპა ებრძვის ბევრ სერიოზულ გამოწვევას, მათ შორის, ტერორიზმს, მიგრაციასა და კონფლიქტს. ეს წარმატებით გამოიყენება ნაციონალისტებისა და პოპულისტების მიერ ბევრ ადგილას და ნდობა ეროვნული და ევროპული ინსტიტუციებისადმი იკლებს“. ამ ნაწილში წარმოდგენილია ევროპულ კონტექსტში სიძულვილის ენის ორი მაგალითი. ეს ორი მაგალითი არ არის განკუთვნილი იმისათვის, რომ წარმოადგინოს ევროპაში გამოკვეთილი სიძულვილის ენის ყველა ფორმა. უფრო მეტად ის აქ მოცემულია იმისათვის, რომ განმარტოს თუ როგორ ცხადდება გარკვეული ძალაუფლების ურთიერთობების კონტექსტში სიძულვილის ენა ზემოთ აღწერილი ანალიტიკური კატეგორიების გამოყენებით.



სიძულვილის ენა ლტოლვილების წინააღმდეგ

სიძულვილის ენა, რომელიც მიზანში იღებს თავშესაფრის მაძიებლებს, ამარაგებს დაძაბულობასა და ცრურწმენებს თითქმის ყველგან. მაგალითად, ლტოლვილების წინააღმდეგ პროვოკაციული ონლაინ კომენტარები გაიზარდა პრაქტიკულად მთელ ევროპაში. ისეთი კომენტარები, როგორიც არის: „ლტოლვილები უნდა დაიხრჩონ“ ან „მეტი თავშესაფრის მაძიებლის სახლი დაინგება“ ხანდახან შესაძლებელია გაზეთის სათაურშიც კი იქნას აღმოჩენილი. რეალურად გერმანიის პოლიციამ 2015 წელს თავშესაფრის მაძიებელთა სახლების წინააღმდეგ აღრიცხა 906 თავდასხმა, დანყებული დანვიდან დამთავრებული ფიზიკური შეურაცხყოფით, რაც ადასტურებს საეჭვო მჭიდრო კავშირს ონლაინ სიძულვილის ენასა და სიძულვილიდან გამომდინარე დანაშაულებს შორის.

ევროპის საბჭომ რიგ წევრ ქვეყნებში გამოავლინა კანონის მიღების მცდელობები, რომლებიც რისკის ქვეშ აყენებდნენ საერთაშორის სტანდარტებთან შესაბამისობას, ყველაზე მეტად აღსანიშნავია ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებლების მიზანში ამოღება. ზოგი სახელმწიფოების მხრიდან მათ საერთაშორისო ადამიანის უფლებებსა და ჰუმანიტარული დახმარების უარყოფამ, როგორიც არის თავშესაფრის მოთხოვნის უფლება, თავშესაფრის მაძიებლებისათვის არსებული არაადამიანური პირობები და იგივე ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანების ქვეყნებს შორის სოლიდარიზმის სიმცირემ მიგვიყვანა მორალური არეულობის გრძნობამდე. ეს აგრეთვე ავსებს და აკანონებს აგრესიულ ნაციონალისტურ და ქსენოფობიურ მოძრაობებს, რომლებიც საზრდოობენ სიძულვილის ენით. ზოგი მეინსტრიმული პარტიებისა და პოლიტიკოსების ორჭოფობა მეტად აფართოებს ეთნიკური და პოლიტიკურ გაუგებრობას, რაც გამოიხატება ჯარიმებსა და სანქციებში იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვინც დახმარებას უწევს ლტოლვილებს ან გარკვეული ეთნიკურ და რელიგიური ფონის მქონე ლტოლვილების უპირატესობაში სხვებთან, რაც უპირისპირდება ეროვნულ და საერთაშორისო კანონებს.

„ლტოლვილების კრიზისის“ ანალიზი აგრეთვე შესაძლებელია არათანასწორი ძალაუფლებრივი ურთიერთობების, ნორმატიულობისა და პრივილეგიის პერსპექტივაში. ლტოლვილები, როგორც სიძულვილის ენის სამიზნეები ევროპულ მოსახლეობასა და მთავრობასთან დაკავშირებით არიან ცუდ მდგომარეობაში. მაგალითად, ხშირად მათ არ იციან იმ ქვეყნის ენა, სადაც ითხოვენ თავშესაფარს და არიან ტრავმირებული ომის შედეგად მიღებული გამოცდილებებით. მეორეს მხრივ, იმ ევროპელებისათვის ვინც უპირისპირდება ლტოლვილთა მიღებას, რთულია მათი პირადი პრივილეგიების გაზრება. ვინც არის პრივილეგირებული, ვერ გრძნობს რომ ის არის პრივილეგირებული, პირიქით, ისინი თვლიან, რომ მათ აქვთ უფლებამოსილება ამ ბენეფიტებსა და უპირატესობებზე. ვინმეს პრივილეგიის გათვითცნობიერება ნიშნავს არათანაბარი „საწყისი პოზიციების“ გათვითცნობიერებას, სხვებთან დაკავშირებით. მაგალითად, უსაფრთხო და რესურსების მქონე ქვეყანაში ცხოვრება კონფლიქტით განადგურებულ ქვეყანასთან შედარებით. ეს ნიშნავს უსაბრთლო და არათანაბარი დამოკიდებულების გაცნობიერებას იმათთან მიმართებით, ვისაც არ აქვს ამგვარი უპირატესობა.

მათ ვინც არიან დომინანტურ პოზიციაზე და აქვთ წვდომა სიმბოლურ და ინსტიტუციურ ძალაუფლებაზე შეუძლიათ განსაზღვრონ სოციალური ნორმები და სანქციები მათ წინააღმდეგ, ვინც გადაუხვევს სოციალური ნორმებიდან. ეს იყო ის შემთხვევა, როდესაც ლტოლვილების წინააღმდეგ თავდასხმები მიუთითებს რასიზმსა და ისლამოფობიაზე. არსებობს საბაზისო იდეა სიძულვილის ენის კომენტარებში: არსებობს ერთი ჯგუფი „ჩვენ“ , აღქმადი პრივილეგიებითა და იდეებით, რომელთაც აქვთ უპირატესი ინტერესი და არსებობს სხვა ჯგუფი, „ისინი“. რომელიც აღქმულია, როგორც საფრთხე არსებული პრივილეგიებისა და უსაფრთხოებისადმი.





სიძულვილის ანა ბოშათა ოჯახის წინააღმდეგ

ამ მაგალითის შესახებ ინფორმაცია შეგროვდა ქალაქ დუბლინის უნივერსიტეტის საკვლევო პროექტის კონტექსტში. ამაში ჩართული ქალაქისა და ჯგუფების სახელები ამოღებულია.

2014 წლის ნოემბერში, დაახლოებით 200 ადამიანი შეიკრიბა ბოშების ოჯახის სახლის წინ აღმოსავლეთ ვერპოული ქვეყნის ქალაქში. ოჯახი შედგებოდა მარტოხელა დედისა და მისი 7 წლის ვაჟისაგან. ამ ოჯახს აყენებდნენ შეურაცხყოფას, ემუქრებოდნენ და ეუბნებოდნენ, რომ დაეტოვებინა ქალაქი. მათი ფანჯრები ჩაამტვრიეს და პოლიციას მოუწია ამ ოჯახის გადაყვანა სხვა ახლო მდებარე ქალაქში.

ამ შეკრებამდე, ბრბოს სიძულვილი ივსებოდა შვიდი თვის განმავლობაში ონლაინ პლატფორმების მეშვეობით. ონლაინ პოსტებში მუდმივად ჩნდებოდა იდეა, რომ ბოშათა მხარედი ოდენობის გამო ქალაქი დაუცველი ხდებოდა. ოჯახის სახლზე ძალადობრივ თავდასხმას ხელს უწყობდა ის ფაქტიც, რომ მონაწილეები იყვნენ კარგად ორგანიზებული ჯგუფის ნაწილი და უფრო დიდი სოციალური მოძრაობის წევრები.

ბრბოს მიერ განხორციელებულ მოვლენებამდე შეიქმნა სპეციალური ფეისბუქ გვერდი რასიზმის წინააღმდეგ იმისათვის, რომ დაპირისპირებოდა ამ ქალაქში ონლაინ გამოხატულ სიძულვილს. თავდასხმის შემდგომ ფეისბუქ გვერდის ადმინისტრატორებმა მოიწვიეს ყრილობა ქალაქის მთავარ სკვერში. ხალხი შეიკრიბა იმის შესაბამისად, რასაც შეგვიძლია ვუწოდოთ „სიძულვილის გეოგრაფია“, სადაც ყველა ჯგუფი გამოხატავს თავის პოზიციას საკითხზე. სკვერის ცენტრი ძირითადად დაკავებული ჰქონდათ ანტირასიზმის აქტივისტებს და ბოშების წარმომადგენლებს. აქვე იყო მეორე ჯგუფიც, რომლებიც შესაძლოა განსაზღვრულ იყოს, როგორც „ქალაქის მოყვარულები რომლებიც ოდნავ განზე იყვნენ გამდგარნი, მაგრამ გარს ეხვივნენ ძირითად ჯგუფს. „ქალაქის მოყვარულები იწონებდნენ „მეგობრული მემობლების“ „უსაფრთხო ქალაქს“, მაგრამ არ ამართლებდნენ ბრბოს. საბოლოოდ, ბრბოს გამოეყო რამოდენიმე პირი, რომელმაც განაცხადა, რომ იყო ამის მხარდამჭერი, თუმცა მათ არ დაადასტურეს, იღებდნენ თუ არა აქტიურ მონაწილეობას ამ ბრბოს აქციაში.

ყველა იმ ჯგუფს შორის, რომელიც ჩართული იყო ამ სიძულვილის გეოგრაფიაში, ჯგუფი „ქალაქის მოყვარულები“ რჩება ყველაზე საინტერესოდ სიძულვილის ენის ტერმინებიდან. „ქალაქის მოყვარულების“ ნარატივი აგებული იყო „წესიერი ქალაქის“, „მემობლებისათვის მეგობრული და უსაფრთხო“ „ძლიერი სოციალური ღირებულებებით“ და „სადაც ყველა ერთმანეთს ვიცნობთ“ იდეის გარშემო. ამ ჯგუფიდან ერთმა მოქალაქემ განაცხადა, „მე მთელი ცხოვრება მსოფლიოს მოქალაქე ვიყავი და სადაც არ უნდა წავიდე ვიღებ ადგილობრივ კულტურებს და ისინი (ბოშები) - არა“.

ამ ნარატივების შედეგად, ბოშები, რომელთა ტანსაცმელიც გამოირჩეოდა ადგილობრივი ნორმისაგან სამიზნეში იყვნენ ამოღებული, როგორც კრიმინალები. უკანონო მოქმედებები, რომელიც ხდებოდა ქალაქში დაწყებული ჯიბის ქურდობიდან დამთავრებული აგრესიული მოქმედებებით დაუყოვნებლივ უკავშირდებოდა ბოშებს. ამ სცენარით, „ქალაქის მოყვარულების“ მიერ მონაწილეული ნარატივი არათუ აღკვეთდა ბრბოს მოქმედებას, არამედ კვებავდა იმ სიძულვილს, რამაც საბოლოოდ აქამდე მიიყვანა ისინი.

ეს მაგალითი გვიჩვენებს იმას, თუ როგორ ისჯება სოციალურად სოციალური ნორმებიდან გადახვევა. ის აგრეთვე გვიჩვენებს იმას, თუ როგორ თვლის პრივილეგირებული სოციალური ჯგუფი, რომ მას უფლებამოსილება აქვს სპეციალური პრეროგატივებიდან სარგებლის მიღების, მაგალითად, აქვთ უფლება გადაწყვიტონ ვინ უნდა იყოს ქალაქის წევრი და ვინ არა. სიძულვილმა მიიღო სიყვარულის ნათელი ფორმები. ძალაუფლებამ მოიტყუა ნარატივის კონსტრუქციაში, ნებისმიერი შესაძლო არგუმენტი რომელიც გვიჩვენებს ქალაქის მოყვარულებმა არ შეიძლება იქნას კანონიერად კატეგორიზებული, როგორც სიძულვილის ენა და შედეგად ისინი არასოდეს აიკრძალება სოციალური მედიიდან ან მასზე აღიძვრება საქმე.

სიძულვილის ენა გაგებული უნდა იყოს, როგორც ქცევის ფორმა, რომელიც რეგულირდება კანონით, ასევე, როგორც სოციალური ფენომენი. მასთან საბრძოლველად თითოეული გაგება გვთავაზობს მოქმედებების განსხვავებული მენიუს.

თავის შაჯამება ხუთ პუნქტად

- სიძულვილის ენა არის ტერმინი, რომელიც განვითარდა. მისი წარმომავლობა არის კანონზე და უფლებებზე დამყარებული, მაგრამ იურიდიული განმარტებები სიძულვილის ენასთან ბრძოლისას აწყდება სირთულეებს და არ არის საკმარისი სიძულვილის ენის გამომწვევ მიზეზებსა და შინაარსთან გასამკლავებლად.
- სიძულვილის ენა წარმოადგენს ადამიანის უფლებების დარღვევას და შესაძლოა იქნას გაგებული, როგორ საზოგადოებაში არათანაბარი სოციალურ და ძალაუფლებებზე დამყარებული ურთიერთობების მანიფესტაცია.
- სიძულვილის ენა არ ეკუთვნის არცერთ ჯგუფს; ის ვითარდება გარკვეული სოციალური ურთიერთობების კონტექსტში. სიძულვილის ენა ჩნდება მაშინ, როდესაც სოციალური ნორმები და პრივილეგიები გამოწვევის წინაშე დგება.
- სიძულვილის ენა განიცდის სახეცვლილებას. ჩვენ შეგვიძლია ის ვიპოვოთ დამალული სიყვარულისა და სამართლიანობის შესახებ განცხადებებში ან დისკურსებში.
- იმისათვის, რომ ეფექტურად გავუმკლავდეთ სიძულვილის ენას მნიშვნელოვანია აღვიქვათ ის, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა ასევე, როგორც სოციალური ფენომენი, რომელსაც აქვს ღრმა გამომწვევი მიზეზები.

სქოლიო

[c/charter-on-education-for-democratic-citizenship-and-human-rights-education,](#)

- 1 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (2016), სიძულვილის ენის შესახებ ფაქტების დოკუმენტი, ხელმისაწვდომი www.echr.coe.int/Documents/FS_Hate_speech_ENG.pdf-ზე, მოძიებული 2016 წლის 27 აგვისტოს.
- 2 ევროპის საბჭოს მინისტრების კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (1997) 20, ხელმისაწვდომი: მოძიებული 2016 წლის 27 აგვისტოს.
- 3 მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო კონვენანტის (ICCPR) მე-20 მუხლში აღნიშნულია, რომ „ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის, რომელიც უბიძგებს დისკრიმინაციისაკენ, დაპირისპირების ან სიძულვილისაკენ ნებისმიერი სახით დაცვა უნდა იქნას კანონით აკრძალული“.
- 4 იხილეთ იგივე, გვერდები 137-138.
- 5 გაგლიორდონდე ლ. ეტ. ალ (2015), ონლაინ სიძულვილის ენის დაპირისპირება, იუნესკო, პარიზი, ხელმისაწვდომი <http://unesdoc.unesco.org/images/0023/002332/2323231e.pdf>, ზე, მოძიებული 2016 წლის 27 ივნისს.
- 6 იხილეთ გვერდი 143, რ. გომესი (ჩასნ). სახელმძღვანელო „ბუქმარქსი“ ადამიანის უფლებების სწავლების მემკვიდრეობით ონლაინ სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმძღვანელო, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, ხელმისაწვდომი: <http://nohate.ext.coe.int/Campaign-Tools-and-Materials/Bookmarks>, -ზე, მოძიებული 2016 წლის 27 ივნისს.
- 7 მაგალითად მ.მეისი (1986) პატრიარქატი და კაპიტალური აკუმულაცია მსოფლიო მასშტაბით. ქალები შრომის საერთაშორისო სამმართველოში, შპს. ზედ ბუქს, ნიუ-იორკი და ს.ფედერიკი (2004), კალიბანი და ჯადოქარი: ქალები, სხეული და პრიმიტიული აკუმულაცია, ავტონომედია, ნიუ-იორკი.
- 8 ჯეი. გალტენგი (1996) ზოგადი საჭიროებების მიდგომა, ხელმისაწვდომი: www.tran-scend.org/galtung/papers/The%20Basic%20Needs%20Approach.pdf, მოძიებული 2016 წლის 28 ივნისს.
- 9 ს.აშმედი (2004) აფექტური ეკონომიკები, სოციალური ტექსტი (22-1) გვერდები 117-139.
- 10 ბ. ფიში (2010) პრივილეგიის განადგურება; დაყოფილ სამყაროში დაუმსახურებელი უპირატესობა, ზედბუქსი, ლონდონი.
- 11 Connell,R (2012), Moskosti, Krtina, Ljubljana.
- 12 Council of Europe (2016), State of Democracy, Human Rights and the Rule of Law. A security imperative for Europe. An analysis of democracy, human rights and the rule of law in Europe, გენერალური მდივნის ანგარიში, ხელმისაწვდომი: <https://edoc.coe.int/en/index.php?controller=get-file&freeid=5949> -ზე ან <https://edoc.coe.int/en/fundamental-freedoms/5949-state-of-democracy-human-rights-and-the-rule-of-law-in-europe.html>, მოძიებული 2016 წლის 26 ივნისს.
- 13 ევროპის საბჭო (2016), Thorbjorn Jagland: Europe's human rights and security at risk through populist nationalism, ხელმისაწვდომი: www.coe.int/en/web/portal/-/thor-bj-rn-jagland-europe-s-human-rights-and-security-at-risk-through-populist-nationalism, მოძიებული 2016 წლის 27 აგვისტოს.
- 14 McIntosh, P. (1988), White Privilege and Male Privilege: A personal Account of Coming to See Correspondences through Work in Women's Studies, Virginia Women's Studies, ხელმისაწვდომი: <http://files.eric.ed.gov/fulltexts/ED335262.pdf>-ზე, მოძიებული 2016 წლის 29 აპრილს.
- 15 ისეთმა მკვლევარებმა, როგორც არის დებელიაკი, დანერგეს ევროპის კულტურული ჰომოგენიზაციისა და „გარეთას“ ნეგატიური აღქმების შესახებ. მეტი დეტალებისათვის იხილეთ დებელიაკი, ა. (2009) „In praise of hybridity: Globalization and the modern western paradigm“, Eeurozine, 23 ნოემბერი 2009, გვერდები 1-9, ხელმისაწვდომი www.eurozine.com/article/2009-11-23-debeljak-en.html, -ზე, მოძიებული 2016 წლის 20 აპრილს.

ოლი გადანყვეტს, რომ განაცხადოს პოლიციაში ელ-ფოსტაზე მიღებული შეტყობინებების შესახებ



იცით თუ არა რაიმე იმის შესახებ თუ საიდან მოდის ისინი? რამდენი ადამიანია ჩართული?

ყველა მათგანი მეტსახელებს იყენებს..... ასე, რომ არ ვიცი. მე მივიღე ორი შეტყობინება, მაგრამ ვნახე ბევრი მსგავსი კომენტარი ონლაინ სკოლის ფეისბუქ ჯგუფებში. ვეჭვობ, რომ ჩემი თანაკლასელებისგანაც კი... ისინი ამბობენ, რომ ეს ხუმრობაა.



ისინი ფიქრობენ, რომ ისინი ანონიმურები არიან და რომ მათ არაფერი ემუქრებათ. მაგრამ სოციალური მედიის პლატფორმებმა უნდა წარმოადგინონ ის IP მისამართები, რომელსაც იყენებდნენ ის პროფილები, ვინც გააკეთა კომენტარები. ჩვენ დავიწყებთ გამოძიებას. ასევე აუცილებელია, რომ თქვენ ამის შესახებ შეატყობინოთ იმ სოციალურ მედია პლატფორმებს სადაც ნახეთ ის.

სიძულვილის ენა ონლაინ სივრცეში და სოციალურ გადაცემაში

ეს თავი განმარტავს თუ როგორ შეცვალა ინტერნეტმა და განსაკუთრებით სოციალურმა მედიამ ჩვენი კომუნიკაციის გზა, მათ შორის თუ როგორ ვრცელდება და „მოგზაურობს“ სიძულვილის ენა ინტერნეტ სივრცეში.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მედიის პლატფორმები არის ინტერნეტის მხოლოდ ერთი ნაწილი, ეს თავი ფოკუსირდება მასზე ორი მიზეზით. პირველი, სიძულვილის ენა ხდება და ფართოვდება ძალიან აქ მათი პოპულარობის, იმ ინტერაქტიულობის სახეობით, რომლის საშუალებასაც იძლევა და მათი სუსტი რეგულაციების გამო. მეორე, ის იმიტომ ხდება და ვრცელდება, რომ ახალგაზრდები ამ პლატფორმებს ინტენსიურად იყენებენ. მაგალითად, ვეროკავშირის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ყველაზე მეტად ის ახალგაზრდები ერთვებიან სამოქალაქო აქტივობებში, ვინც იყენებს სოციალურ მედიას. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადამიანის უფლებათა განმანათლებლებმა და კამპანიის მონაწილეებმა გაიგონ, თუ როგორ ტრიალებს სიძულვილის ენა ონლაინ და როგორ განისაზღვრება და რეგულირდება ის სოციალური მედია პლატფორმების მიერ, როგორც ინტერნეტ წიგნიერების შემადგენელი ნაწილი, რომლის ჩართვაც მოთხოვნილია ეფექტურ საპირისპირო ნარატიულ კამპანიებში.

3.1 | კომუნიკაცია და ვებ 2.0

ინტერნეტმა შეცვალა ადამიანების და განსაკუთრებით ახალგაზრდების კომუნიკაციისა და ინტერაქციის გზა, როგორც ინტერპერსონალურ, აგრეთვე სოციალურ ურთიერთობებში. მსოფლიო მასშტაბის ვებში ინოვაციებთან ერთად შემოქმედება მეტად გაიზარდა, რამაც შესაძლებელი გახადა მეტი ინტერაქტიულობა და კონტენტ-პროდიუსერის/მომხმარებლის ურთიერთობის ბუნების ცვლილება. ამ ინტერაქტიულობამ აგრეთვე შეცვალა ის გზაც, რითაც ნარატივები მუშაობს მედიის საშუალებით. მართალია, შესაძლოა იყოს ერთი გადაწყვეტილება, ვინც უშვებს ისტორიას, მაგრამ ისტორიები იზრდება და ახალ სიცოცხლეს იძენს მომხმარებლების ჩართულობის საშუალებით. ნარატივები მოგზაურობს სხვადასხვა სივრცეების მეშვეობით, როგორც არის ფილმები, ტელევიზია და ონლაინ ფორუმები ე.წ. ტრანსმედია ნარატივებში.

იმის უარყოფა შეუძლებელია, რომ იმ საშუალებებმა, რასაც ინტერნეტი გვთავაზობს შეიტანეს წვლილი საჯარო სფეროში ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთობების გამყარებაში. მაგალითად, ინტერნეტმა შესაძლებელი გახადა გლობალური აქტივიზმი და საერთაშორისო თანამშრომლობა. ამავდროულად, ინტერნეტი და განსაკუთრებით ვი სოციალური მედია პლატფორმები გამოიყენება სიძულვილის ხელსაწყობად და სამოქმედო სივრცეებად. თუმცა არ არსებობს სტატისტიკა, რომელიც შემოგვთავაზებს ამ ფენომენის გლობალურ მიმოხილვას,

სიძულვილის ენასთან საბრძოლველად შექმნილმა სოციალურმა მედია პლატფორმებმა და ორგანიზაციებმა აღიარეს, რომ ის სიძულვილის შემცველი მესიჯები, რომელიც ვრცელდება ონლაინ, არის სულ უფრო მეტად ნაცნობი. მიუხედავად ყველა სარგებლისა, სოციალური მედია საჭიროებს, რომ იქნას კრიტიკულად აღქმული, როგორც ახალი აქტიური მონაწილე კომუნიკაციის პროცესების ჩამოყალიბებაში. მათ აქვთ ძალაუფლება, რომ მიიღონ გადანაცვებები იმ შინაარსსა და პირად მონაცემებზე, რასაც უზიარებენ მომხმარებლები. ძირითად შემთხვევებში, როდესაც იპოსტება სიძულვილის შემცველი კომენტარი, სოციალური მედიის დიზაინი დემოკრატიული ღია დებატების სახელით იძლევა საშუალებას, რომ შინაარსი იქნეს განხილული და გააზრებული. მაგალითად რასისტული კომენტარი არის დაუსრულებელი დებატების საგანი იმის შესახებ ახდენს ის სიძულვილის ენის რეგულაციების დარღვევას თუ არა, დებატების დაუსრულებლად გამწვავებით თავად რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გარეშე. მედიასა და სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებს შორის ინტეგრაცია არის იმგვარი, რომ არის შემთხვევები, როდესაც პროცესი იწყებს „მეორე“ სიცოცხლეს სოციალური მედიის გარემოში, როგორც ეს ხდება სიძულვილის ენის შემთხვევაში. ამდენად, სოციალური მედია იძლევა საშუალებას და შეაქვს წვლილი მდგრადი ახალი ამბების შექმნაში, სხვა სიტყვებით, ის დღის წესრიგში ტოვებს საკითხებს დროის უფრო დიდი პერიოდით.



- რა გავლენა მოახდინა სხვებთან თქვენი კომუნიკაციის გზაზე სოციალურმა მედიამ?
- გინახავთ ან გამოგიცდიათ თუ არა სიძულვილის ენის ნებისმიერი ფორმა სოციალური მედიის პლატფორმაზე?

ინტერაქციულობა ზოგად და სოციალურ მედიაში

კვლევით დადგინდა, რომ ტრადიციული მედია საფუძვლიანად ახდენდა ინტერაქციულობის ინტეგრირებას მის აუდიტორიაში, როგორც ინტერესის შენარჩუნების ხელსაწყო და შინაარსის განვითარების საფუძველს. ხალხი არამარტო პასიურად უყურებს ტელევიზორს ან უსმენს რადიოს, ისინი აქტიურად აკეთებენ კომენტარებს ან მონაწილეობენ პირდაპირი „თვითინგის“ სესიებში. ახალგაზრდები უყურებენ ტელევიზორს მაშინ, როდესაც მათ სმარტფონებში თვითებს გზავნიან და ამავდროულად ინტერნეტში ეძებენ ინფორმაციას, რამაც შესაძლოა დაახლოვოთ მოვლენასთან ან მოუსთან, რასაც ისინი უყურებენ. ისინი იყენებენ „ჰეშთაგებს“, რომელსაც მასმედია უზრუნველყოფს და იგივე „ჰეშთაგები“ გამოიყენება მასმედიის განცხადებების გასარჩევად.

მენისტრემ მედია ცდილობს, რომ მიიღოს სარგებელი აუდიტორიასთან ინტერაქციით, მაგრამ წარმატების სხვადასხვა ხარისხით. ერთ-ერთი გამოწვევათაგანი იყო ახლად შექმნილი სივრცის დაპყრობა სიძულვილის ენის გამავრცელებლების მიერ, რომლებმაც შეიმუშავეს დახვეწილი ტაქტიკა, რათა გაეუმჯობესებინათ მათი მესიჯები და შეეჩვენენ შინაარსის და ალტერნატიული შეხედულებების მოდერაციის არ არსებობას.

ამის ერთი მაგალითი აღმოჩენილ იქნა შვედური საზოგადოებრივი სამაუწყებლო კომპანიის SVT მცდელობაში, რომ გამოეყენებინა სოციალური მედია 2014 წლის საპარლამენტო არჩევნებისას. SVT-მ გამოიყენა „ინტერაქტიული პრაქტიკები“. თავდაპირველად სტრატეგია იყო ისეთი, რომ წახალისებინა სოციალური მედიის ჩართულობა (თვითთარი და ფეისბუქი) ისეთ წინასწარ დაწესებულ სოციალურ თემებში, როგორც იყო ჯანდაცვა ან განათლება. მეორე იყო აუდიტორიის გამოხმაურების ტრანსფორმირება ახალ ისტორიებსა და ფოკუსის არეალში. შედეგად მოხდა ის რომ, ყველა თემაზე, მაგალითად ჯანდაცვაზე ან განათლებაზე, რადიკალმა მემარჯვენე მხარდამჭერებმა აირიდეს დისკუსიები და პოსტავდენენ მხოლოდ ანტიმიგრაციულ შეტყობინებებს, რითიც დაიკავეს ახლად შექმნილი სივრცე. დისკუსიებს აკლდა დაბალანსებული დებატები ან შეხედულებათა მიმოცვლა. მოდერაცია იყო შემლდული და არასაკმარისი. საქმის შესწავლამ დაასკვნა, რომ მოდერაცია „იყო პრობლემატური SVT-ს იმ თანამშრომლების ნაკლებობის გამო, ვინც გაუმკლავდებოდნენ სოციალური მედიის კონტენტს“.

ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ ახლად შექმნილი სივრცეები არ არის უეჭველად და ბუნებრივად დემოკრატიული დებატების ის სივრცეები, სადაც ყველა თანაბრად მიიღებს მონაწილეობას. ისინი უფრო მეტად წარმოადგენს ძალაუფლებათა ბრძოლის არენებს, რომელიც მოითხოვს სათანადო მოდერაციას, რათა შესაბამისად იქნას მოსმენილი და გამოხატული ყველას აზრი.



რას ნიშნავს ეს ომლის შემთხვევასთან მიმართებით?

შვედური ტელევიზიის საქმეში, სიძულვილის გამავრცელებლობა განავითარეს ზუსტი ტაქტიკა, თუ როგორ დაეყვროთ ვირტუალური სივრცე წინასწარ განზრახვლად. ომლის საქმეში გაურკვეველია თუ რამდენად იყო ორგანიზებული ეს მუქარები განსაზღვრული პოლიტიკური ჯგუფის მიერ ან წარმოადგენდა თუ არა ის სიძულვილის ენის უფრო რბილ ფორმას, სადაც თანაკლასელები ხელახლა აქვეყნებდნენ ხუმრობებს და სიძულვილის შემცველ შინაარსს.



ოლი იმედგაცრუებულია, ვინაიდან ის ამას არ მოელოდა თანაკლასელებისა და სხვა ნაცნობებისაგან. როგორ მოხდა ის, რომ ის სივრცე სადაც იგი ერთობოდა და უკავშირდებოდა სხვა მეგობრებს, გახდა გამყოფი სივრცე? საჭირო იყო თუ არა სოციალური მედიის პლატფორმებზე მისი სკოლის ჯგუფების მოდერაცია? ნახეს ეს მასწავლებლებმა? შეეძლოთ მათ რაიმეს გაკეთება? შეეძლოთ სხვა მეგობრებს სხვა კომენტარების გაკეთება იმისათვის, რომ შეეჩერებინათ ისინი და ეჩვენებინათ სოლიდარობა მოსწავლეებისათვის როლონიიდან?

მის დასამშვიდებლად ალექს ეუბნება, რომ მეტად სავარაუდოა, რომ ამ მესიჯების დაპოსტვით მათ არ ჰქონდათ განზრახული, რომ ასე ეტკინათ გული. სავარაუდოდ მათ არ იცოდნენ მათი მოქმედებების შედეგები და გააზიარეს შინაარსი ვარგის დაბალის ხარისხის ინფორმაციიდან გამორჩევის გარეშე ან იმის გააზრების გარეშე, რომ განცხადებებს აკლდა რაციონალურობა და არ იცოდნენ თუ რამდენად სიძულვილით სავსე იყო ისინი. ის აგრეთვე იხსენებს მათ, ვინც არ ჩაერთო ამ ხუმრობებში. ის აღიარებს. „მე ვნახე ისინი, მაგრამ ვერ გავხედე სანინალმდევო კომენტარის გაკეთება. ვიფიქრე, რომ არ ღირდა. მაგრამ უნდა გამეკეთებინა?“

3.2 | სოციალური მედიის მიმდინარეობის სიძულვილის ენასთან მიმართებით

სოციალური მედია პლატფორმები მომხმარებელს აძლევს საშუალებას, რომ გაავრცელოს კონტენტი იმ შემთხვევაში, თუ მიიღებენ მათი გამოყენების პირობებს. თითოეული სოციალური მედია პლატფორმა, როგორც კერძო მფლობელობაში არსებული კომპანია განსაზღვრავს მისი მომხმარებლის პირობებს ან ეგრეთ წოდებულ „საზოგადოების სტანდარტებს“. ესენი მნიშვნელოვანია სიძულვილის ენის რეგულირებასთან დაკავშირებით. ეს ნაწილი გვიჩვენებს თუ როგორ უდგება სიძულვილის ენას რამოდენიმე პოპულარული პლატფორმა, რა კატეგორიებს განიხილავენ ისინი მათ რეგულაციებში, როგორ შეუძლია მომხმარებელს საშუალებების მაქსიმიზაცია, რათა ებრძოლოს სიძულვილის ენას და საბოლოოდ რა შეზღუდვები აქვს ამ საშუალებებს. ეს განსხვავებები დაფუძნებულია მიმდინარე კვლევაზე და ხშირად არის ცვლილების საგანი.

FACEBOOK

- უნდა მოხდეს მიზნობრივი ჯგუფის ინდივიდუალიზაცია. მაშინ, როდესაც ისეთი განცხადება, როგორც არის „მე მძულს ქრისტიანობა“ არ არღვევს მათი საზოგადოების სტანდარტებს, „მე მძულს ქრისტიანები“-არღვევს.
- განიხილება მხოლოდ შეტყობინებული მასალა.
- მასობრივი შეტყობინებები არ იძლევა იმის გარანტიას, რომ შინაარსი ნაშლილი იქნება.
- გარდა განსაკუთრებით საშიში მაგალითებისა, მეტად შესაძლებელია, რომ ფეისბუქმა ნაშალოს ინდივიდუალური სახის შინაარსი, ვიდრე ზოგადი გვერდები ან ჯგუფები.
- ფეისბუქს თითოეული კომენტარის მარჯვენა მხარეს აქვს სადემონსტრაციო ფანჯარა, რომელიც მკითხველებს აძლევს შესაძლებლობას ამის შესახებ შეტყობინება გააკეთონ.
- შეტყობინებები განიხილება ნამდვილი ადამიანების მიერ და პასუხი სავარაუდოდ უნდა იქნას გამოგზავნილი 24 საათის განმავლობაში. ყოველი შეტყობინება განიხილება ცალკეულად. შესაძლოა რაღაც არ იქნას ნაშლილი ერთი განცხადების მერე, მაგრამ ნაიშალოს მეორე განცხადების მერე, ვინაიდან წესები შესაძლოა იყოს განსხვავებული აღქმული.
- ბევრი საჩივრები იგზავნება ფეისბუქში, მაგრამ ზოგი მათგანი არ განიხილება ვინაიდან ნათლად არ არღვევს გამოყენების პირობებს. მაგალითად, სიძულვილის ენის გამავრცელებლემმა ახლიდან შეიმუშავეს რასისტული მესიჯები, რათა ისინი გამოჩნდეს, როგორც პატრიოტული, რათა თავიდან აირიდონ ნაშლა. რეგულაციები ხშირად არის ორბრუნოვანი და სიძულვილის ენის გამავრცელებლემმა მათი გზავნილების გასაუმჯობესებლად განავითარეს დახვეწილი ტაქტიკა.
- ფეისბუქი ხშირად ურჩევს სიძულვილის ენის შემცველი კომენტარის ადრესატს, რომ დაბლოკოს ის მომხმარებელი, ვინც ავრცელებს ამას. კომპანია პასუხისმგებლობას იღებს პირველ რიგში ინდივიდუალურ პრობლემაზე, ვიდრე სოციალურ ფენომენზე. ახსნა-განმარტება არის ასეთი: „არ მოგწონს რასისტები? დაბლოკე ისინი და ვეღარ ნახავ“.

YOUTUBE

•სახელმწიფოს გაკრიტიკება არ წარმოადგენს სიძულვილის ენას, მაგრამ როდესაც კრიტიკა თავს ესხმის ადამიანთა ჯგუფს მათი რასიდან და რელიგიიდან გამომდინარე, ეს არის სიძულვილის ენა.

•იუთუბი არც ხელს უწყობს და არც იღებს ბევრს საჩივარსა და შეტყობინებებს სიძულვილის ენის შესახებ. თავიდან მომხმარებელს სთავაზობენ, რომ დაბლოკონ, შემდგომ კი მონიშნონ ვიდეო და საბოლოოდ შეიტანონ საჩივარი მის შესახებ.

•იუთუბზე კომენტარები განიხილება ვიდეოებისაგან განცალკევებით. კომენტარებს განიხილავს Google+-ის გუნდი, მაშინ, როდესაც ვიდეოები განიხილება იუთუბის გუნდის მიერ.

TWITTER

•თვითთვითი შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც პლატფორმა სიძულვილი ენის ყველაზე ფართო გაგებით.

•შან განავითარა პოლიტიკა, როგორც მომხმარებლებისათვის , ასევე რეკლამის დამკვეთებისათვის.

•სიძულვილის ენა იყოფა კატეგორიებად შერაცხმყოფელი ქცევის არეალის ფარგლებში.

•მათი მიმოხილვები არის მკაცრი და ზუსტი.

•ზოგიერთი მიმოხილვა სრულდება ალგორითმების და არა ადამიანების მიერ, განსაკუთრებით ეს ეხება საკითხებს, როდესაც საქმე მიდის პორნოგრაფიის უკანონო ფორმებზე.

•თვითთვითმა შესაძლოა სამუდამოდ არ გააუქმოს ანგარიშები, მაგრამ დროებით აუქმებს მათ მანამ, სანამ მომხმარებელი არ წარუდგენს ადეკვატურ პასუხს გამოქვეყნებულ შინაარსთან დაკავშირებით.



•განგიცხადებით თუ არა როდესმე სიძულვილის ენის ნებისმიერი ფორმის შესახებ სოციალურ მედია პლატფორმაზე?

•იცი თუ არა, როგორ განაცხადოთ ონლაინ სიძულვილის ენის შესახებ თქვენს ქვეყანაში?

სოციალურ მედიას სიძულვილის ენის რეგულაცია

საზოგადოების რეგულაციებისა და სტანდარტების ანალიზისას მნიშვნელოვანია ნათელყოფა, რომ ისინი ვერც კომპანიების მიერ შემუშავებული რეგულაციები არ არის საჯარო დემოკრატიული გადაწყვეტილებების შედეგები, არც დადასტურებული და დაფუძნებულია ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებზე. თუმცა ეს შეიძლება შეიცვალოს აქტივისტებისა და მთავრობების ზეწოლის შედეგად. ყველაზე მეტად გამოყენებადი სოციალური მედია პლატფორმები, როგორც არის თვითთვითი, ფეისბუქი, ინსტაგრამი, რედიტი და იუთუბი არის ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფუძნებული კომპანიები, რომელთა ნორმები და ტრადიციები გამოხატვის თავისუფლებაზე შესაძლოა აისახოს სიძულვილის ენის სუსტ რეგულაციაში. ამ სოციალური მედია კომპანიების რეგულაციები გვიჩვენებს, რომ ისინი არ აკონტროლებენ

სიძულვილის ენას, თუმცა, მათ შესაძლოა ჰქონდეთ წესები, რომ აღკვეთონ ის შემთხვევები, რომლებმაც განაცხადეს. თუ სიძულვილის ენის შესახებ არ მოხდება შეტყობინება, სიძულვილის ენა იარსებებს, იტრიალებს და გავრცელდება. პოსტის წაშლა ხდება მას შემდგომ, რაც მოხდება ამის შესახებ შეტყობინება და დემონსტრირება, რომ საზოგადოების სტანდარტების შესაბამისად ის შეადგენს სიძულვილის ენას. დამატებით, სოციალური მედია პლატფორმები აქტიურად საზღვრავს ხელახლა თუ რას ნიშნავს სიძულვილის ენა და ცვლის მათ რეგულაციებს.

სოციალური მედია პლატფორმები პასუხობს იმ სიძულვილის ენას, რომლის შესახებაც მოხდა შეტყობინება. ისინი არ აკონტროლებენ აქტიურად შინაარსს, მაგრამ რეაგირებენ შეტყობინებებსა და მომხმარებლების და მთავრობების ზეწოლაზე. როდესაც საქმე მიდის სიძულვილის ენაზე, ფეისბუქი არეგულირებს იმას, რომ მოაშროს ის შინაარსი, რომელიც პირდაპირ ეხსმის თავს ადამიანებს მათი რასიდან, ეთნიკურიდან, ეროვნული წარმომავლობიდან, რელიგიური კუთვნილებიდან, სექსუალური ორიენტაციიდან, სქესიდან, გენდერიდან ან გენდერული იდენტობიდან ან შემზღვეული შესაძლებლობიდან ან დაავადებებიდან გამომდინარე.

თუმცა, არსებობს პარადოქსი, რომელსაც ყველა სოციალური მედია პლატფორმა აწყდება. მათი რეგულაციები გავლენას ახდენს სიძულვილის ენის მასშტაბსა და გავრცელებაზე, ასე, რომ მათი როლი მნიშვნელოვანია სოციალური კონფლიქტების განვითარებაში, მაგალითად რასიზმს ან ქსენოფობიასთან მიმართებით. მთავრობები ითხოვენ, რომ კომპანიებმა გააუმჯობესონ მათი რეგულაციები და კონტროლის მექანიზმები. თუმცა პლატფორმის დიზაინი ჩამოყალიბებულია ისე, რომ სიძულვილის ენას გაუმკლავდეს ინდივიდუალურ დონეზე, რაც ნიშნავს იმას, რომ მოახდინოს რეაგირება მომხმარებლის მიერ შეტყობინებულ სიძულვილის ენაზე და ნაშალოს ეს. ეს მახასიათებელი უნდა იქნას გათვალისწინებული მაშინ, როდესაც ხდება იმაზე დაკვირვება თუ რამდენად ეფექტურად შეუძლიათ სოციალურ მედია პლატფორმებს წვლილის შეტანა სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში. არიან თუ არა ისინი ნეიტრალური, პასიური თუ პოტენციური პრობლემური აქტორები? იმის გასაგებად თუ როგორ შეუძლიათ მათ წვლილის შეტანა სიძულვილის ენის შემზღვევაში მნიშვნელოვანია, რომ გავიგოთ მათი ინტერესები და შემზღვევები.

სოციალური მედია პლატფორმები მიზნად ისახავენ, რომ შეინარჩუნონ ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და საზოგადოებრივი წესების პატივისცემას შორის და ამავედროულად გააუმჯობესონ მათი კომერციული ინტერესები, რაც მდგომარეობს მათი სერვისებისადმი წვდომის გაზრდაში. მათი საზოგადოებრივი სტანდარტების შინაარსი განისაზღვრება რამოდენიმე ფაქტორით. ის ყალიბდება სიძულვილის მქონე ჯგუფების გავლენებითა და ზეწოლით, რომლებიც მოითხოვენ მათ გამოხატვის თავისუფლებას, ძალადობის წინააღმდეგი ჯგუფების მიერ, რომლებიც ხაზს უსვამენ სიძულვილის ენის საფრთხეს და კომპანიების მომსახურე პერსონალის მიერ, რომლებიც ფლობენ სოციალურ მედია პლატფორმებს. ეს ნაწილობრივ განმარტავს იმას, თუ რატომ იცვლება მუდმივად სიძულვილის ენასთან დაკავშირებული პოლიტიკა. ეს პოლიტიკები ნებას რთავენ ან ზღუდავენ იმ გზებს, რომლითაც სიძულვილის ენაზე შესაძლოა მოხდეს შეტყობინება ან შემსუბუქება.

ამ შემზღვევების პირობებში სიძულვილის ენა აგრძელებს არსებობას და ზრდის დაუსჯელობის გრძნობას. გამოცდილი ტაქტიკების საშუალებით სიძულვილის ენის გამავრცელებლეს აქვთ შესაძლებლობა, რომ წაახალისონ სიძულვილით სავსე ნარატივები, ხელი შეუწყონ გარკვეული ჯგუფების არათანაბარუფლებიანობას, დისკრიმინაციასა და მარგინალიზაციას, მაგალითად, ისეთი პლატფორმა, როგორც არის ფეისბუქი გამოყენებული იყო ისეთი რადიკალური შემარტვენი ჯგუფების მიერ, როგორც არის „ოქროსფერი განთიადი“ საბერძნეთში. მათი პოლიტიკური გვერდები აკრძალულ იქნა.

იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ აქტიუობა მისმა მხარდამჭერებმა შექმნეს ხელშეუხებელი სივრცე ვებგვერდზე პატრიოტიზმზე ბუნდოვანი მინიშნებებით, ვინაიდან, მაგალითად ფეისბუქის მიერ ეს არ ფასდებოდა პრობლემატურად, მაგრამ ეს სივრცეები მაინც მასპინძლობდა ქსენოფობიურ სენტიმენტებს. ჯგუფებმა ისწავლეს მომსახურების პირობებსა და საზოგადოების სტანდარტებს შორის და ანტი რასისტულ და ადამიანის უფლებების ჯგუფების მოქმედებებსა და ანგარიშებს შორის ნავიგაცია იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ მათი აქტიუობა და ხილულობა სოციალურ მედიაში.

თუმცა ეს შეზღუდვები აქტივისტებისა და მთავრობების მიერ დადგა გამოწვევების წინაშე. სიძულვილის ენა უარყოფს განსხვავებული აზრების და პირობების გამოხატვას და ახალისებს და აკანონებს სიძულვილთან დაკავშირებულ დანაშაულს. ეს წარმოადგენს საფრთხეს დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებისათვის და ამიტომ აქტივისტები და პოლიტიკის შემქმნელები მოუწოდებენ სოციალური მედიის კომპანიებს, რომ აიღონ მეტი პასუხისმგებლობა და მიიღონ უკეთესი რეგულაციები. 2016 წლის მაისში ფროკაპშირსა და ოთხ ძირითად კომპანიას შორის დადებული კოდექსი ონლაინ უკანონო სიძულვილის ენის მიმდინარეობის შესახებ არის ამის გაგების მაგალითი.

ის გზა, თუ როგორც ტრიალებს და ვრცელდება სიძულვილის ენა ვირტუალურ სივრცეში გვიჩვენებს თუ რამდენად არის წარმოგენილი არათანაბარი ძალაუფლებრივი ურთიერთობები პლატფორმების დიზაინში. ეს დიზაინი განსაზღვრავს იმ ზომას, სადაც სიძულვილის ენა არსებობს, ტრიალებს და სტრუქტურულად დაშვებულია. შემტყობინებელი მექანიზმები საჭიროა, მაგრამ არ არის საკმარისი ონლაინ სიძულვილის ენასთან საბრძოლველად.



სიძულვილის ენას, როგორც სოციალური ფენომენს არ შეიძლება მივუდგეთ, როგორც იმ ერთი პირის პრობლემას, რომელიც ჩივის ან რომ გავუმკლავდეთ, როგორც შეტყობინებული სიძულვილის ენის ერთი-ერთზე საქმეს (ინდივიდუალიზმი), არამედ, როგორც დემოკრატიული თანაარსებობის საკითხს. ამ კონტექსტში, ის საგანმანათლებლო და ემანსიპატორული სტრატეგიები, რომლებიც იყენებს სიძულვილის ენის საპირისპირო და ალტერნატიულ ნარატივებს ხდება არსებითი მნიშვნელობის. ეს არ არის პრობლემა, რომელიც გავლენას ახდენს მხოლოდ იმათზე, ვინც არიან სიძულვილის ენის სამიზნეები; ონლაინ სიძულვილის ენა არის პრობლემა, რომელიც ყველა ჩვენთანს გვხვება.

ონლაინ სიძულვილის ენის წინააღმდეგ საპირისპირო ნარატივების მნიშვნელობა

სიძულვილის ენის შესახებ შეტყობინება და მისი მოშორება არის იმდენად არსებითი მნიშვნელობის, როგორც თავად სტრატეგია სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის მიდგომის ნაწილი, თუმცა ეს საკმარისი არაა. პირველ რიგში, სიძულვილის ენის ისეთი არაკატეგორიზირებული ფორმები, როგორც არის კონტექსტუალური სიძულვილი ან სიყვარულის გამოხატულებები (იხილეთ მეორე თავი), რომელიც არ ჯდება რეგულაციებში სავარუდოდ არ იქნება ნაშლილი სოციალური მედია პლატფორმებიდან. მეორე არის ის, რომ სიძულვილის გამოწვევი მიზეზები არ აღმოიფხვრება. ეს არის სწორედ ის, სადაც განათლება და საპირისპირო ალტერნატიული ნარატივების გამოყენება ადამიანის უფლებებსა და ემანსიპატორულ ჭრილში შესაძლებელია და საჭიროა, სიძულვილის ენის გამომწვევი ფაქტორები, როგორც არის ნეგატიური სტერეოტიპები შესაძლოა აღმოიფხვრას მეტად ღრმა

საგანმანათლებლო და ცნობიერების გამზრდელი მიდგომით მედიაში ონლაინ. ახალგაზრდა ადამიანების ინფორმირება სიძულვილის ენის მიერ გამოწვეული ზიანის და იმის შესახებ თუ როგორ უარყოფს ის ადამიანურ ღირსებას შესაძლებელია მოქმედებებისა და კამპანიების მეშვეობით, რომლებმაც აგრეთვე შეიძლება შესთავაზონ მათ ახალი და პოზიტიური შესაძლებლობები, რომლებიც იქნება აგებული ჰუმანურობის, პატივისცემისა და თანასწორობის იდეებზე.



რას ნიშნავს ეს ოლის შემთხვევასთან დაკავშირებით?

როდესაც ოლი ონლაინა გრძნობს, რომ არის უკანონო სივრცეში, ვინ აიღებს იმაზე პასუხისმგებლობას, რისი გამოვლაც მას მოუწია? სკოლის სოციალური ქსელის პლატფორმაზე არსებულ კომენტარებში, რომელიც მან ნახა პირდაპირ იყო აღნიშნული ხალხი როლონიიდან და ამიტომ მან ამის შესახებ გაგზავნა შეტყობინებები, მაგრამ ეს შინაარსი არ წაშალეს. მან აგრეთვე შეტყობინება დააფიქსირა ვიდეოს შესახებ და ამტვირთავი აღარ გამოჩენილა ონლაინ, მაგრამ ვიდეო ახლიდან დაიკოსტა ახალი პროფილიდან. პოლიციამ დაადგინა, რომ იმ კომპიუტერის IP მისამართი, საიდანაც შეტყობინებები გამოიგზავნა იყო სკოლის ერთ-ერთი კომპიუტერი, ასე რომ ახლა მან იცის, რომ დიდი ალბათობით ეს შეტყობინებები მისი თანაკლასელების მიერ იყო გამოგზავნილი. ამ გამოცდილების შედეგად მან ისწავლა რამოდენიმე გზა სიძულვილის ენაზე პასუხის გასაცემად, მაგრამ ის გრძნობს, რომ ეს არ არის საკმარისი. ის ფიქრობს, რომ განათლება და ცნობიერების ამაღლება ძალიან მნიშვნელოვანია.

3.3 | ინტერნეტნივნიერების როლი



ინტერნეტნივნიერება არის შესაძლებლობა (შესაძლებლობის ქონა) ხელი მიგვიწვდებოდეს, გავიგოთ, გავაკრიტიკოთ და შევქმნათ ინფორმაცია და კომუნიკაცია.

სონია ლივინგსტონი, ინტერნეტნივნიერება „ახალგაზრდების“ ურთიერთობა ახალ ონლაინ შესაძლებლობებთან

ახალგაზრდები ფართოდ იყენებენ ინტერნეტს, რათა აღმოაჩინონ ინფორმაცია და დაამყარონ კონტაქტი თანატოლებთან სოციალური მედიის საშუალებით. ინტერნეტნივნიერების უნარები და საშუალებები არის სრულიად შესაბამისი და აუცილებელი ახალგაზრდებისათვის, განსაკუთრებულ კი იმისათვის, რომ მათ მიეცეთ საშუალება, რომ ამოიციონ სიძულვილის ენა და უპასუხონ მას. ზოგადად ახალგაზრდები სწავლობენ წვდომას და პოულობენ ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებიდან, კრიტიკულად აანალიზებენ მას და აქვთ შესაძლებლობა, რომ შეამოწმონ მისი წარმომავლობა. მედმეტი ინფორმაციის ერაში კრიტიკული აზროვნება არის აუცილებელი უნარი.

ევროპის საბჭომ რეკომენდაციებში (2006 და 2009) ხაზი გაუსვა ინტერნეტ და მედია უნარების ნახალისების მნიშვნელობას, სადაც ნათქვამია, რომ წევრ ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ შემუშავებული სტრატეგიები ბავშვებისა და ახალგაზრდების დასაცავად იმ ქცევისა და შინაარსისაგან, რომელიც ატარებს რისკს, რათა მისცენ საშუალება ბავშვებს, ახალგაზრდებს და განმანათლებლებს, რომ ინფორმაციის საკომუნიკაციო სერვისები და ტექნოლოგიები გამოიყენონ საუკეთესო შესაძლო გზით და წაახალისონ აქტიური მონაწილეობა ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო გარემოში.



აუცილებელი ინტერნეტ დონე და ფარგლები დამყარებული იქნას იმ როლზე, რომელსაც თამაშობენ ახალგაზრდები სიძულვილის ენასთან მიმართებით, არიან ისინი თუ არა სიძულვილის მსხვერპლი, განმსმდგომი ან დამკვირვებელი, მისი მოძულე ან გამავრცელებელი ან თუ მათ სურთ სიძულვილის ენის წინააღმდეგ ონლაინ აქტივისტობა და კამპანიის მონაწილეობა, როგორც ეს დეტალურად არის განმარტებული სანიშნის სახელმძღვანელო „ბუქმარქსის“ მეხუთე თავში. აქ ჩვენ ვაჯამებთ რამოდენიმე მნიშვნელოვან უნარს ინტერნეტ წიგნიერებესთან დაკავშირებით, რომელიც განსაკუთრებით შეესაბამება სოციალური მედიის მეშვეობით სიძულვილის ენის წინააღმდეგ კამპანიის მიმდინარეობას:

ინტარნეტ წიგნიერება, როგორც სოციალური გედიო წიგნიერება

ინფორმაციო ხელმისაწვდომობა

სოციალური გედიო პლატფორმებზე წვდომა და მონაწილეობა ერთი და იგივე არ არის ყველასთვის. გედიო პლატფორმის დიზაინი განსაზღვრავს ჩვენს ინტერაქციებს, მაგალითად იმ ინფორმაციის არჩევით და პრიორიტეტად დაყენებით, რომელსაც პირველ რიგში ვიღებთ. მაგალითისათვის, პლატფორმები ფილტრავს იმ პოსტებს, რომელსაც ჩვენ ვიღებთ ჩვენს ადრეულ ისტორიასა და „ლაიქებზე“ დამყარებით. მნიშვნელოვანი საშუალებაა რომ ვიცოდეთ ამ გაფილტვრის პროცესის შესახებ და წინასწარ განვსაზღვროთ ჩვენი საინფორმაციო საჭიროებები და სტრატეგია, რათა გვექონდეს წვდომა ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებიდან.

ინფორმაციის ანალიზი

კრიტიკული ანალიზის უნარი საჭიროა იმ მესიჯების ინტერპერტირებისათვის, რომელიც მოდის მრავალი გამავრცელებლისაგან, მაგალითად: ინდივიდები, არაფორმალური ჯგუფები, ორგანიზებული ჯგუფები და ტრადიციული მედიო. ინდივიდუალური შეტყობინების გამავრცელებლის მოტივაციის ანალიზი მეტად და მეტად რთული ხდება, ვინაიდან ხშირად ისინი ანონიმურია. დამატებით, საჭიროა სხვადასხვა აქტორებს შორის კომუნიკაციის და დიალოგების ანალიზი ვინაიდან ხშირად არ არის გამიარებული ერთი იზოლირებული ან კომპაქტური სტატია ან ვიდეო, არამედ დაკავშირებული შეტყობინებების მთელი სერია. სოციალური მედიასთან დაკავშირებით ინტერნეტ წიგნიერება ნიშნავს არამართო ონლაინ პლატფორმაზე გაზიარებული შინაარსის აღქმას, არამედ პლატფორმს ბუნების და მის უკან არსებული იდეების გაგებასაც.

სოციალური გედიო პლატფორმების დიზაინისა და შეუსაბამობების ანალიზი

სიძულვილის ენაზე პასუხის გაცემის ერთ-ერთი გზა არის მის შესახებ შეტყობინების დაფიქსირება იმ სოციალური მედიო პლატფორმაზე, სადაც ის ჩნდება. იმისათვის, რომ შეტყობინების დაფიქსირება იყოს ეფექტური მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რა ითვლება არასათანადო საქციელად არსებული პლატფორმის რეგულაციების მიხედვით, რაც არის „გამოყენების პირობებისა და ვადების“ და „სამოგადოებრივი სტანდარტების“ ანალიზი. ფორმალური სიძულვილის ენის რეგულაციოში ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვებია: მუქარა, პირდაპირი მიმართვა ან თავდასხმა.

სიძულვილის ენის რეგულაციები ქმედითა მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს პირდაპირი მოწოდება მოქმედებისაკენ ან დაცული კატეგორების (მაგალითად რასა ან რელიგია) წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ნათელი გამოხატულება და ამ შემთხვევებში სოციალური მედიის მიერ შემოთავაზებული ხელსაწყოები შესაძლოა იყოს ეფექტური. იმისათვის, რომ გავიგოთ თუ როგორ გამოვიყენოთ მაქსიმალურად ისინი, პირველ რიგში საჭიროა არსებული სიძულვილის ენის რეგულაციების მასშტაბისა და შეზღუდვების გაგება.

სოციალურ მედიას აქვს წესების კრებული იმ საქმეებისათვის, რომელიც ეხება კიბერბულინგს, ბავშვთა პორნოგრაფიას ან მოკვლის შესახებ პირდაპირ მუქარას, რომელსაც ხშირ შემთხვევაში მივყავართ სიძულვილით გამოწვეულ დანაშაულებამდე. ამ შემთხვევებისათვის საუკეთესო სამოქმედო საშუალებაა იმ შეტყობინების მექანიზმების გამოყენება, რომელსაც გვთავაზობს სოციალური მედია, მაგრამ აგრეთვე და განსაკუთრებით ისეთი მექანიზმები, რომლებიც მოქმედებს სასამართლო და პოლიციის სისტემებთან ერთად ეროვნულ დონეზე.

ონლაინ სიძულვილის ენის წინააღმდეგ კამპანიის წარმოება

როდესაც ყველასთვის მნიშვნელოვანია იმის სწავლა, თუ როგორ გვექონდეს წვდომა, როგორ გავაანალიზოთ და ვუპასუხოთ ინფორმაციას, მათ შორის სიძულვილის ენის გამოხატულებებსაც ასევე საჭიროა საშუალებების მეტად სპეციფიური ნაკრები იმისათვის რომ შევქმნათ ონლაინ შეტყობინებები და კამპანია სიძულვილის ენის წინააღმდეგ. სახელმძღვანელო „ბუქმარქსის“ თავში ინტერნეტ წიგნიერების შესახებ მოცემულია დასკვნა: „ინტერნეტში კამპანიის წარმოება მოითხოვს გარკვეულ უნარებს, მათ შორის გამოქვეყნების, წახალისების, მხარდაჭერის და სხვადასხვა მესიჯებისა და ნარატივების აგების უნარებს“. შემდგომ ნაწილში აღწერილია კამპანიის წარმოების ის უნარები, რომლებიც განსაკუთრებით სასარგებლოა სოციალური მედიის გამოყენებისას. ქვემოთ მოცემულ თავები გვთავაზობს უფრო დეტალურ მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ ავაგოთ სხვადასხვა შეტყობინებები და ნარატივები სიძულვილის ენასთან გასამკლავებლად, მათ შორის არის დეტალებიც ალტერნატიული შეტყობინებების გამოქვეყნების, წახალისებისა და მხარდაჭერისათვის.



რას ნიშნავს ეს ოლის შემთხვევასთან მიმართებით?

ოლი, ფიქრობს, რომ იცის, თუ როგორ გამოიყენოს სოციალური მედია პლატფორმები, მაგრამ არ იცის როგორ შეაფასოს ის ინფორმაცია, რომელსაც კითხულობს და როგორ შექმნას ის შეტყობინებები, რომლის საშუალებითაც გამოხატავს თავის დამოკიდებულებას და დებატებში მონაწილეობას მიიღებს აზრიანად. მან მისი ნეგატიური გამოცდილებიდან გამომდინარე წაიკითხა მხოლოდ „გამოყენების პირობები: და გაიგო ისინი მისი მეგობრის დახმარებით, რომელიც მუშაობს ადამიანის უფლებების დაცვის ასოციაციაში. ის ფიქრობს, რომ კარგი აზრია თუ ახალგაზრდები ამას ისწავლიან სკოლაში. მაგრამ არის კი ეს შესაძლებელი? არის ეს საკმარისი? ის გრძნობს, რომ მზად არის წინ აღუდგეს სიძულვილის ენას

- რამდენად მიიჩნევთ საკუთარ თავს ინტერნეტწიგნიერად?
- რას იტყვით იმ ახალგაზრდებზე, ვისთან ერთადაც მუშაობთ, აქვთ თუ არა მათ საკმარისი უნარები იმისათვის, რომ ამოიციონ და დაუპირისპირდნენ სიძულვილის ენას ვირტუალურ სივრცეში?
- რას ფიქრობთ, ყველაზე მეტად რა ცოდნა და უნარები გჭირდებათ წიგნიერებასთან დაკავშირებით თქვენ ან იმ ახალგაზრდებს ვისთან ერთადაც მუშაობთ იმისათვის, რომ ჩაერთოთ სიძულვილის ენის წინააღმდეგ კამპანიაში ონლაინ?

3.4 | კამპანიის წარმართვა სოციალური მედიის საშუალებით

უარყოფითი საჯარო იმიჯი

სოციალური მედია პლატფორმებზე სენსიტიურია უარყოფითი საჯარო იმიჯისადმი მაშინ, როდესაც მომხმარებლები ერთიანდებიან, რომ მოითხოვონ ცვლილებები პოლიტიკასა და გარკვეული შინაარსის მქონე პოსტების წაშლისას. მაგალითად, ფეისბუქზე სექსისტურ ენასთან დაკავშირებით აქტივისტების მხრიდან ზენოლის გამო კომპანიამ გამოხატრა სურვილი, რომ გაეუმჯობესებინა მისი სისტემები რათა ის გამკლავებოდა სექსისტურ სიძულვილის ენას .

სათემო მმართველობა

საჭიროა რომ განმანათლებლებმა და კამპანიის მონაწილეებმა წაახალისონ და გააძლიერონ ურთიერთობები ონლაინ მხარდაჭერებს შორის. თუ ისინი შემოგვთავაზებენ საერთო მისიასა და მიზანს და შეძლებენ თანამშრომლობითი მონაწილეობის პროცესების მოდერაციას, ეს იქნება სასარგებლო.

შთაბეჭდილებებისა და რეპუტაციის მართვა

ტილმანის მიხედვით, სხვადასხვა ანგარიშების ან ბლოგების ჩამოყალიბება შესაძლოა სასარგებლო იყოს სხვადასხვა პირების ან თემების სამართავად და სხვადასხვა აუდიტორებისა და ინტერესების ჩასართავად. მაგალითად, შეინარჩუნეთ პირადი ანგარიში (პროფილი) თქვენი ახლო მეგობრებისა და ოჯახისათვის და გახსენით სხვა ანგარიში თქვენი ონლაინ აქტივისტობისათვის მნიშვნელოვანია, რომ იცოდეთ, თუ როგორ აღიქვამენ თქვენს პროფილებს სხვები. გაზიარებული შეტყობინებების და შინაარსის სახეობა განსაზღვრავს როლებს, რეპუტაციასა და მნახველებზე მოხდენილ შთაბეჭდილებას.

შინაარსის მკვლელობა და მართვა

მნიშვნელოვანია, რომ იყოთ პასუხისმგებელი გავრცელებულ და გზიარებულ შინაარსზე. საჭიროა რომ გამოყენებული შინაარსი, ფორმატი და ტონი ასახავდეს იმ ღირებულებებს, რასაც კამპანია უჭერს მხარს და ყველაზე მეტად შესაფერისი იყოს თქვენი სამიზნე აუდიტორიისათვის. აგრეთვე დრო და იმ სოციალური პლატფორმის არჩევაც, სადაც უნდა გზიარდეს გარკვეული შინაარსი, მოითხოვს საგულდაგულო განხილვას.

რას ნიშნავს ეს ოლის შემთხვევასთან მიმართებით?



ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, ოლიმ გააუმჯობესა მისი ინტერნეტნიგნიერება. მან ისწავლა რამოდენიმე გზა, რომ უპასუხოს სიძულვილის ენას, მაგალითად ამის შეტყობინება იმ სოციალური პლატფორმებისათვის, სადაც ის გამოჩნდა. მაგრამ ის გრძობს, რომ ეს საკმარისი არ არის. მისი თანაკლასელები აგრძელებენ სიძულვილით სავსე შეტყობინებების დაპოსტვას. ის ფიქრობს, რომ მას შეუძლია იყოს პროაქტიური და შეცვალოს ონლაინ დიალოგი და გააკეთოს ვიდეო, რომელიც დაუპირისპირდება მესიჯებში გამოხატულ ცრუ ვარაუდებს და გაუზიაროს მათ თავისი შეხედულება, მაგალითად ყველა იმ პოზიტიურ წვლილზე, რაც იმიგრანტებმა შეიტანეს მის ქვეყანაში. მაგრამ როგორ? ახალი ჯგუფის შექმნით? ონლაინ კამპანიით? იქნება თუ არა ის ყველაზე ეფექტური გზა, რომ შეცვალოს ნეგატიური სტერეოტიპები და შეაჩეროს სიძულვილის ენა?

თავის შაჯამება ხუთ პუნქტად

- სოციალურმა მედიამ შეცვალა ის გზა, რითიც ჩვენ და განსაკუთრებით ახალგაზრდები ვახდენთ კომუნიკაციასა და ინტერაქციას, როგორც ინტერპერსონალურ, ასევე სოციალურ ურთიერთობებში.
- სოციალური მედია არის ის არენა, სადაც მიმდინარეობს ძალაუფლების გამო ბრძოლა ხილულობის სხვადასხვა ხარისხით.
- სიძულვილის ენის გამავრცელებლემა მათი მესიჯების გასაუმჯობესებლად შეიმუშავეს დახვეწილი ტაქტიკები წესებისა და ხარვეზების გათვალისწინებით.
- სოციალური მედია პლატფორმები არ არის ინტერაქციის ნეიტრალური სივრცე; მათი გამოყენების წესები ზღუდავს და უშვებს სიძულვილის ენას. ისინი აგრეთვე უნდა იყონ გათვალისწინებული, როგორც მნიშვნელოვანი აქტორი, რომლის გადაწყვეტილებებიც გავლენას ახდენს ვირტუალურ სივრცეში სიძულვილის ენის დინამიკაზე.
- იმისათვის, რომ ჩაერთონ საპირისპირო ნარატივებში განმანათლებლები და კამპანიის მონაწილეები უნდა იყვნენ ინტერნეტნივინერები, მათ შორის, მათ უნდა იცოდნენ, თუ როგორ მოახდინონ სოციალური მედიის წესების ინტერპრეტაცია და კამპანიის მიმდინარეობას გამოიყენონ ისინი.

სქოლიო

1. მაგალითად კვლევით იქნა დასკვნები, რომ „ახალგაზრდების ოდნავ მეტმა რაოდენობამ პროპორციულად (ვიდრე მთლიანი მოსახლეობა) განახორციელა სამოქალაქო მოქმედებები ონლაინ, მაშინ, როდესაც ახალგაზრდების ბევრად მეტ რაოდენობამ პროპორციულად (ვიდრე მთლიანი მოსახლეობა) იყენებდა სოციალურ ქსელებს.“ იხილეთ სრული ანგარიში: Eurostat (2015) Being Young In Europe, European Commission, Brussels, ხელმისაწვდომი: http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Being_young_in_Europe_today_-_digital_world, მოძიებული 2016 წლის 28 ივლისს.
2. Scolari, C.A. (2013) Narrativas Transmedia. Cuando todos los medios cuentan [ინგლისურად: English Transmedia Narrative. When all mediums count, Planeta, Barcelona].
3. British Institute of Human Rights (2012) , Mapping study on projects against hate speech online, ევროსაბჭო, სტრასბურგი, ხელმისაწვდომი: www.coe.int/t/dg4/youth/Source/Training/Training_courses/2012_Mapping_projects_against_Hate_Speech.pdf მოძიებული: 2016 წლის 27 აგვისტოს.; Interviews with Christine Chen, Senior Manager for Public Policy, Google, 2015 წლის 2 მარტი და M.Bickert, Head of Global Policy Management, Facebook, 2015 წლის 14 იანვარი, ციტირებული Gagliardone et.al (2015).
4. Titley, G. (2016), "The debatability of racism. Networked Participative Media and Postracialism" ხელმისაწვდომი: <https://aster.fi/2016/02/17/the-debatibility-of-racism-networked-participative-media-and-postracialism/>, მოძიებული: 2016 წლის 27 აგვისტოს.
5. Larsson, A.O. and Christensen, C. (2016) "From show-room to chat-room: SVT on Social Media during the 2014 Swedish Elections", Convergence: the International Journal of Research into New Media technologies. Online first, 2016 წლის 27 აპრილი; Buckley, S. (2015) Passive and active Social Media engagement, ხელმისაწვდომი: http://www.academia.edu/23413001/From_Show_Room_to_Chat_Room_-_SVT_on_Social_Media_during_the_2014_Swedish_elections, მოძიებული: 2016 წლის 27 აგვისტოს.
6. იგივე.
7. ციტირებული: Larsson and Christensen (2016:16).
8. Siapera, E. and Viejo Otero, O. (2015), 'How Do Far-Right Movements and Parties Use the Internet and the Social Media? Digital Facebook Postcard, With Hate, Your Far Right', in Proceedings of the ISIS Summit Vienna 2015, 3-7 ივნისი, ვენა, ავსტრია, ხელმისაწვდომი http://www.academia.edu/25056928/How_Do_Far-Right_Movements_and_Parties_Use_the_Internet_and_the_Social_Media_Digital_Facebook_Postcards_With_Hate_Your_Far_Right
9. იგივე.
10. იგივე.
11. Code of Conduct, ხელმისაწვდომი : http://ec.europa.eu/justice/fundamental-rights/files/hate_speech_code_of_conduct_en.pdf, მოძიებული: 2016 წლის 2 დეკემბერს.
12. In McPherson, T. (2008), Digital Youth, Innovation and the Unexpected, MIT Press, Cambridge.
13. Council of Europe Committee of Ministers Recommendation CM/Rec (2009)5 "Recommendation on measures to protect children against harmful content and behavior and to promote their active participation in the new information and communications environment ხელმისაწვდომი: https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805d0b9f მოძიებული 2016 წლის 28 აგვისტოს.
14. მარნე ლევისი, ფეისბუქის ვივე პრემიუმენტი, პასუხისმგებელი საჯარო პოლიტიკაზე „ We have been working over the past several months to improve our systems to respond to reports of violations, but the guidelines used by these systems have failed to capture all the content that violates our standards, We need to do better...and we will!“ ხელმისაწვდომი, <http://edition.cnn.com/2013/05/29/tech/social-media/facebook-hate-speech-women/> მოძიებული 2016 წლის 27 აგვისტოს.
15. Tillman, K. (2010), Do Media Literacy, Digital Literacy, and Social Media Literacy Intersect? Edelman Digital www.edelman.digital.com/2010/04/01/do-media-digital-literacy-and-social-media-literacy-intersect



ოლი ისევ ეძებს პასუხებს და ელაპარაკება ისტორიის მასწავლებელს

პოლიციამ აღმოაჩინა, რომ იმ კომპიუტერის IP მისამართი, საიდანაც შეტყობინებების იქნა გაგზავნილი სკოლის კომპიუტერებიდან ერთ-ერთი იყო. მაგრამ რატომ? რატომ ფიქრობენ ჩემი თანაკლასელები ასე? მე აქ დავიბადე.



რატომ? ჩვენ არ ვართ საშიში! ისინი ამბობენ, რომ მათ სამსახურებს ვართმევთ და შემწვობის ხარჯზე ვცხოვრობთ. მაგრამ ეს არ არის მართალი!

დიახ, მაგრამ ისინი ასე ნეგატიური სტერეოტიპებისა და ცრურწმენების გამო აღგიქვამენ. ისინი ისმენენ არაობიექტურ ისტორიებს მუდმივად და ფაქტების გადამონმების გარეშე. მათ სჯერათ დისკრიმინაციული ნარატივების, ვინაიდან ისტორიები უკავშირდება მათ პრობლემებს. ეს მხოლოდ ფაქტების შესახებ არ არის; ის აგრეთვე ემოციების შესახებაც არის.



ანუ თქვენ ამბობთ, რომ იმისათვის, რომ შევაჩეროთ სიძულვილის ენა, საჭიროა, რომ შევცვალოთ აღქმა და ჩავწვდეთ მათ ემოციებსა და პრობლემებს? ამას როგორ ვაკეთებთ?

შესაძლოა საპირისპირო ან ალტერნატიული ნარატივის შემწვობით... მე ვიცნობ ვიღაცას ვისაც შეუძლია დაგეხმაროს... სარა ადამიანის უფლებათა ასოციაციაში მუშაობს. გსურს მასთან შეხვედრა? იქნებ ერთად მოვამზადოთ გაკვეთილი?

ნარატივები

ეს თავი განმარტავს თუ რა არის ნარატივები და მათი როლი სოციალურ და პოლიტიკური კომუნიკაციის პროცესებში. საშუალებები (ხელსაწყოები) წარმოდგენილია იმისათვის, რომ დაგვეხმაროს ნარატივების ანალიზსა და დეკონსტრუქციაში. ორი მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლიათ ნარატივებს ხელი შეუწყონ დისკრიმინაციისა და რეპრესიის გამართლებას და ალტერნატიულად, როგორ შეუძლიათ წვლილის შეტანა ემანსიპაციისა და ადამიანის უფლებების წინ წამოწევის პროცესებში.

4.1 | რატომ ვსაუბრობთ ნარატივებზე?

რამდენად ხშირად გვსმით: „ჩვენ გვჭირდება მეტად დამაჯერებელი ნარატივი“; „რა არის აქ ნარატივი?“; „მათი ნარატივი პოპულარულია და ხელს უწყობს ადამიანების შიშებს?“ როგორც სხვა „ტრენდული“ კონცეფციები, ტერმინი „ნარატივიც“ გამოიყენება (აგრეთვე გამოიყენება არასწორად და დამახინჯებულად) იმდენ განსხვავებულ კონტექსტსა და იმდენი განსხვავებული ნიუანსებით, რომ მისი მნიშვნელობა ხდება ბუნდოვანი ან საეჭვოდ უაზრო. ძირითადად, ნარატივი არის ამბავის სინონიმი. თუმცა ნარატივი არის მეტი ვიდრე ამბავი, ნამდვილი თუ გამოგონილი. ეს სახელმძღვანელო იხედება იმ ამბებში, რომელიც გაზიარებულია ჯგუფების მიერ და რომელიც მოიცავს მოვლენების რწმენასა და მოვლენების ინტერპრეტაციას და იმას, თუ როგორ მოქმედებს რეალობა. ეს ინტერპრეტაციები ან კოლექტიურად გაზიარებული ისტორიები გვეხმარება ჩვენ განვსაზღვროთ თუ როგორ ვცხოვრობთ ერთად. ასეთი მნიშვნელოვანია ამბები? ხშირად გვესმის, რომ მთავარია მოქმედებები და არა სიტყვები. ასე რომ რატომ არის აუცილებელი, რომ ვილაპარაკოთ ნარატივებზე?

ნარატივები მნიშვნელოვანია ვინაიდან ისინი გვას უკვლავს ქმედებებს

ნარატივები მნიშვნელოვანია, ვინაიდან მათ აქვთ გავლენა იმაზე, თუ როგორ ფიქრობს ხალხი. ისინი გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებს გზამკვლევის სახით ვმსახურებინან, მაგალითად, თუ ხალხი იფიქრებს, რომ საზოგადოებაში გარკვეული ჯგუფი არის საშიში, ისინი მოისურვებენ, რომ მხარი დუჭირონ უსაფრთხოების ზომებს, იმისათვის, რომ მოახიფნონ ამ ჯგუფისათვის ზიანის მიყენების პრევენცია.

სიძულვილის შემცველ ნარატივებთან შეწინააღმდეგება ვირტუალურ სივრცეში არ არის ადვილი საქმე ადამიანის უფლებათა დამცველებისათვის, პოლიტიკოსების ან განმანათლებლებისათვის, მაგალითად, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ მოსაზრება „მიგრანტები იპარავენ ჩვენს სამუშაოებს“ უამრავი აკადემიური კვლევით, სტატისტიკური კვლევებითა და ეკონომიკური ანალიზით იქნა უარყოფილი, ეს იდეა მაინც წინ დგას სხვებზე.

მართალია სხვაგვარად იქნა დამტკიცებული რამოდენიმეჯერ, ეს არგუმენტაცია მაინც ამარაგებს ქსენოფობიურ ენას. ის გამოყენებულ იქნა დისკრიმინაციული პოლიტიკის გასამართლებლად და მიგრანტების, ლტოლვილებისა და მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ მოქმედებების წასაქვებლად. ნარატივები მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი აყალიბებს მოქმედებებს (ან უმოქმედობას).



„კვლევები გვიჩვენებს, რომ ხშირად ამბებს უფრო მეტი ზემოქმედება აქვთ, ვიდრე მონაცემებს“.

ხშირად რაციონალური არგუმენტაცია და მყარი მონაცემები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გამოიწვიოს ცვლილება საჯარო დისკურსში ან გაანეიტრალოს სიძულვილის შემცველი ვარაუდები. მეცნიერებმა გამოიკვლიეს ურთიერთობა ამრებს, ენასა და მეტაფორებს შორის იმისათვის, რომ განემარტათ, თუ როგორ ესმის ადამიანის ტვინს რეალობა, ქმნის კავშირებს ფაქტებს შორის და სწავლობს ახალ რაღაცეებს. ამბები არის ფუნდამენტური. ჰარვარდის ისტორიკოს დრიუ გილფინ ფაუსტის მიხედვით „ ჩვენ ვქმნით საკუთარ თავებს იმ ამბებიდან, რომელსაც ვყვებით საკუთარ ცხოვრებაზე, ამბებს, რომლებიც იმ გამოცდილებებს, რომლებიც ხშირად ჩანს შემთხვევითი და შეწყვეტილი, აკისრებს მიზანსა და მნიშვნელობას.“

ეს არ ხდება მხოლოდ ინდივიდუალურ დონეზე: ასობით ათასი წლის განმავლობაში ადამიანებს ცოდნის გამოხატვა მხოლოდ ზეპირსიტყვიერად შეეძლოთ. და წიგნიერების გარეშე თეორიტიზაცია და აბსტრაქცია შეუძლებელია. (ზემოთ განხილული რაციონალური, მონაცემებზე დამყარებული ამროვნება). სანამ დამწერლობა გამოჩნდებოდა სწორედ ამბები იყო ის მთავარი გზა, რისი საშუალებითაც ჩვენი წინაპრები ავრცელებდნენ ცოდნასა და ღირებულებებს“, ერთი სიტყვით, კულტურას.

ნარატივები გამოიყენება იმისათვის, რომ გადმოვცეთ სამყაროს, მისი რიტმებისა და საიდუმლოებების ამრი და ადამიანების ადგილი მთელ სურათზე. ეს ნარატივები გვეხმარება ყოველდღიურ ვალდებულებების შესახებ პრაქტიკული ინსტრუქციებით, რა გვაკეთოთ, როდის და რატომ, მაგალითად, როდის დავთესოთ და ავილოთ მოსავალი. ამბები უკავშირებს იმას თუ რა ხდება საზოგადოებაში, იმას თუ რანი არიან ადამიანები და რას აკეთებენ (რა უნდა გააკეთონ) ისინი.

თუმცა დღესდღეობით ქალები და მამაკაცები იმის გასარკვევად თუ როდის აიღონ მოსავალი, ნაკლებად ეყრდნობიან ნარატივებსა და მითებს. მაინც ისტორიების როლი და უფრო მეტიც, სტრუქტურა არსებითი მნიშვნელობის არის. ნარატივები მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმაში, თუ რა სახით აღიქვამს და ბრძანებს ადამიანის ტვინი ფაქტებს და შესაბამისად მიმართავს ადამიანის მოქმედებებს.

ადამიანის უფლებების დაცვა საჯარო დისკურსში დიკრიმინაციული არგუმენტებისაგან მოითხოვს ღრმა გაგებას იმის შესახებ, თუ როგორ ახდენენ ადამიანები სოციალიზაციასა და კომუნიკაციას. ამ ყველაფრის საფუძველზე ჩვენ ვპოულობთ ნარატივებს. ნარატივები შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელის უზრუნველყოფს რეალობის ინტერპრეტაციებს, რომელიც არის მნიშვნელოვანი და რელევანტური აუდიტორიისათვის.





ვინაიდან ნარატივები გვეხმარება იმის გაგებაში თუ რანი არიან ადამიანები და რას აკეთებენ, მათ აქვთ მნიშვნელოვანი ემოციური განზომილებები. ეს არ არის მხოლოდ ის, თუ რას ამბობენ ან მოიცავენ ისინი, არამედ ისიც, თუ რას ნიშნავს ის ადამიანებისთვის. ქვემოთ მოცემული სამი მაგალითი ნათლად წარმოგვიდგენს იმ აზრს, რომ ნარატივები არის მეტი, ვიდრე უბრალოდ ფაქტების სერია, უფრო მეტად ისინია ის ჩარჩოები, სადაც ხდება გაგება და რეალობასთან დაკავშირება.



სოცხალი ზიხლიოთაჲ

ევროპის საბჭო ხშირად მართავს აქტივობას, სადაც ის ხალხი, რომლებმაც გამოსცადეს სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია, სხვებს უზიარებენ თავის ამბებს, როგორც წიგნები ბიბლიოთეკაში, რომელთა გადაძლავ შესაძლებელია მკითხველების მიერ (მნახველები). პირადი აღიარებების მოსმენის და პირდაპირ შეკითხვების დასმის შედეგად, მონაწილეები უკავშირდებიან თემასა და შეხედულებებს მეტად პერსონალურ დონეზე. ის ინფორმაცია და წინასწარი წარმოდგენები, რომლებიც მათ ჰქონდათ თემასთან დაკავშირებით, იცვლება და იძენს ახალ პერსპექტივებსა და შეხედულებებს, რომელიც ახალ მნიშვნელობას იძენს „მკითხველებისათვის“. ამბების მოსმენის შედეგად ზემოქმედების დონე აღწერილი იყო მეტად ძლიერად, ვიდრე საკითხზე ანგარიშის კითხვის შედეგად.



აქნასტი ინთერნეიშენალის კაჲჲანიის ჲიღაო

„აიისაღ საზღჲრებს ჲიღაო“

ამ კამპანიის მიზანია, რომ დაამსხვრიოს ევროპაში ლტოლვილების შესახებ ნეგატიური წარმოდგენები. ვიდეოში ფაქტები არ არის მოყვანილი ფორმალური ტონით, მაგალითად ევროპულ ქვეყნებში ლტოლვილების რაოდენობა სხვა ქვეყნებთან შედარებით. ამის მაგივრად ვიდეო გვიჩვენებს პირად შეხვედრებს, რომელიც იწყება ლტოლვილებთან ოთხი წუთის განმავლობაში პირდაპირი მშერიოთი კონტაქტით, რომელსაც შემდგომ მოჰყვება სხადასხვა დიალოგები მათ შორის. მონაწილეები სვამდნენ სპონტანურ და გულწრფელ შეკითხვებს, გამოხატავდნენ ემოციებს ღიმილით და შესტების გამოყენებით კი დამოკიდებულებასა და ემპათიას. საუბრის ტონი იყო სასიამოვნო და გამოსახულება ხაზს უსვამდა ჰუმანურობას, რომელიც არსებობს არსებულ პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა. ეს ვიდეო ფართოდ გავრცელდა და მოჰყვა გამომხაურება, რომ მან მართლა გამოიწვია ემპათია ლტოლვილების მიმართ .



ბრძნოჯაბი და ემოციაბი დარადიკალიზაციის სტრატეგიაბი

დერადიკალიზაციის სტრატეგების ზეგავლენისა და მეთოდების შესახებ კვლევამ გვიჩვენა, რომ სახელმწიფოს მიერ წარმართული „მესიჲინგი“ იყო „ფოკუსირებული ლოგიაზე“, რაც ნიშნავს შესწორებულ ფაქტებსა და ახსნის მთავრობის განმარტებულ პოზიციებსა და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესს თუმცა, ეს არ იყო ეფექტური, ვინაიდან წარმარტებული ურთიერთსაპირისპირო კომუნიკაცია უნდა მოიცავდეს ემოციებსაც და გრძნობებსაც. ამ აღმოჩენებზე დაყრდნობით, ახალი მიღწევები აერთიანებს ფაქტობრივ ინფორმაციას ემოციურ აპელირებასთან მუსიკისა და გამოსახულების კრეატიული გამოყენების მეშვეობით.



- როდესმე დაურწმუნებხართ რაიმეს, რომ შეგეცვალათ დამოკიდებულება საკითხისადმი? რამ შეგაცვლევინათ ამრი?
- როდესაც საუბრობთ იმ ახალგაზრდებთან ვისთან ერთადაც მუშაობთ, რა სახით გიცდიათ განსხვავებული მოსაზრებების ახალგაზრდებთან მუშაობის პროცესში შემოტანა?



რა არის ნარატივი იმ შატყობინებაში, რომლის მიღწევაა?

ისინი, ვინც ოლის უგზავნიდნენ შეტყობნებებს ხელმძღვანელობდნენ ნარატივის მეშვეობით. ისინი ოლის მიიჩნევდნენ იმ ჯგუფის წევრად, რომლის ნახვაც მათი ქვეყნის გარეთ სურდათ, მათ სჯეროდათ, რომ რაღაც კუთხით ეს ჯგუფი საშიში იყო საზოგადოებისათვის. ოლის მიერ მეგობრისა და ისტორიის მასწავლებლისათვის ნათქვამის და მიგრანტული წარმოშობის ადამიანების წინააღმდეგ სიძულვილის ენის გამოხატულებების არსებული ნამდვილი ამბების არსებობის საფუძველზე, შეგვიძლია მივიღოთ ქვემოთ მოცემული ნარატივი:

„ჩვენი ქვეყანა იყო დიდებული და აყვავებული. ის დაიპყრეს უცხოელებმა. ისინი არ სცემენ პატივს ჩვენს ტრადიციებს ან კანონებს. უმუშევრობის დონე იზრდება და ისინი გვპარავენ სამსახურებს. პირველ რიგში ჩვენს ხალხს უნდა შევძლოს სამსახურის პოვნა; ეს ჩვენი ქვეყანაა. ჩვენ ცალკეული პირების საწინააღმდეგო არ გვაქვს არაფერი, მაგრამ პირველ რიგში უნდა დავიცვათ ჩვენი ქვეყანა და ხალხი“.

4.2 | აბა. რა არის აბაპი?

ნარატივის საკვანძო ელემენტები

ნარატივის კონცეფციას აქვს სხვადასხვა მნიშვნელობები და არ არსებობს მხოლოდ ერთი განსაზღვრება. მაგალითად, ზოგი „ამბავსა“ და „ნარატივს“ სინონიმების სახით იყენებს, მაგრამ მათ შორის არსებობს განსხვავება. როგორც რუსმა მწერალმა, ნაბოკოვმა თქვა: „თუ მე თქვენ გეუბნებით, რომ მეფე მოკვდა და შემდეგ დედოფალი მოკვდა, ეს არ არის ნარატივი; ეს არის სიუჟეტი. მაგრამ, თუ მე გეუბნებით, რომ მეფე მოკვდა და შემდეგ დედოფალი გულგატეხილობისგამო მოკვდა, ეს არის ნარატივი“. „შემდეგ“ არის საკვანძო ელემენტი: ის უკავშირებს მოვლენებს ერთმანეთს და აძლევს მნიშვნელობას ამბავს. რეალობაში ურთიერთობა და მნიშვნელობა არის ყველა ნარატივის ორი საკვანძო ელემენტი მის სტრუქტურას, პერსონაჟებსა და კონტექსტთან ერთად.



ნარატივის განმარტება

ნარატივი შესაძლოა განმარტებული იქნას, როგორც ლოგიკური, შინაგანად დაკავშირებული ანგარიში და ურთიერთდაკავშირებული მოვლენებისა და პერსონაჟების ინტერპრეტაცია. ანგარიში და ინტერპრეტაცია ერთობლიობაში ამბავს აძლევს მნიშვნელობას, რომელიც უკავშირებს ცალკეულ მოვლენებს უფრო ზოგად, კოლექტიურ ამბავს.



ქვემოთ მოცემული ელემენტების ნახვა შესაძლებელია ყველა ნარატივში:

- სტრუქტურა: ნარატივი წარმოადგენს 1) სანყის სიტუაციას, 2) გადამწყვეტი მომენტი, კონფლიქტი ან დილემა, რომელიც ცვლის სიტუაციას და აწყობს მოვლენებს მოქმედებაში და 3) ბოლოს, კონფლიქტი ან გადაიჭრება ან ტრანსფორმირდება. პერსონაჟები ირჩევენ კონფლიქტის დაძლევის ერთ გზას. შესაბამისად, არის „მანამდე“ და „შემდეგ“.
- პერსონაჟები: ხშირად მთავარი პერსონაჟები არიან გმირები, პროტაგონისტები. ძალიან ხშირად, მათ თან ახლავთ ანტაგონისტები, ბოროტმოქმედები ან მტრები.
- კონტექსტი: ნარატივები მნიშვნელობას იძენს უფრო ფართო კულტურულ, სოციალურ და ისტორიულ კონტექსტში, განსაზღვრული წესებითა და მექანიზმებით.
- ურთიერთობები: ნარატივი არ არის მხოლოდ დაუკავშირებელ მოვლენების მიმდინარეობა, მაგრამ ეს ეხება კავშირებს პერსონაჟებს შორის. ორი პერსონაჟი შესაძლოა ერთმანეთს დაუკავშირდეს პოზიტიური ან ნეგატიური ურთიერთობებით. ნაბოკოვის მაგალითში დედოფალი-მეფის ურთიერთობა იმდენად ძლიერი იყო, რომ პირველი გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც მეორე გარდაიცვალა.
- მნიშვნელობა: სიუჟეტის, ამბისა და ქრონიკისგან განსხვავებით ნარატივი წარმოადგენს კავშირს მთავარ პერსონაჟებს, მათ ქცევასა და მათ მოქმედებებს შორის (ინდივიდუალური ისტორია) ზოგად კონტექსტში და უფრო დიდ სურათზე (კოლექტიური ისტორია).

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ხშირად რამოდენიმე ან ამ ელემენტების უმრავლესობა არის ბუნდოვანი. ნარატივის დეკონსტრუქციის პროცესი არის ბუნდოვანი ელემენტების დღის შუქზე გამოტანის პროცესი, რათა მათი შეცვლა იყოს შესაძლებელი. ნარატივის ანალიზის შესაძლებლობა არის მნიშვნელოვანი უნარი საპირისპირო ან ალტერნატიული ნარატივის განვითარებისას.

ოლის პიარ მიღებულ შიფობინებაში ბუნდოვანი ნარატივის ანალიზი

სტრუქტურა

ორიგინალი სიტუაცია: ჩვენი ქვეყანა იყო დიდებული და აყვავებული.
 გადამწყვეტი მომენტი: მათ დაიკავეს და მოიპარეს ჩვენი სამსახურები.
 გადაჭრის გზა: ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ქვეყანა და უცხოელები უნდა წავიდნენ.
 პერსონაჟები

პერსონაჟები

წარმოდგენილი, როგორც გმირები (ჩვენ): ისინი, ვინც აღქმული არიან, როგორც „წმინდა“ და „ერთგული“ მარკადიელები: ჩვენ ვართ გმირები; ჩვენ გვიყვარს და ვზრუნავთ ჩვენს ქვეყანაზე.
 წარმოდგენილი, როგორც ბოროტმოქმედები (ისინი): ისინი ვინც აღქმული არიან, როგორც არა „წმინდა“ და „ერთგული“ მარკადიელები მათი წარმომავლობის, შეხედულების ან რწმენებიდან გამომდინარე.

კონტექსტი

არის უმუშევრობა, სოციალური დაძაბულობა და დანაშაულის ზრდა. ხშირად ნავარაუდევია, რომ ქვეყანაში არის სამსახურების ფიქსირებული რაოდენობა და თუ ერთი მიიღებს რომელიმეს, სხვებს ნაკლები დარჩებათ. ამ შემთხვევაში „სამსახურები“ არის მხოლოდ სიმბოლო: ის შეიძლება დაკავშირებულ ან დაქვემდებარებული იყოს სხვა ელემენტებით, როგორც არის ჯანდაცვის სერვისები, კეთილდღეობა ან პენსიები.

ურთიერთობები

ადგილობრივები და მიგრანტები („ჩვენ“ და „ისინი“) დავაპირებულნი არიან ნეგატიური ურთიერთობით, ვინაიდან ეს უკანასკნელები „იპარავენ“ სამსახურებს და არა „იღებენ“, „მოიპოვებენ“ ან სხვა ნეიტრალური ან პოზიტიური ტერმინები.

გნიშვნელობა

მიუხედავად იმისა, რომ ოლი არის მხოლოდ ერთი პიროვნება, ის განასახიერებს უფრო დიდ მტერს და ამბის მსმენელები აგრეთვე წარმოადგენენ რაღაც „უფრო დიდს“ ზუსტად იმ ამბის გმირით, რომელიც მტრის დამარცხებით თავად „ბოროტს“ ამარცხებს.

“ისინი”



“ჩვენ” ?



ხშირად ნარატივის ელემენტები არის ბუნდოვანი და საჭიროა, რომ ისინი გამოვააშკარავოთ ანალიზის პროცესის მეშვეობით, როდესაც ყველა ელემენტი უფრო ნათელი გახდება შესაძლო გახდება ვიფიქროთ თუ შესაძლებელია და როგორი ცვლილებებია შესაძლებელი; ან სხვა სიტყვებით, ვიფიქროთ თუ როგორ შეიძლება ახალი ნარატივის, საპირისპირო ან ალტერნატიული ნარატივის განვითარება.



- რომელი ნარატივები შეიძლება მოიფიქროთ თქვენს სამსახურთან ან კონტექსტთან დაკავშირებით?
- რა სტრუქტურები, პერსონაჟები, კონტექსტები, ურთიერთობები და მნიშვნელობები შეგიძლიათ, რომ იპოვოთ მათში?

სოციალური და პოლიტიკური ნარატივების საკვანძო განზომილებები

ნარატივების შესახებ ინტერესი გაიზარდა ისეთ სფეროებში, როგორც არის სოციოლოგია, ლიტერატურა, ეკონომიკა და მედია კვლევები...ეს ე.წ. „ნარატივის შემობრუნება“ გამოიხატა კვლევაში ანალიზისა და ნარატივების გამოყენების ანალიზის გაზრდაში სხვადასხვა მიზნებისათვის. ზოგიერთი ამ დისციპლინათაგან ფოკუსირდება ნარატივის ინდივიდუალურ ან ნაცნობ დონეზე; სხვები, როგორებიც არის ეკონომიკა და სოციოლოგია, მეტ ყურადღებას ანიჭებენ კოლექტიურ (ჯგუფური, საზოგადოებრივი ან ეროვნული) დონეს. ეს სახელმძღვანელო კონცენტრირდება ნარატივების პოლიტიკურ და სოციალურ განზომილებებზე.



რეალურად ნარატივების როლი არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რეალობის ასპექტის ან საკითხის შემუშავებაში, რაც მდგომარეობს იმ პერსპექტივის დადგენაში საიდანაც უნდა მოხდეს პოლიტიკური დისკურსის დანახვა: „ჩვენი ლიდერების მოყოლილი ამბები მნიშვნელოვანია [...] ვინაიდან ისინი გვაჩვენებენ თუ რა არის, რა შეიძლება იყოს და რა უნდა იყოს“. რა არის და შეიძლება იყოს ყოფილიყო: ერთი სიტყვით: ის ჩარჩო რის ფარგლებშიც ადამიანის ტვინი ფიქრობს სამყაროზე და იმ პრობლემების შესაძლო გადაწყვეტაზე, რასაც ის აწყდება. შესაძლებლობების მასშტაბის დადგენა ან საკითხის გადაწყვეტა გარკვეული გზით განსაზღვრავს იმას, რასაც ჩვენ ინტუიციურად მივიჩნევთ შესაძლოდ.

სოციალური და პოლიტიკური არის ისეთი ნარატივები, რომლებიც ისეთ ადგილებზე მიმდინარეობს, როგორებიც არის პარლამენტები, ონლაინ დებატები, ადგილობრივი საბჭოს შეხვედრები და დემონსტრაციები. სხვა სიტყვებით, ისინი მიმდინარეობს ნებისმიერ ისეთ სივრცეში, სადაც მთელი საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხები არის განხილული. თუმცა, ყველაზე მეტად პოლიტიკური ნარატივები არის ის, სადაც „მიზანი არის საჯარო აზრზე გეგავლენის მოხდენა გარკვეული ჯგუფის პოლიტიკის უპირატესობის მხარდასაჭერად“. ისინი წარმოადგენს სამ განზომილებას: ემოციური განზომილება, სივრცობრივი განზომილება და დროებითი განზომილება.

- ემოციური განზომილება აკავშირებს აუდიტორიას ამბავთან. შიში, იმედი და სიბრაზე არის ყველაზე მეტად რელევანტური პოლიტიკური ემოციები.
- სივრცობრივი განზომილება აუდიტორიების წევრებს ათავსებს ზოგად კონტექსტში და მათ როლებს ამის ფარგლებს არგებს. წარმატებული ნარატივი აუდიტორიისათვის ხშირად ითვალისწინებს იმ როლს, რომელიც არის პერსონალურად დამაკმაყოფილებელი და სიუჟეტის შესაბამისი.
- დროებითი განზომილება არის ის, რომელიც წარსულს უკავშირებს აწმყოში მიზნებს და გადამწყვეტი მომენტის წარმოშობას და მომავალს (რა მოხდება თუ პერსონაჟები გააკეთებენ გარკვეულ ქმედებებს). დროებითი განზომილება მტკიცედ უკავშირდება ამბის მნიშვნელობას.



ნარატივის : „ჩაქალაქე ბარბი და წალი სანსონი“ ძირითადი განზომილებები

ემოციური განზომილება

„ ჩვენ ვიტანჯებით უმუშევრობისა და დანაშაულის გამო“; „ჩვენ გვეშინია, რომ სიტუაცია გაუარესდება“ (შიში და სიბრაზე).

სივრცობრივი განზომილება

„ეს ხდება ჩვენს თავს ჩვენს ქვეყანაში ახლა“.

დროებითი განზომილება

„ჩვენი ქვეყანა იყო დიდებული და აყვავებული. ახლა აღარ არის. ამის მიზეზი მიგრანტების ჩამოსვლაა“. „თუ ჩვენ, დღეს მათ მოვიშორებთ მაშინ ხვალ დავიბრუნებთ სამსახურებს“. სამსახურები წარმოადგენს კეთილდღეობასა და სოციალურ სტატუსს.



- თქვენს კონტექსტში როგორ გააანალიზებდით ნარატივს მის ემოციურ, სივრცობრივ და დროებით განზომილებებში?

ნარატივები, რომორს ზედაპირის ქვეშ არსებული თავსატეხები

სოციალურ და პოლიტიკურ ნარატივებს გავლენა აქვთ საჯარო აზრზე. სლოგანები ან გამოსვლები არის მხოლოდ ნარატივის გამოხატულებები, მისი ხილული ასპექტები ან „ნაწილები“. მაგალითად, ჰიტლერის წიგნი „ჩემი ბრძოლა“ არ არის ნაცისტობის სრული ნარატივი არამედ მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილი. სლოგანი ან წიგნი არის ის რისი მოსმენა ან ნაკითხვა შეიძლება.

სიკულვილის ენის მენიჯები

რას ვხედავთ და გვახსნი

რეაქტივები

რეაქტივების ქვეშ

ნარატივები

ნეგატიური სტერეოტიპები, სტრუქტურები, ნარატივები, რეაქტივები, ღირებულებები.

სოციალური სპიტივები და კონფლიქტები

ისინი გვართმევენ სამსახურებს! ჩვენი ქვეყანაა. შეაჩერეთ იმიგრაცია.

თქვენ ხართ #%^!^!

ლტოლვილებს არ მივიღებთ.

დაიწყეთ ბარგის ჩალაგება, დაბრუნდით იქ, საიდანაც მოხვედით!

ჩვენი ქვეყანა დაპყრობილია. ეს ემუქრება ჩვენს უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ კეთილდღეობას.

უცხოელები ზარმაცები არიან და მხოლოდ შემწეობაზე ცხოვრობენ. ისინი არ ინტეგრირდებიან

- უკან სვლა და გლობალური ეკონომიკური კრიზისი
- უმუშევრობა
- დანაშაული და დაუცველობა



სიძულვილის ენის მენიჯაბი: აისბერგის რჩევა

ნარატივები შესაძლოა არ იყოს ასეთი ცხადი, ვინაიდან ისინი ხშირად არ არიან ამკარად მოხსენიებულნი, მაგრამ ბუნდოვნად რჩებიან შეტყობინებებში. ანალიზისათვის ისინი უნდა იქნას გამოაშკარავებული და შემჩნეული. ისინი ხელოვნურად არ იწერება ერთი პირის ან ჯგუფის მიერ. ისინი ჩნდება ბევრი დებატებისა და დიდი პერიოდის განმავლობაში იდეების გაცვლის შედეგად. როგორც სიმფონიების დაკვრა შეუძლებელია მხოლოდ ერთი ინსტრუმენტით, ასევე ნარატივებიც არ არის მხოლოდ ერთი პირის ან ჯგუფის ქმედების პროდუქტი.

ისეთი ნარატივები, რომელიც აგებს ჩვენს სამყაროს აღქმას, როგორებიც არის ეროვნული ნარატივები, პოლიტიკური იდეოლოგიების ან რელიგიების ნარატივების არის მეტად კომპლექსური, მრავალფენოვანი და ღრმა, თუმცა მაინც მისი ანალიზი და გაგება არ არის შეუძლებელი. მიუხედავად ამისა „დიდი“ პოლიტიკური ნარატივები მტკიცდება დროში და ახლიდან ჩნდება სხვა გზებითა და კონტექსტებით, ძირითადი ელემენტები და განზომილებები მაინც რჩება იგივე, როგორც აღწერილია ზევით. ამასთანავე, ამ ნარატივების დეკონსტრუქცია არის შესაძლო ამ თავში და მეშვიდე თავში წარმოდგენილი ანალიზის ინსტრუმენტების მეშვეობით.

4.3 | ნარატივები. როგორც მოქმედებათა სუსულია (ორი მკაპლითი)



ნარატივები გვცხმარება, რომ განვსაზღვროთ ჩვენი გონების საზღვრები და „გვადღევს ორიენტირს იმის შესახებ თუ რა არის, რა შეიძლებოდა ყოფილიყო და რა უნდა იყოს“. ნარატივები აგრეთვე „განსაზღვრავს იმას, თუ რა არის ნორმალური და რა არის ლეგიტიმური, ისევე, როგორც იმის საზღვრებს თუ რა არის შესაძლებელი პოლიტიკურად“. მოკლედ, ნარატივები მტკიცედ უკავშირდება იმ ძალისხმევებს, რომელიც კვებას ან ცვლის სოციალური და პოლიტიკური ძალაუფლებათა სტრუქტურებს.

ნარატივებს შეუძლიათ, რომ შეიტანონ წვლილი პოლარიზაციის გაღრმავებაში და აგრეთვე აღძრას სიძულვილი საზოგადოებებში, როგორიც არის მაგალითში „ისინი იპარავნს ჩვენს სამსახურებს“. მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ნარატივებს აგრეთვე შეუძლიათ წვლილის შეტანა ადამიანის უფლებებისა და ემანსიპაციურ პროცესებში. მათ ამის გაკეთება შეუძლიათ „ჩვენ-ისინი“ აზრთა სხვადასხვაობის დინამიკის დარღვევით, რომელიც ბუნდოვნად ან აშარად გვიჩვენებს პოლიტიკურ არჩევანს, როგორც თამაშს ნულოვანი ანგარიშით და აგრეთვე ალტერნატიული ნარატივების გაძლიერებით.

პრობლემის გადასაჭრელად ალტერნატიულ ნარატივებს შეუძლიათ არა მხოლოდ ერთი გადაწყვეტილების, არამედ რამოდენიმე ვარიანტის შემოთავაზება და ამ გზით ისინი ეხმარებიან ნეგატიური სტერეოტიპების შეცვლას, დემოკრატიული ღირებულებებზე აპელირებითა და თანამშრომლობასა და დიალოგზე მონოღებით, როგორც პრობლემების გადაწყვეტის და მათის წარმოშობის გზას. ალტერნატიული ნარატივები დაფუძნებულია ადამიანის უფლებების პრინციპებზე და ღირებულებებზე, მეტი თავისუფლებისა და თანასწორობის ნახალისებით ან სხვა სიტყვებით, ინდივიდუალური და სოციალური ემანსიპატორული პროცესებით.

ემანსიპაცია არის მიმდინარე პროცესი და არა რეზულტატი, რომელიც შესაძლოა მიღწეულ ან დაუფლებულ იქნას. მაგალითად, ისეთი ისტორიული მიღწევები, როგორიც არის ხმის მიცემის უფლება, რომელიც მიენიჭა ყველა მამაკაცს ნამდვილად იყო ემანსიპაცია საზოგადოების ერთი ნაწილისათვის, მაგრამ ის არ შეხებია ქალებს, რომლებიც მოგვიანებით გახდნენ სხვადასხვა ემანსიპატორული მოძრაობის და ნარატივის მთავარი გმირები. ნარატივები არის გათავისუფლებისა საზოგადოებრივი განვითარების ისტორიული პროცესების ინსტრუმენტები.

ჩაგვრის/ ემანსიპაციის სტრუქტურულ და ნარატივის ელემენტს შორის ურთიერთობა და საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების უფრო ღრმად არის მოკვლევული მეხუთე თავში.



ნარატივები მნიშვნელოვანია არათანაბარი სოციალური და პოლიტიკური ძალაუფლების სტრუქტურების განსაზღვრის, გამყარების ან შეცვლისათვის, რაც კვებას და ლეგიტიმურს ხდის სიძულვილის ენასა და დისკრიმინაციისა და ექსტრემიზმის ყველა ფორმას.



„ისლამს თავს ესხმიან და ჩვენ უნდა დავიცვათ ის“

მის ყველაზე მარტივ ფორმაში, ეს ნარატივი გამოიყენება ისლამისტი ექსტრემისტული ჯგუფების მიერ, რათა წახალისონ ძალადობა და გაიწვიონ მებრძოლები, მაგალითად იმისათვის, რომ შეუერთდნენ ეგრეთ წოდებულ ისლამურ სახელმწიფოს. ნარატივი აქცენტს აკეთებს, როგორც ჯგუფურ აგრეთვე პერონალურ უკმაყოფილებაზე ორი პერსონაჟის შექმნით: „ჩვენ“, ვისაც თავს დაგვესხნენ და ვისი მარგინალიზაციაც მოხდა და „მათ“ მტერი, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. ნარატივის ვარიაცია არის: „თქვენს ყოფნას დასავლეთში არ მიესალმებიან, იმიტომ, რომ ხართ მუსლიმი და თქვენი ვალდებულებაა, რომ შეუერთდეთ ხალიფატს, რადგან ეს არის ერთადერთი გზა, რომ დაიცვათ ისლამი“. ეს ნარატივები განსაკუთრებით რეზონანსულია იმ ახალგაზრდა მუსლიმებს შორის, რომლებიც თავს მარგინალიზებულად და დისკრიმინირებულად გრძნობენ.

ნარატივების ორი მაგალითის უფრო დეტალური ანალიზი და დეკონსტრუქცია ქვემოთ არის მოცემული იმისათვის, რომ გავიგოთ თუ როგორ გამოიყენება სლოგანები, მეშეები ან ინფორმაციის სხვა შემცველი ნაწილები



„ისინი იპარაკენს ჩვენს საშუაობს“: მრავალპი ნარატივის ანალიზი

ოლის მიერ გამოცდილი სიძულვილის ენის ფუძემდებელი ნარატივი, შეჭამებული ფრაზაში „ისინი იპარაკენ ჩვენს საშუაობებს“ არის მრავალპი ნარატივის მაგალითი. ეს ნარატივი არის ძლიერი და მასთან შეჭახება რთულია მიუხედავად ბევრი კვლევის, რომელიც საპირისპიროს ამტკიცებს; ის ხშირად გამოიყენება რასისტული სიძულვილის ენის, სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების ან დისკრიმინაციული პოლიტიკების გასამართლებლად. თავად წინადადება არ არის ნარატივი: სიუჟეტის ფუძემდებელი რამოდენი ელემენტი ბუნდოვანია და ამასთანავე უნდა მოხდეს მისი გაშლა იმისათვის, რომ მოგვცეს დეკონსტრუქციის საშუალება.



პერსონაჟები

ფრაზა „ისინი იპარავენ ჩვენს სამსახურებს“ განსაზღვრავს ერთმანეთის საპირისპირო ორ ჯგუფს (პროტაგონისტი/ ანტაგონისტი) და უზრუნველყოფს იმ მოქმედებების გამართლებას, რომელიც „ბუნებრივად“ ისახავს მიზნად „პოზიტიურ“ დასკვნას: მათი დამარცხება, ვინც ახორციელებს დაპყრობას და იპარავს. ოლის შემთხვევაში, ის აღქმული იყო, როგორც საშიში ჯგუფის წევრი და ეს უბრალოდ ამართლებდა იმ მუქარას და დისკრიმინაციულ შეტეობინებებს, რომლითაც მას ეუბნებოდნენ, რომ დაეტოვებინა ქვეყანა. ეს ნარატივი გამოიყენებოდა პოლიტიკური ჯგუფების მიერ ანტისაიმიგრაციო და ანტიიმიგრანტული პოლიტიკების შემოსათავაზებლად, როგორც სიტუაციის გამოსწორების ერთადერთი გზა. ეს პოლიტიკები წარმოდგენილია, როგორც საუკეთესო გზა კეთილდღეობის ადრე არსებული სიტუაციის აღსადგენად. თუმცა, ამ სახის „ბედნიერი დასასრული“, იმ შემთხვევაშიც კი თუ გაუმკლავდება შიმის ლეგიტიმურ გრძნობებს და დამოკიდებულებებს მოსახლეობაში მაინც ვერ გაუმკლავდება ძალაუფლების სტრუქტურებს და არათანასწორობას, როგორც სინრაზისა და განკვეთის გამომწვევ მიზეზებს. ის აგრეთვე გამოიმუშავებს (ან იმეორებს) მჩაგვრელ სოციალურ სტრუქტურებსა და დინამიკას.

სტრუქტურა

როგორც ყველა სხვა ნარატივი, მჩაგვრელი ნარატივიც შედგება ტიპური 1-2-3 სტრუქტურისაგან: სანყისი სტატუსი, განხეთქილების მომენტი და გამოსავლის ძიება. თუმცა ამ შემთხვევაში განხეთქილება გამომწვეულია ნეგატიური თვისებების აღნიშნული აგენტის (ანტაგონისტის) მიერ. მართლაც, მთლიანი ნარატივი მოქცეულია „პრობლემა-მტერი-გადაწყვეტა“ ისტორიის ჩარჩოში და აქ არის ორი პერსონაჟი:

- პროტაგონისტი არის „ჩვენ“, ისინი(არაა განსაზღვრული) ვისი სამსახურებიც („ჩვენი სამსახურები“) წარმეულია
- ანტაგონისტი, ან მტერი არიან „მიგრანტები“ რომლებიც იწვევენ განხეთქილებას.

პრთიარყოფა

პროტაგონისტსა და ანტაგონისტს შორის ურთიერთობა არის აშკარად ნეგატიური ზმნის არჩევის მიხედვით (მოპარვა), რომელიც გამოიყენება ანტაგონისტის მოქმედებების განსასაზღვრად. დროებითი განზომილება განსაზღვრულია ნარატივის მიზნით: მამინ როდესაც ადრე სამსახურები ჰქონდათ პროტაგონისტებს და ახლა აღარ, მომავალში თუ „ჩვენ“ მიჰყვება ნარატივის ლოგიკას ჩვენ უკან დავიბრუნებთ სამსახურებს (რომლებიც ფსიქოლოგიური კუთხით წარმოადგენენ კეთილდღეობასა და სოციალურ სტატუსს).

ემოცია

ამ ნარატივში ყველაზე ძლიერი ნეგატიური გრძნობა არის შიში „ნეგატიური ემოცია, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება სხვებზე გავლენის მოსახდენად“, რომელიც იწვევს „კუთვნილების სურვილს“, ისევე, როგორც „მე და [რაც] ჩემია“ დაცვის საჭიროებას. სიტყვა „მოპარვა“ იწვევს შიშს; ეს კავშირი შესაძლებელი ხდება და კულტურულ ჩარჩოსა და გენერალურ კონტექსტში, სადაც არის ნარატივი, ისმის ლოგიკურად. კულტურული ჩარჩოთი შექმნილი „სადი აზრი“ ამბობს, რომ ერთ გარკვეულ ქვეყანაში არსებობს სამსახურების ფიქსირებული ოდენობა და თუ ვინმე მიიღებს ამ სამსახურს, სხვებისთვის ნაკლები რჩება;

ნარატივის ხილული ელემენტებიდან ერთ-ერთის კონტექსტი არის ეკონომიკური სიტუაციის ზოგადი გაუარესება. „სამსახური“ ამ შემთხვევაში არის მხოლოდ სიმბოლო: სხვადასხვა დროს ან ქვეყნებში ის შესაძლოა დაკავშირებული იყოს, დაქვემდებარებული იყოს ან მხარს უჭერდეს სხვა ელემენტებს, როგორც არის ჯანდაცვის სერვისები, კეთილდღეობა, პენსიები და ასე შემდეგ.

კონტექსტი

გლობალიზაციის ისეთი ნეგატიური ეფექტების შესახებ უკმაყოფილება, როგორც არის გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა და მუდმივი მიგრაციის დინების შესახებ ნარმოდგენები ქმნის სცენას უმრავლესობის ჯგუფის შიშისათვის, რომ დაკარგავენ რაღაცას, რასაც ფლობენ ნამდვილად არის კრიზისი თუ მხოლოდ აღქმის დონეზე. მოსახლეობაში არსებობს ფართოდ გავრცელებული ნარმოდგენა, რომ ერთ ქვეყანაში არის სამსახურების ფიქსირებული რაოდენობა და თუ ვინმე მიიღებს ერთს, სხვებისთვის ნაკლები დარჩება. ეს ნარმოდგენები დამატებითად გამოიყურება, თუმცა ისინი ზუსტად არ პასუხობენ იმ გზას, რითიც სამსახურების ბაზარი მოქმედებს .

ურთიერთგაპოპრიცხავი ღინაპიკა

შიში და საფრთხის შეგრძნება ხელს უწყობს პროტაგონისტის (ჩვენ) განსაზღვრას და მის ისტორიის ცენტრში ჩასმას (სივრცობრივი განზომილება) ამ შემთხვევაში მსხვერპლის სახით. თუმცა გრძნობის (შიშის ან უსამართლობის) ჭეშმარიტი გამოხატულება არის აღწერა ან პირადი დღიურის გვერდი: იმისათვის, რომ იმუშაოს, ნარატივი ყოველთვის უნდა ისმოდეს, როგორც ამბავი და მსხვერპლის ისტორია, რომელიც სჭირდება დამნაშავეს. სიუჟეტში მოცემული როლები უნდა იყოს ნათელი და „კონფლიქტი არის ყველაზე ძლიერი ფაქტორი, რომელიც შესაძლებელს ხდის ჯგუფისადმი მიკუთვნებას “. საფრთხით გამონვეული შიში აძლიერებს ჯგუფში კუთვნილებას და იმათ მიმართ, ვინც არ ეკუთვნის ჯგუფს. რაღაც მიზნით ჩამოყალიბებული ჯგუფის (ჩვენ) საზღვრები ნათლად არის დაწესებული დასაწყისიდანვე და დაფუძნებულია ეთნიკურ, რასობრივ ან დროებით საფუძვლებზე („ჩვენ პირველები ვიყავით აქ“). ამ ნარატივის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა გამორიცხვა: ამ ჯგუფის გარეთ მყოფი ხალხი გამოირიცხება ნარატივიდან პრინციპულად- ან „მიიღება“ მხოლოდ გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით (ყველამ შესაძლოა იპოვნოს ნაცნობი გამოხატულებები, როგორც არის „მათ შეუძლიათ დარჩნენ/ მივესალმებით, თუ...“).

მოქალაქაში მოყვანილი ნარატივი

გამრიყავი/ მჩაგვრელი ნარატივის ამოცნობა შესაძლებელია იმიტომ, რომ მთავარი ჯგუფი უმთავრდესად განისაზღვრება გარე ჯგუფის (ანტაგონისტი) წინააღმდეგ შეჭიბრის მეშვეობით: „სხვა“ პროტაგონისტის ისტორიაში ირგებს „მტრის“ როლსა და მისი პრობლემების გამო იქცევა განტევების ვაცად. მას შემდგომ, რაც როლები ნათელი ხდება შესაძლებელია ნარატივის მოძრაობაში მოყვანა . რეალობაში საფრთხის შეგრძნება იწვევს ცრურწმენებსა და ემოციურ რეაქციებს; ორივეს მიყავს პიროვნებებიც და ჯგუფებიც იქამდე, რომ შეცვალონ მათი პოლიტიკური ქცევები . მჩაგვრელ ნარატივს წვლილი შეაქვს პროტაგონისტების ვინაობის განსაზღვრაში, ნეგატიურად სთავაზობს მათ ურთიერთობას ანტაგონისტებს და შემდგომ



უმრუნველყოფის პოლიტიკური მოქმედებების გამართლება, რაც „ბუნებრივია“, რომ მიზნად ისახავს „პოზიტიურ“ დასასრულს: განხეთქილების გამომწვევი აგენტის დამარცხებას.



როდესაც ვიყენებთ სიტყვებს „პოზიტიური“ და „ნეგატიური“ მნიშვნელოვანია, რომ გვახსოვდეს განსხვავება პოლიტიკური კომუნიკაციის ფორმასა და შინაარს შორის: მესიჯები შესაძლოა პოზიტიურად იყოს შეფუთული, მაგრამ ამავდროულად ემყარებოდეს ნეგატიურ გრძნობებს. მაგალითად, „ტერორიზმი გვაშინებს ჩვენ, მაგრამ ჩვენ ვაპირებთ მის განადგურებას“ მოიცავს პოზიტიურ შედეგს (ჩვენ ვაპირებთ, რომ გავიმარჯვოთ), რომელიც გარკვეულია ნეგატიურ გრძნობაზე(შიში); მეორეს მხრივ, რომ ვთქვათ „მწვანე ენერჯის შეუძლია ჩვენი სამყაროს გადარჩენა გლობალური დათბობისაგან მხოლოდ მაშინ, თუ შევძლებთ მთავრობების დარწმუნებას“ გულისხმობს პოზიტიურ გრძნობას (იმედი) მაგრამ აგრეთვე შესაძლო უარყოფით შედეგს (ნარმატება არათუ სათუთა, არამედ მეტიც, ნაკლებად შესაძლებელი ჩანს).

„მიგრანტები იპარავენ ჩვენს სამსახურებს“ უკან მდგარი ქსენოფობიური ნარატივი ემყარება ნეგატიურ გრძნობას, მაგრამ შესაძლებელია იქნას გამოყენებული იმისათვის, რომ გააძლიეროს პარტიის ან კანდიდატის პოზიცია, ვინაიდან ისინი ასახავს მათ ისე, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ მიაღწიონ პოზიტიურ გამოსავალს („მიგრანტების იპარავენ ჩვენს სამსახურებს, მაგრამ მე მათ იქ გავუშვებ საიდანაც მოვიდნენ“). როდესაც მივდივართ გარკვეულ პოლიტიკურ პროცესებამდე რომელიც შემოთავაზებულია ამგვარი ნარატივით სპექტრი არის ძალიან ფართო. კვლევის თანახმად, მაგალითად „თანამედროვე რასისტი“, როგორც ასეთი, ღიად არ უპირისპირდება ეთნიკურ უმცირესობებს ან მიგრანტებს (რაც სოციალურად მიუღებელია რამოდენიმე ერის კულტურაში), არამედ უფრო უპირისპირდება სოციალურ პოლიტიკას, რომელიც გათვლილია იმისათვის, რომ გააუმჯობესოს უმცირესობებისა და მიგრანტების სოციალური მდგომარეობები .მთავარი არგუმენტია, რომ გარკვეულ პოლიტიკას უმრავლესობის დისკრიმინაცია შეუძლია. შემოთავაზებული პოლიტიკის (კანდიდატის, მოძრაობის, პარტიის მიერ და ა.შ) უკან არსებული ნარატივი ქმნის ამბის მნიშვნელობას და გვიჩვენებს გზას ამ ამბის დამაკმაყოფილებელის შედეგის მისაღწევად, როგორც ეს პროტაგონისტს უნდა. პოლიტიკური ნარატივების შემთხვევაში პოლიტიკა წარმოადგენს (ერთადერთ) დამაჯერებელ გზას, რომლის მეშვეობითაც მიღწეული იქნება კარგი დასასრული (და კანდიდატი, ან პარტია ან პოლიტიკის შემქმნელი არის ერთადერთი ქმედითი აქტორი იმისათვის, რომ განახორციელოს განსაზღვრული პოლიტიკა).ამასთანავე, მჩაგვრელი პოლიტიკური ნარატივების შემთხვევაში ეს დასასრული ბედნიერი შესაძლოა იყოს მხოლოდ უმრავლესობისათვის, რომლის პრივილეგიები რჩება ხელშეუხებელი და ძალაუფლების სტრუქტურა შეუცვლელი.



„ღიახ, ჩვენ შეგვიძლია“: ეპანისიკაჟისთან მიმართებით ნარატივის ანალიზი

ამჟამად, რომ ბარაკ ობამას მიმზიდველ სლოგანში „ღიახ, ჩვენ შეგვიძლია“ არ არის ნარატივი: არ არის სტრუქტურა, დროის განზომილება, არის მხოლოდ ერთი პერსონაჟი (ჩვენ) და ბუნდოვნად განმარტებული მოქმედება (შეგვიძლია). მაინც სლოგანს აქვს ერთადერთი(ხილული) კომპლექსის ზედაპირი და ძლიერი ნარატივი: აისბერგი, რომელიც ტივტივებს იმ ხაზს ქვემოთ, რომელიც ყოფს რა იყო ნათქვამი იმისაგან თუ რა იყო ბუნდოვანი.

ბარაკ ობამას „ღიახ, ჩვენ შეგვიძლია“ არ ჩნდება ვაკუუმში და არ იქნებოდა ასეთი წარმატებული ამჟ-ში უფრო ფართო კოლექტიურ ნარატივებთან ბუნდოვანი კავშირის გარეშე. კამპანიაში წარმოდგენილი იყო აფრო-ამერიკული სამოქალაქო

უფლებების მოძრაობის კოლექტიური განმათავისუფლებელი ნარატივი და აშშ-ს კონსტიტუციაში ყველასათვის თავისუფლების, თანაბარი მოპყრობისა და თანაბარი შესაძლებლობების საერთო იდეალები, დაკავშირებული ადამიანების უფლებების უნივერსალურობის მმართველ ნარატივთან.

ბარაკ ობამას 2008 წლის გამარჯვებული ნარატივის ქვემოთ მოცემული ანალიზი იწყება მისი კომუნიკაციის ხილული ელემენტებიდან რათა გვაჩვენოს, თუ რა სახის „ისტორია“ იმალება მის უკან. ნარატივის პირველი ხილული ელემენტი იყო მოქმედების საგანი: „ჩვენ“. მთლიანი 2008 წლის კამპანიის განმავლობაში, მის ყველა საჯარო გამოსვლაში საპრეზიდენტო კანდიდატი ბარაკ ობამა ყოველთვის და მხოლოდ ლაპარაკობდა ნაცვალსახელით „ჩვენ“ მაშინ, როდესაც სხვა კანდიდატები ხაზს უსვამდნენ ინდივიდუალურ დონეს („მე შემძლია“, „მე გავაკეთებ“). ობამას მესიჯი იყო აშკარად ინკლუზიური: მოიცავდა მის აუდიტორიას ამბის ნაწილად.

სივრცობრივ განზომილებაში „ჩვენ“ ნათლად ხდება მთავარი პერსონაჟი, პროტაგონისტი და აქვს მუსტი პოზიცია. ამავდროულად, ობამას რიტორიკა ირიბად ქმნიდა პოტენციურ (არც კი იყო აღნიშნული) ანტაგონისტს. ჯორჯ ლაკოფი, ნეგატიურ ჩარჩოებზე საუბრისას აღნიშნავს: „ჩარჩოს უარყოფა [...] მას უფრო ძლიერს ხდის. არსებობს ბუნდოვანი ნეგატივები, როგორიც არის: „მე გულწრფელი კანდიდატი ვარ ამ კამპანიაში“. სლოგანის ლოგიკაც იყო მსგავსი: „დიახ (ჩვენ შეგვიძლია“ ირიბად ქმნის კავშირს (ურთიერთობას) ანტაგონისტებთან, რომლებიც აცხადებენ, რომ ობამას (და ყველა მის მხარდამჭერს) „არ შეუძლია“.

ურთიერთობა პროტაგონისტსა და ანტაგონისტს შორის არის ნამდვილად დაძაბული, მაგრამ საზღვრები ორ ჯგუფს შორის არ არის ფიქსირებული ან მოცემული და არ წარმოადგენენ არცერთ კლასს, გენდერს ან ეთნიკურ დანაყოფს. უფრო მარტივად, მაშინ, როცა „ჩვენ“ გვჯერა, რომ „ჩვენ შეგვიძლია“ მოგივრთ სხვას არ სჯერა. რეალობაში, ობამას პოლიტიკური ოპონენტებიდან არავის არ გაუბედავს ამის გამოხატვა, რამაც ობამას ნარატივი დატოვა ისე, რომ პირდაპირ ჩართვა რთული იყო. კიდევ ერთხელ, ლაკოფის სიტყვებით: „შენ, როდესაც შენს პირად პოზიციებს განამტკიცებ და პოზიტიურად საუბრობ შენ ირიბად უთხრი ძირს ოპოზიციას [...] თუ მათ მოუნვეთ თქვენი პოზიციების უარყოფა ისინი დაგეხმარებიან, რომ გააძლიეროთ თქვენები.“

ირიბი დიალოგი „არა, შენ არ შეგიძლია“-ს ფრონტსა და „დიახ, ჩვენ შეგვიძლია“ პასუხს შორის აგებს ნარატივის სტრუქტურულ ელემენტსა და დროის განზომილებას: მაშინ როდესაც ვიღაც ფიქრობდა ან ამბობდა, რომ „არა, ეს შეუძლებელი იქნება“ „ჩვენ“ ვფიქრობთ და ვაცხადებთ რომ „დიახ, ჩვენ შეგვიძლია“. გარდა ამისა არსებობს ვერტიკალური კავშირი მიკრო, პერსონალურ დონესა და მაკრო, უფრო ფართო დონეს შორის, : ობამას წარმატებული ისტორია არის მაგალითი უმცირესობებისათვის (მისი მთავარი სამომხმე) და მის მიმართ რწმენა ნიშნავს მათი სოციალური გადარჩენის რწმენას (მნიშვნელობა). ემპათიური კავშირი კანდიდატთან ხასიათდებოდა იმედის პოზიტიური გრძნობით (ემოციური განზომილებები).

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასრულებს თავს გამომრიცხავი ინკლუზიური ნარატივის (ობამას „დიახ, ჩვენ შეგვიძლია“) და გამრიცხავი ნარატივის („ისინი იპარაკენ ჩვენს სამსახურებს“ განზომილებებისა და საკვანძო ელემენტების შეჯამებითა და დაპირისპირებით. ნარატივების ელემენტებისა და განზომილებების დაპირისპირება არის ანალიტიკური პროცესის პირველი, ფუნდამენტური ნაბიჯი.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ნარატივები იშვიათად არსებობს მათთვის მხოლოდ; უფრო მეტად, ისინი ძლიერად არიან დაკავშირებული (პოზიტიურად და ნეგატიურას) სხვა ნარატივებთან. ნარატივების ურთიერთობები და მათი როლი საზოგადოებაში მეტად დეტალურად არის მოყვანილი მეხუთე თავში.

ნარაივი	დაია, ჩვენ შეგვიძლია	ისინი იპარავენ ჩვენს სამსახურებს
მახასიათებლები	ინკლუზიური/არა-გამრიყავი, სპეციფიური	გამრიყავი, კოლექტიური
ელემენტები		
პერსონაჟები	“ჩვენ” (ირიბად აგრეთვე მოიცავს “მათ)	ისინი(მიგრანტები)- ჩვენ ადგილობრივები
ურთიერთობები	კონფლიქტური: ჩვენ გვჯერა, რომ შეგვიძლია → ვიღაცას სჯერა, რომ არ შეგვიძლია	ანტაგონისტური: მათ რაღაც მოგვკპარეს
კონტექსტი	აშშ-ს ოპტიმისტური პოლიტიკური კულტურა, აშშ-ს არჩევნები	ეკონომიკური კრიზისი, მიგრაციის ზრდა, მაღალი უმუშევრობის დონე
სტრუქტურა	<ol style="list-style-type: none"> (სტატუს ქვო): რაღაც შეუძლებელია (განხეთქილების მომენტი)ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს შესაძლებელია (დასასრული) ჩვენ აუცილებლად გავხდით ამას შესაძლებელს 	<ol style="list-style-type: none"> ჩვენ გვქონდა სამსახურები (ოქროს ხანა) მათ მოგვკპარეს სამსახურები ჩვენ დავიბრუნებთ სამსახურებს (დავბრუნდებით ოქროს ხანაში) თუ “ისინი” წავლენ
მნიშვნელობა	აშშ არის შესაძლებლობების ქვეყანა ბეჭითი მუშაობა და ოპტიმიზმი ყველაფერს შესაძლებელს ხდის. ობამას პირადი გადარჩენის ისტორია შესაძლოა მოედღაოდ იქცეს (მაკროდად მიკრომდგ	ვიღაც გვემუქრება ჩვენ. ოქროს ხანა წავიდა ან საფრთხეშია. “ჩვენ” შეგვიძლია ის უკან დავიბრუნოთ
განზომილებები		
სივრცობრივი	ყველას შეუძლია შემოუერთდეს “ჩვენ” და იყოს ამბის ნაწილი	მხოლოდ ისინი, ვინც ეკუთვნის თანამომრეეთა ჯგუფს არიან ამ ამბის შუაგულში. ეს ჯგუფი წყვეტს , თუ ვინ შეუერთდეთ (“მათ შეუძლიათ დარჩნენ, მაგრამ უნდა მიეჩვიონ ჩვენს წესებს”...)
დროებითი (დროის)	<p>მანამდე: ვიღაც ფიქრობს, რომ არ შეგვიძლია</p> <p>შემდგომ: ჩვენ დავამტკიცებთ, რომ შეგვიძლია</p>	<p>მანამდე: ჩვენ დავკარგეთ სამსახურები (როგორც კეთილდღეობის სიმბოლო)</p> <p>შემდგომ: ჩვენ მაშინვე დავიბრუნებთ მათ უკან, როდესაც პრობლემები გადაიჭრება (ან აღმოფხვრება)</p>
ემოცია	იმედი	შიში

თავის რაზიუმე ხუთ პუნქტად

- ადამიანები არ არიან სრულად რაციონალურები. ჩვენ ბუნებრივად ვხედავთ ჩვენს ცხოვრებას და გვესმის სამყარო ამბების პირობებში.
- ნაბოკოვი: “მეფე მოკვდა და შემდეგ დედოფალი მოკვდა” არის სიუჟეტი. “მეფე მოკვდა და შემდეგ დედოფალი მოკვდა გატეხილი გულის გამო”: ეს ნარატივია!
- პერსონაჟები, მათი ურთიერთობები, მოვლენების სტრუქტურა, კონტექსტი და ფინალური მნიშვნელობა / და შემდეგ დრო, სივრცე და ემოციები: ეს ნარატივია!
- ინკლუზიური ნარატივებში, არ არსებობს „ჩვენ“ „მათ“ წინააღმდეგ: ინდივიდებს და სოციალურ ნაწილებს შეუძლიათ თანაარსებობა და თანამშრომლობა.
- გამრიყავ ნარატივებში, „ისინი“ აუტანლები არიან „ჩვენთვის“ ამიტომ „ჩვენ“ გამოვრცხვავთ „მათ“, ვინაიდან თუ „ისინი გაიმარჯვებენ“ ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ წავაგებთ.

სქოლიო

- 1 ციტირებული: Atwan R. (2005), *Convergences: Themes, Texts and Images of Composition*. Bedford/St.Martin, New York
- 2 Gleik, J. (2011), *The Information: a History, a Theory, a Flood*. Random House, New York
- 3 Westen, D. (2011), What happened to Obama's passion? New York Times, ხელმისაწვდომი: www.nytimes.com/2011/08/07/opinion/sunday/what-happened-to-obamas-passion.html?_r=0, მოძიებული 2016 წლის 23 მაისს.
- 4 http://www.coe.int/t/dg4/eycb/Programme/livinglibrary_en.asp
- 5 <https://www.amnesty.org/en/latest/news/2016/05/look-refugees-in-the-eye/>
- 6 Briggs R. and Feve S. (2013), *Countering the Appeal of Extremism Online*. Institute of Strategic Dialogue, London.
- 7 In Vare (2000), *The State of Narrative Non-Fiction Writing*. Nieman Reports, ხელმისაწვდომი: <http://niemanreports.org/articles/the-state-of-narrative-nonfiction-writing>, მოძიებული 2016 წლის 23 აგვისტოს.
- 8 Westen, op. cit.
- 9 Shanahan, E.A., McBeth, M.K. and Hathaway, P.L. (2011), 'Narrative Policy Framework: The influence of Media Policy Narratives on Public Opinion', *Politics & Policy* 39 (3), 373-40.
- 10 See, for example, Jean-François Lyotard on grand narratives, Lyotard J. (1979), *La condition postmoderne: rapport sur le savoir*, Paris: Minuit.
- 11 Westen, op. cit.
- 12 Reinsborough, P. and Canning, D. (2012), *Beautiful Trouble*, ხელმისაწვდომი: <http://beautifultrouble.org/theory/narrative-power-analysis>, ხელმისაწვდომი 2016 წლის 27 აგვისტოს.
- 13 იხილეთ მაგალითად ჟან-ფრანსუა ლიოტა დიდი ნარატივების შესახებ, Lyotard J. (1979), *La condition postmoderne: rapport sur le savoir*, Paris:Minuit.
- 14 არსებობს შეთანხმება ეკონომისტებს შორის, რომ არ არსებობს ამ იდეის მხარდამჭერი მტკიცებულება; მაგალითად, იხილეთ, ტექსასის ტექნიკური უნივერსიტეტის ბენჯამინ პაუელის ან კალიფორნიის უნივერსიტეტის ჯონვანი პერის პუბლიკაციები.
- 15 Smith E. R. and Mackie, D.M. (2007), *Social Psychology*, Psychology Press, London.
- 16 იგივე
- 17 იგივე
- 18 Brown, R., Capozza, D. and Licciardello, O. (eds) (2007), *Immigrazione, acculturazione, modalità di contatto*, Franco Angeli, Milano.
- 19 Lakoff G. (2014), *In Politics, Progressives Need to Frame their Values*, ხელმისაწვდომი: <https://georgelakoff.com/2014/11/29/gerge-lakoff-in-politics-progressives-need-to-frame-their-values> მოძიებული 2016 25 ივნისს.
- 20 Rosenfel Halverson, E. (2008), 'From one woman to everyman. Reportability and credibility in publicly performed narratives', *Narrative Inquiry*.18 (1) 29–52

ოლი და ალექსანდრე სწავლობენ საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების შესახებ



ანუ ალტერნატიული ნარატივები არის ის ისტორიები, რომლებიც აჩვენებს, რომ ის ჯგუფები ისეთები არ არიან როგორადაც წარმოაჩენენ? რომ ისინი განსხვავებულები არიან?

მუსტად! საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივები არის სიძულვილის შემცველი ან ექსტრემისტული ნარატივების შეცვლისა და მოსპობის ინსტრუმენტები. ისინი ასე ააშკარავენ და ინვევენ ნეგატიურ სტერეოტიპებს, ძალადობრივი შეტყობინებების დისკრედიტაციით.

მაგალითად იუმორის ან სხვა მეთოდების გამოყენებით, რათა გვაჩვენოს, რომ რეალობის სხვა ინტერპრეტაციაც არსებობს.



შეგიძლიათ, რომ მაგალითები გვითხრათ?



როლებს გაცვლა იმისათვის, რომ იგრძნონ თუ როგორია იყო სიძულვილის ენის სამიზნე და თუ რამდენად სასაცილო შესაძლოა იყო ზოგიერთი სტერეოტიპი. ან ამბების მოფიქრება, სადაც პერსონაჟები განსხვავებულად იქცევიან იმისაგან, თუ როგორც იქცეოდნენ იმ ნარატივში, რომლის დისკრედიტაციაც გასურთ, მაგალითად მიგრანტები არა როგორც დამპყრობლენი ან ტერორისტები, არამედ უბრალოდ, როგორც ექთნები, მასწავლებლები ან მენარმეები.

ანუ ნარატივები იქნება ის ამბები, რომელიც აჩვენებს ამ ჯგუფებს, რომ აუცილებლად ასე არ არის? რომ ისინი განსხვავებულნი არიან?

მათ ბევრი ფორმის მიღება შეუძლიათ და შესაძლოა იყონ იმდენად ზოგადი ან ღრმა, რამდენადაც თქვენ ეს გინდათ. თქვენ არ გჭირდებათ, რომ ცნობილი იყოს. თქვენ თავადაც შეგიძლიათ საპირისპირო ნარატივის განვითარება!

საპირისპირო, ალტერნატიული ნარკოტიკების განვითარება

ეს თავი გვაცნობს საპირისპირო და ალტერნატიულ ნარკოტიკებს სიძულვილის ენასთან მიმართებით, რომლებიც ხაზს უსვამს მათ განვითარებასა და განხორციელებას ადამიანის უფლებათა გადმოსახედიდან. თავი ხსნის თუ როგორ შეიძლება საპირისპირო ნარკოტიკების გამოყენება ადამიანის უფლებების თემაზე მომუშავე სხვადასხვა საქმიანობებში, მათ შორის ადვოკატირებაში, ახალგზარდულ მუშაობაში და სამართლებრივ საქმიანობაში. ამავდროულად, კონტრასაპირისპირო ნარკოტიკები არ არის მხოლოდ ერთადერთი მეთოდი, არც საუკეთესო ყველა მდგომარეობისათვის. არსებობს სხვა მეთოდებიც და ინსტრუმენტებიც, რომელთა გამოყენებაც ალტერნატიულად ან სხვა საპირისპირო ნარკოტიკებთან კომბინაციაში შესაძლებელია.

5.1 | საპირისპირო და ალტერნატიული ნარკოტიკების გაცნობა

საპირისპირო-ნარკოტიკების და ალტერნატიული ნარკოტიკების მიზანია, რომ კონტექსტიდან გამომდინარე მიაღწიონ სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიამდე. საპირისპირო ნარკოტიკების მიზანია, რომ მიაღწიონ:

- ა) მათ ვინც შესაძლოა ან უკვე გამოხატავს სიმპტიას ექსტრემისტული შეხედულებებისადმი, რათა თავიდან იქნას არიდებული მათი შემდგომი ჩართულობა.
- ბ) მათ ვინც უკვე გამოირჩევა ექსტრემისტული შეხედულებებით, რათა მხარი დაუჭირონ მათ, რომ შეიცვალონ შეხედულებები და ქცევა.

ალტერნატიული ნარკოტიკები აძლიერებს პოზიტიურ, ინკლუზიურ და კონსტრუქციულ აზრებს და მიზნად ისახავს, რომ მიწვდეს მთლიან მოსახლეობას, მათ შორის სიძულვილის ენის გამაერცვლებელსაც, რომელთაც შეეძლება რომ გავცნონ ახალ ნარკოტიკს მთლიანობაში. სხვადასხვა სახის პასუხები საჭიროა სხვადასხვა ჯგუფებისათვის.

როდესაც ეკითხებოდნენ, თუ როგორ სცემდნენ პასუხს მჩაგვრელ ნარკოტიკებს, ზოგიერთმა მათგანს შესაძლოა ეთქვა: უბრალოდ არ ვცემდი პასუხს! ნარკოტიკისათვის „პასუხის გაცემა“ ნიშნავს ირიბად იმ ნარკოტიკის ჩარჩოს მიღებასა და გაძლიერებას, რომელიც ასაზრდოებს მჩაგვრელ ნარკოტიკს. ანუ რა არის უკეთესი სტრატეგია მჩაგვრელი ნარკოტიკის მოსაპოვად? ეს შესაძლოა უკვე ნაცნობად უღერდეს, მაგრამ იმისათვის, რომ დაუპირისპირდეთ ნარკოტიკს ამას სჭირდება... სხვა ნარკოტიკი, გამომწვევი ნარკოტიკი, ან საპირისპირო ნარკოტიკი და ახალი ნარკოტიკი .. მთლიანობაში ახალი ჩარჩო რეალობის აღსაქმელად.



კონტრსაპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების სიძულვილის ენას ებრძვიან იმ ძალადობრივი ნარატივების დისკრედიტაციითა და დეკონსტრუქციით, რომელიც ამართლებს მათ და წინა პლანზე სამყაროს არა გამომრიცხავი ხედვების წამოწევით, რომელიც დამყარებულია ადამიანის უფლებების ღირებულებებზე, როგორც არის, დიალბა, განსხვავებული პატივისცემა, თავისუფლება და თანასწორობა. ისინი ამას სხვადასხვა გზებით აკეთებენ. ზოგს მოჰყავს ფაქტები სხვადასხვა და სანდო წყაროებიდან, რათა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ნეგატიური არასწორი წარმოდგენები. თუმცა, კვლევებმა და პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ უბრალოდ მეტი ინფორმაციის ან ფაქტების ჩვენება არ არის ხშირად ეფექტური. საჭიროა, რომ ნარატივები დაუკავშირდეს ადამიანების წარმოდგენებს და მათ ცხოვრების კონტექსტს, რითაც შეიქმნება ახალი მნიშვნელობები და იქნება დაკავშირებული მათ ემოციებსა და საჭიროებებზე. ხშირად ამის გაკეთება შესაძლებელია იუმორისა და სატირის გამოყენებით, გარკვეულ საგანთან ადამიანების ემოციურ კავშირზე აპელირებით, სხვადასხვა ალქმების მქონე ადამიანებთან პირდაპირი პერსონალური სივრცეების ხელშეწყობით ან შესაძლებლობების შექმნით, რათა მთლიანობაში გამოვცადოთ განსხვავებული ალტერნატიული ნარატივი.



იუმორის გამოყენება

Neue Deutsche Medienmacher-მა გერმანიაში შეიმუშავა კამპანია: **A First Aid Kit Against Hate Speech** -პირველადი დახმარების კომპლექტი სიძულვილის ენის წინააღმდეგ. ვინაიდან მხოლოდ ფაქტები ხშირად არაა საკმარისი, მათ გადაწყვიტეს სიძულვილის ენის წინააღმდეგ ვიდუღებდა და სურათებში სატირისა და იუმორის გამოყენება (<https://no-hate-speech.de>)



პირადი სათქმელი და მოგონილი ახეხები

ფრანგი მწერლისა და ანთროპოლოგის დოუნია ბოუზარის ნოველები რეალურად აღწერს ახალგაზრდების რადიკალიზაციის პროცესს და მათ ყოველდღიურ ცხოვრებას მას შემდგომ, რაც ისინი შეუერთდებიან 'ISIS'-ს (ინგლისური აკრონიმი, გამოყენებული ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ დასასახელებლად). მიზანი არის იმ სტრატეგიების ჩვენება, რომელსაც იყენებენ დამქირავებლები და ჯიჰადისტი/ რადიკალური ისლამური ნარატივის დეკონსტრუქცია. ერთ-ერთი ამგვარი მაგალითი არის მისი 2015 წლის ნოველა: *La vie apres Daesh* (ინგლისურად: ცხოვრება აისისის შემდგომ).

ბოლო წლებში ტერმინი საპირისპირო ნარატივი ცნობადი გახდა სხვადასხვა არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის შედეგად, რომლებიც ექსტრემიზმს უპირისპირდებოდნენ. მაგალითად ეს ორგანიზაციებია: რადიკალიზაციის ცნობიერების ცენტრი, სტრატეგიული დიალოგის ინსტიტუტი და ჰედაია. თუმცა, საპირისპირო ნარატივები როგორც კვლევისა და სოციალური ცვლილების მეთოდს გამოიყენება რამოდენიმე სფეროში და ბევრი სხვადასხვა სახეობის ორგანიზაციების მიერ მაგვრელი ნარატივის სხვა ფორმებთან დაკავშირებით. კვლევა და პრაქტიკა მოდის განვითარების ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, პოლიტიკური მეცნიერების, განათლების, კულტურის და მედია შემსწავლელი სფეროებიდან. უფრო კონკრეტულად, 1990-იანების შემდეგ, ნარატივის ტექნიკები გამოიყენებოდა სოციალური მუშაკების, განმანათლებლების, ფსიქოლოგების, ჟურნალისტებისა და აქტივისტების მიერ იმ ჯგუფებთან სამუშაოდ ვინც იყვნენ ჩაგვრისა და ძალადობის სამიზნეები საპირისპირო ნარატივების მეშვეობით ადამიანებს და ჯგუფებს შეეძლოთ ახალი ალტერნატიული ნარატივების წარმოდგენა და განვითარება მათ ვინც ჩაგრაჯდა იმათ წი-



ნააღმდეგ. მაგალითად, ესენი იყო რასისა და ინტერრასობრივი ურთიერთობების, კოლონიალიზმის ისტორიისა და ზემოქმედების შესახებ, შესაძლებლობის, შეზღუდული შესაძლებლობების, გენდერული როლების, ეკოლოგიის, ძალადობისა და მშვიდობის ალტერნატიული ნარატივები .



ეს სახელმძღვანელო აგებულია წარსულის გამოცდილებებსა და საპირისპირო-ნარატივების გამოყენებაზე და ვითარებას აშკარა და ცენტრალურ ადამიანის უფლებათა სწავლების ჩარჩოს საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების განვითარებასა და განხორციელებაში, როგორც დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლის გზას.

5.2 | საპირისპირო თუ ალტერნატიული ნარატივები?

ნარატივები არის მოქნილი ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია სხვადასხვა მიზნებისათვის და განსხვავებული აქცენტებით. ხანდახან ისინი უპირისპირდება სხვა ნარატივს მეტად პირდაპირი გზით, როგორც არის მისი მოხსენიება და საპირისპირო არგუმენტების და ფაქტების შემოთავაზება და ხანდახან ისინი ცდილობენ, რომ მოსკონ სიძულვილის ენა ალტერნატიული ნარატივის მექანიზმით და განსხვავებული შეხედულების ხაზგასმით. პირველი სტრატეგია პასუხობს საპირისპირო ნარატივის სახელს; მეორე ალტერნატიულ ნარატივს.

ტერმინი „საპირისპირო-ნარატივი“ ხშირად გამოიყენება მოკლედ, განსაკუთრებით ექსტიმიზმის წინააღმდეგ მუშაობის ფარგლებში. ტერმინის „ალტერნატიული ნარატივები“ გამოყენება ხელს უწყობს სხვადასხვა მაგალითების მოყვანის მნიშვნელობას და ხაზგასმას იმას „რისთვის ვართ ჩვენ“. ამ ორ ტერმინს შორის განსხვავება ყველა შემთხვევაში ბუნდოვანია პრაქტიკაში, ვინაიდან საპირისპირო ნარატივი ვარაუდობს ან ირიბად უკავშირდება ალტერნატიულ ნარატივს. ამ სახელმძღვანელოში გამოყენებულია ორივე ტერმინი, თუმცა, ისინი იყენებენ მიდგომას, რომელიც დამყარებულია ორ ცენტრალურ აზრზე:

- ადამიანის უფლებები უნდა იყოს სიძულვილის ენის წინააღმდეგ მებრძოლი ნებისმიერი ნარატივის ფუნდამენტური საფუძველი
- ადამიანის უფლებებზე დამყარებული ნარატივები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ემანსიპატორულ სტრატეგიებზე მათთვის, რომლებიც არიან, როგორც სიძულვილის ენის მოქმედებების გამაგრებლები, ასევე სამიზნეები.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ აქცენტის არჩევანი (საპირისპირო და/ან ალტერნატიული) განსაზღვრულია გარკვეული გამოწვევებით, რომელსაც აქტივისტები, განმანათლებლები და ახალგაზრდული მუშაკები აწყდებიან ონლაინ და ოფლაინ სიძულვილის ენასთან დაპირისპირებისას- რა თქმა უნდა თავად „ორიგინალი“ ნარატივებით. ზოგიერთი საპირისპირო ნარატივი იყენებს პრაქტიკული ინსტრუმენტის სახით, იმისათვის, რომ უპასუხოს გარკვეულ მჩაგვრელ ნარატივს მათ საზოგადოებებში, სკოლებში, ქალაქებში ან ონლაინ სივრცეებში დროის გარკვეულ მომენტში. ამავდროულად, პოპულისტური, ნაციონალისტური, რასისტული და ჰომოფობიური ჯგუფებიდან მომდინარე საფრთხე ნაჭიროებს პირდაპირ პასუხს, სტრატეგიას, რომ გაუმკლავდეს სიძულვილის ენის გამოწვევ ძირითად მიზნებს, როგორც არის ნეგატიური სტერეოტიპები და უთანასწორობა და აგრე-

თვე ძალადობის ალტერნატიულ იდეების შემოთავაზებას. ამ სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია რამოდენიმე ვარიანტი და აქცენტი, მაგრამ საბოლოოდ კამპანიის განმსახორციელებლებმა დამოკიდებული, თუ რომელ მიდგომას, შეტყობინებასა თუ ტონს მიიჩნევენ და აირჩევენ ყველაზე სათანადოდ.



როგორ შეუძლია ოლის საპირისპირო-ნარატივის გამოყენება სიძულვილის ენასთან საზოგადოებად?

ოლი ფიქრობს, რომ შეუძლია იმ ქსენოფობიური ნარატივის დისკრედიტაცია, რომელიც საფუძველია მის მიერ მიღებული მუქარების. მას შეუძლია ახსნას, რომ როლონიელები არ წარმოადგენენ საფრთხეს საზოგადოებისათვის. მაგალითად, მას შეუძლია მოიხსიან როლონიური წარმომობის პოპულარული და ცნობილი მომღერალი რომ მონაწილეობა მიიღოს კამპანიაში. მას შეუძლია სპეციალური სემინარის ორგანიზება მის სკოლაში, სადაც წარმოადგენს ისტორიულ და არსებულ სოციო-ეკონომიკურ ფაქტებს და განსხვავებულ წარმოდგენებს იმიგრაციის საკითხებზე. მაგალითად: „ მარკადია არის ის ქვეყანა, სადაც ბევრმა საზოგადოებამ შეიტანა წვლილი მის კეთილდღეობაში. მათთან ერთად როლონიელებიც ცხოვრობენ ქვეყანაში ერთ საუკუნეზე მეტია და შექმნეს სამსახურები ბევრი მარკადიელისათვის. ეკონომიკური კრიზისის გამო როლონიელებს არ უნდათ მარკადიაში მიგრაცია“. თუმცა, ის დარწმუნებულია, რომ ზოგიერთმა მისმა თანაკლასელმა იცის ფაქტები, მაგრამ მაინც ავრძელებენ დაცინვას და შეტყობინებების გადაგზავნას. რა იქნება საპირისპირო ნარატივის გა-წვითარების ყველაზე ეფექტური გზა?

5.3 | საპირისპირო გზავნილები: საქარო სივრცის ოკუპაცია

საპირისპირო გზავნილები არის მოკლე და პირდაპირი რეაქცია სიძულვილის შემცველ შეტყობინებებზე. ისინი არის საპირისპირო ნარატივის ფორმა, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმისათვის რომ დაანგრის, მოახდინოს დისკრედიტაცია და განმარტოს ძალადობრივი, ექსტრემისტული შეტყობინებები. ისინი ხშირად გამოიყენება, როგორც ინსტრუმენტი სიძულვილის ენის მყარი გამოხატულებების დასაბლოკადად ან გამოსაწვევად. ქვემოთ მოცემული ორი სცენარი არის ყველაზე მეტად გავრცელებული იქ სადაც ამგვარი ინსტრუმენტი შესაძლოა ძალიან სასარგებლო იყოს:

- სიძულვილის აფეთქება , რომელიც მიზანში იღებს უმცირესობას, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ მოვლენებს (უმცირესობის დამცავი კანონის განხილვა, განსამღვრული ისტორიული თარიღები, სავარაუდოდ ამ უმცირესობის წევრების მიერ ჩადენილი დანაშაულები და ასე შემდეგ) რაც საჭიროებს სწრაფ რეაქციას.
- სიძულვილის ენის შემცველი ნარატივი, რომელიც ძლიერ პოზიციაზეა (პოლიტიკური ადგილმდებარეობიდან ან საზოგადოებაში კარგად ფესვგადგმული ცრურწმენიდან გამომდინარე) და რომლის აქტივისტებსა და მოძრაობებს უნდათ მათთვის გამოწვევის გაკეთება ან დასუსტება.

მოკლევადიანი საპირისპირო ნარატივის მთავარი ამოცანა არის საჯარო სივრცეების დაპყრობა იქნება ეს ონლაინ, მაგალითად მეშეების გავრცელებით, რომელიც დასცინის სიძულვილის შემცველ კონტენტს ან ოფლაინ „სიყვარულის ენის“ გამოხატულებებით, მათ შორის სიძულვილის ენის წაშლა გრაფიტის კედლებზე. აქტივისტებს, განმანათლებლებსა და ახალგაზრდული მუშაკებს ერთდროულად შეუძლიათ:



- აღკვეთონ სიძულვილის შემცველი ნარატივების ავტორიტეტი (და ამასთანავე მისანვდომობა) ან საზოგადოებაში სიძულვილის ენის გამავრცელებლები
- გამოკვეთონ ორგანიზებული მოძრაობების არსებობა მჩაგვრელი ნარატივის საპირისპიროდ.



სიძულვილის დამამგრეველი

ფინეთში სიძულვილის ენის წინააღმდეგ მოძრაობის კამპანიის „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ სიძულვილის დამამგრეველი კედელი ჰელსინკში (2013) არის აქტივობის მაგალითი, რომელმაც მოახდინა კედელზე სიმბოლოებითა და სიტყვებით გამოსატული რასისტული, ჰომოფობიური და ნეო-ნაციტური ნარატივის გარდასახვა. მან ეს გააკეთა იმავე ადგილის გამოყენების საშუალებით, სადაც დახატა ახალი სიმბოლოები და სიტყვები ორიგინალ ნახატებზე ან მათ გვერდზე. ახალი სიმბოლოები და სიტყვები გვთავაზობს განსხვავებულ ნარატივს სიყვარულისა და ადამიანის უფლებების მრავალფეროვნების პატივსაცემად (აქტივობის ვიდეოს ნახვა შესაძლებელია: <http://vimeo.com.72886961>).



საპირისპირო ენის მიღი თვითარგა

კამპანიამ „Get The Trolls Out“ თვითერზე შექმნა საპირისპირო- ენის მოკლე სახელმძღვანელო სასარგებლო რჩევებით იმის შესახებ, თუ როგორ ვუპასუხოთ შეტყობინებას, მაგალითად თქვენი შეტყობინებების ტონისა და სიტყვების არჩევა ან როგორ გამოვიყენოთ თვალსაჩინოებები და როგორ ვიყოთ დაცულები (www.stoppinghate.getthetrollsout.org)

5.4 | ალტერნატიული ნარატივები: მზა დამკვიდრებადი მჭარ-მეტყველების შესაცვლელად

ალტერნატიული ნარატივები არის ის მოქმედებები, რომელიც მიზნად ისახავს სიძულვილის ენის ნარატივების გაქრობას უფრო მეტად იმაზე კონცენტრირებით თუ „რისი მომხრეები“ ვართ ჩვენ ვიდრე რის „წინააღმდეგ“ ვართ. ალტერნატიულმა ნარატივებმა შესაძლოა პირდაპირი გამოწვევა არ გაუკეთოს ან მიმართოს ექსტრემიზმს, არამედ ამის ნაცვლად ეცადოს, რომ გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ დებატებზე ალტერნატიული შემოთავაზებების გაცემებით და სოციალურ საკითხებსა და პრობლემებზე ახალი გზების შემოთავაზებით და შედეგად შეცვალოს დისკუსიის ჩარჩო. მაგალითად, ოჯახების ნარატივის შეცვლა, რომელიც აღქმულია იერარქიული წყობის, რეპროდუქციამზე ორიენტირებული სისტემის სახით დანაწილებული გენდერული როლებით არის სტრატეგია შემუშავებული იმისათვის, რომ ძირი გამოუთხაროს ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გავრცელებული არგუმენტებს ჰომოფობიური ან ჰეტერო-ნორმატიული შეხედულებების გასამყარებლად.

ალტერნატიული ნარატივები იმდენად არ კონცენტრირდება ცალკეული მოვლენების რეაქციამზე რამდენადაც მუშაობს იმაზე, რომ ააგოს ალტერნატიული აზროვნება, რათა განამტკიცოს ის ცვლილება, რომლის განხორციელებაც მათ სურთ საზოგადოებაში. სხვა მნიშვნელოვანი მიზანი არის საჯარო სივრცის დაპყრობა საჯარო დისკურსში ალტერნატიული (შეთანხმებული და კონსტრუირებული) პოზიციის გაუღრებით.

საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივები თანაარსებობს: იმ აქტივისტებს, რომელთაც განზრახული აქვთ საზოგადოებაში ცვლილებების განხორციელება თანდათან საგანგებო მდგომარეობებზე რეაქციებიდან გადასვლა მოუწევთ უფრო ფართო ალტერნატივების განვითარებაზე, რომელიც გაამყარებს მათ მოქმედებებს;

ამავდროულად, გრძელვადიან პროცესში ჩართულ მოძრაობებს არ შეუძლიათ გარკვეულ გამონვევებზე, მოვლენებსა და აფეთქებებზე რეაგირების თავიდან არიდება.

	საპირისპირო ნარატივი	ალტერნატიული ნარატივი
როგორ?	მჩაგვრელ ნარატივთან პირდაპირი დაპირისპირება	საზოგადოების ალტერნატიული აღქმის შექმნაზე ორიენტირებული
რა?	იმ ავტორიტეტის და მითების აღკვეთა, რომელსაც ემყარება ჩაგვრა	“რისი მომხრეები ვართ ჩვენ (რის მხარეს ვართ ჩვენ)” შემოთავაზება, როგორც განსხვავებული პერსპექტივა, საიდანაც შევხედავთ საკითხს
სად და როდის?	მცირე მასშტაბიანი, დროის უფრო მოკლე პერიოდი	ფართო პროექტი, გრძელვადიანი
მაგალითად?	<ul style="list-style-type: none"> • საჯარო ინფორმაციის კამპანიის მეშვეობით საზოგადოებაში გარკვეული ჯგუფის შესახებ არსებული დისკრიმინაციული მითების დანგრევა • ყოფილი მოძულეების აღიარებები იმის შესახებ თუ რა უარყოფითი გავლენა ჰქონდა ექსტრემისტულ მოძრაობებს მათ ცხოვრებაზე • კედლის არსებულ რასისტულ კომენტარებზე ახალი ნახატების დახატვა, რომელიც პატივს სცემს მრავალფეროვნებას 	<ul style="list-style-type: none"> • ყველა განსხვავებული - ყველა თანასწორი - კამპანია, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის უფლებებს. • “სხვადასხვა რწმენის ახალგაზრდების დიალოგის” შეხვედრების ორგანიზება. • ლტოლვილების ცხოვრების შესახებ დოკუმენტური ფილმები, რომელიც მათ ასახავს, როგორც ადამიანებს და არა კრიმინალებს. • პოსტერების სერია, რომელიც გვიჩვენებს, რომ მამებსაც შეუძლიათ გავიდნენ შევლულბაში ბავშვის მოვლის გამო და მოუარონ თავის შვილებს (როლი, რომელიც ხშირად დედების მიერაა მორგებული

5.5 | ნარატივებისადმი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა

საპირისპირო ან ალტერნატიული ნარატივის მომზადებისას არსებითი საკითხია, რომ ადამიანის უფლებების ღირებულებები, პრინციპები და დამახასიათებელი თვისებები გარანტირებული იყო მოქმედებაში. მჩაგვრელ ნარატივთან ბრძოლა მისი გამრავლებით ან სხვა მჩაგვრელი ნარატივებით არ შეიძლება (ადამიანის უფლებების შესახებ მეტი ინფორმაციისათვის, რესურსების ან საკითხავებისათვის გთხოვთ ნაიკითხეთ კომპასი სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების სწავლებისთვის ახალგაზრდებთან ერთად განსაკუთრებით მეოთხე თავი: ადამიანის უფლებების გაგება).



WEDI ACTIVISTS – სიმულაციური მაგილის თამაში

ეს არის თამაში, რომელიც მონაწილეებს აცნობებს ადამიანის უფლებების ღირებულებებისა და პრინციპების და ციფრული მოქალაქეობის კონცეფციის შესახებ (<http://www.lebij.be/index.php/no-hate/>)



ის არ არის ინსტრუმენტი, არაქედ გზა, რომლითაც მას ვიყენებთ

აუცილებელი და არსებითი მნიშვნელობის არის საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების ადამიანის უფლებების პერსპექტივის ჩარჩოში ჩასმა. ყველა ის ნარატივი, როელიც უპირისპირდება გამომრიცხავ ან მჩაგვრელ ნარატივს არ არის ნამდვილად ადამიანის უფლებებზე დამყარებული. საშუალებები და შედეგები უნდა იყოს ადამიანის უფლებების შესაბამისი. გარდა ამისა, საჭიროა, რომ სტრატეგიები ცვლიდეს ან უპირისპირდებოდეს მჩაგვრელ ჩარჩოს, რომელიც საფუძვლად უდევს ნარატივის მისი გამრავლების გარეშე. მაგალითად, თუ ერთი ნარატივი ერთ ჯგუფს ასახავს, როგორც „ცუდს“ და მეორეს, როგორც „კარგს“ არ არის საკმარისი, რომ მოხდეს მხოლოდ შეჩერება ამ ჯგუფის ცუდად ნარმოჩენის, არამედ საჭიროა ამ ჯგუფებს შორის არსებული დიქტომიური და მეტოქეობრივი ჩარჩოს თავიდან არიდება. მოკლედ რომ ვთქვათ არა ინსტრუმენტის ბუნება, არამედ მისი გამოყენება ის, რაც იწვევს ცვლილებას.



მნიშვნელოვანია იმაში ვიყოთ დარწმუნებული, რომ შემუშავებული ან გამოყენებული საპირისპირო ნარატივი არის უსაფრთხოდ დაფუძნებული ადამიანის უფლებების პრინციპებზე. არსებობს სამი ძირითადი წესი, რომელსაც უნდა მივყვეთ იმისათვის ავადგომ ნარატივი ადამიანის უფლებების მხარდასაჭერად:

- 1- ის არ უნდა შეიცავდეს სიძულვილს, ძალადობას და დისკრიმინაციას.
- 2- იგი ხელს უნდა უწყობდეს ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებში თანასწორობის, პატივისცემისა და სოლიდარობის გავრცელებას
- 3- მან მხარი უნდა დაუჭიროს ყველა ადამიანის თანაბარი ღირსების გაგებას; მან უნდა ნაახალისოს კრიტიკული აზროვნება, სამართლიანი დიალოგი და სწორი ინფორმაცია.

არ მისცათ სიძულვილს საშუალება, რომ გადაადგილდეს განტევიების ვაცის მექანიზმის თავიდან არიდება



სიძულვილის სანიშნაობადგო ნარატივის პირველი, მთავარი წესი არის ის, რომ ის არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციის ან სიძულვილის არანაირ ფორმას და განსაკუთრებით მან არ უნდა გააძლიეროს სიძულვილის სქემები და განტევიების ვაცად ქცევა.



ერთი ნათელი მაგალითი არის ცნობილი სლოგანი „ ნუ გძულთ მიგრანტები, გძულდეთ ბანკირები“. მაშინ, როდესაც სლოგანის მიზანი არის საჯარო ყურადღების (სავარაუდო) გადატანა იმ ტვირთზე, რომ მიგრანტები გამოცდიან ეკონომიკური უთანასწორობას, სლოგანი ნათლად მოგვინოდებს სიძულვილით სავსე, დისკრიმინაციული ქმედებისაკენ ადამიანთა ჯგუფის მიმართ.

ბევრ სხვა შემთხვევაში, სიძულვილის ჩარჩოს გაძლიერება სწორედაც, რომ უნებლიედ გამოწვეული შედეგია.



ერთი მაგალითი არის გარკვეული სახის არგუმენტაცია, რომელიც დამყარებულია განზოგადებებზე: „ხალხმა არ უნდა დაადანაშაულოს ყველა მიგრანტი ტერორისტული თავდასხმებისათვის, ვინაიდან მიგრანტები მოდიან იმდენი განსხვავებული ქვეყნიდან, რომ მათი ერთ ყუთში მოთავსება უსარგებლოა“. მაშინ, როდესაც ამჟამად გამოსადეგია მოკლე ვადაში, ეს საპირისპირო არგუმენტი საფუძველში არ ურტყამს ფსიქოლოგიური განტევების ვაცის მექანიზმს და ყველაზე ხშირი შედეგი არის, რომ განისაზღვროს სიძულვილის სამიზნე უკეთ (და გაძლიერებული არგუმენტაციით): „თუ ეს არ არის ყველა მიგრანტი, უეჭველია, რომ იქნებიან მუსლიმი მიგრანტები“. ეს „სიძულვილის ბილიკები“ განსაკუთრებით იქნა აღმოჩენილი ევროპულ ქვეყნებში 2015 და 2016 წლების ტერორისტული თავდასხმების შემდგომ, სადაც სიძულვილის ენა კონცენტრირებული იყო მუსლიმ და მამაკაც მიგრანტებზე (ან ალქმული იყო ასე).



ადამიანი უფლებების კამპანიის განმახორციელებლებმა უნდა იცოდნენ, რომ ის საპირისპირო ნარატივები, რომელიც უმკლავდება სიძულვილის ეფექტებს, განსაკუთრებით კი ისინი, რომელიც კონცენტრირდება გარკვეული სამიზნიდან ყურადღების სხვაგან გადატანაზე არ უმკლავდება საფუძველში არსებულ გამოწვევ მიზეზებს და ნეგატიურ ემოციებს, შიშსა და სიძულვილს. თუ ნეგატიური ემოციები არ იქნა მთავარ საკითხად დაყენებული „სიძულვილის პალიტრა“ უბრალოდ გააგრძელებს სხვადასხვა ადამიანების მიზანში ამოღებას.

თანასწორობისა და კატივისციების წახალისება

ადამიანის უფლებებზე დამყარებული საპირისპირო ნარატივის აგების მეორე წესი არის ადამიანის ღირსების და ინდივიდებს და ჯგუფებს შორის სოლიდარობის ხელშეწყობა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე წესი უფრო ხილულად უღერს ვიდრე პირველი, ამ შემთხვევაში განზრახვებსა და ეფექტებს შორის თავისუფალი სივრცე შესაძლოა საკმაოდ ფართო იყოს.



ხშირად მიგრანტების წინააღმდეგ რასისტული ან ქსენოფობიური პოზიციები მართლდება ეკონომიკაზე დამყარებული არგუმენტაციით, როგორც არის „ჩვენ არ შეგვიძლია გავწვდეთ იმას, რომ გამოვკვებოთ ყველა“, „ჩვენ არ გვაქვს საკმარისი სამსახურები ან ფული მათთვის“ და „ისინი ამძიმებენ ჩვენს კეთილდღეობას“. ძალიან გავრცელებილი რეაქცია არის „შეშასხება“: მოცემული ნარატივის ფარგლებში ცალკეულ წინადადებებზე საპირისპირო ვამათი პერსპექტივის შეცვლის მცდელობის გარეშე. ამ შემთხვევაში ეს ნიშნავს იმავე ეკონომიკური, „რაციონალური“ და „ღირებულება-სარგებელის ბალანსის“ მიდგომის გამოყენებას. ამ საპირისპირო პოზიციის ფართოდ გავრცელებული და კარგი მაგალითებია:

„მიგრანტები შესაძლოა დაეხმარონ ევროპის დაბერებულ დემოგრაფიას“ ან „ისინი ასრულებენ იმ სამუშაოს, რისი შესრულებაც აღარ უნდათ ევროპელებს. ამ სახის არგუმენტაციაში პრობლემა არის ორგვარი. ისინი შესაძლოა იყოს ძალიან არაეფექტური, ვინაიდან გამოყენებული არგუმენტებისაგან დამოუკიდებლად პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიდრეკილია იმისაკენ, რომ იყოს დამყარებული ღირებულებებსა და რწმენებზე და არამხოლოდ ინტერესზე. უფრო ცუდიც, ეს სავარაუდო საპირისპირო ნარატივი არის რეალურად დაფუძნებული იმავე მჩაგვრელ ჩარჩოზე, რომელზეც არის მისი ქსენოფობიური კოლეგა. რეალობაში ხალხის მხოლოდ ეკონომიკური პერსპექტივიდან განხილვა უარყოფს ხალხის ფუნდამენტურ ღირსებას, რო-



მელმეც არის ადამიანის უფლებები დამყარებული და აქცევს მიგრაციის საკითხებს ან პრობლემად ან გადაწყვეტად მიუხედავად მიგრანტების ინდივიდუალური თუ კოლექტიური საჭიროებების და უფლებებისა.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხალხის შემფოთება მომავალზე და ეკონომიკური კეთილდღეობის დაკარგვის შიში არ უნდა იქნას გადაჭრილი. იმავდროულად, გასაგები შემფოთება ან შიში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომრიცხავი და მტკიცეული ნარატივების გამრავლების და გაძლიერების გასამართლებლად. რეალურად, ადამიანის უფლებებზე დამყარებული საპირისპირო-ნარატივი ნა-მდვილი სამიზნე უნდა იყოს მუსტად ეს გრძობები და არა ცალკეული ეკონომიკაზე დაფუძნებული განცხადებები, რომელიც მშრალად წარმოადგენს ძირში არსებული უკონტროლო ემოციების ფასადს. სამწუხაროდ, საპირისპირო ნარატივის ჩართვა მხოლოდ რაციონალურ ზედპირულ სამყაროსთან მეტად ამტკიცებს მჩაგვრელი სისტემის ნარატიულ საკანს.

ალტერნატივის შენახა: საქარო დეხატიხ გუჰჰოხეხეა

საბოლოოდ, ადამიანის უფლებებზე დამყარებული ნარატივების მთავარი მიზანი არის საზოგადოებაში აზროვნებისა და ცხოვრების ალტერნატიული გზების აშენება იმისათვის, რომ დაუპირისპირდეთ მინისტრიმულ საქარო დისკურსს.

სწორედ მინისტრიმულ ნარატივებია ის, რაც აწესებს წესებს იმისათვის თუ რა არის სოციალურად მისაღები და კულტურულად შესაძლებელი, მოკლედ, ისინი გავლენას ახდენს თითოეული პირი და ჯგუფის როლსა და პოზიციაზე საზოგადოებაში. მაშინ როდესაც მჩაგვრელი ნარატივები ყვება ისტორიებს, სადაც უმცირესობებს არ აქვთ წვდომა გარკვეულ უფლებებზე ან არ შეუძლიათ დაიკავონ გარკვეული თანამდებობები, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ის ნარატივები, რომლებიც უპირისპირდება მათ მიზნად უნდა ისახავდეს ალტერნატიული პერსპექტივების შენებას, გამტკიცებასა და ხელშეწყობას. პატერსონი და მონრო ამას ნათლად განმარტავენ: „როდესაც კულტურულად მიღებული წარმატების ნარატივები არ არის ხელმისაწვდომი ან წარმოუდგენელიც კი გარკვეული ჯგუფისათვის, სუბკულტურების უზრუნველყოფენ ალტერნატიულ გზებს, რომ ვიდაცის ადგილს სამყაროში შესძინონ მნიშვნელობა“.

მჩაგვრელ ნარატივთან დაპირისპირებისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანის უფლებებზე დამყარებული საპირისპირო-ნარატივის საბოლოო ამოცანა არ არის საქარო დისკურსით მანიპულირება ან უბრალოდ არსებული ნარატივის სხვა ნარატივით ჩანაცვლება. განმანათლებლებმა, აქტივისტებმა და ახალგაზრდულმა მუშაკებმა ერთად უნდა იღვანონ იმისათვის, რომ დაიპყრონ სივრცე არასწორი ალტერნატივებით, იმისათვის, რომ გამოასწორონ დილოგი საზოგადოების სხვადასხვა სექტორებს, ან ჯგუფებს შორის, რათა დაუპირისპირდნენ აბსოლუტურ ან ტოტალიტარულ პოლიტიკურ ნარატივებს და რათა მხარში დაუდგნენ უნივერსალური ადამიანის უფლებების კულტურას.

ყველა ნარატივი ირჩევს გარკვეულ მოვლენებს ან პერსონაჟებს და გამორიცხავს სხვებს. მჩაგვრელი ნარატივები უკლუვებელყოფს საზოგადოების ფართო სექტორს. მეორეს მხრივ, ალტერნატიული ნარატივები, რომელთა მიზანიც არის საქარო დისკურსის და საზოგადოებაში დილოგის გამდიდრება ამას აკეთებს საქარო არენაზე მეტი მოვლენების, მეტი პერსონაჟების, მეტი პერსპექტივებისა და მეტი მონაცემების ჩართვით. საბოლოო მიზანი იქნება ხალხის კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა.



კრიტიკულ აზროვნებაში ჩართვა ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, ადამიანებს, შეგვიძლია ავსახოთ, გადავწყვიტოთ, დავუპირისპირდეთ და გავლენა მოვახდინოთ სოციალურ ნორმებსა და რწმენებზე. კრიტიკული აზროვნება ადამიანებს აძლევს საშუალებას, რომ ჩაერთონ მჩაგვრელი ნარატივებისაგან „განმათავისუფლებელ პროცესში“, ისევე, როგორც ამავდროულად აძლევს ადამიანებს საშუალებას რომ ახლიდან აავონ ახალ ალტერნატიული ნარატივები. ამ თვალსაზრისით, კრიტიკული აზროვნება არის მერყად ძლიერი და თანმიმდევრული მაშინ, როდესაც სხვადასხვა და მრავალი ხმა არის ჩართული.



როგორ არის შესაძლებელი, რომ ოლის ნარატივი იყოს დამყარებული ადამიანის უფლებების ნარატივზე?

ოლი არის გულნატკენი და სევდიანი, მაგრამ მას არ სურს შურისძიება. მას არ სურს, რომ სხვა ვინმემ გაიაროს ის საშინელი გამოცდილება, რაც მან გაიარა. მას უნდა რომ ყველა მიხვდეს, რომ მხოლოდ ერთმანეთის პატივისცემით არის შესაძლებელი მშვიდობიანი თანაარსებობა. მეგობრების ჯგუფთან ერთად ის აფუძნებს მის მოქმედებებს იმ აზრზე, რომ ყველა ადამიანი არის თანაბარი და არ არის საჭირო იგივე აგრესიული მეთოდების გამოყენება იმისათვის, რომ მათი იდეები მასშტაბური გახდეს. საჭიროა, რომ მათი მოქმედებები ასახავდეს სხვების აზრების და განსხვავებულობის პატივისცემაზე დამყარებულ ადამიანის უფლებებს

5.6 | ნარატივები, როგორც ერთ-ერთი ინსტრუმენტი ხელსაწყოთა ყუთში

ლურსმნების ჩაჭაღება

პოპულარულ „კანონის ინსტრუმენტის“ მიხედვით ის თუ როგორ უყურებენ ადამიანები პრობლემებს ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ინსტრუმენტი უჭირავთ მათ ხელებში. მასლოუს ფრაზით : „თუ ერთადერთი, რაც გაქვთ არის ჩაქუჩი მაშინ ყველაფერი ლურსმანს ჰგავს“. პრაქტიკული ეფექტი არის ის, რომ თითოეული სიტუაციის სწორად შეფასება და ამასთავე მასთან გასამკლავებლად ყველაზე სათანადო ინსტრუმენტის არჩევა ხანდახან უკიდურესად რთულია.



მიუხედავად იმისა, რომ საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივები შესაძლოა გამოყენებულ იქნას ადამიანის უფლებების სამუშაოს სხვადასხვა სახეობებში, მათ შორის ადვოკატურა, ახალგაზრდების მუშაობა და კანონიერი მოქმედებები, ისინი არ არის ერთადერთი ან საუკეთესო მეთოდი ყველა სიტუაციისათვის. არსებობს სხვა მეთოდები და ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება სიძულვილის ენასთან საბრძოლველად, რომელთა გამოყენებაც ალტერნატიულად ან საპირისპირო ნარატივებთან კომბინაციაში არის შესაძლებელი.



განმანათლებლებმა, აქტივისტებმა და ახალგაზრდულმა მუშაკებმა ნარატივების შესახებ არ უნდა იფიქრონ, როგორც მხოლოდ ადამიანის უფლებების ხელშეწყობის ოპტიმალური ინსტრუმენტის შესახებ. მათ მოთიანი ხელსაწყობა ყუთი აქვთ განკარგულებაში! ხშირად, ერთმა სტრატეგიამ შესაძლოა გამოიყენოს ხელსაწყობა კომბინაცია, სადაც ნარატივები არის ცენტრალური ინსტრუმენტი ან უბრალოდ მეტად ირიბ ფასეულობებზე დამყარებული ჩარჩოს სახით. ამრიგად, ისტორიის ერთი მხარე არის ყველა ამ შემთხვევებზე კონცენტრირება, სადაც ნარატივები არის გამოსადეგი, როგორც სტრატეგიის მთავარი ინსტრუმენტი. მეორე არის ყველა იმ საქმის ხაზგასმა, სადან ნარატივები შესაძლოა არ იყოს მთავარი ინსტრუმენტი.

მოკლედ რომ ვთქვათ, ნარატივები ხელს უწყობს ინტერვენციას საჯარო დისკურსში, ეროვნულ, რეგიონალურ ან ადგილობრივ დონეზე, სამსახურში ან ოჯახში, ვირტუალურ სივრცეში თუ მის გარეთ. ვინაიდან „ადამიანების დარწმუნებისას ხშირად მთავარი დაბრკოლება არის არა ის თუ რაც მათ ჯერ არ იციან, არამედ ის, რაც მათ უკვე იციან“, საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივები გვთავაზობს განსხვავებულ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც შეგვიძლია გავიგოთ თუ რა პრობლემებს ეჩეხება საზოგადოება, რომელსაც შედეგად მივყარავთ იქამდე, რომ ვეძებთ სხვა გამოსავალს. სიძულვილის და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისას ნარატივები არის სასარგებლო:

- სიძულვილის შემცველი და ძალადობრივი ნარატივების, სოციალური სტრუქტურების და პოლიტიკური ინსტიტუციების დაბლოკვის, დასუსტების ან აღკვეთისთვის.
- ინფორმაციის და ცოდნის სხვადასხვა გზებით ორგანიზების, ჩამოყალიბებისა და გავრცელებისათვის და ამრიგად მენისტრიმული გამომრიცხავი პოლიტიკური ჩარჩოსადმი დაპირისპირებისათვის
- გარკვეული კანონმდებლობების, ინკლუზიური პოლიტიკებისა და სოციალური განვითარებების გარშემო კონსენსუსის გაზრდისათვის.

ნარატივები არანაირი საშუალებით არ არის ჩამანაცვლებელი:

პოლიტიკური მონაწილეობის

ხშირად საზოგადოებაში გამორიცხვის ფესვების აღმოჩენა შეიძლება ინსტიტუციურ დისკრიმინაციაში, უფლებებზე არათანაბარ წვდომაში ან ადამიანის უფლებების კანონმდებლობის აღსრულების სიმცირეში. მოქალაქეებს, აქტივისტებსა და მოძრაობებს შეუძლიათ გავლენის მოხდენა პოლიტიკურ ნიადაგზე მათ ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო სივრცეებში აქტიური მონაწილეობით. მაგალითად ამის გაცემა შესაძლებელია ახალი კანონმდებლობის დაცვით, რომლის მიზანიც ან არის უმცირესობებისა და უმრავლესობების უფლებების თანასწორობა ან ანტიძალადობრივი კანონების გამკაცრება ან მეტად კონცენტრირება სოციალურ პოლიტიკებზე. ნებისმიერი სიტუაციაში, ძლიერ ნარატივს შეუძლია ხელი შეუწყოს სოციალური კონსენსუსის მრდას, რაც საჭიროა პოლიტიკის შემქმნელებზე გავლენის მოსახდენად, უზრუნველყოს გაუმჯობესებული კანონმდებლობის შესრულება და კონფლიქტების კონსტრუქციული ტრანსფორმაციის მხარდაჭერა.



ევროპული ქსელი რასიზმის წინააღმდეგ (ENAR)

ENAR არის პან-ევროპული ანტირასისტული ქსელი, რომელიც აერთიანებს რასობრივი თანასწორობის დაცვას და ხელს უწყობს თანამშრომლობას ევროპაში სამოქალაქო საზოგადოების ანტირასისტულ აქტორებს შორის (<http://www.enar-eu.org/>).

სამართლებრივი ქმედება

რამოდენიმე ქვეყანაში სიძულვილის ენა და სიძულვილით გამოწვეული დანაშაულები არის კანონით დასჯადი. ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების დაცვა არის თანამედროვე კანონის უზენაესობის საფუძველში და უმცირესობებს უნდა ჰქონდეთ გარანტირებული დაცვა სიძულვილისაგან გამომწვეული დანაშაულებისაგან. გარდა ამისა, სამართლებრივი ქმედება შესაძლოა, რომ იყო ძლიერი შემაკავებელი ფაქტორი ძალადობრივი ჯგუფებისა და ინდივიდებისათვის. კარგად მიზანმიმართულმა საპირისპირო ნარატივებმა შესაძლოა ხელი შეუწყონ სამართლებრივქმედებებს სიძულვილით მოქმედი ჯგუფებისა და ინდივიდების სოციალური შესაბამისობის და მხარდაჭერის ძირგამოთხრით, რომელიც გამოიწვევს სამართალდამცველთა სისტემატიურ ჩართულობას და მსხვერპლების და მონმეების ნახალისებას, რომ მოყვნენ ამის შესახებ.



სამართლებრივი რჩევა

ჩეხეთის რესპუბლიკაში Safer Internet Centre-ის ინტერნეტ დახმარების ხაზის მეშვეობით სამართლებრივ რჩევას აძლევენ იმ ადამიანებს, ვინც იყვენ სიძულვილის ენის სამიზნეები, მათ შორის ეხმარებიან საჩივრის შეტანაშიც. ჩეხეთის რესპუბლიკაში სიძულვილის ენა არ არის სისხლის სამართლის დანაშაული, მაგრამ მსხვერპლებს მაინც ამხნევენ, რომ განაცხადონ ამის შესახებ პოლიციაში. მძიმე სიძულვილის ენა, განსაკუთრებით ცილისწამების შემთხვევაში (ცრუ ინფორმაციის გავრცელება გარკვეული პირის შესახებ, რამაც შესაძლოა მიაყენოს მას ფსიქოლოგიური ზიანი) ხშირად განიხილება პოლიციის მიერ.

ახალგაზრდული მუშაობა და ადამიანის უფლებების და სწავლება

საზოგადოებაში ან თემში მათ წევრებს არ აქვთ წვდომა ადამიანის უფლებებს პრინციპებისა და ღირებულებების შესახებ ხარისხიან განათლებაზე და კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის პოზიტიურ მაგალითებზე. ახალგაზრდული მუშაობა, როდესაც ეს დამყარებულია მოქალაქეობასა და ადამიანის უფლებების სწავლებაზე არის ქვაკუთხედი არაფორმალური განათლებისა. ალტერნატიულ ნარატივებს შეუძლიათ ახალგაზრდული მუშაულების აქტივობაში დახმარების განევა ახალგაზრდა პირების ხელშეწყობით, რომ იპოვონ თავისი ადგილები და როლები, როგორც საზოგადოებაში ცვლილების შემტანმა აგენტებმა.



ახალგაზრდული საქმიანობა - ფლანდრია, ბელგია

ლოტოვილითა ცენტრებში ორგანიზებული იქნა ახალგაზრდული საქმიანობის ინიციატივები, სადაც ჩაერთნენ ახალგაზრდული მუშაკები და მოხალისეები ბელიგიდან შაბათ-კვირას სამუშაოდ. აქტივობები შედგებოდა ვორქშოფების, სპორტისა და თეატრის სერებისგან



- როგორ შეუძლია საპირისპირო/ალტერნატიული ნარატივის ხედვას ან კამპანიას თქვენი სამუშაოს გაძლიერება ან ინტეგრირება მასში?





სხვა რა ინსტრუმენტების გამოყენება შეუძლია ოლის საპირისპირო ნარატივთან ერთად?

ოლიმ მუქარის შესახებ განაცხადა პოლიციაში და გაააქტიურა საჩივრის მექანიზმები იმ სოციალურ მედია პლატფორმებზე, სადაც მას მიუვიდა სიძულვილით სავსე შეტყობინებები. სარას ორგანიზაცია ჩართულია მსხვერპლების პოლიტიკურ დაცვასა და იურიდიულ მხარდაჭერაში. მისი ჯგუფი ასევე მუშაობს მათ სკოლაში ადამიანის უფლებების სწავლების აქტივობების გასაძლიერებლად და ადგილობრივ ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან ერთად აწყობს აქტივობებს არაფორმალური განათლების გამოყენებით.

თავის შაჯახა ხუთ კუნძად

- მჩაგვრელი ნარატივი და ძალაუფლება: ისინი ერთად დგანან, ერთად ეცემიან!
- ნარატივი არის სუსტი ადგილი: დაარტყი იქ და ძალაუფლების სტრუქტურა ინგრევა.
- არ უპასუხოთ მჩაგვრელ ნარატივებს: შეუძლებელია მჩაგვრელი ნარატივის დანგრევა მისი პირადი ჩარხის გამოყენებით! შესთავაზეთ ახალი ჩარჩოები!
- საპირისპირო ნარატივები ანგრევს და არალეგიტიმურს ხდის მეორე ნარატივს; ალტერნატიული ნარატივები გვთავაზობს განსხვავებულ შეხედულებას ან ინტერპრეტაციას ერთობლიობაში, მეტად ხაზგასმით იმაზე “რისი მომხრეები ვართ ჩვენ” ვიდრე „რის წინააღმდეგ ვართ ჩვენ”.
- გაითვალისწინეთ: „თუ ერთადერთი, რაც გაგაჩნიათ არის ჩაქუჩი, ყველაფერი ჰგავს ლურსმანს“. ნარატივები არის ხელსაწყოთა ყუთიდან მხოლოდ ერთი ინსტრუმენტი! პოლიტიკური მოქმედება, სამართლებრივი დაცვა, ახალგაზრდული საქმიანობა და არაფორმალური განათლება არის ხელსაწყოთა ყუთის შემადგენელი ნაწილი.

სქოლიო

1. მაგალითად: Glenn, W.J. (2012), Develooping Understandings of Race: Preservice Teachers’ Counter-Narrative (Re) Constructions of People of Color in Young Adult Literature’, English Education, 44 (4): 326-353; Harter, L.M. et al, (2006), ‘Freedom Through Flight: Performing a Counter-Narrative of Disability’ Journal of Applied Communication Research (34) 1; Bamberg, M. (2004), ‘Considering counter narratives’, in Bamberg M. and Andrews, M. (eds), Considering Counter Narratives: Narrating, resisting, making sense (გვერდები 351-371). John Benjamins, Amsterdam.
2. Bouzar, Sonia (2015) La vie apres Daesh, Ivry-surSeine, Editions de l’Atelier/Editions Ouvrieres.
3. Briggs R. and Feve S. (2013), Countering the Appeal of Extremism Online. Institute of Strategic Dialogue, London.
4. Lakoff G. (2014), In Politics, Progressives Need to Frame their Values, ხელმისაწვდომი: <https://georgelakoff.com/2014/11/29/george-lakoff-in-politics-progressives-need-to-frame-their-values>, მოძიებული 2016 წლის 25 ივნისს.
5. Patterson, M. and Monroe, K.R. (1998), Narrative in Political Science, Annual Review of Political Science 1: 315-331.
6. Maslow, A.H. (1966), The Psychology of Science: A Reconnaissance. Harper and Row, New York.
7. Reinsborough, P. and Canning, D. (2012), Beautiful Trouble, ხელმისაწვდომი: <http://beautifultrouble.org/theory/narrative-power-analysis>, მოძიებული 2016 წლის 27 აგვისტოს.
8. <http://blog.nohatespeechmovement.org/worldplayers-youthwork-without-borders-2/>

ოლი და მისი მეგობრები ღონისძიებისთვის ემზადებიან



-აბა, გინდა შენს სკოლაში ვამპანიის დანყება? მაგალითად, მისი სოციალური პლატფორმების ჯგუფების მეშვეობით?

-დიახ, ჩვენ ძალიან მოტივირებული ვართ სამისოდ. უბრალოდ, ცოტათი მეშინია, რომ გამიბრაზდნენ და უფრო მეტად გააგრძელონ ამის კეთება?

-გასაგებია, მაგრამ აჯობებს, მართომ არ იმოქმედო. ეს იქნება არა ოლის და ალეს ღონისძიებები, არამედ ჯგუფის.

-ჩვენ გვინდა რაიმეს გაკეთება, მაგრამ დარწმუნებული არ ვართ როგორ გავაკეთოთ, საიდან დავიწყოთ...



-მართალია, მოსათქმრებლად და მოსამზადებლად დრო არის საჭირო, მაგრამ მთავარია დანყება. მე და თქვენს მასწავლებლებს შეგვიძლია დავგებმართო. შენ ასევე თქვი, რომ ჰიმს ადრეც მოუწყვია ვამპანიები, ხომ?

-დიახ, შემდეგ შეხვედრამე მოვა.

-მშენიერი. მე გადმოგიგზავნით სახელმძღვანელო „ბუქმარქსის“ ასლს და ახალ სახელმძღვანელოს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შექმნათ საპირისპირო ნარატივი.




მოგზაება მოქმედებისთვის

სიძულვილის ენის ალტერნატიული და საპირისპირო ნარატივები ხელს უწყობს ძალადობის მრავალ ფორმასთან გამკლავებასა და ადამიანის უფლებების და დემოკრატიული კულტურის მშენებლობას. ადამიანის უფლებების სწავლების ჩარჩოს მეშვეობით ღონისძიებებში ჩართულობა თავდაჯერებას აძლიერებს და ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომად აქცევს მრავალ შესაძლებლობას, ჩაერთონ ინდივიდუალურ და გუნდურ სწავლებაში და მონაწილეობა მიიღონ სოციალურ ცვლილებაში. ამავდროულად, სიძულვილის ენის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში მონაწილეობა შესაძლოა გამაღიზიანებელი, ემოციურად დამრთგუნველი და პირადი ცხივრებისა და უსაფრთხოებისთვის სარისკოც კი იყო. სიძულვილის ენა საჯარო მსჯელობაში ხშირად დამაშინებელი ელფერით იჩენს თავს და ხშირად უკავშირდება როგორც ცალკეული ინდივიდებისა და ჯგუფების, ისევე არაოფიციალური მოძრაობებისა და პოლიტიკური პარტიების მხრიდან პირდაპირ ვერბალურ და ფიზიკურ აგრესიას. ძალიან ბევრი მაგალითია სიძულვილის ენასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს შორის, სიტყვიერ ძალადობასა და ფიზიკურ ძალადობას შორის მჭიდრო კავშირზე. სიძულვილის ენა თავისუფალი არაა.

გამოწვევების არსებობამ ხელი არ უნდა ჩაგვაქნევინოს. მნიშვნელოვანი ხაზი გასვას იმას რომ სიძულვილის ენის წინააღმდეგ მოქმედებაში ჩართვა ნებისმიერ პირს შეუძლია. ეს არ საჭიროებს ფორმალურ მომზადებას, ან სპეციფიური კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერტიფიკატს! თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მოქმედებები ყურადღებით დაიგეგმოს და მათში მონაწილეები რაც შეიძლება სათანადოდ იყვნენ მომზადებულნი. აუცილებელი წინასწარი მზადება მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული მოქმედების ტიპზე და მისი კონკრეტულ კონტექსტზე.

- რა არის საჭირო მოქმედებებში ჩასართავად?
- რას ნიშნავს სიძულვილის ენის პასუხად ადამიანის უფლებების სწავლების მიდგომის მეშვეობით რეაგირება?
- რომელია ის მნიშვნელოვანი კომპეტენციები, რომლებიც სასარგებლოა მოქმედებაში მონაწილეობის დროს?
- რა მხრივ ვართ მზად / როგორ გვირჩევნია ჩავერთოთ?
- ვართ თუ არა ემოციურად მზად და ვიცით თუ არა, როგორ უნდა ვუმზუნველყოთ საკუთარი უსაფრთხოება და კეთილდღეობა?

- ვაცნობიერებთ თუ არა ენის ძალას და როგორ გამოვიყენოთ არაგამრიცხვი ენა?
- უზრუნველვყოფთ თუ არა ჩვენი ღონისძიებების სამართლიანობას და ვცემთ თუ არა პატივს სიძულვილის ენის სამიზნეების მოსაზრებებს?



ოლიმ და მისა მემოხრაბა მოქმედება გაღაწყვიტას

ოლიმ და ალემ მოინვიეს შეხვედრა, რათა განეხილათ, წამოენწყოთ თუ არა კამპანია როლონიელების მიმართ არსებული სიძულვილის ენის წინააღმდეგ მათ სკოლაში მათ მოინვიეს თავიანთი მეგობრები და ერთად ათნი არიან. ყველა მათგანის ასაკი 16 წლიდან 19 წლამდეა. პიმს, როგორც ადგილობრივი ახალგაზრდული ასოციაციის წევრს, ადრეც დაუგეგმია კამპანიები. მარტის სოციალური მედიის გამოყენება, ვიდეორგოლებისა და ინტერნეტსაიტების დამზადება კარგად გამოსდის. აჰმე ჩინებული მწერალია, მახვილგონივრულად წერს და მისი ნაწერები ჭკვიანური და სახალისოა. ლორი სამართლის შესწავლას აპირებს, შესაბამისად, იურიდიული ასპექტებით არის დაინტერესებული. თითოეულ მათგანს აქვს განსაკუთრებული მოტივაცია მონაწილეობის მისაღებად და სურთ თავიანთი მოსაზრებები და უნარები სასარგებლოდ გამოიყენონ. ამიერიდან, ოლი და ალემ მართო აღარ არიან.

6.1 | ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება!

ნებისმიერს შეუძლია ჩაერთოს სიძულვილის ენის საწინააღმდეგო ქმედებებში და შექმნას ქმედება საპირისპირო ნარატივის გამოყენებით, ან კამპანია. ამისთვის მხოლოდ მოტივაცია და მცირეოდენი მომზადება არის საჭირო. როდესაც იწყებთ კამპანიას ან ქმედების განხორციელებას მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ:

- მოქალაქეთა მონაწილეობა გადამწყვეტია. მოქმედება ყველას შეგვიძლია და ყველა საჭიროა.
- ამ საკითხებზე სამუშაოდ, „ექსპერტობა“ აუცილებელი არ არის. თითოეულ ადამიანს გააჩნია ადექვატური შეფასების უნარი. მაგალითად, ახალგაზრდები ხშირად კარგად აცნობიერებენ, რაც მათ გარშემო ხდება, ისევე როგორც მათი თანატოლების რეალობებს. თითოეულ ადამიანს თავისი განსაკუთრებული წვლილი აქვს შესატანი.
- წინამდებარე სახელმძღვანელო გთავაზობთ ღონისძიებებს, მაგრამ უტყუარი რეცეპტი არ არსებობს. ჭკუფებმა თავადვე უნდა მოსინჯონ საკუთარი საპირისპირო ნარატივის გამოყენებაზე დაფუძნებული ქმედება და შექმნან საკუთარი გზა.
- მოქმედებაში ჩართვა შესაძლოა თავისთავად იყოს სასარგებლო და გარდამტეხი ცხოვრებისეული გამოცდილება.
- შთაგონების მიღება არსებული ადამიანის უფლებათა მოძრაობებისგან და განსაკუთრებით, სიძულვილის ენის წინააღმდეგ მომუშავე ახალგაზრდებისგან შეიძლება.
- მოტივაცია, შემოქმედებითობა და იმედი უმთავრესი საჭირო რესურსებია!



6.2 | კანსის მასეა კლაიანის უფლებების მეშვეობით

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულიკვეთებით.

(მუხლი 1, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია)

საპირისპირო ნარატივის შექმნის კუთხით, ეს ნიშნავს რომ არავითარმა ქმედებამ არ უნდა წარმოშვას



ადამიანის უფლებების მეშვეობით საპასუხო რეაგირება ნიშნავს, რომ ნებისმიერი წამოწყებული მოქმედება წარმართული უნდა იქნას ადამიანის უფლებების პრინციპებითა და ღირებულებებით, და ასახავდეს მათ. ეს ღირებულებები და პრინციპები თავმოყრილია არაერთ დეკლარაციასა და ადამიანის უფლებათა კონვენციაში. მაგალითად, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის პირველი მუხლი მოიცავს ძირითად პრინციპებს: ყველა ადამიანის თავისუფლება, ღირსების და უფლებების თანასწორობა, - და მათი ვალდებულებები ერთმანეთის მიმართ

სიძულვილის, განტევების ვაცის ან განდევნის მექანიზმები. საპირისპიროდ, იგი უნდა დაემყაროს ადამიანის უფლებათა ჩარჩოს და ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების პოპულარიზაციას. ეს კი ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ნარატივმა ხელი უნდა შეუწყოს ცალკეული ადამიანების და ჯგუფების უფლებების და თავისუფლებების განხორციელებას, ანუ მხარს უნდა უჭერდეს მათ მონაწილეობას ემანსიპაციის პროცესში.

ნარატივების მეშვეობით ადამიანის უფლებების ხელშეწყობა აუცილებელია. თუ მჩაგვრელი ნარატივები წინააღმდეგობის გარეშე დარჩება, ადამიანის უფლებების დარღვევა უფრო უარეს ფორმას მიიღებს, გააძლიერებს უარყოფით სტერეოტიპებსა და მცდარ შეხედულებებს ინდივიდების თუ ჯგუფების მიმართ, რომლებიც შედეგად უფრო მეტა გარიყული და იზოლირებული ხდებიან. უარეს შემთხვევებში, „თოვლის გუნდის ეფექტის“ საშუალებით, სიძულვილის ენა ხელს უწყობს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სხვადასხვა სახის ძალადობის ზრდას.

ადამიანის უფლებების მიდგომა ყოველთვის უნდა დარჩეს უმთავრეს ამოსავალ წერტილად. ადამიანის უფლებები ის ძირითადი სტანდარტებია, რომელთა გარეშე ადამიანებს ღირსეული ცხოვრება შეუძლებელია. ისინი უნივერსალურია; ისინი თითოეულ ქვეყანაში მცხოვრების ყოველი ადამიანისთვის საერთოა და მათ ყველა ადამიანი თანასწორად ფლობს. მათი არსი არის თანასწორობა, ღირსება, სოლიდარობა, თავისუფლება, პატივისცემა და სამართლიანობა.

ადამიანის უფლებების მახასიათებლები

- ადამიანის უფლებები განუყრელია: ეს ნიშნავს, რომ მათ ვერ დაკარგავთ, რადგან ისინი უშუალოდ უკავშირდებიან ადამიანის არსებობას; ისინი ეგზისტენციალურია.

- ადამიანის უფლებები განუყოფელია, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და ურთერთდაკავშირებულია: ეს ნიშნავს, რომ სხვადასხვა ადამიანის უფლებები შინაგანად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და არ შეიძლება ერთმანეთისგან განცალკევებით იქნას განხილული. ისინი ერთმანეთის შემავსებლებიც არიან: ერთი უფლებით სარგებლობა დამოკიდებულია მრავალი სხვა უფლებით სარგებლობაზე და არცერთი უფლება არ არის დანარჩენებზე აღმატებულად მნიშვნელოვანი.

- ადამიანის უფლებები საყოველთაოა: ეს ნიშნავს რომ ისინი თანაბრად ვრცელდება მსოფლიოში არსებულ ნებისმიერ პიროვნებზე, დროის შეუზღუდავად. თითოეული ინდივიდი უფლებამოსილია გამოიყენოს თავისი ადამიანური უფლება რასის ან ეთნიკური წარმომავლობის, კანის ფერის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, მემკვიდრული შესაძლებლობის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, მოქალაქეობის ან სოციალური წარმომავლობის, დაბადებით ან სხვაგვარად მინიჭებული სტატუსის მიუხედავად.

ადამიანის უფლებების შესახებ უფრო ვრცელი შედარებითი ინფორმაციისთვის, რესურსებისთვის და საკითხავი მასალისთვის, გთხოვთ გაეცნოთ „კომპასი. სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების სწავლებისათვის ახალგაზრდებთან ერთად“ (*Compass. A Manual for Human Rights Education with Young People*), განსაკუთრებით, „თავი 4: ადამიანის უფლებების გაცნობიერება“. გააზრება“.

6.3 | კოპკატიანციების განვითარება მოქმედებათა მეშვეობით

სიძულვილის ენის საწინააღმდეგო ღონისძიებებში მონაწილეობა არ საჭიროებს ფორმალურ მომზადებას, ან კომპეტენციების ან უნარების ერთ კონკრეტულ ნაკრებს. ამასთანავე, პასუხისმგებლობით მონაწილეობა მოითხოვს წინასწარ მომზადებას, ხოლო ღონისძიებების ეფექტურობა და შედეგებისობა მეტწილად იქნება დამოკიდებული საქმიანობის ხარისზე. გუნდური მუშაობა და სხვა ადამიანებთან თუ ჯგუფებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანი ფაქტორებია იმის უზრუნველსაყოფად, რომ საპირისპირო ნარატიული ღონისძიებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები ჩვენს განკარგულებაშია.

მნიშვნელოვანია, რომ ღონისძიებაში მონაწილეობა საჭიროებს პრო-აქტიურ დამოკიდებულებას სწავლების მიმართ, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდები მთავარი გმირები არიან. საჭიროა, მოქმედების დაწყებასაც საგანმანათლებლო პერსპექტივით მივუდგეთ. ქმედების დაგეგმვა და განხორციელება წარმოქმნის მდიდარ შესაძლებლობებს სპეციფიკურ ცოდნაზე, უნარებსა და დამოკიდებულებებზე სამუშაოდ.

სპეციფიკური ცოდნის სფეროების, უნარები და დამოკიდებულებები ძირითადად განისაზღვრება მონაწილეთა საჭიროებების, ღონისძიების ტიპის, მისი კონტექსტისა და საგანმანათლებლო ჩარჩოს მიხედვით. საპირისპირო ნარატივის გამოყენებით ორგანიზებული მოქმედების შემუშავების პროცესში ჯგუფების დახმარების მიზნით, წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული რამდენიმე მითითება ძირითად უნარებზე. თუმცა, მნიშვნელოვანია მივმართოთ ადამიანის უფლებების შესახებ ცალკეულ სასწავლო მასალებზე და (გლობალური ონლაინ) მოქალაქეობის სწავლების კომპეტენციებზე, როგორც ეს მოცემულია ამ თავის ბოლო განყოფილებაში.

ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული კომპეტენციების ჩარჩო – „თანაცხოვრება კულტურულად მრავალფეროვან და დემოკრატიულ საზოგადოებებში“



წარმოადგენს ძირითად სახელმძღვანელოსა და ინსტრუმენტს ევროპის საბჭოს „დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ქარტიის“ განხორციელებისას. ამ კომპეტენციების ჩარჩო მთელ ევროპაში ასრულებს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების პროგრამის განვითარების სახელმძღვანელოს ფუნქციას. დემოკრატიული და კულტურათმშორისი კომპეტენცია განიმარტება როგორც:

დემოკრატიული და კულტურათმშორისი სიტუაციების შედეგად წამოყენებულ მოთხოვნებზე, გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე შესაბამისი და ეფექტური რეაგირების მიზნით რელევანტური ღირებულებების, დამოკიდებულებების, უნარების, ცოდნის და/ან წარმოადგენების მობილიზებისა და გამოყენების უნარი.

ამ ჩარჩოს მიერ წამოყენებული ძირითადი კომპეტენციებია:

ღირებულებები

- ადამიანის ღირსების და ადამიანის უფლებების დაფასება
- კულტურული მრავალფეროვნების დაფასება
- დემოკრატიის, სამართლის, სამართლიანობის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება

უნარები

- დამოუკიდებლად სწავლის უნარები
- ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარები
- მოსმენის და დაკვირვების უნარები
- თანაგანცდის (ემპათიის) უნარი
- მოქნილობა და ადაპტაციის უნარი
- ენობრივი, კომუნიკაციის და პლურილინგუალური უნარები
- თანამშრომლობის უნარი
- კონფლიქტის მოგვარების უნარი

დამოკიდებული უნარები


- კულტურული განსხვავებებისადმი და სხვა შეხედულებებისადმი, მსოფლმხედველობებისადმი და პრაქტიკებისადმი ღიაობა
- პატივისცემა
- სამოქალაქო აზროვნება
- სამოქალაქო აზროვნება
- თვითეფექტურობა
- გაურკველობისადმი შემწყნარებლობა

ცოდნა და კრიტიკული აღქმა

- საკუთარი თავის ცოდნა და კრიტიკული აღქმა
- ენის და კომუნიკაციის ცოდნა და კრიტიკული აღქმა
- სამყაროს ცოდნა და კრიტიკული აღქმა (პოლიტიკის, სამართლის, ადამიანის უფლებების, კულტურის, კულტურების, რელიგიების, ისტორიის, მედიის, ეკონომიკების, გარემოს და მდგრადი განვითარების ჩათვლით)



- როგორ შეაფასებდით თქვენს ძლიერ და სუსტ მხარეებს ამ დემოკრატიულ მოქალაქეობის კომპეტენციების თვალსაზრისით?
- რომელი კომპეტენცია მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად თქვენს შემთხვევაში საპირისპირო ნარატივის გამოყენებით დაგეგმილი ქმედებისა ან კამპანიის შემუშავებისა და განხორციელებისთვის?



რა კომპეტენციებზე შეიძლება იმუშაოს ოლინ ჯგუფმა მათი კამპანიის შედეგების პროცესში?

ოლი მიიჩნევს, რომ ღირებულებები, რომელზეც საპირისპირო ნარატივმა ყურადღება უნდა გაამახვილოს, არის ადამიანის ღირსება და კულტურული მრავალფეროვნება. ცხადია მისი კლასელები არ აფასებენ კულტურულ მრავალფეროვნებას და არ ესმით, რამდენად მნიშვნელოვანია იგი ჩვენი ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობისთვის. როგორ უნდა შეუწყოს ხელი ოლიმ კულტურული განსხვავებებისადმი და სხვა შეხედულებებისადმი ღია დამოკიდებულებას? ლორმა წამოაყენა სხვადასხვა იმიგრანტთა ჯგუფების შესახებ ლექციის იდეა, ყველას ცოდნისა და სამყაროს კრიტიკული აღქმის უნარის გასაუმჯობესებლად. ალექსოვს; მათი კლასელები შეიძლება არ დაესწრონ მას, თუ იგი სავალდებულო არ იქნება. მათ ხშირად აქვთ ფაქტობრივი ცოდნა, მაგრამ მაინც სჩვევიათ ქსენოფობიური დამოკიდებულება. მან წამოაყენა კულტურული ფესტივალის ორგანიზების იდეა. მიაჩნია, რომ მისი კლასელებს უფრო ღია დამოკიდებულება ექნებათ ფესტივალის მიმართ, რომელიც მუსიკისა და საჭმლის თანხლებით ჩატარდება. ოლი თანახმაა. ისინი გრძნობენ, რომ საქმიანობის თანმიმდევრობის დაგეგმვისას, თავდაპირველად საჭიროა თანაგრძნობის გაჩენა და „ბარიერების დანგრევა“.

6.4 | გამოწვევები ონლაინ და ოფლაინ კამპანიის წარმართვის პროცესში

საპირისპირო ნარატიულ კამპანიაში მონაწილეობა საჭიროებს კონტენტის საფუძვლიან ანალიზს. როგორც ონლაინ, ასევე ოფლაინ სივრცეში სიძულვილის ენის სოციალური და პოლიტიკური კონტენტის გაანალიზების გარეშე, კამპანიაში მონაწილეთათვის რთულია იმ ნარატივების შეფასება, რომელთა განეიტრალებას ისინი აპირებენ. სოციალური დინამიკის არასრულმა გაგებამ შესაძლოა შესაბამისი სტრატეგიის დაგეგმვა რისკის ქვეშ მოაქციოს. საპირისპირო ნარატივის შექმნის საფეხურებრივი სახელმძღვანელო იწყება ფრაზით - სიძულვილის ნარატივის შეფა-



სება (იხ. თავი 7). კონტექსტის არსის გაგება გვეხმარება შესაძლო რისკებისა და გამოწვევების ამოცნობაში, და შედეგად მათ შესასუსტებლად უკეთესად ვართ მომზადებული.(ონლაინ და ოფლაინ) სიძულვილის ენასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობისას არსებობს რამდენიმე რისკი და გამოწვევა, კერძოდ:

- სიძულვილის ენა შეიძლება ძნელი გასაგები იყოს. მას მეტად ღრმა ფესვები აქვს. სიძულვილის ენა მრავალი ფაქტორის შედეგია. მისი გამოწვევი მიზეზის გაგება ხშირად ჭირს. მართალია, არსებობს კვლევა, მაგრამ ჩვენი წარმოდგენები შეზღუდულია იმ კუთხით, თუ რა ხდება ინდივიდების გონებაში და ჯგუფის დინამიკაში. თითოეული შემთხვევა და კონტექსტი უნიკალურია და მოითხოვს სპეციფიკურ ანალიზს. ნურასდროს ივარაუდებთ, რომ ახალი შემთხვევა თქვენ მიერ წარსულში გაანალიზებულის მსგავსია.
- ვირტუალურ სივრცეში სიძულვილის ენის გამავრცელებლების ადგილსამყოფელის და ვინაობის დადგენა შეიძლება რთული იყოს, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მკაცრ ზომებს მიმართავენ სამართალდამცავი ორგანოები. ეს კი ქვეყნის შესაბამისად განსხვავდება. მნიშვნელოვანია, თითოეულ კონტექსტში ფლობდეთ ინფორმაციას შესაძლებლობების შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ისაა, რომ შეგვძლოს გამოყენებული სიძულვილის შემცველი ნარატივების ანალიზი და რომელია საუკეთესო გზა, ხმა მიანვიდინოთ სიძულვილის ჯგუფებს, თუ მათ თქვენი კამპანიის სამიზნე აუდიტორიად აირჩევთ.
- შეზღუდვები სიძულვილის ენის მონიტორინგისა და რეგულირების მიზნით სოციალური მედია პლატფორმების მონაწილისას (იხ. თავი 3). შეზღუდვების მიუხედავად, სოციალური მედია პლატფორმები შესაძლებელია „გაივსოს“ ალტერნატიული ნარატივებით.
- შეზღუდული ანალიტიკური, საკომუნიკაციო ,ორგანიზაციული უნარები.მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ მოქმედებების განმახორციელებელი ჯგუფის ძლიერი მხარეები და შეზღუდვები, და საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერა ვეძებოთ.
- პირადი უსაფრთხოების საკითხები. გადაწყვეტით ვისწავლოთ, თუ როგორ დავიცვათ საკუთარი თავი და სხვა მონაწილეები, და შევქმნათ უსაფრთხო გარემო კონსტრუქციული დიალოგის, მხარდაჭერისა და საქმიანობისთვის.

6.5 | ჩართულობის სახეები

ევროპის საბჭოს კამპანიას “მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ” დამოკიდებულია ბევრი ახალგაზრდისა და მხარდაჭერის აქტიურ მონაწილეობაზე.ბევრი გზა არსებობს, რომელთა მეშვეობითაც ცალკეულ ინდივიდებს და ჯგუფებს შეუძლიათ იმუშაონ სიძულვილის ენასთან საბრძოლველად, ნარატივების ინსტრუმენტად გამოყენებით.

სახელმძღვანელო „ბუქმარქსში“ კამპანიის წარმართვის სხვადასხვა სტრატეგიები დაჯგუფებულია შემდეგ კატეგორიებად:

- განათლება და ცნობიერების ამაღლება
- ონლაინ სივრცეში უკვე არსებულ სიძულვილის ენასთან გამკლავება
- სხვების მობილიზება
- მსხვერპლთა ან ჩვეულებრივ [სიძულვილის ენის] სამიზნე ჯგუფების მიმართ სოლიდარობის გამოხატვა
- უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლილი სტრატეგიები

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხშირად ეს სტრატეგიები ერთმანეთს გადაფარავს და ზოგიერთი მათგანი ერთობლივად გამოიყენება ღონისძიებასა თუ კამპანიაში. საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივები გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი ამ სტრატეგიის შემთხვევაში. მაგალითად, ალტერნატიული ნარატივი შეძლება გავრცელდეს სოციალური მედიის საშუალებით და შეიძლება გამოყენებული იქნას სხვების მობილიზების მიზნით .



მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვათ, რომ საჭიროა ჩართულობის და გამოყენებული ინსტრუმენტების ტიპები ყურადღებით, ქეისის, მისი კონტექსტის და კამპანიის მწარმოებელი ჯგუფის უპირატესობებისა და მახასიათებლების შესაბამისად იქნას შერჩეული. მაგალითად, მაშინ როცა ზოგიერთი შეიძლება მზად იყოს პირდაპირ დაუპირისპირდეს სიძულვილის შემცველის კომენტარის ავტორს, სხვებს შესაძლოა ერჩივნოთ ფართო საზოგადოების მხრიდან რეაგირების გამოწვევასა და უფრო ზოგად ალტერნატიულ ნარატივის პოპულარიციაზე მუშაობა.

სოლიდარობის გამოხატვა ონლაინ და ოფლაინ სივრცეებში

ბევრი განხილვა მიმდინარეობს, ჩაითვალოს თუ არა კონკრეტული პრინციპის/მიზნის მხარდასაჭერად ფეიქბუქზე პროფილის სურათის შეცვლა ან ონლაინ პეტიციამე ხელმოწერა „სლაქტივიზმად“ აქტივიზმის ფორმა, რომელიც ითვლება, რომ ცოტა დროს ან მონაწილეობას საჭიროებს. ეს სიმბოლური ღონისძიებები, მაგალითად, ელექტრონული პეტიციები, ონლაინ შემონიშნულობები და ფეისბუქის მონაწილეები, წარმოადგენს სოლიდარობის ფორმას. როდესაც ადამიანები თავიანთი ფეისბუქის პროფილის ფოტოდ რომელიმე ქვეყნის დროშას ან კონკრეტული მიზნის/პრინციპის ლოგოს აყენებენ, ადამიანები არა მხოლოდ სხვა ადამიანებისადმი ან მიზნისადმი მხარდაჭერას გამოხატავენ, არამედ ასევე მონაწილეობენ სოლიდარობაში თავიანთი თანაგანცდის გამოხატვით და თავიანთი მეგობრების, კოლეგებისა და ოჯახის წევრების წრეში ცნობიერებას ზრდიან. ოფლაინ სოლიდარობის ღონისძიებები, როგორებიცაა ქუჩის მსვლელობა, ბოიკოტი, სპექტაკლები და კონცერტები, ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც ონლაინ ღონისძიებები. ერთი მეორეზე უკეთესი არ არის; ისინი უფრო ერთმანეთის შემავსებლები არიან. ამგვარად, სოლიდარობის ნებისმიერი ტიპი, რომელიც იზიარებს ადამიანის უფლებების ღირებულებებს, კარგი სოლიდარობაა, იმის მიუხედავად, იგი ონლაინ გამოხატება, თუ ოფლაინ სივრცეში.

მაგრამ, სოლიდარობა საპასუხო რეაგირების ერთადერთი საშუალება არ უნდა იყოს: თანასწორობა და პატივისცემა ის ორი სხვა ღირებულებაა, რომლებიც თანაბრად მნიშვნელოვანი რჩება, აქტივისტები, ახალგაზრდული მუშაკები და განმანათლებლები უნდა მისდევდნენ ერთადერთ უნივერსალურ პრინციპს, რომ „ყველა ადამიანი თანასწორია“ - პრინციპი, რომელიც გადმოცემული ან ასახული უნდა იქნას ნებისმიერ ალტერნატიულ ნარატივში.





რა სახის ღონისძიებები უნდა წამოიწყოს ოლის ჯგუფმა?

ოლიმ შეტყობინება გააგზავნა როლონიელების მისამართით არსებული სიტუაციის ენის შესახებ ყველა იმ სოციალურ მედია პლატფორმაზე, რომლებსაც იყენებს. მათ შემთხვევაში, იგი ამას საჭიროდ, მაგრამ არასაკმარისად მიიჩნევს. ამავდროულად, მან მიიღო სოლიდარობის გამოხატველი შეტყობინებები ონლაინ სივრცეში და პირადად, რამაც ღონისძიების წამოსაწყებად თავდაჯერება განუმტკიცა. მას უნდა რომ შეცვალოს ის ნეგატიური აღქმები, რომლებიც მის კლასელებს აქვთ როლონიელების მიმართ. მას უნდა, რომ თავის საზოგადოებაში ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების კულტურას, რათა არავის აღარ მოუწიოს იმის გადატანა, რაც მან და მისმა სიტუაციის ენის სამიზნედ ქცეულმა მეგობრებმა გადაიტანეს.



- რა გამოცდილება გაქვთ სხვადასხვა სახის ჩართულობის ტიპებში?
- ჩართულობის რომელი გზა გირჩევნიათ? რატომ?
- როგორ გარემოში და რა ხერხებით მუშაობთ ახალგაზრდებთან? ჩართულობის რომელი ხერხი ურჩევნიათ იმ ახალგაზრდებს, რომლებთანაც მუშაობთ? ან რომელი ხერხი ყველაზე მიზანშეწონილი?

6.6 | ამოცნობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა

ნარატივის თეორიაში ემოციები კრიტიკული მნიშვნელობის განზომილებას წარმოადგენს. ნებისმიერი, ვინც ემზადება სიტუაციის ენის საწინააღმდეგო ღონისძიებებში ჩასართავად, უნდა იცნობდეს საკუთარ ვაჟშირს იმ თემასთან, რომელშიც უნდა ჩაერთონ. თვითდახასიათება და თვითნაწილობი, ისევე როგორც დისკუსიები სხვა განმანათლებელ აქტივისტებთან ან მეგობრებთან, დაგეხმარებათ ნათელი მოჭვინით არსებულ გრძნობებს.

მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, რომ კამპანიის მონაწილეებისგან არ უნდა მოველოდოთ ნეიტრალურ დამოკიდებულებას იმ პრობლემების მიმართ, რომელთა წინაშეც ისინი დგანან. პირიქით: მნიშვნელოვანია, თემასთან - და მის საფუძველში არსებულ ნარატივებთან - თავს დაკავშირებულად გრძნობდეთ. რადგანაც ემოციები ნარატივების შექმნის და დეკონსტრუქციის ძირიდად ქვაკუთხედს წარმოადგენს, ისინი გაცილებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნარატივებთან მუშაობისას, ვიდრე ფაქტების სერები.

იმისათვის, რათა აქტივისტებმა სიტუაციის ენის დისკრიმინაციის მათივე ხელშეწყობით წარმოქმნა თავიდან აიცილონ, მათ ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ, რამდენს დებენ სასწორზე დისკუსიის ან აქციის დროს, და ჰქონდეთ რიგი „ნათელი ხაზები“, რომლებიც არ უნდა გადაკვეთონ: მებაღეთისთვის, რა უნდა თქვან, რამდენად ღრმად უნდა შევიდნენ კამათში და როდის უნდა შეწყვიტონ იგი. ასევე ხაზი უნდა გავსვას, რომ ადამიანი საბოლოოდ გადაიტანს ისეთ სიტუაციებს, რომლებიც შეიძლება არა-პირდაპირ საზიანო იყოს ინდივიდისა და იმ სოციალური ჯგუფისთვის, რომლის წევრსაც თვითონ წარმოადგენს, განსაკუთრებით

საპირისპირო ნარატივების შექმნის და გამოყენების გზით სიტუაციის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობისას. აქედან გამომდინარე, საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვა აქტივიზმის და საგანმანათლებლო საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩვეულებრივ, უკუგდებულ, ან სტიგმატიზებულიც კია, როგორც ევოლუციური ქმედება.

პირიქით, წინამდებარე სახელმძღვანელო ამტკიცებს, რომ საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვის პრაქტიკა ფუნდამენტურია ინდივიდუალურ და სოციალურ ემანსიპატორულ პროცესებში. თუ სოციალურ ცვლილებებში მონაწილეებს შეუძლიათ საკუთარ თავს მიხედოთ, მათი ქმედებები უფრო მეტად მდგრადი იქნება და შესაბამისად სოციალური ცვლილებაც უფრო მარტივად მისაღწევი.

რთულია იმის შეფასება, რამდენად დიდი ზიანი შეიძლება მიადგეს ადამიანს სიძულვილის ენის გამო. ეს დამოკიდებულია სოციალურ პოზიციებზე, ან კონკრეტულ სოციალურ ჯგუფთან თვითიდენტიფიკაციაზე. აქედან გამომდინარე, სიძულვილის ენის საზიანო პოტენციალში არსებითი განსხვავებები დამოკიდებულია აქტივიზმში მონაწილეობის ბუნებაზე. მაგალითად, ეს დამოკიდებულია 1) სიძულვილის ენის სამიზნე ჯგუფის წევრის მონაწილეობაზე, ან 2) სიძულვილის ენის სამიზნების მოკავშირის სახით მონაწილეობაზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ისეთი სიძულვილის ენის ობიექტად ყოფნას, რომელიც პირდაპირ არ მიემართება ინდივიდის პირად გარემოებებს, ნაკლებად ზიანის პოტენციალი აქვს. მარგინალიზებული ჯგუფის წევრების მისამართით სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევაში, ზიანი პოტენციურად უფრო დიდია, რადგან ისინი პირდაპირ შეიძლება იქნან დასახელებული და შესაძლოა, ნაკლები პირადი, სოციალური და ინსტიტუციური რესურსები იყოს ხელმისაწვდომი საპასუხო რეაგირებისთვის.



მოცემული მსჯელობის გათვალისწინებით, გათავაზობთ რამდენიმე რჩევას, თუ როგორ მოუფრთხილდეთ საკუთარ უსაფრთხოებას და კეთილდღეობას. ეს რჩევები შეეფერება როგორც ონლაინ, ასევე ოფლაინ ჩართულობას, მიუხედავად ინდივიდუალური შედარებითი დეპრივილიგირებული სტატუსისა.

შეკვენიტ რეალისტური მოლოდინები

თავდაპირველად, უნდა გახსოვდეთ, რომ ასეთი სახის სამუშაო, აქტივიზმი თუ საგანმანათლებლო საქმიანობა, რთულია: არსებობს სიძნელებები (ისევე როგორც მცირე და დიდი გამარჯვებები) და როგორც სამიზნე სოციალური ჯგუფის წევრს, მოგინევთ სიძულვილის ენით გამოწვეული ზიანის გადატანა. მნიშვნელოვანია, იცოდეთ ძალთა ურთიერთობების შესახებ, სადაც ადგილი აქვს სიძულვილის ენას, და ძალთა ურთიერთობების ცვლილების მიზნით განხორციელებული ძალისხმევების შესახებ. ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია გამოიმუშავოთ ბუნებით ნელი და პროცესუალური სოციალური ცვლილებების რეალისტური აღქმა. ამის საფუძველზე, სასარგებლოა ღონისძიებებისა და კამპანიების შედეგებისადმი რეალისტური მოლოდინების ჩამოყალიბება.



ყოველი პოზიტიური წვლილი, თუნდაც იგი მეტად მცირე იყოს, მნიშვნელოვანია სიძულვილის ენის წინააღმდეგ მუშაობისას. მაგალითად, პატარა ჟესტიც შეიძლება ადამიანისთვის ბევრს ნიშნავდეს. თითოეული მოქმედება მნიშვნელობა აქვს. ყველას შეუძლია გარკვეული როლის შესრულება.



ინსვლათი. როგორ უნდა ამოიკოთ თქვენი ბრძოლა

ამოსავალი ნერტილია, გვსოდეთ, რომ აქტივიზმის კონტექსტში არსებული გრძობები და ერთგული, საგანმანათლებლო, რეალური და ლეგიტიმურია. ბუნებრივია, თავს გრძობდეთ სასონარკვეთილად, გულნატკენად, ან ბრაზობდეთ, როდესაც სიძულვილის ენასთან გაქვთ საქმე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მის სამიზნეს ის სოციალური ჯგუფი წარმოადგენს, რომლის წევრიც თქვენ ხართ. მნიშვნელოვანია, რომ არ შეგეზინდეთ, ან არ შეგრცხვეთ ისაუბროთ თქვენს გრძობებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საპირისპირო ნარა-ტივისის შექმნის და გამოყენების რთული სიტუაციის წინაშე დგახართ.

სასურველია, რომ ორგანიზაციებმა მოამზადონ მენტორები და „უსაფრთხო ადამიანები“, რომლებთანაც ისაუბრებთ ამის შესახებ, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ბრძოლისგან დაიცალოთ. თავს უფლება უნდა მისცეთ, რომ სივრცეში და იმ ადამიანებთან, რომლებსაც ენდობით, თავი დაუცველად იგრძნოთ. საჭიროების შემთხვევაში, უყოყმანოდ უნდა შეისვინოთ რაღაც დროის განმავლობაში (ერთი საათით, ორი კვირით, ერთი თვით...) და, თუ შესაძლებელია, მსგავსი მხარდაჭერა აღმოუჩინოთ კოლეგებსა და ჯგუფებს.

შიინარკუნათი ენარკიულობა

მართალია, აქტივიზმი და ერთგული საგანმანათლებლო მუშაობა თითქმის ცხოვრების წესი გახდა და თითქოს ყოველდღიური ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს, ისინი მის ერთადერთ ნაწილს არ წარმოადგენენ. მნიშვნელოვანია, გახსოვდეთ ის ყველაფერი ცხოვრებისეული, რაც ენერჯის და შთაგონების მომცემია. ერთი შემოთავაზებაა, რომ შექმნათ ე.წ. „შეების ბანკი“, მაგალითად, ისეთი საქმიანობის სია, რომლებიც დააკმაყოფილებს, მოადუნებს და ძალებს განუახლებს ადამიანებს, და დაეხმარება მათ თავი (კვლავ) კარგად იგრძნონ, და მიმართეთ მას მაშინ, როდესაც თავს გულნატკენად და/ან დადლილად იგრძნობთ. ძალთა ურთიერთობების განხილვის პროცესები და სიძულვილის ენასთან ბრძოლა ხანგრძლივია და აქტივისტებისა და განმანათლებლების ჯგუფებს ერთმანეთის კარგად, ენერჯიულად, მხნედ და უსაფრთხოდ ყოფნა ესაჭიროებათ. საამისოდ, თავის მოვლა იმ საქმიანობის მეშვეობით, რომელიც გიყვართ, და საკუთარი თავისადმი თანაგრძნობა აუცილებელია.

აკეთეთ სხვაბთან ერთად

სხვებთან ერთად მუშაობის საჭიროების საკმარისად გამოკვეთა შეუძლებელია. ეს ნიშნავს გუნდის, ჯგუფის და აუცილებელი პირადი და ინსტიტუციური ქსელების შექმნას, რათა უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი მხარდაჭერა, ცოდნა და ამოცანების და პასუხისმგებლობების ადექვატური განაწილება.



როგორ უზრუნველყოფს ოლის ჯგუფი საკუთარ უსაფრთხოებას და კეთილდღეობას?

ოლის ეშინია, მაგრამ მას მისი მეგობრების, ოჯახის და მასწავლებლების, განსაკუთრებით კი მისი საუკეთესო მეგობრის - ალეს მხარდაჭერა აქვს. მან მსგავსი რამ აქვს გადატანილი და აქედან ბევრი რამ ისწავლი. მათ დახმარებას ასევე მათი ისტორიის მასწავლებელიც უწევდათ, მან ისინი დააკავშირა ადგილობრივ ადამიანის უფლებათა ასოციაციასთან, რომელიც მზადაა დაეხმაროს ჯგუფს სკოლაში საქმიანობის დასაწყებად. ისინი მართო არ არიან. ოლი და ალე გახდნენ ახალგაზრდების პატარა ჯგუფის ლიდერები, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ ისწავლონ და დაგეგმონ ღონისძიება და ეძებენ საჭირო ინსტრუმენტებსა და მხარდაჭერას. ეს ჯგუფი ერთობლივად შეიქმნა როლონიელების და მარკარიელების მიერ, რომლებსაც აქვთ განსხვავებული წარმომავლობა და გამოცდილებები, მაგრამ იზიარებენ იმ იდეას, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და იმსახურებენ სამართლიან მოპყრობას



- რა მახასიათებლები და საჭიროებები აქვთ იმ ახალგაზრდებს, ვისთან ერთადაც მუშაობთ?
- რა მხრივ შეგიძლიათ დაეხმაროთ მათ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად?
- ამასთანავე, რა სახის მხარდაჭერა გესაჭიროებათ, რათა სხვებისთვის დახმარების განწევა შეგიძლოთ?

6.7 | ენის კალა

ენა მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომლითაც ძალთა ურთიერთობების წარმოება უნებლიედ არის შესაძლებელი. ენა ასახავს ჩვენს სოციალურ ნორმებს და შეხედულებებს. ენა არა მხოლოდ ირეკლავს არსებულ სოციალურ რეალობას, არამედ იგი თავისი მახასიათებლების და გამოყენების გზების მეშვეობით ასევე მოქმედებს, როგორც მისი რეპროდუქციის მექანიზმი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გვესმოდეს, როგორ წარმოქმნის არათანასწორ და უსამართლო ძალთა ურთიერთობებს, ასევე ვისწავლოთ, როგორ გამოვიყენოთ ენა ისეთი გზით, რომელიც ეწინააღმდეგება უთანასწორობას და ქმნის ახალ რეალობას. ეს მნიშვნელოვანია სიძულვილის ენასთან საბრძოლველად საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების შემუშავების კონტექსტში.

პირველი ნაბიჯია, რომ დამკვიდრებული პრაქტიკები კრიტიკულად ავსახოთ, მაგალითად, როგორც ვსაუბრობთ კონკრეტულ პრობლემებზე, ან რა სიტყვებს ვიყენებთ. ეს იოლი არ არის, რადგან გამომრიცხავი ენის პრაქტიკა საყოველთაო დამკვიდრებულია და ასეთი პრაქტიკები უხილავი გახდა, თუმცა ისინი შეიძლება ყველგან გვხვდებოდეს. შემდეგ, როდესაც ჩართული ვართ საპირისპირო ნარატივების შექმნასა და გამოყენებაში, მნიშვნელოვანია, რომ გამოყენებულმა ენამ არ მოახდინოს არსებული ასიმეტრული ძალთა ურთიერთობების კვლავ წარმოება. ამ მიზნით, სასარგებლოა ვფლობდეთ, ან დავეუფლოთ ცოდნას იმ სოციალური ჯგუფების შესახებ, რომლებიც სიძულვილის ენის სამიზნეს წარმოადგენენ, კონსულტაციისთვის მივმართოთ ამ სოციალური ჯგუფების წევრებს, ან მივცეთ მათ საკმარისი სივრცე საპირისპირო ნარატივების შესამუშავებლად.



ლინგვისტური პრაქტიკები ხელს უწყობს დისკრიმინაციის შენარჩუნებას და წარმოქმნის არათანასწორ ძალთა ურთიერთობების რეალობის კონკრეტული ასპექტის არასწორად წარმოდგენის ან აღწერის მეშვეობით. ეს ხდება შემდეგნაირად:

- ზოგიერთი სიტყვის არაერთხელ გამოყენება გარკვეული ჯგუფების აღსაწერად
- რეალობის ცალკეული ასპექტის, როგორცაა ჯგუფის ან პრობლემის ასაღწერად ცალკეული სიტყვების გამოყენებლობა, ამ ასპექტის დაფარვის მიზნით
- ზოგი სიტყვის უარყოფითად ან დადებითად დატვირთვა და მათი მუდმივად გამოყენება ჯგუფის ასაღწერად.

ეს მექანიზმები წარმოჩენილია შემდეგ მაგალითებში:



გენდერისადმი მიჰარქობილი ანა

ჩვენ არჩეული სიტყვები ხშირად ირეკლავს შეხედულებებს გენდერული როლების შესახებ. მაგალითად, „თუ განმანათლებელი საქმისთვის თავდადებულია, იგი (მამაკაცი) წარმატებას მიაღწევს“ (მამაკაცის ზოგადი ნაცვალსახელის გამოყენება) მიანიშნებს, რომ ეს არის მამრობითი სქესის ადამიანი, რომელიც წარმატებას მიაღწევს. გენდერულად ნეიტრალური ალტერნატივა იქნებოდა „საქმისთვის თავდადებული განმანათლებლები წარმატებას მიაღწევენ“ (მრავლობითი ფორმის გამოყენება). გენდერულად ნეიტრალური მრავლობითი ფორმის/ნაცვალსახელის გამოყენება, ან მდებდრობითი და მამრობითი სქესის აღმნიშვნელი ნაცვალსახელების ერთდროული გამოყენება, ან მხოლოდ მდებდრობით სქესის ნაცვალსახელის ზოგადი ფორმით გამოყენება დამკვიდრებული ფორმით მამრობითი სქესის აღმნიშვნელი ნაცვალსახელის გამოყენებას ამხელს. გენდერთ განპირობებული ენის კიდევ ერთი მაგალითია გარკვეული სიტყვების გამოყენება მამრობითი და მდებდრობითი სქესის წამომადგენლების ასაღწერად, რაც აძლიერებს გენდერზე დამყარებულ არაზუსტ სტერეოტიპულ აზრებუტებს, მაგალითად, გოგონები გაუბედავები, ბიჭები კი მამაცები არიან.



‘არალეგალი იმიგრანტები’

მედიაში ხშირად იყენებენ ტერმინს „არალეგალი იმიგრანტები“, იმიგრანტების ან თავშესაფრის მაძიებლების მოსახსენიებლად. სიტყვის „არალეგალი“ გამოყენება მიანიშნებს გარკვეულ „კუდ ქმედებაზე“ და რომ ადამიანმა ჩაიდინა დანაშაული. ევროპის ადამიანის უფლებათა კომისარი, ნილს მიუჟნიეუსი განმარტავს: „ადამიანები კანონგარეშეები არ არიან. მათი სამართლებრივი სტატუსი შეიძლება არაჩვეულებრივი იყოს, მაგრამ ეს მათ კაცობრიობის გარეთ არ აქცევს“ და ქვეყანაში უნებართვოდ შემოსული უცხოელების მიმართ გვთავაზობს გამოვიყენოთ ტერმინი „არარეგულარული მიგრანტები“ .



ისლამოფობიური ენის გითვალყურება

ბრიტანეთში მოქმედმა ორგანიზაციებმა **Faith Matters** და **Tell MAMA** (Measuring Anti-Muslim Attacks - ანტიმუსლიმური თავდასხმების გაზომვა) განავითარეს კომპიუტერული პროგრამა, ვირტუალურ სივრცეში მუსლიმების წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენის მონიტორინგის მიზნით. ეს პროგრამა თალყურს ადევნებს საკვანძო სიტყვებს და ქმნის მათ სტატისტიკას, რათა დააფიქსიროს მათი გამოყენების სიხშირე იმ ენაში, რომელიც მუსლიმებისკენაა მიმართული და რომელსაც ადგილი აქვს ისლამოფობიური ინციდენტების დროს. 700-ზე მეტი შემთხვევის ანალიზმა აჩვენა, რომ ზოგიერთი სიტყვა (ჩვეულებრივ, „პაკი“, „პიჯაბი“, „ვედოფილი“, „ვედო“, „გაუპატიურება“, „პაკიები“, „ბომბი“) დაკავშირებულია მუსლიმების საზიანოდ მიმართულ ენასთან. ეს კვლევა აჩვენებს, თუ როგორ შეიცვალა ისლამოფობიის ენა, როგორ უჭერს მხარს ენა, განსაკუთრებით სიტყვების კოლოკაციის მეშვეობით (ორი სიტყვა, რომლებიც ხშირად გამოიყენება ერთად), იმ ძალადობრივ ნარატივს, რომ მამაკაცი მუსლიმები უმეტესად, გარდაუვლად სექსუალურად გადახრილები არიან და აქედან გამომდინარე, ისინი აცდუნებენ არასრულწლოვან გოგონებს. მუსლიმების მიმართ უარყოფითად დატვირთული სიტყვების არჩევანი ხელს უწყობს მათ მრისხანედ და საშიშედ წარმოჩენას.



“ადამიანები არასწორ სხეულში”

როდესაც საქმე გვაქვს ტრანსგენდერების (მაგალითად, ტრანსსექსუალები, აგენდერები, ბიგენდერები, ქვიარ-გენდერები) წინააღმდეგ მიმართულ სიძულვილის ენასთან, ხალხი მათ ხშირად მოისხსენიებს, როგორც ადამიანებს, რომლებიც დაიბადნენ „არასწორ სხეულში“ [წამლილი ტექსტი]. სიტყვა არასწორის გამოყენება მიგვანიშნებს, რომ არსებობს „სწორი“ სხეული, რომელშიც დაბადება შესაძლებელი. ეს ნიშნავს, რომ ნორმალურად მიიჩნევა, რომ ადამიანს დაბადებისას გენდერს ანიჭებს სოციალურად უფლებამოსილი ინსტიტუტი (მედიცინა) და ეს პიროვნება საკუთარ თავს ამ მინიჭებულ გენდერთან აიგივებს. თუმცა, არავინ იბადება „არასწორად“ ვაცად ან ქალად; ისინი უბრალოდ არ ახდენენ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას მინიჭებულ გენდერთან (ან მხოლოდ მინიჭებულ გენდერთან).

ეს მაგალითები აჩვენებს, რომ ენა და ლინგვისტური პრაქტიკები მოქმედებს როგორც სოციალური რეალობის რეპროდუქციის და მისი იერარქულ ძალთა ურთიერთობების აშკარა ან შეუმჩნეველი მექანიზმი. რადგანაც საპირისპირო ნარატივისმიზანს წარმოადგენს ამ ძალთა შორის ურთიერთობების გამომავარაუება და მათთან გამკლავება, მნიშვნელოვანია, რომ ვიცოდეთ და ვაღიარებდეთ არსებულ სოციალურ მრავალფეროვნებას და შეგვეძლოს ამ ცნოდნის და ცნობიერების გამოყენება არაგამომრიცხავ ენასა და საპირისპირო ნარატივებში.



თუ დარწმუნებული არ ხართ, თუ როგორ უნდა შექმნათ გარკვეული ჯგუფების წინააღმდეგ გამიზნულად მიმართული სიძულვილის ენის საპირისპირო ნარატივი არაგამომრიცხავი ინკლუზიური გზით, რჩევისთვის მიმართეთ ან იმ ჯგუფს ვის მხარდასაჭერადაც მოქმედებთ ან სხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგებლებს, აქტორებს, რომლებსაც აქვთ მათთან მუშაობის გამოცდილება.





- არაგამომრიცხავი ენის გამოყენების რა ადრინდელი გამოცდილება გაქვთ?
- რა არის ის ძირითადი გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგახართ ამ სფეროში თქვენს კონტექსტში/თქვენი ენის შემთხვევაში



ოლის ჯგუფი და ენა როლონიელების შესახებ

როლონიანებს მრავალი გზით მოიხსენიებენ ხუმრობებსა და სასაუბრო ენაში. ოლი და ალფ ერთად აწყობენ ორ სესიას თავიანთ ენის მასწავლებელთან ერთად იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს გამომრიცხავი ენა. ერთ-ერთი სავარჯიშო იყო გენდერისადმი მიკერძოებული ენის ამოცნობა და ინკლუზიური ენის გამოყენებით ტექსტების გადაწერა. მეორე სესიაზე, მასწავლებელმა ჯგუფს სთხოვა, დაესახელებინათ ხმარებაში არსებული ყველა ტიპის ტერმინი, რომლებიც ასოცირდებოდა მარკადიული საზოგადოების შიგნით არსებულ განსხვავებულ ჯგუფებთან. მათ გააანალიზეს ისინი და მიხვდნენ, რომ ზოგიერთ ტერმინს დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მაშინ როდესაც სხვები უარყოფით აზრს ატარებდნენ. და ზოგი ტერმინი საერთოდ არ იქნა ნახსენები. მაგრამ რატომ?



6.8 | საპარტიოების უზრუნველყოფა

საპირისპირო ნარატივებმა არამხოლოდ არ უნდა გაამრავლოს არსებული უთანასწორებები და ნეგატიური სტერეოტიპები, არამედ ხელი უნდა შეუწყოს უფრო სამართლიანი სოციალური ურთიერთობების მშენებლობას. სწორედ ამიტომ არის არსებითი საპირისპირონარატივების მათთან ერთად შემუშავება, რომლებსაც ყველაზე უკეთ ესმით ის უთანასწორო სოციალური ურთიერთობები, განსაკუთრებით იმ სოციალურ ჯგუფებთან, რომლებიც წარმოადგენენ სიძულვილის ენის სამიზნეს. ეს ნიშნავს მათთვის რჩევის თხოვნას და მათ ყველა ფაზაში ჩართულობას. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ნარატივი, რომელიც აღმოცენდება სამიზნე ჯგუფებთან გულწრფელი და ღია დისკუსიიდან ორმხრივი პროცესის დროს, ჩვეულებრივ, უფრო ძლიერია, ვიდრე ცალკეული ჯგუფის (ან პიროვნების) მიერ ხელოვნურად აწყობილი ნარატივი.

საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების შექმნა საჭიროა ემყარებოდეს პროცესს, რომელიც სერიოზულად ითვალისწინებს მათ ხმებს, რომლებიც მარგინალიზებული არიან და წარმოადგენენ სიძულვილის ენის სამიზნეს, მათ ხმებს, რომლებიც ქმნიან მას, და ადამიანის ცალკეული შეღავათებისა და მიდრეკილებების კეთილსინდისიერ ასახვას. ამ პროცესის გარეშე, საპირისპირო ნარატივი შესაძლოა განვითარდეს „ბრმა ლაქებით“. ეს ნიშნავს, რომ ზოგიერთ საკითხს შეიძლება ნაკლები ყურადღება დაეთმოს, აქცენტები ან ტონი შეუსაბამო იყოს ან მთელი მიდგომა არაეფექტური, ან თუნდაც ზედაპირული და უკუშედეგის მომცემიც კი გამოდგეს.

გარდა ამისა, პრივილეგირებული პოზიციიდან და სამიზნე მარგინალიზებულ ჯგუფთან თანამშრომლობის გარეშე საპირისპირო ნარატივების შექმნა ასევე შეუმჩნეველად წარმოშობს არათანასწორ ძალთა ურთიერთობებს. ზოგიერთს რჩება საკუთარი ამრის გამოთქმის უფლება, და ზოგიერთი ამას ვერ ახერხებს. ამას აქვს ეთიკური, სიმბოლური და პრაქტიკული მნიშვნელობები. ვინ მიიჩნევა ისეთად, რომელსაც აქვს ამრის გამოთქმის უფლება? ვინ წყვეტს სათქმელის შინაარსს და ხმის მიწვდენის უფლებას?

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ჩაგრული სოციალური ჯგუფები პრივილეგირებულ პოზიციიში მყოფ/ძალაუფლების მქონეთა მიერ უმეტესად აღიქმებიან ძალაწართმეულად და მსხვერპლად. ეს ის ხედვაა, რომელიც ზოგიერთს ანიჭებს ლეგიტიმურ „უფლებას“, ილაპარაკოს სხვების სახელით. თუ ზოგიერთები აღიქმებიან, როგორც ძალაუფლების ან შესაძლებლობების არმქონენი, ეს აღქმა აძლიერებს მათ დაქვემდებარებულ მდგომარეობას. სიძულვილის ენის საპირისპირო და ალტენატიული ნარატივების შექმნისას, ცენტრში უნდა ხვდებოდეს ხმის და თვითგამოხატვისა და თვითწარმომადგენლობის მნიშვნელობის სიძულვილის ენის საპირისპირო და ალტენატიული ნარატივების შექმნისას, ცენტრში უნდა ხვდებოდეს ხმის, და თვითგამოხატვისა და თვითწარმომადგენლობის მნიშვნელობის ასახვა. ეს ასახვა უნდა დაეხმაროს პრივილეგირებულ სოციალურ ჯგუფებს იმის მიხვედრაში, თუ როდის უნდა დათმონ, ან აირიდონ პოზიცია „ილაპარაკო ვინმეს სახელით“ მაშინ, როდესაც ეს მათ არ მოეთხოვებათ.

რა ჩემი სახელით. მუსლიმები ტერორისტული კავშირის წინააღმდეგ



მრავალმა მუსლიმმა აღიმაღლა ხმა იმ სტერეოტიპის წინააღმდეგ, რომელიც მუსლიმსა და ტერორისტებთან აიგივებს, და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ტერორიზმი გარდაუვლად მუსლიმური არ არის, პირიქით, იგი ხორციელდება მთელ მსოფლიოში არსებული სხვადასხვა წარმოშობის, რელიგიისა და პოლიტიკური შეხედულებების მქონე ექსტრემისტული ჯგუფების მიერ.

როგორ ვიპოვათ სიძულვილის ენის სამიზნეები?



სიძულვილის ენის სამიზნეები ხშირად გარიყული, ემოციურად და ფსიქოლოგიურად განადგურებულები არიან. სიძულვილის ენის სამიზნეებთან მუშაობისას გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:

- მათთან კავშირი მაშინ დაამყარეთ, როდესაც თვითონ არიან საამისოდ მზად. გვერდით დაუდევით მათ და პირველ რიგში, მათი საჭიროებები გაითვალისწინეთ. ხშირ შემთხვევაში, ასეთი მხარდაჭერის განევა მათ შეუძლიათ, ვისაც წარსულში განუცდია სიძულვილის ენის ობიექტად ყოფნა, მაგრამ გამონახეს საპასუხო რეაგირების ძალა.
- სიძულვილის ენის სამიზნეებისთვის შექმენით უსაფრთხო გარემო, სადაც ისინი გაგიზიარებენ თავიანთ ისტორიებს. გაითვალისწინეთ ნებისმიერი შესაძლო რისკი და ანონიმურობის საკითხები.
- სტრატეგიის, გზავნილების და გამოსაყენებელი ენის შემუშავების პროცესში, ერთობლივად იმუშავეთ სიძულვილის ენის სამიზნეებთან.

როგორ ვიპოვათ სიძულვილის ენის გამავრცელებლები?

- კონტექსტის შესაბამისად და თუ საჭიროდ ჩაითვლება, შექმენით სივრცეები სიძულვილის ენის, განსაკუთრებით, უფრო რბილი ვერსიის გამავრცელებლებთან, რათა შეახვედროთ მათი სიძულვილის ენის გზავნი-



ლების სამიზნეებთან იმ მიზნით, რომ მიეცეთ შესაძლებლობა, დაეკვდნენ თავიანთ შეხედულებებში. გაითვალისწინეთ, რომ ეს ყველაფერი აუცილებელია კარგად მომზადებული და გაიოლებული იყოს, რათა ყველა მონაწილის საჭიროებებს ეცეს პატივი.

- იმუშავეთ ყოფილ სიძულვილის ენის გამავრცელებლებთან ერთად. მათ გააჩნიათ ადექვატური შეფასებები და მათი განცხადებები სანდო და სარწმუნო იქნება ექსტრემისტული იდეებით დაინტერესებული ადამიანებისთვის, ან მათთვის, ვინც უკვე რადიკალიზაციის პროცესში იმყოფება.



ვიდეო: სიძულვილის ენის გაავრცელებლები ხვდებიან ლტოლვილებს

უნგრეთში მოქმედი ვიდეოჟურნალისტური არხმა „IndexVideo World“, გამოუყენა ვიდეორგოლები, როგორც სიძულვილის ენის გამავრცელებსა და მათ სამიზნეებს შორის დიალოგის ინსტრუმენტი. კერძოდ, 2015 წლის სექტემბერში, როდესაც უნგრეთში ათასობით ლტოლვილი ჩავიდა, არხმა წაიყვანა ფეისბუქზე ლტოლვილების მიმართ სიძულვილის კომენტარების ავტორების ბუდაპეშტში (უნგრეთი), კელეთის სარკინიგზო სადგურზე, რათა ისინი შეხვედრებინა მათთან, ვის შესახებაც წერდნენ. ამ შეხვედრების მეშვეობით, მათ მიეცათ შესაძლებლობა, ეჭქვემ დაეყენებინათ საკუთარი შეხედულებები და გადაეხინჯათ საკუთარი დამოკიდებულებები.



- რა ტიპის მხარდაჭერა გჭირდებათ, რათა დარწმუნდეთ, რომ თქვენი კამპანია დაგვემძლი და განხორციელებულია კონკრეტული გზით, სიძულვილის ენის სამიზნეთა საჭიროებებისა და პრეფერენციების შესაბამისად?
- თქვენს შემთხვევაში, რა შესაძლებლობები და გამოწვევები ექნებოდა სიძულვილის ენის მხარდაჭერებთან და გამავრცელებლებთან მუშაობას?



ოლის ჯგუფი და ახრის გამოთქმის უფლება

ოლის შემთხვევაში, ხმის ამაღლების გადანაცვტილება სწორედ მან მიიღო, მისი მეგობრის - ალეს და სხვა მეგობრების მხარდაჭერით. მართალია, ოლი ყოველთვის გრძნობდა რალაცის კეთების მოთხოვნილებას, მაგრამ პროცესში მთავარი როლი ალემ ითამაშა. იგი დაეხმარა ოლის საკუთარი გამოცდილების გაანალიზებაში და ხმის ასამაღლებლად თავი თავდაჭერებულად ეგრძნო. ამავდროულად, იგი იყო მისი დამაკავშირებელი სხვა მარკადიელ კლასელებთან, ეხმარებოდა ჯგუფს, კარგად გაეანალიზებინათ იდენტობა, უფლებები და პრივილეგიები. ოლის ასევე ეხმარებოდნენ მასწავლებლები, რომლებიც ღია იყვნენ ახალი იდეებისადმი და გათვიცნობიერებული იყვნენ სიძულვილის ენის საკითხში, ამასთან, მოხერხებულებიც. როგორც მისი მარკადიული ენის მასწავლებელმა, ასევე ისტორიის მასწავლებელმა შეძლეს ჯგუფისთვის რეკომენდაცია გაეწიათ სხვა რესურსების მქონე ადამიანებთან და გაერთიანებებთან. მასწავლებლებმა და ახალგაზრდულმა მუშაკებმა წახალისეს ჯგუფი, განეცოციელებინათ ქმედებები, მაგრამ ისე, რომ მოქმედების ცენტრში ახალგაზრდები ყოფილიყვნენ და არ გადაეფარათ მათი აზრები. მათ შეითავსეს აუცილებელი მხარდაჭერების როლები. ოლიმ და ალემ იტვირთეს ჯგუფის ლიდერობა. მაგრამ ყოველთვის ასე ხდება ?



6.9 | თქვენი მოქმედებისათვის სოციალური ახარდაჭერის გაძლიერება



• მოიძიეთ ორგანიზაციები, რომლებიც იზიარებენ იგივე მიზანს და მოიწვიეთ ისინი ქსელის, ან ორგანიზაციათა ალიანსის შესაქმნელა. ამ ტიპის მოდელი შეიძლება მძლავრი და დადებითი გავლენის მომხდენი იყოს.

• გამოიყენეთ არაოფიციალური ღონისძიებები, როგორცაა ბანაკები ან ფესტივალები, რათა გაზარდოთ მოქალაქეების და ახალგაზრდობის მონაწილეობა, და შექმნათ ადგილობრივი ჯგუფები.

• ჩართეთ სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციები და ჯგუფები: მხატვრები, მუსიკოსები, ვიდეო პროდიუსერები, ტექნოლოგები, განმანათლებლები და ა.შ. მათ ყველას შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ქმედითი საპირისპირონარატივის შექმნაში. მიეცით მათ სივრცე შესაძლებლობა საამისოდ.

• გამოიყენეთ ინტერნეტ-ტექნოლოგიები, რათა უფრო ეფექტურად და იაფად გაუწიოთ ორგანიზება ვირტუალურ სივრცეში. ზოგიერთი პლატფორმა, რომლებიც ონლაინ რეჟიმში თანამშრომლობაში დაგეხმარებათ, არის:

- საკომუნიკაციოდ: Slack, Loomio, Skype და Google Hangout
- საერთო დოკუმენტების მოსამზადებლად: Google Docs დაTitanpad
- საერთო მასალების ჰოსტინგისთვის: SpiderOak, Google Drive და Dropbox



სამოქმედო დღეები

„სამოქმედო დღეებში“ ეროვნული კამპანიები და კამპანიის „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ ევროპული პარტნიორები მობილიზდებიან რათა მონაწილეობა მიიღონ აქტივობებში რომელიც ეხება სიძულვილის ენის გარკვეულ ფორმას ან სამიზნეს. თითოეულ „სამოქმედო დღეს“ აქვს თავისი ღონისძიებების პროგრამა, რომელიც მომზადებულია ონლაინ აქტივისტების მიერ ეროვნული კამპანიების კოორდინატორებთან და ევროპულ პარტნიორებთან თანამშრომლობით - www.no-hatespeechmovement.org - .



- სხვა დაწესებულებებთან და ჯგუფებთან თანამშრომლობის რა ადრინდელი გამოცდილება გაქვთ?
- რა ძირითად გამოწვევებს აწყდებით ამ სფეროში თქვენს კონტექსტში?



ოლის ჯგუფი და მისი ინსტიტუციური ქსელი

ოლის ჯგუფის პირველი და უახლოესი დახმარების წყარო მათი საჯარო სკოლაა. ჯგუფის ზოგიერთი წევრი ასევე განვერიაწებულია ადგილობრივ ახალგაზრდულ ორგანიზაციებში. მასწავლებლებმა მოახერხეს, დაეკავშირებინათ ისინი ადგილობრივ ადამიანის უფლებათა ორგანიზაციასთან და სიძულვილის ენის შესახებ ოფიციალურ საინფორმაციო პუნქტთან. ეს დაწესებულებები წარმოადგენს რეგიონში არსებული ეროვნული და საერთაშორისო კოალიციებისა და ინიციატივების ნაწილს. ამ ინტერაქტივების მეშვეობით, ოლის ჯგუფმა შეიტყო კამპანიის მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ შესახებ. ისინი გრძნობენ, რომ მართლ არ არიან და ისინი ადამიანების უფრო ფართო მოძრაობის ნაწილს წარმოადგენენ, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის უფლებებს. გარდა ამისა, მათ ახლა იციან, თუ ვის უნდა მიმართონ ინფორმაციის და შთაგონების მისაღებად იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განავითარონ კამპანია საპირისპირო ნარატივზე დაუქმნებით!



6.10 | ადამიანური და მატერიალური რესურსების გამთვალისწინება

მართალია მოტივაცია, შემოქმედებითობა და იმედი მთავარი აუცილებელი რესურსებია, მაგრამ ღონისძიების დაწყებამდე გაითალისწინეთ ის ადამიანური და მატერიალური რესურსები, რომლებიც შესაძლოა დაგჭირდეთ, ეს არ ნიშნავს, რომ დამატებითი სახსრების მოძიება ან ადამიანების დაქირავება დაგჭირდებათ. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია განსაზღვროთ, რეალურად რა გვესაჭიროება ჩვენი საქმიანობის განსახორციელებლად, შემდეგ შევაფასოთ ყველა ხელმისაწვდომი რესურსი და შემოქმედებითად მივუდგეთ ალტერნატივებისა და შესაძლო ვარიანტების მოძიებას, მაგალითად გამოვიყენოთ არსებული ადგილები შეხვედრებისთვის და მოვიძიოთ ადგილობრივი სპონსორები მასალებისა და მასიურებზე დასაბეჭდად, ასევე კამერებისა ან შემონირული ნოუტბუქებისთვის. კიდევ ერთხელ: მოტივაცია და საქმისთვის თავდადება ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსია!



მოხალისეობის შესაძლებლობა

მოხალისეობა ერთ-ერთი გზაა მონაწილეობის მისაღებად და ახალი კომპეტენციების განავითარებლად. თქვენ შეგიძლიათ მოხალისეობის განაცხადით მიმართოთ ორგანიზაციას, ან თუ უკვე რომელიმე ორგანიზაციისთვის მუშაობთ, თავად შეგიძლიათ მოიწვიოთ და უმასპინძლოთ მოხალისეებს. მოხალისეობა თანამედროვე საზოგადოების აუცილებელი ნაწილია და მისი მნიშვნელობა საგანმანათლებლო გამოცდილების, სოციალური მონაწილეობის ფორმის, ინტეგრაციის ფაქტორისა და აქტიური მოქალაქეობის განვითარების ხელშეწყობის ინსტრუმენტის მხრივ, აღიარებულია ევროპული ინსტიტუტების მიერ და ყურადღება ეთმობა.

თუ ღონისძიებები მოითხოვს დამატებით რესურსებს და უფრო მასშტაბური და კომპლექსური ხდება, შესაძლოა საჭირო გახდეს მცირე გრანტის თაობაზე განაცხადის შეტანა, ან უკვე არსებულ ადგილობრივ ორგანიზაციისთან ან ჯგუფთან გაერთიანება.



ევროპული ახალგაზრდული ფონდი

ეს არის ევროპის საბჭოს მიერ 1972 წელს, ევროპული ახალგაზრდული აქტივობებისთვის ფინანსური და საგანმანათლებლო მხარდაჭერის მიზნით დაარსებული ფონდი. იგი ასევე ეხმარება ახალგაზრდების თაოსნობით ორგანიზებულ საპილოტე პროექტებს. www.eyf.coe.int



ოლის ჯგუფი და რესურსები

ოლის ჯგუფი არაოფიციალურია, მაგრამ ისინი ერთმანეთს საკმაოდ ვარგად იცნობენ, რადგან მათი უმრავლესობა ერთად სწავლობს. მათ აქვთ თავიანთი სკოლის მხარდაჭერა, ამიტომ მათ აქვთ შეხვედრის ადგილი აქვთ და ხელი მიუწვდებთ ისეთ ადამიანურ რესურსზე, რომლებსაც შეუძლიათ მათ ურჩიეს როგორც შინაარსობრივ, ასევე ტექნიკურ დონეებზე, მაგალითად, მათ შეუძლიათ რჩევა ჰკითხონ თავიანთ მასწავლებლებს, ინფორმატიკის მასწავლებლის ჩათვლით. მაგრამ ისინი ხვდებიან, რომ უკვე ხელმისაწვდომი რესურსებით ბევრის გაკეთება შეუძლიათ. რაც ყველაზე მთავარია, მათ აქვთ აქვთ უსაფრთხო ადგილი შესახვედრად, წახალისება და მხარდაჭერა, დრო და მოტივაცია! ამავდროულად, მათ იციან, რომ მათი ადგილობრივი მთავრობა ახალგაზრდულ ორგანიზაციებს სთავაზობს მცირე გრანტებს და ისინი ეძებენ გზებს, თუ როგორ შეიტანონ განაცხადი. სარას ორგანიზაციამაც განახორციელა პროექტი, ევროპის ახალგაზრდული ფონდისგან მიღებული გრანტით.

6.11 | მეტი ინფორმაციის მოძიება

იდაქიანის უფლებების სამართლებრივი ინსტრუმენტები

- **ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია** რატიფიცირებული იქნა ევროპის საბჭოს ყველა წევრის მიერ. ის იცავს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მთელ სპექტრს, პირადი ცხოვრების კონფიდენციალობის, უსაფრთხოების უფლებების და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისგან დაცვის ჩათვლით. მართალია, კონვენცია იცავს გამოხატვის თავისუფლებასაც, მაგრამ ეს უფლება ექვემდებარება შეზღუდვას, როდესაც გამოხატვის ფორმები გარკვეული ალბათობით საფრთხეს უქმნის სხვებს, ან ზიანს აყენებს.
- **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო** იცავს ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებს და იხილავს ადამიანის უფლებების დარღვევების საფუძველზე შეტანილ სარჩელებს. სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა გამოიქვეყნა „სიძულვილის ენის“ ინტერპრეტაცია, რომელიც უზრუნველყოფს, რომ შეურაცხყოფის უმძიმესი ფორმები დაცული არ იყოს გამოხატვის თავისუფლების უფლებით.
- **კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ** შემუშავებული იქნა ევროპის საბჭოს მიერ, მის დამატებით ოქმებთან ერთად, რომლებიც შეეხება კომპიუტერული სისტემების მეშვეობით ჩადენილი რასისტული და ქსენოფობიური ქმედებების კრიმინალიზაციას (2003 - №189). ეს არის ამ თემაზე არსებული ერთადერთი მავალდებულებელი საერთაშორისო ხელშეკრულება. იგი ძალაში შევიდა 2004 წლის ივლისში და აყალიბებს სახელმძღვანელო პრინციპებს იმ მთავრობებისთვის, რომლებსაც სურთ კიბერდანაშაულთან დაკავშირებული კანონმდებლობის შექმნა.

იდაქიანის უფლებების მონიტორინგის ორგანოები

- **ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI)** არის ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ორგანო. იგი შედგება დამოუკიდებელი ექსპერტებისა და



გამოსცემს მონიტორინგის მოხსენებებს, სიძულვილის ენის შესახებ მომზადებული მოხსენებების ჩათვლით. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის ძირითადი პოლიტიკის რეკომენდაციები სიძულვილის ენასთან ბრძოლის თაობაზე (შესწორებული ვერსია).

- ადამიანის უფლებათა კომისარმა ყურადღება მიაპყრო სიძულვილის ენას, როგორც ადამიანის უფლებათა პრობლემურ საკითხს (მაგალითად, ბოშებთან, ლტოლვილებთან და თავშესაფრის მაძიებლებთან დაკავშირებით). კომისარი ასევე მოუწოდებს სიძულვილის ენის წინააღმდეგ საჭირო ზომების მიღებისკენ.

ევროპის საბჭოს საგანგებო რეაქციები

- **სანიშნები** - სახელმძღვანელო ვირტუალურ სივრცეში სიძულვილის ენასთან ადამიანის უფლებების სწავლების ბრძოლის შესახებ
- **კომპასი**: სახელმძღვანელო ახალგაზრდებისთვის ადამიანის უფლებების სწავლების შესახებ.
- **კულტურათმორისი კომპეტენციის განვითარება განათლების, ინტერკულტურალიზმისა და მულტიკულტურალიზმის მეშვეობით**: მსგავსებები და განსახვავებები.
- **ინტერნეტ განათლების სახელმძღვანელო**
- ვირტუალურ სივრცეში სიძულვილის ენასთან ბრძოლის **საწყისი პუნქტები** - გამოქვეყნებული კვლევა ვირტუალურ სივრცეში სიძულვილის ენის და საორიენტაციო კვლევა ვირტუალურ სივრცეში სიძულვილის ენასთან მებრძოლი კამპანიების თაობაზე.
- **ესტაბლიშმენტის პროგრამის მოდულები** მედია განათლებასა და კულტურათმორის სწავლებაზე.
- **სასწავლო პროგრამის შექმნა და განხილვა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლებისთვის**, ერთობლივად გამოქვეყნებული იქნა იუნესკოს, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისისა და ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის მიერ.
- **„ველური ინტერნეტის ტყეები“**, ონლაინ თამაში ბავშვებისთვის, რათა ისწავლონ ვირტუალურ სივრცეში თავინათ უსაფრთხოების დაცვა.

თავის შეჯამება 5 პუნქტად

- სიძულვილის ენის წინააღმდეგ მოქმედებებში ჩართვა ნებისმიერს შეუძლია; საამისოდ საჭიროა მხოლოდ მოტივაცია და მცირე მომზადება.
- მნიშვნელოვანია, გვესმოდეს თემატური საკითხების სირთულე და ონლაინ და ოფლაინ სივრცეებში არსებული სოციალური დინამიკები.
- საკვანძო მნიშვნელობა აქვს ემოციურ მზადყოფნას და ორგანიზაციის ან გუნდის მხრიდან მხარდაჭერას. იმუშავეთ სხვებთან ერთად.
- ენამ შესაძლოა გაამრავლოს ნეგატიური სტერეოტიპები და გამორიცხვა; შესაძლებელია არაგამომრიცხავი ენის გამოყენება. ენის ცვლილებით, რეალობაც იცვლება.
- სიძულვილის ენის სამიზნეების და სიძულვილის ენის გამავრცელებლების მონაწილეობა მნიშვნელოვანია თქვენი მოქმედებების ლეგიტიმაციისა და ქმედითობის კუთხით.

სქოლიო

- ¹ Barrett, M. (2016), Competences for Democratic Culture: Living Together as Equals in Culturally Diverse Democratic Societies, ვეროპის საბჭო, სტრასბურგი
- ² სტრატეგიების სხვადასხვა ტიპების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ Bookmarks - A Manual for combating Human Rights Online through Human Rights Education (თავი 5.7, გვ.179).
- ³ Khan, A. (2015), Activist Burnout Is Real – And You Probably Need to Read These 4 Ways to Manage It, Everyday feminism, ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://everydayfeminism.com/2015/05/dealing-with-activist-burnout> (მოქიებულია 2016 წლის 16 ივნისს)
- ⁴ Mills, S. (2008), Language and sexism, Cambridge University Press, Cambridge.
- ⁵ ხელმისაწვდომია ბმულზე: www.telegraph.co.uk/news/2016/03/23/dont-call-them-illegal-immigrants-says-europe-human-rights-commi/, (მოქიებულია 2016 წლის 1-ელ დეკემბერს)
- ⁶ Tell MAMA Measuring Anti-Muslim Attacks (2016), The Language of Anti-Muslim Prejudice or Islamophobia. The TELL MAMA Language Tracker, ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://tellmamauk.org/the-language-of-anti-muslim-prejudice-or-islamophobia/> (მოქიებულია 2016 წლის 25 ივლისს)
- ⁷ დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ: www.facebook.com/Not-in-MY-Name-Muslims-Against-Terrorism-214632765363893/
- ⁸ დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ: www.coe.int/en/web/european-youth-foundation

ჯგუფი „WeCan“ (შეგვიძლია) ჩამოყალიბდა და იწყებს თავისი პირველი აქტივობის განხორციელებას



- მგონი უკვე ჯგუფად შევიკარით და ბლომად იდეები გვაქვს. პირველი ღონისძიება უნდა დაგვეგეგმოთ



- კი, მაგრამ რითი დაიწყებთ? ბევრი იდეა გვაქვს...

- ვფიქრობ, პირველი ნაბიჯი უნდა იყოს იმის გაგება, თუ რა მოხდა რა რა იდეებზე დაამყარებული მესიჯები. რის მიღწევას ცდილობენ ისინი? და რატომ აკეთებენ ამას?



- შეგვიძლია ვაანალიზოთ და ვაანალიზოთ, მაგრამ ახლა უკვე მოქმედება საჭირო.



- ორივე უნდა ვაკეთოთ: გავაანალიზოთ და ვიმოქმედოთ. ჩვენი ღონისძიება ზედაპირზეა. მოდით, ზოგიერთმა ჩვენგანმა იმუშავოს ქალბატონ ჰილტესთან ერთად ნარატივები იდეასა და და ონლაინ სიძულვილის ენაზე, ხოლო ზოგიერთმა მეტი ინფორმაცია მოვიძიოთ კამპანიის „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ?



- დიახ, მოდი ვცადოთ. wecan (შეგვიძლია) კარგი პეშტეგია! პოზიტიური იდეაა, რომლის გავრცელებაც შეგვიძლია.

-გამოდის, რომ ჩვენს ჯგუფს „wecan“ (შეგვიძლია) ჰქვია?

-დიახ! მარტივია, შეგვიძლია ჯგუფი შექმნა, ონლაინ-რეჟიმში რომ ვიმუშავოთ?

აკეთეთ თქვენით და ნაბიჯ-ნაბიჯ

ეს თავი წარმოადგენს საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივის კამპანიის შემუშავების ეტაპობრივ სახელმძღვანელოს. ის ასევე შეიცავს რჩევების, ინსტრუმენტების და ტაქტიკების ნაკრებს, ილუსტრირებულ მაგალითებთან ერთად, რომლებიც უნდა დაგეხმაროთ საპირისპირო ნარატივის შემუშავებასა და მიაგვრელი ნარატივების დეკონსტრუქციის მიზნით ნაბიჯების გადადგმაში. რა თქმა უნდა, ეს არ წარმოადგენს მიაგვრელი ნარატივების დეკონსტრუქციის გარანტირებულ რეცეპტს, რადგან ისინი არსობრივად მრავალფეროვანია და ის სოციოპოლიტიკური კონტექსტები, რომლებშიც ისინი მოქმედებენ, ერთმანეთისგან განსხვავდება.

ეს ეტაპობრივი სახელმძღვანელო მკაცრ და ხისტ ჩარჩოდ ვი არ უნდა მიიღოთ, არამედ როგორც „მოქნილი“ სახელმძღვანელო, რომელიც სხვადასხვა ადგილობრივ და ეროვნულ კონტექსტებში გამოსაყენებლად, შესაძლებელია იქნას მიღებული, გადაკეთებული, მორგებული და ადაპტირებული. ეს სახელმძღვანელო პრინციპები უნდა მიიღოთ, როგორც ინსტრუმენტების ნაკრები, რომელიც, მიუხედავად იმისა, ხართ განმანათლებელი, ადგილობრივი აქტივისტების არაფორმალური ჯგუფის წევრი, თუ მიეკუთვნებით ორგანიზაციას, გეხმარებათ გზა გაიკვლიოთ საპირისპირონარატივის შემუშავების ოთხივე ფაზაში:

1. შეაფასეთ ის მიაგვრელი ნარატივი, რომელსაც გინდათ, რომ დაუპირისპირდეთ. მიაგვრელი ნარატივის დაწვრილებით განხილვა გეხმარებათ, ჩანვდეთ როგორც მის შინაგან დინამიკას, ასევე მის კონტექსტს, რომელშიც იგი ხდება, მისი მოქმედების რადიუსს და მედიაში გავრცელებას.
2. საპირისპირო ნარატივის დაგეგმვა არის ფაზა, როდესაც თქვენ იღებთ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, ირჩევთ ტექნიკებს, ტაქტიკას და არგუმენტებს, რომელთა გამოყენებაც გსურთ, და ირჩევთ მედია პლატფორმებს.
3. საპირისპირო ნარატივის დაწერგვა არის ის მომენტი, როდესაც თქვენ აამოქმედებთ იმ ჩარევას, რომელიც მეორე ფაზის დროს დაგეგმეთ.
4. საპირისპირო ნარატივის მონიტორინგი და შეფასება გეხმარებათ დაინახოთ თქვენი შრომის ნაყოფი, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს თქვენი საპირისპირო ნარატივი და რა გავლენას ახდენს იგი. ეს ფაზა ასევე დაგეხმარებათ კარგად გააანალიზოთ თქვენს მიერ შესრულებული სამუშაო და განსაზღვროთ, საჭიროების შემთხვევაში, რა ცვლილებები შეიტანოთ მასში, სამომავლო იტერაციისას.

ოთხივე ფაზა მუშაობს გამოცდების, ან მოქმედებათა ციკლების საფუძველზე, რომლებიც შედგება მოქმედებათა რიგისგან, რომლებიც მეორდება სასურველ შედეგამდე თანდათანობით მიახლოების მიზნით. ერთი მცდელობა შედგება ოთხი ფაზისგან. როდესაც თქვენ შეაფასებთ თქვენი საპირისპირო ნარატივის პირველ მცდელობას და აღმოაჩენთ, რომ თქვენი მიზნები ნაწილობრივ შესრულდა, მაშინ ეს ნიშნავს, რომ თქვენ ამ მცდელობის (ოთხი ფაზის) გამოცდები მოგიწევთ, სანამ სასურველ მიზნებს არ მიაღწევთ.



მსვლელების მართვა

X ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა პოპულარული ეროვნული ტელევიზიით, პრაიმ-ტაიმის მონაკვეთში, პირდაპირ ეთერში გააკეთა მკაცრი განცხადება ბოშათა თემის წინააღმდეგ, ამან წახალისა ნაციონალისტური და კონსერვატორი ჯგუფები, ორგანიზაციები, ინდივიდები და პარტიები, რომ წამოეყნოთ კამპანია ამ საზოგადოების წინააღმდეგ.

აქტივისტებისა და ორგანიზაციების ქსელმა (რომლის წევრიც თქვენ ხართ) წამოიწყო კამპანია მრავალრიცხოვანი ნარატივის წინააღმდეგ, და მოუწოდა პრემიერ-მინისტრს, ბოდიში მოეხადა და უკან წაეღო თავისი განცხადება.

სამთვინი კამპანიის შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა ბოდიში მოიხადა მის მიერ გაკეთებული განცხადების გამო, მაგრამ ის მაინც არ უჭერდა მხარს ბოშათა თემს. გარდა ამისა, მან ბოდიში მოიხადა არა პრაიმ ტაიმის დროს მიცემული ცოცხალი ინტერვიუს დროს, არამედ ინტერვიუ მისცა ადგილობრივ ბლოგერს, რომლის თვითონ აუდიტორიაც ასე მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, კამპანიის მიზანი, რაც ამ თემის ქსელურ მხარდაჭერას წარმოადგენდა, ნაწილობრივ იქნა მიღწეული. შედეგად, კამპანიის შედეგების შეფასების შემდეგ, გადაწყდა, რომ საჭირო იყო მორიგი მცდელობა, რათა სრულად ყოფილიყო მიღწეული კამპანიის მიზნები.

ქვემოთმოცემული ჩარჩო გთავაზობთ ეტაპობრივი სახელმძღვანელოს შეჯამებას, რომელიც მოიცავს ოთხ ფაზას: 1) შესწავლა, 2) დაგეგმვა, 3) განხორციელება და 4) მონიტორინგი და შეფასება.

თითოეული ფაზა კიდევ იყოფა საფეხურებად, და თითოეული საფეხური კიდევ იყოფა რჩევებად და ინსტრუმენტებად, რომლებიც დაგეხმარებათ და გზას გაგიძღვებთ მცდელობის წარმატებულად შესასრულებლად.



პირველი მსვლელობა



1	2	3	4
შ	დ	გ	შ
შეფასება	დიჯინი	მანოქცხილება	შეფასება
<p>ნაბიჯი 1 კონტენტი სტრუქტურა ტონი</p> <p>ნაბიჯი 2 განმარახვა</p> <p>ნაბიჯი 3 კონტექსტი</p> <p>ნაბიჯი 4 სამიზნე</p> <p>ნაბიჯი 5 მედია</p> <p>ნაბიჯი 6 დისტრიბუცია დროსა და სივრცეში</p> <p>ნაბიჯი 7 ფაქტები და ნყარობები</p> <p>ნაბიჯი 8 შედეგები</p>	<p>ნაბიჯი 1 ამოცანები</p> <p>ნაბიჯი 2 სამიზნე</p> <p>ნაბიჯი 3 კონტენტი, ტონი</p> <p>ნაბიჯი 4 გაითვალისწინეთ ადამიანის უფლებების ღირებულებები</p> <p>ნაბიჯი 5 შეარჩიეთ მედიუმები</p> <p>ნაბიჯი 6 სამოქმედო გეგმა</p>	<p>ნაბიჯი 1 განხორციელება</p> <p>ნაბიჯი 2 ჩართე მედია</p> <p>ნაბიჯი 3 იფიქრე გავლენიან ხალხზე</p> <p>ნაბიჯი 4 ჩართე ყველა დაინტერესებული მხარე</p>	<p>ნაბიჯი 1 განსაზღვრეთ გავლენის ინდიკატორები</p> <p>ნაბიჯი 2 დააკვირდით და დასვით კითხვა</p> <p>ნაბიჯი 3 შეაფასეთ მოქმედების არეალი</p> <p>ნაბიჯი 4 დააკვირდით საუბრებს</p> <p>ნაბიჯი 5 შეაფასეთ მეგავლენა</p>

7.1 | ფაზა პირველი: მრავალპირველი ნარატივის შეფასება

ფექტური საპირისპირო ნარატივის შემუშავება იწყება მრავალპირველი ნარატივის სიღრმისეული ანალიზით. სხვა სიტყვებით, გესაჭიროებათ საგულდაგულოდ შეაფასოთ ის მრავალპირველი ნარატივი, რომელთანაც ბრძოლას აპირებთ. იმისათვის, რომ ეს შედეგისადად შეძლოთ, ეს ფაზა გაგათარებთ 8 საფეხურს, რომლებიც შეიცავს რჩევებს, მეთოდებს და ინსტრუმენტებს, რათა უკეთესად შეაფასოთ მრავალპირველი ნარატივი და მისი დინამიკა. დროა ახლავე დაიწყეთ!

ფაზა



საფეხური



გაანალიზეთ მრავალპირობიანი ნარატივის შინაარსი. სტრუქტურა და ტონი

ეს ფაზა ემყარება მე-4 თავს და გთავაზობთ ძირითად ზომებს იმ ნარატივის შესაფასებლად, რომელზეც მუშაობასაც გეგმავთ. პირველი საფეხური არის მრავალპირობიანი ნარატივის გაანალიზება შემდეგი ელემენტების მიხედვით:

- შინაარსი. ეს შეეხება ძირითად საკითხებს, დებატებს, ან თემებს.
- სტრუქტურა. ეს შეეხება იმას, თუ როგორ არის ნარატივები ორგანიზებული 1) საწყის სიტუაციაში, 2) არეულობის მომენტში ან კონფლიქტის დროს, და 3) სიტუაციის შეჯამება ან დასასრული.
- ტონი. ეს გულისხმობს მანერა ან სტილს, რომლის მეშვეობითაც ფრაზა გამოითქმება, რამაც შეიძლება მიგვანიშნოს ნარატივის მიზნისა და მისი ემოციური განზომილებებისკენ.



როდესაც ანალიზებთ მრავალპირობიანი ნარატივის შინაარსს, სტრუქტურას ან ტონს, მნიშვნელოვანია დასვათ შემდეგი კითხვები (თუმცა მხოლოდ მათით არ შემოიფარგლოთ):

- რა საკითხები დევს სასწორზე? რა თემები ფიგურირებს? რომელი კონცეფციები გეჩვენებათ ცენტრალურად, გამეორებულად, ან კამათის ობიექტად?
- რა არის ნარატივის საფუძვლის სტრუქტურა? ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაპირველ სიტუაციას, რომელიც რაიმე მოვლენამ ან კონფლიქტმა ძირი გამოუთხარა? რა დასკვნა ან სასურველი შედეგი გესახებათ კონფლიქტის დაძლევის შემდეგ?
- რა ტიპის ენა არის გამოყენებული (მაგალითად, ოფიციალური თუ არაოფიციალური)?
- რა ტონს მიმართავენ (მაგალითად, ირონიულს, მექარის, ამპარტავნულს, ძალადობრივს, სასაცილოს თუ შეურაცხმყოფელს)?
- რა ტექსტური მტკიცებულება არსებობს, ან რა არის ყველაზე წარმოსადეგი ან ილუსტრაციული ტექსტი, სიმბოლო ან სურათი, რომელიც დაგეხმარებათ ნარატივის აღწერაში? სასარგებლოა, თუ მათ აღრიცხავთ, როგორც წყაროებსა და ფაქტებს, რომლებსაც ანალიზში, და მეორე, „საპირისპირო ნარატივის დაგეგმვის“ ფაზაში გამოიყენებთ.





თუ თქვენ მჩაგვრელ ნარატივზე ონლაინ სივრცეში მუშაობთ, როგორცაა ონლაინ ჟურნალები ან სოციალური მედია, შესაძლოა დაგჭირდეთ ზემოთხსენებული ელემენტების მონიშვნა და შენახვა. აქვე გთავაზობთ, რამდენიმე ინსტრუმენტს, რომლებიც ტექსტური მტკიცებულებების და სხვა ზემოთმოთხსენებული ელემენტების მონიშვნაში, გადმოტანასა და შენახვაში დაგეხმარებათ:

- Diigo (www.diigo.com) - არის ინსტრუმენტი, რომელიც დაგეხმარებათ, მონიშნოთ, მიაშავროთ, გადმოიტანოთ და შეინახოთ ნებისმიერი ონლაინ კონტენტი ან რესურსი, და გჭონდეთ მათზე იოლი წვდომა ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას. ყველა მონიშნული კონტენტის შენახვა როგორც საჯაროდ, ასევე პრივატულად არის შესაძლებელი.
- Amber (www.amberlink.org) - არის ბლოგებისა და ინტერნეტსაიტებისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტი, დაზიანებული URL ბმულების ონლაინ შესანახად. მაგალითად, თუ თქვენს ბლოგზე დაამატეთ ონლაინ ინტერვიუ პოლიტიკოსთან, რომელმაც გააკეთა ანტისემიტური განცხადება, მაგრამ მოგვიანებით იგი აღებული იქნა ინტერნეტიდან, თქვენი ლინკი ყოველთვის ხელმისაწვდომი იქნება „ამბერით“.



ქვემოთმოცემული ტექსტი არის მჩაგვრელი ნარატივის ტექსტური მტკიცებულება. იგი დაფუძნებულია ერთი ევროპული ქვეყნის პოლიტიკოსის მიერ გაკეთებულ კომენტარებს, რომლებიც მან გაახმოვანა, როდესაც ლგბტ უფლებების შესახებ ჰკითხეს. გაანალიზებულია ნარატივის შინაარსი, სტრუქტურა და ტონი.

ეს არის კითხვა, რომელიც ბევრს სახუმაროდ მიაჩნია, მაგრამ მე უნდა მოვერიდო რაიმე მსგავსს. ყველას, ვინ საჯარო განცხადებებს აკეთებს ამ საკითხის შესახებ, სიფრთხილისკენ მოვუწოდებ. ჩვენ სერიოზული ქვეყანა ვართ. ფუნდამენტურად დამყარებული ტრადიციულ ღირებულებებზე. თუმცა, ტოლერანტობა არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა გავავრცელოთ იგივე წესები იმ ადამიანებზე, რომელთა ცხოვრების წესი ჩვენისგან განსხვავდება. ჩვენ ჩვენ თავს მათგან განვასხვავებთ. შემწყნარებლობა ნიშნავს მოთმინებას, შემწყნარებლობა ნიშნავს თანაცხოვრების უნარს, და ეს არის ამ ქვეყნის კონსტიტუციის საძირკველი, რომელიც ცოლქმრულ ურთიერთობას მამაკაცსა და ქალს შორის უშეცდომოდ განასხვავებს სხვა ფორმის ურთიერთობებისგან. როგორც ადრე აღვნიშნე, ჩვენ შევინარჩუნებთ ამას. სხვათა შორის, მე მაღლივი ვარ ჩვენი ქვეყნის ჰომოსექსუალთა თემის. მე მაღლობას ვუხედი მათ იმისთვის, რომ არ ამჟღავნებენ შეურაცხმყოფელ ქმედებას, რადგან ამას უკვე ადგილი ჰქონდა ბევრ ევროპულ ქვეყანაში. ქვეყნებს ამასთან ბრძოლა უნევთ და რაც ბოლოს ხდება, არის ის, რომ ისინი აღწევენ იმის საპირისპიროს, რისი მიღწევაც მათ სურთ. მე მართლა ვფიქრობ, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ჩვენი კონსტიტუცია აშკარად განასხვავებს ქორწინებასა და სხვა ფორმის ურთიერთობებს, ის ადამიანები, რომლებიც ჩვენისგან განსხვავებული ცხოვრების სტილით ცხოვრობენ, დაცულები არიან. მათ პატივს სცემენ. ჩვენ პატივს ვცემთ მათ ძირითად ადამიანურ ღირსებას, რასაც ისინი იმსახურებენ. მჯერა, რომ უცხოელები არ მიიჩნევენ, რომ სამიმ ქვეყანაში იმყოფებიან. ეს ვარგია. ეს ის გზაა, რომლითან ერთად ცხოვრება შეგვიძლია. თუ ჩვენ შევიშუშავებთ უფრო მკაცრ წესებს, ან ჰომოსექსუალთა თემი უფრო პროვოკაციული გახდება, მჯერა, რომ ახლანდელი მშვიდობიანი, წყნარი სიტუაცია დიდხანს ვერ გასტანს. ვის ისარგებლებდა ამით? ჩვენ ყველანი მოგებული დავრჩებით, თუ ერთად ცხოვრებას შევძლებთ. მნამს, რომ როგორც ახლაა ყველაფერი დალაგებული, ასე ჩვენ მშვიდობიანად ცხოვრებას გავაგრძელებთ.

- შინაარსი: ხსენებული თემები შეეხება ჰომოსექსუალობას, ტოლერანტობას და ქვეყნის კონსტიტუციის პატივისცემას.
- სტრუქტურა: ქვეყანა სერიოზული და შემწყნარებელი (საწყისი სიტუაცია), „შეურაცხყოფილი ქვეყის“ მიღებად შეიძლება დაარღვიოს ეს იდეალური სიტუაცია (არეულობა ან კონფლიქტი), ამგვარად, ამ ქვეყის შეწყნარება დაუშვებელია (შემოთავაზებული დასკვნა).
- გამოყენებული ტონი: საკმაოდ საინტერესოა, ტონი აგრესიული არ არის. ის მკვეთრ აქცენტს აკეთებს ტოლერანტობაზე. მაგრამ, ამავდროულად, გაძლევს ფარულ მზავრელ ელემენტებს, როგორცაა „ტრადიციული ღირებულებები“ და როგორც „მადლიერია“ ეს პიროვნება თავისი ქვეყნის ჰომოსექსუალური თემის, მათი მხრიდან „შეურაცხყოფილი ქვეყის არგამოვლენის გამო“.
- ტექსტური მტკიცებულება: ქვემოთ მოცემული ტექსტური მაგალითები შესაძლებელია გამოყენებული იქნას საპირისპირო ნარატივის შესაქმნელად, ასევე გამოვიყენოთ იმის დამადასტურებელ ფაქტებად, რომ ეს ინტერვიუ ხელს უწყობს მზავრელი ნარატივის გაძლიერებას:

„ყველას, ვინ საჯარო განცხადებებს აკეთებს ამ საკითხის შესახებ, სიფრთხილისკენ მოვუწოდებ.“ - რას გულისხმობს ეს პიროვნება სიტყვით „სიფრთხილ“.


„ჩვენ სერიოზული ქვეყანა ვართ. ფუნდამენტურად დამყარებული ტრადიციულ ღირებულებებზე.“ - იზომება ქვეყნის სერიოზულობა ტრადიციული ღირებულებების მიხედვით? პრობლემატურია, თუ როგორ იყენებს ეს პიროვნება ტრადიციულ ღირებულებებს ქვეყნის სერიოზულობის ფასადად.

„ჩვენ ტოლერანტული ქვეყანა ვართ ფუნდამენტურად დამყარებული ტრადიციულ ღირებულებებზე. თუმცა, ტოლერანტობა არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა გავაგრძელოთ იგივე წესები იმ ადამიანებზე, რომელთა ცხოვრების წესი ჩვენისგან განსხვავდება. ჩვენ ჩვენ თავს მათგან განსხვავებულად შემწყნარებლობა ნიშნავს მოთმინებას, შემწყნარებლობა ნიშნავს თანაცხოვრების უნარს, და ეს არის ამ „ქვეყნის კონსტიტუციის საძირკველი, რომელიც ცოლქმრულ ურთიერთობას მამაკაცსა და ქალს შორის უშეცდომოდ განაზღვრავს სხვა ფორმის ურთიერთობებისგან.“ - ტოლერანტობაზე ასეთი მეტისმეტი ხაზგასმა გამოიყენება, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობებში არსებული „შემობრუნების“ ტექნიკა, ამ პიროვნების ლგბტ თემის შესახებ არსებული შეხედულების მთავარი ჩანაფიქრიდან ყურადღების გადასატანად. სიტყვა „ტოლერანტობა“/ „შემწყნარებლობა“ თითქმის ყველა წინადადებაშია ნახსენები. თუმცა, თუ ქვეტექსტი განსხვავებულია: მაგალითად, როდესაც ეს პიროვნება ამბობს, რომ ქვეყნის კონსტიტუცია ამჟამად გამოარჩევს ვაცსა და ქალს შორის ქორწინებას, რა უნდა ვთქვათ იგივე სქესის ადამიანთა შორის ქორწინებაზე? ესეც ტოლერანტობის ნაწილი არ არის?

„მე მადლიერი ვარ ჩვენი ქვეყნის ჰომოსექსუალთა თემის. მე მადლობას ვუხდით მათ იმისთვის, რომ არ ამუღავებენ შეურაცხყოფილ ქმედებას, რადგან ამას უკვე ადგილი ჰქონდა ბევრ ევროპულ ქვეყანაში. ქვეყნებს ამასთან ბრძოლა უნდა და რაც ბოლოს ხდება, არის ის, რომ ისინი აღწევენ იმის საპირისპიროს, რისი მიღწევაც მათ სურთ.“ - ისევე, შემობრუნების ტექნიკის ფორმით, ეს პიროვნება მადლობას უხდის ჰომოსექსუალთა თემს, მაგრამ ამ მადლობის ნამდვილი მნიშვნელობა უარყოფითია: მოსაუბრე მადლობას უხდის მათ იმისთვის, რომ ქეჩაში და საჯარო შეკრებებზე არ გამოდიან. გარდა ამისა, ეს პიროვნება ბუნდოვანს ტოვებს შეურაცხყოფილი ქვეყის მნიშვნელობას.

„მე მართლა ვფიქრობ, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ჩვენი კონსტიტუცია ამჟამად განსხვავებს ქორწინებასა და სხვა ფორმის ურთიერთობებს, ის ადამიანები, რომლებიც ჩვენგან განსხვავებული ცხოვრების სტილით ცხოვრობენ, დაცულები არიან. მათ პატივს სცემენ. ჩვენ პატივს ვცემთ მათ ძირითად ადამიანურ ღირსებას, რასაც ისინი იმსახურებენ“ - აქ ეს პიროვნება უკვე მეორედ მიუთითებს ქალსა და ვაცს შორის ქორწინების კონსტიტუციურ განმარტებაზე. ეს ორმაგი დამონშება მიგვანიშნებს პოლიტიკოსის ამჟამად მიზანს ამ ევროპული ქვეყნის ლგბტ თემთან დაკავშირები, და თუ როგორი მარგინალიზებულია ეს უკანასკნელი, მაგრამ, კონსტიტუციაზე მითითების შემდეგ, ეს პიროვნება ცდილობს სამართლებრივი საფრთხის დაფარვას (კვლავ შემობრუნების ტექნიკის გამოყენებით) ადამიანის ღირსების შესახებ სტერილური სიტყვების მეშვეობით.

„მნამს, რომ როგორც ახლავ ყველაფერი დალაგებული, ასე ჩვენ მშვიდობიანად ცხოვრებას ვავაგრძელებთ.“ - პიროვნება ასრულებს წინადადებას ამ ქვეყანაში მშვიდობიანი თანასწორობის იდეით.



გაანალიზებთ მჩაგვრელი ნარატივის მიზანი

აქ ჩვენ განვიხილავთ მჩაგვრელი ნარატივის მიზანს. სხვა სიტყვებით, გამოვიკვლევთ, ნარატივის კონკრეტულად განსაზღვრულ მიზანს ნარმოადგენს თუ არა სიძულვილის წახალისება, ძალადობრივი ქმედებისკენ, ან ცალკეული ინდივიდის ან ჯგუფისადამი (ემოციური თუ ფიზიკური) ტკივილის მიყენებისკენ მოწოდება. ნარატივის მნიშვნელობის გაანალიზების შესახებ მეტის ნაკითხვა შეგიძლიათ მე-4 თავში.



ხშირად, ადამიანები დაუფიქრებლად ლაპარაკობენ, განსაკუთრებით ვირტუალურ სივრცეში, როდესაც ამოფარებული არიან ანონიმურ სახეს. ისინი ამბობენ და წერენ სიტყვებს, რომლებმაც შეიძლება ტკივილი მიაყენოს სხვას. ეს სიტყვები ზოგჯერ ვინმესთვის განზრახ ტკივილის მიყენების მიზანს ემსახურება. შემდეგი კითხვები შესაძლოა დაგეხმაროთ, გაანალიზებთ მჩაგვრელი ნარატივის მიზანი:

- რა არის ნარატივის ძირითადი მიზანი? რის მიღწევას ემსახურება?
- ახალისებს თუ არა იგი სამიზნე ჯგუფისადამი სიძულვილით მოტივირებულ ქცევებს?
- შეფუთულია თუ არა მჩაგვრელი ნარატივი სტერეოტიპული, ცრუ შეხედულების, ან რასისტული ფორმით?
- რატომ წარმოიშვა ეს მჩაგვრელი ნარატივი? რატომ მოხდა ეს?




განიხილეთ და გაანალიზეთ ზემოთმოცემული კითხვები. გამოიყენეთ ქვემოთმოცემული ნიმუში, რათა დააფიქსიროთ ძირითად საკითხები

<p>ძირითადი მანხაპა</p> <p>მაგალითად: ცდილობს თუ არა იგი არსებული პოლიტიკის გამართლებლას? ცდილობს თუ არა იგი საზოგადოების დარწმუნებას კონკრეტული ქმედების თაობაზე?</p>	<p>აყალიბებს სტრატეგიას. ცრუ შინადასტურებას ან რასიმს</p> <p>მაგალითად: არის თუ არა მდგომარეობითი სქესის ებრაელი სტუდენტის ფეისბუქის პროფილზე ანტისემიტური და სექსისტური შინაარსის პოსტი?</p>
<p>სიკაუჭილით მოძივირებადი ძველის ტიპი.როგო-ლიც წახალისებადი</p> <p>მაგალითად: არის თუ არა მონოდება „დახოცეთ მუსლიმები“?</p>	<p>მრავალპი ნარატივის აღმოსაწახი/არსებობის შესაქლო მიწახი</p> <p>მაგალითად: არსებობს გადაუჭრელი სოციო-პო-ლიტიკური კონფლიქტი?</p>



ქანოფობიური ნარატივის შინაარსის, სტრუქტურისა და ტონის შეფასება

ოლის მიერ მიღებული პოსტები და შეტყობინებები მხარს უჭერს ქსენოფობიურ ნარატივს. ამ ნარატივში, როლინიელები წარმოჩენილი არიან, როგორც საფრთხე, რომელიც მარკადიას ემუქრება. ეს იყო აყვავებული ქვეყანა და მიგრანტების ჩამოსვლა წარმოჩენილია, როგორც მიზეზი ისეთ ყველა სოციალური გასაჭირის, როგორიცაა უმუშევრობა და დაუცველობა. საჭიროა ამ კონფლიქტის მოგვარება და წამოყენებულია წინადადება, რომ შეწყდეს ემიგრაცია და შეიზღუდოს მიგრანტთა უფლებები. არ არის „ჩვენ“ მათ „წინააღმდეგ“. ისინი თუ არ წავლენ, მაშინ მარკადიაში კეთილდღეობა ვერ დაბრუნდება. ეს სტრუქტურა აშკარა ხდება ტექსტური მტკიცებულებით, „დაინყეთ ჩაბარება და ნადით სახლში“, აგრესიული ტონით.



განალიზეთ კონტექსტი:

კონტექსტს დიდი მნიშვნელობა აქვს. თანამედროვე, ისტორიულმა, კულტურულმა კონტექსტებმა შესაძლოა მიგანიშნოთ, თუ რატომ ხდება კონკრეტული მჩაგვრელი ნარატივი კონკრეტულ დროს.



- ვარგი კონტექსტური ახსნა უნდა დაეყრდნოს ამ სამ მთავარ კითხვას:
- რა არის თანამედროვე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტი?
 - რა არის ისტორიული კონტექსტი?
 - რა არის კულტურული კონტექსტი?





ქვემოთმოცემული ნიმუში საშუალებას მოგცემთ, საფუძვლიანად გააანალიზოთ კონტექსტი, და ჩაატაროთ დაკვირვება ნარატივის კონტექსტის სხვადასხვა განზომილებებზე

სოციალური კონტექსტი	პოლიტიკური კონტექსტი
ეკონომიკური კონტექსტი	კულტურული კონტექსტი
გეოგრაფიული კონტექსტი	მედია კონტექსტი



როლონიელების მიმართ არსებული ქსანოფობიის კონტექსტი

მარკადიაში, როგორც მეზობელ ქვეყნებშიც, როლონიელების შესახებ მრავალი უარყოფითი სტერეოტიპი არსებობს. მაგალითად ის, რომ ისინი ზარმაცები არიან და დახმარებების ხარჯზე ცხოვრობენ. ამუამად, მარკადიაში ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა და უმუშევრობის დონე მაღალია, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. ზოგიერთმა პოლიტიკოსმა ეს შიში გამოიწვია იმ ნარატივის გამოყენებით, რომლებიც სოციალური გაჭირვებების მიზეზად იმიგრაციას მიანიშნებენ. მათ წამოაყენეს წინადადება, რომ შეცლილიყო საემიგრაციო კანონები. როლონიელები თავს არასასურველად და უძლურად გრძნობენ.

ფაზა



საფაზური



გაანალიზეთ სამიზნე(ები) სოციალური ურთიერთობების კონტექსტში

მჩაგვრელი ნარატივების სამიზნე შეიძლება იყვნენ ინდივიდები ან ჯგუფები, რომლებიც უკვე რაღაც მხრივ გარეყლები არიან, მაგალითად, შემზღვეული შესაძლებლობის მქონე ადამიანები და თავშესაფრის მაძიებლები. მჩაგვრელი ნარატივები ხშირად ეფუძნება გარკვეული ჯგუფების მიმართ საზოგადოებაში უკვე არსებულ ცრუ შეხედულებებს და დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას, როგორც ეს მე-2 თავში განვიხილეთ. მჩაგვრელი ნარატივის სამიზნე ჯგუფების მდგომარეობა საჭიროა გაგებულ იქნას უთანასწორო სოციალური და ძალთა ურთიერთობების კონტექსტში. მაგალითად, ზოგი ჯგუფი სარგებლობს თავისი უფლებებით, მაშინ როდესაც სხვები მარგინალიზებული არიან.



სამიზნე აუდიტორია შესაძლოა ძალიან განსხვავებული იყოს: პოპულარული ცნობილი სახეებიდან დაწყებული (მაგალითისთვის, ევროვიზიის სიმღერის კონკურსის 2014 წლის გამარჯვებული კონჩიტი ვურსტი, მისი ტრანსსექსუალობის გამო სიძულვილის ენის სამიზნედ იქცა), ლტოლვილებით და მიგრანტებით დამთავრებული (მაგალითად, ზოგიერთი ევროპელი პოლიტიკოსი ამტკიცებდა, რომ მიგრანტებმა ევროპაში შემოიტანეს ისეთი დაავადებები, როგორცაა ქოლერა და დიზენტერია, „ყველა სახის პარაზიტებთან და ერთუჯრედიან ცხოველებთან“ ერთად, „რომლებიც ... მართალია საშიში არ იყო იმ ადამიანების ორგანიზმში, მაგრამ შეიძლება საშიში ყოფილიყო აქ“).

პირველ საფეხურზე ამოცნობილი ზოგიერთი ტექსტური მტკიცებულება შეიძლება დაგეხმაროთ სამიზნე აუდიტორიისა და იმ სოციალური ურთიერთობების ანალიზში, რომლებშიც ისინი მონაწილეობენ. ამ ეტაპზე, მოგიწევთ კონკრეტული ინდივიდების ან ჯგუფების მოძებნა, რომლებიც მზავრელი ნარატივის სამიზნეს წარმოადგენენ.



აღწერეთ სამიზნე ჯგუფი ქვემოთ მოცემული ნიმუშის მიხედვით

მრავალპირობიანი ნარატივის სამიზნეს წარმოადგენენ შემდეგი ინდივიდები:	
ა) ინდივიდები	სიკუპვილის ენის ჩვეულებრივი სამიზნეები:
ბ) ჯგუფები	<ul style="list-style-type: none"> • თავშესაფრის მაძიებლები ან მიგრანტები • ლგბტ ადამიანები • ბოშები • რელიგიური უმცირესობა • სხვა: _____ • სხვა: _____



როლონიელები, რომორც სამიზნეები

როლონიელები ჩვეულებრივ წარმოადგენენ სიძულვილის ენის სამიზნეებს, მაგრამ ისინი მართლ არიან; მარკადიაში უცხოური წარმოშობის სხვა ჯგუფები და რელიგიური უმცირესობებიც სამიზნეები არიან. ტექსტური მტკიცებულების ერთი მაგალითი იყო პოსტები, რომლებიც ოლიმ ნახა და შეტყობინებები, რომელიც მასვე მიუვიდა, მაგალითად, „დაინწყეთ ჩაბარება და წადით სახლში“. როლონიელები მარკადიაში იმიგრანტთა ერთ-ერთ უდიდეს ჯგუფს წარმოადგენენ. მათ აბრალებენ მარკადიელების „სამუშაო ადგილების მოპარვას“, მაგრამ რეალურად, ამჟამად და პროპორციულად, უფრო მეტი როლონიელია უმუშევარი და არასრულად დასაქმებული.





გაანალიზეთ მედიამი გავრცელება

ამ საფეხურზე ჩვენ ვაანალიზებთ მედიამი გავრცელებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვცდილობთ გამოვიკვლიოთ რომელ მედიამი შეაღწია ნარატივმა, და იყო თუ არა ეს მედია საშუალება მისი შემდგომი გავრცელების საშუალება. გარკვეულმა მჩაგვრელმა ნარატივებმა შეიძლება მსოფლიოს უდიდეს მედია საშუალებებში სათაურის სახე მიიღოს, ხოლო ზოგიერთი მათგანი იზოლირებული რჩება ადგილობრივ, ან ეროვნულ დონეზე. სიძულვილის წამახალისებელი ნარატივების გამოჩენა ნებისმიერი სახის მედია საშუალებაში შეიძლება სახიფათო იყოს, მაგრმ ყოველთვის მნიშვნელოვანი მხედველობაში მივიღოთ მედიამი გავრცელება ყველა - ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეებზე, რათა უკეთესად გავაანალიზოთ მასშტაბი და ყველა შესაძლო უარყოფითი ასპექტი.



მედიამი გავრცელება უკეთესად შესასწავლად, უნდა გამოვიკვლიოთ სამი ძირითადი ელემენტი:

1. რა ტიპის ძირითადმა მედია საშუალებებმა გააშუქეს მჩაგვრელი ნარატივი (მაგ. ტელევიზია, გაზეთები და რადიო)?
2. რა ტიპის ონლაინ მედია საშუალებებში გაშუქდა მჩაგვრელი ნარატივი (მაგ. Youtube, Facebook, Twitter, Intagran, Snapchat და ა.შ., ონლაინ პორტალები/ გაზეთები და ონლაინ ტელევიზია)?
3. გავრცელების რა დონეებს მიაღწია მჩაგვრელმა ნარატივმა: ა)ადგილობრივ დონეს, ბ) ეროვნულ დონეს, გ) საერთაშორისო დონეს?



- ონლაინ მედიის საკვლევად გამოიყენეთ ონლაინ საძიებო სისტემები, როგორცაა Google, DuckDuckGo ან Bing, ან გამოიყენეთ ჰეშტეგები (#) იმის სანახავად, რომელიმე სოციალურ მედიამი მჩაგვრელი ნარატივი ტრენდული ხომ არ არის (მაგალითად, 2012 წელს, ჰეშტეგი #UnBonJuiif, რაც ნიშნავს #კარგ_ებრაელს, ტრენდული იყო ტვიტერის ფრანგულ სივრცეში რამდენიმე დღის განმავლობაში და შეიცავდა არაერთ ანტისემიტურ ხუმრობას).
- აწარმოეთ ძირითადი მედია საშუალებების მონიტორინგი ყურებით (ტელევიზია), კითხვით (გაზეთები) და მოსმენით (რადიო), ყოველდღიური ამბების გასაგებად. მონიშნეთ და არქივში შეინახეთ ნებისმიერი ისეთი მტკიცებულების ნიმუში, რომელშიც მჩაგვრელი ნარატივი ჩნდება.



ქსენოფობიური ნარატივის მედიის საშუალებით გომგრაფიულად და დროებითი გავრცელება

ოლიმ მილო შეტყობინებები ისეთ ადამიანებისგან, რომლებიც მას იცნობდნენ - მისი კლასელებისგან. ამავდროულად, მან და მისმა მეგობრებმა შენიშნეს ქსენოფობიური პოსტები მათ სოციალურ პლატფორმებზე არსებულ, მათი სკოლის არაოფიციალურ ჯგუფებში. მათ გაამიარეს სხვა ხუმრობები და გაკეთებული კომენტარები, არა მხოლოდ თავიანთ ქალაქში, არამედ ქვეყნის სხვა კუთხეებშიც. ქსენოფობიური ნარატივი თითქმის ყოველდღე ფიგურირებს ეროვნული ტელევიზიით. მიმდინარეობს დებატები საემიგრაციო პოლიტიკის შესახებ. ეს დებატები რეგიონის სხვა ქვეყნებშიც მიმდინარეობს. პარადოქსულია, რომ როლონია ერთ-ერთი ის ქვეყანაა, სადაც ქსენოფობია მიგრანტებისა და ლტოლვილების მიმართ გასული წლის განმავლობაში გაიზარდა.



გაანალიზეთ გომგრაფიული და დროებითი გავრცელება

გეოგრაფიული და დროებითი გავრცელების გაგება დაგეხმარებათ დაინახოთ, თუ სად და როდის მდებარეობს ცხელი წერტილი, ანუ, მიაგვრელი ნარატივის წარმოქმნის ადგილი და დრო, ასევე, რომელ გეოგრაფიულ არეალში ხდება მისი გავრცელება, და როდის.




- დაადგინეთ, სად მდებარეობს მიაგვრელი ნარატივის ცხელი წერტილი - სად წარმოიშვა იგი?
- დაადგინეთ მისი აღმოცენების თარიღი ან დაახლოებითი დრო
- დაადგინეთ, რომელ გეოგრაფიულ არეალში ვრცელდება მიაგვრელი ნარატივი.
- გამოიკვლიეთ, რა საზოგადოებები ცხოვრებენ ამ ტერიტორიებზე და როგორ გავლენას ახდენს მათზე ასეთი ნარატივი.
- დახაზეთ განხორციელების დროში განვლილი გეგმა და ნახეთ, იმ ტერიტორიებზე, სადაც მიაგვრელი ნარატივი ვრცელდება, ხომ არ ჰქონია ადგილი რაიმე კონფლიქტს ან მოვლენას, რომელსაც შეიძლება ნარატივი უკავშირებოდეს (მაგალითად, თანამედროვე, ან ისტორიული).



• გამოიყენეთ Storymap (<https://storymap.knightlab.com/>) ან Mapbox(www.mapbox.com), რათა რუკაზე გადაიტანოთ და ორგანიზებული ფორმით წარმოადგინოთ ნარატივის გავრცელება. ორივე ინსტრუმენტი გაძლევთ საშუალებას, დაამატოთ თქვენი საკუთარი აზრი, მოსაზრებები, ან კონტენტები.





გადაამოწმეთ ფაქტები და წყაროები

მზავრელი ნარატივები იქმნება მითებისა და სოციალური ნორმების საფუძველზე, მზავრელი ნარატივისთვის წინააღმდეგობის განევა მოითხოვს გადამონმებულ ფაქტებს და წყაროებს. ინტერნეტი გთავაზობთ წყაროების და ინფორმაციის დიდ სივრცეს; მიუხედავად ამისა, უზარმაზარი რაოდენობის ინფორმაციასთან გამკლავებაც და თითოეული წყაროს და ფაქტის გადამონმებაც რთულია. აქედან გამომდინარე, მზავრელი ნარატივების მიერ გამოყენებული ფაქტების და წყაროების ორჯერ გადამონმება, მნიშვნელოვანი საფეხურია სანდო საპირისპირო ნარატივის შესაქმნელად და ალტერნატიული ფაქტებითა და წყაროებით.

- შეამონმეთ, რა ფაქტებია გამოყენებული მზავრელ ნარატივში, მაგალითად, ისტორიული, კულტურული, რელიგიური ან (აშაკარად) მეცნიერული.



- გადაამონმეთ, საიდან არის ფაქტები აღებული, მაგალითად, სამთავრობო ორგანოებიდან, დამოუკიდებელი ან სამეცნიერო ორგანიზაციებიდან თუ რელიგიური ინსტიტუტებისგან.

- თუ შესაძლებელია, დაუკავშირდით დანესებულებებს ან სახელმწიფო მოხელეებს, რათა გამოჰკითხოთ იმ ფაქტების შესახებ, რომელთა წყაროსაც მათი ორგანიზაცია წარმოადგენს.

- დაადგინეთ ალტერნატიული ფაქტები ალტერნატიული წყაროების მეშვეობით.



- თუ გადაწყვიტეთ სექსისტურ ფოტოს, რომლის მიზანიცაა თემის დეჰუმანიზება, ეცადეთ ჩატაროთ კვლევა იმის გასარკვევად, ხომ არ იყო ფოტო მანიპულირებული შემდეგი ინსტრუმენტების მეშვეობით: ImageForensic (www.imageforensic.org) ან FotoForensics (www.fotoforensics.com).

- თუ იკვლევთ ფაქტებს და წყაროებს ტვიტერზე, ისარგებლეთ მიერთებული პროგრამული მოდულით (ე.წ. პლაგინი) TweetCred (<http://twitdi-gest.iiitd.edu.in/TweetCred/>), რომელიც საშუალებას მოგცემთ, რეალურ დროში შეაფასოთ ტვიტერზე არსებული კონტენტის სანდოობა.



ქსანოფობიური ნარატივის ფაქტები და წყაროები

ერთ-ერთი ფაქტი, რომელსაც ხშირად ახსენებენ, არის ის, რომ ათწლეულების წინ, მარკადის ეკონომიკა და დასაქმების მაჩვენებლები სწრაფად იზრდებოდა, რომ მათი ქალაქები უსაფრთხო და მათი სოციალური მომსახურება ეფექტური იყო. ახლა ეს ასე აღარ არის. ბევრი ამტკიცებს, რომ ბევრ ადამიანს მიეცა ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლება და მიგრანტებისთვის დახმარების განევა სოციალური სერვისების გადატვირთვა გამოიწვია.



გაანალიზეთ გავლენა

ინდივიდები, ჯგუფებზე, ან მთელ საზოგადოებაზე რეალური ან პოტენციური ზეგავლენა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მსჯელობის საგანია მრავალწლიანი ნარატივის შეფასებისას. ზეგავლენა მრავალგვარი შეიძლება იყოს: შეიძლება ნაახალისოს თვითმკვლევლობები ან სიძულვილით მოტივირებული დანაშაული; შეიძლება მოყვას სახელმწიფო ინსტიტუტების ან კერძო კომპანიების მხრიდან დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარება; ან შეიძლება მოახდინოს ინდივიდების და ჯგუფების მარგინალიზება.



მრავალწლიანი ნარატივის ზეგავლენა შეიძლება გაანალიზებული იქნას სხვადასხვა კუთხით:

- რაოდენობრივი პერსპექტივით: მრავალწლიანი ნარატივის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები და ჯგუფები, და მრავალწლიანი ნარატივის მხარდამჭერები.
- თვისებრივი პერსპექტივით: რა ზეგავლენას განიცდიან ადამიანები და ჯგუფები - არის ეს დისკრიმინაცია, მუქარა, თუ ფიზიკური თავდასხმაც კი. დაადგინეთ, რა გავლენა მოახდინა ამან ინდივიდების ან ჯგუფების ცხოვრებაზე. შესაძლებლობის შემთხვევაში, ჩაატარეთ ინტერვიუები და ჩაინიშნეთ მათი ისტორიები.
- რათა მრავალწლიანი ნარატივის ზეგავლენა უკეთესად გაანალიზოთ, სცადეთ დაადგინოთ მისი გავლენა ინდივიდების ან ჯგუფის დონეზე, ისევე როგორც ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.
- გარკვეით, ხომ არ გამოუწვევია მრავალწლიანი ნარატივის ნეგატიური პოლიტიკის წარმოქმნა ადგილობრივ ან ეროვნულ დონეებზე.



ეს სამუშაო ფურცელი დაგეხმარებათ ჩაინიშნოთ მრავალწლიანი ნარატივის გავლენა

ინდივიდების ან ჯგუფების დონეზე	ეროვნულ დონეზე:
ადგილობრივ დონეზე:	საერთაშორისო დონეზე:



ქსანოფობიური ნარატივის ზეგავლენა

ოლიმ, ისევე როგორც მისმა რამდენიმე როლონიური წარმოშობის ნაცნობმა, პირადად განიცადეს ზეგავლენა. მას ეშინოდა და თავს უძულურად და დარდიანად გრძობდა. მისი ოჯახიც იგივეს განიცდიდა, მაგრამ სთხოვეს, ჩუმად ყოფილიყო. „თუ ხმას აიმაღლებ, უფრო შეგვიძულევენ“, უთხრა მამამ. როლონიელების თემი განიცდის დისკრიმინაციას მის ქალაქში და ეროვნულ დონეზე. ხუმრობები ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ ახლა უფრო მეტ მუქარას და შურაცხყოფას აქვს ადგილი. პოლიტოკოსს, რომელიც იმიგრანტების უფლებებს იცავდა, ახლახანს თავს დაესხნენ, როდესაც თავის ქალაქში სეირნობდა. ციფრების მიხედვით, პოლიციისთვის გადაცემული სიძულვილით გამოწვეული ინციდენტების რაოდენობა, გასულ წელთან შედარებით, 53%-ით გაიზარდა.

7.2 | ფაზა მეორე: საპირისპირო ნარატივის შექმნა

პირველი ფაზაში მჩაგვრელი ნარატივის დეტალური შესწავლის შემდეგ, სადაც ჩვენ განვსაზღვრეთ მჩაგვრელი ნარატივის ძირითადი ელემენტები, მისი გავრცელება, სამიზნე ჯგუფები და მისი დინამიკა, დროა დავვეგმოთ საპირისპირო ნარატივი ანუ, ეს ის ფაზაა სადაც თქვენ სტრატეგიულად იყენებთ შესწავლის შედეგებს, და მათზე დაყრდნობით, შეიმუშავებთ თქვენს საკუთარ საპირისპირო ნარატივს. ეს ფაზა შედგება ექვსი საფეხურისგან.



განსაზღვრეთ ხელვა და მიზნები

პირველი რაც უნდა გააკეთოთ, არის იმ ემანსიპატორული ნარატივის ხედვის განსაზღვრა, რომელსაც თქვენმა სამიზნე აუდიტორიამ მხარი უნდა დაუჭიროს. ეს ის ნარატივია, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს სიძულვილის ენის შემცველი მჩაგვრელი ნარატივი. ხედვის მიხედვით, იმოქმედებთ საპირისპირო ნარატივის მიზნების, ანუ - ადამიანის უფლებების და დემოკრატიის შესახებ ცოდნის, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების - მიხედვით, რომლებიც საპირისპირო ნარატივმა უნდა გაავრცელოს სამიზნე აუდიტორიაში.



როდესაც განსაზღვრავთ ხედვას და მიზნებს, თავიდან აირიდეთ სიძულვილის ენაზე პირდაპირი პასუხი. ნაბიჯი უკან გადადგით და თქვენ თავს ჰკითხეთ:

რისი დანახვა გვსურს? რა არის ჩვენთვის სასურველი ალტერნატიული მდგომარეობა? იხილეთ რამდენიმე შემოთავაზება და შესაძლო ხაფანგი:

- **იყავით თავდაჯერებული:** მიიპყარით აუდიტორიის ყურადღება ალტერნატივის მიზნების გზით.
- **იყავით გამამხნეველი:** გაძლიერებაზე ორიენტირებულები: მიეცით მოქმედების საშუალება, მიეცით აუდიტორიას საშუალება, თვითიდეინტიფიცირდეს თქვენს მიზანთან, და მიეცით მათ მისაბაძი ადამიანების მაგალითები.
- **იყავით რეალისტური:** რა ცვლილებების მიღწევა შეგიძლიათ თქვენ აუდიტორიაში ან მათთან ერთად რამდენიმე კვირაში?
- **იყავით მიზმიდევლი:** მიეცით თქვენს სივრცე აუდიტორიას ალტერნატიული ხედვების მოსაძიებლად და განსახილველად.
- **იყავით პოზიტიური:** მოამზადეთ მჩაგვრელი ნარატივის კრეატიული და ემანსიპატორული ალტერნატივები.
- **იყავით ლაკონური:** ეცადეთ განმარტოთ თქვენი ხედვა და მიზნები თითო წინადადებით.
- **იყავით კონკრეტული:** რაც უფრო ნათელია თქვენი მიზნები, უფრო დიდა მათი მიღწევის ალბათობა.
- **ნუ დაიკავებთ თავდაცვით პოზიციას:** მოერიდეთ იმ სიძულვილის შემცველი ნარატივზე აქცენტირებას, რომელსაც უარყოფთ.
- **მსხვერპლად ნუ წარმოაჩენთ:** საპირისპირო ნარატივები, რომლებიც მუშაობს სიძულვილის ენის სამიზნე ადამიანებისადმი სიბრაღულით და შეცოდებით თანაგრძნობაზე, ხაზს გაუსვამს მათ მსხვერპლის როლში ყოფნას.
- **ნუ იქნებით გულბრყვილი:** ნუ დაისახავთ ისეთ მიზნებს, რომლებიც მეტად რთული იქნება მისაღწევად, მოითხოვს დიდ დროს, ან ძალიან იდეალისტური გეგმვებია.
- **ნუ იქადაგებთ:** ნუ წარმოაჩენთ თქვენს იდეებს ყოვლისმცოდნე ექსპერტის შემუშავებულ მზა გამოსავლად.
- **ნუ გაიმეორებთ სიძულვილის ენას:** ნუ გაიხსენებთ სიძულვილის შემცველ ნარატივებს, ან ნუ შექმნით ახალს.

ხედვისა და ამოცანების ნათლად განსაზღვრა გეხმარებათ აღწეროთ, რის მიღწევს ცდილობთ თქვენი საპირისპირო ნარატივით, და გაზომოთ მისი მუშაობის ეფექტურობა როდესაც მას გაავრცელებთ.

წინამდებარე სახელმძღვანელოში, ჩვენ არ გთავაზობთ თქვენი ამოცანებისთვის დროითი საზღვრების დანესებას, ანუ, უნდა იყოს თუ არა ისინი გრძელვადიანი ან მოკლევადიანი, რადგან ეს დამოკიდებულია მრავალს ფაქტორზე, მაგალითად, სამიზნეს აუდიტორიაზე, კოტექსტსა ან მედია პლატფორმაზე.

ჭკუფის WeCan™ (შეგვიძლია) ხედავ და მიზნები. ხედავ და ამოცანები



ოლიმ მონაყო რამდენიმე შეხვედრა. ოლის მისამართით არსებული სიძულვილის ენის გაანალიზების შემდეგ, ჯგუფმა გადაწყვეტილება მიიღო მათი ხედვის შესახებ:

საჯარო სკოლის მოსწავლეების, სადაც ოლი სწავლობს მრავალფეროვნებას სიძლიერედ აფასებენ.


მათი საპირისპირო ნარატივის ამოცანებია, რომ მათმა თანასკოლელებმა:

- გამოსცადონ, როგორ რა სიმდიდრეს სძენს მრავალფეროვნება ახალგაზრდებს და მარკადიას
- გაიგონ მარკადიასა და სხვა ქვეყნებს შორის არსებული ხანგრძლივი ისტორიული კავშირების შესახებ



- კრიტიკულად განიხილონ მრავალფეროვნება, რათა დაინახონ მისი სასარგებლო მხარეები და მისგან შედენილი ძალა
- გაიგონ, რომ არადისკრიმინაციოლობა ადამიანის უნივერსალური უფლებაა
- ნაახალისონ ტოლერანტული და ინკლუზიური დამოკიდებულება სკოლის მიგრანტ მოსწავლეებზე.

ჯგუფმა ასევე განიხილა, თუ რა ტიპის აქტივობები უნდა მოაწყონ, თავიანთი ნარატივის ხელშეწყობის მიზნით. მათ მოითქვრეს თთხი ძირითადი ურთიერთდაკავშირებული აქტივობა, რომლებსაც ორი თვის განმავლობაში განახორციელებენ: (1) სესიები მათ ისტორიისა და ენის მასწავლებლებთან, მრავალფეროვნებასთან, პლურალიზმთან და მარკადიაში არსებულ სიძულვილის ენასთან დაკავშირებულ საკითხებზე; (2) სიმულაციური თამაში, როგორცაა „თავისუფლებათა ჯახი“, ან „კიდევ ითამაშე“(სახელმძღვანელო „ბუქმარქსიდან“); (3) მოსწავლეების მიერ გადაღებული ფოტოსურათების გამოფენა მოსწავლეებისთვის; (4) ონლაინ „მემები“, გამამხნეველი და პირადი ისტორიებით, რათა ნაახალისონ ჩართულობა საჯარო სკოლის მოსწავლეებში ჰეშტეგის #WeCan (შეგვიძლია) გამოყენებით. მათ სჯერათ, რომ ეს აქტივობები სკოლის მოსწავლეთა შორის განამტკიცებს სოლიდარობას და მრავალფეროვნების სიძლიერედ შეფასების შეგრძნებას.



განსაზღვრეთ თქვენი სამიზნე აუდიტორია

მიზნების განსაზღვრის შემდეგ, დროა იმსჯელოთ სამიზნე აუდიტორიაზე. ნათლად უნდა განსვსაზღვროთ, თუ ვინ არის ჩვენი საპირისპირონარატივის სამიზნე. სამიზნე აუდიტორიის ნათლად და კარგად განსაზღვრა დაგეხმარებათ მომდევნო საფეხურებზე, როდესაც უნდა ირჩიოთ შესაფერისი მედია არხები და ტექნიკები.



- დაგეგმეთ, თქვენი საპირისპირო ნარატივი კონკრეტული აუდიტორიის გათვალისწინებით. ნებისმიერი აუდიტორია განსხვავებული ადამიანებისგან შედგება, რომლებსაც განსხვავებული დამოკიდებულებები, ქცევები, როლები და აზროვნება აქვთ.
- ეცადეთ სამიზნე აუდიტორიაში ამოიცილოთ და განსაზღვროთ სხვადასხვა ჯგუფები ან სეგმენტები, როგორცაა მოზარდები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები სამთავრობო ფრთიდან ან ოპოზიციიდან, ან პენსიონერები.
- გადაწყვიტეთ, ვინ იქნება თქვენი საპირისპირო ნარატივის სამიზნე, მათგან, ვინც ხელს უწყობს მჩაგვრელ ნარატივს - ისინი ვინც, ქმნიან სიძულვილს, გულგრილი მასა, ან ისინი, ვინც წარმოადგენენ მჩაგვრელი ნარატივის სამიზნეს.
- შექმენით პერსონაჟები - გამოგონილი, განზოგადოებული პერსონაჟები, რომლებიც წარმოაჩენენ უფრო დიდი აუდიტორიის მოთხოვნილებებს, ქცევებს და მახასიათებლებს.




გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ნიმუში, თქვენს სამიზნე აუდიტორიაში არსებული ცალკეული სეგმენტების განსასაზღვრად და პერსონალების შესაქმნელად. გახსოვდეთ: ეს არის ზოგადი ნიმუში და შეგიძლიათ ყოველთვის მოარგოთ იგი ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო კონტექსტებს.

<p>პოლიტიკოსები (ეს მოიცავს ყველა აქტორს, რომელიც პირდაპირ არის ჩართული პოლიტიკაში: პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მრჩეველები, ოპოზიციური პარტიები, მერები და ა.შ.)</p>	<p>საჯარო სექტორი და უნივერსიტეტები (ეს მოიცავს საჯარო მომსახურების ფართო სექტორს, როგორცაა მასწავლებლები, ექიმები, საჯარო მოსამსახურეები და ა.შ. ასევე, აკადემიური სექტორი)</p>
<p>ახალგაზრდობა (ეს მოიცავს ნებისმიერი წარმომავლობის ახალგაზრდობას, ნებისმიერი კუთხიდან და ა.შ.)</p>	<p>სამოქალაქო სამოგადოება (ეს მოიცავს ცალკეულ ინდივიდებს, ან ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოადგენენ სამოქალაქო სამოგადოების ნაწილს)</p>
<p>მედია (ეს მოიცავს ნებისმიერ ტიპის მედია-წარმომადგენლობას: მთავარი რედაქტორი, ჟურნალისტი, ონლაინ ბლოგერი, და ა.შ.)</p>	<p>ცნობილი სახეები (ეს მოიცავს ცნობილ ადამიანებს, რომელთა ნათქვამს ყველაზე ხშირად უსმენენ)</p>
<p>რელიგიური თემები (ეს მოიცავს ქვეყანაში არსებული რელიგიური კონფესიების ყველა წარმომადგენელს)</p>	<p>საერთაშორისო ორგანიზაციები და მისიები (ეს მოიცავს ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციის ან მისი წარმომადგენლობას, როგორცაა, გაეროს სააგენტოები, სალენოები, ევროპის საბჭო და მისი ინსტიტუტები და ა.შ.)</p>

შეამოწმეთ პერსონაჟები

დაამატეთ ფოტო ან ნახატი



<p>სახელი:</p>	<p>კლასიკა/ბლოკი:</p>
<p>გენდარი (თუ რელევანტურია):</p>	<p>ადგილმდებარეობა:</p>
<p>უნივერსიტეტი/წარმომადგენლობა (თუ რელევანტურია):</p>	<p>სამსახური:</p>
<p>მოქალაქეობა (თუ რელევანტურია):</p>	

აუდიტორიის რომელ სეგმენტს განეკუთვნება ეს პირი/ჯგუფი (იხ. ზემოთ):

- არის ეს პირი მხარდამხმარებელი ნარატივის შექმნელი, მხარდამხმარებელი, სამიზნე, თუ გულგრილია მისდამი ან არ მონაწილეობს მასში?
- უკავშირდება თუ არა ეს პირი/ჯგუფი მხარდამხმარებელ ნარატივს პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით?
- რა დამოკიდებულებები, გრძნობები, ან სიმართლებები გააჩნია ამ პირს?
- ზოგადი ინტერესები (მაგალითად, რა ტიპის მედია საშუალებებს იყენებს ეს პირი? რა ადგილებს სტუმრობს ეს პირი ყველგან ხშირად?)





“WeCan” (შეგვიძლია) და მისი სამიზნე აუდიტორია

სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს ახალგაზრდობა, 15-19 წლის მოსწავლეები, როგორც გოგონები, ასევე ბიჭები. მათი უმრავლესობა თეთრკანიანი და მარჯადიული წარმოშობისაა, მაგრამ მათში არიან განსხვავებული წარმომავლობისა და აღმსარებლობის ჯგუფებიც. მათი შეფასებით, დაახლოებით 30-მდე მოსწავლემ განათავსა და გააზიარა სიძულვილის შემცველი შეტყობინებები. მაგრამ ბევრი მათგანი სიჩუმით უჭერდა მხარს ამ შეხედულებებს. არაპირდაპირი სამიზნე აუდიტორია არის ამ მოსწავლეების ოჯახები, მათი მეგობრები, რომლებიც სკოლის გარეთ ჰყავთ და ადგილობრივი საზოგადოება. მოსწავლეები არიან ფეხბურთის და მუსიკის, განსაკუთრებით ჯგუფ „ჰაივისის“ ფანები, და უყვართ ონლაინ სივრცეში დროის გატარება.



განსაზღვრეთ შინაარსი და ტონი

ამ საფეხურზე, განვიხილავთ, თუ როგორ უნდა განვსაზღვროთ თქვენი საპირისპირო ნარატივის შინაარსი და ტონი. ეს მნიშვნელოვნად დამოკიდებულია თუ ვის მიმართავთ თქვენს საპირისპირო ნარატივში და რა შინაარსის და ტონის მატარებელი იყო მჩაგვრელი ნარატივი (პირველი ფაზის პირველი საფეხურის შედეგების მიხედვით).



- იფიქრეთ, იმაზე, თუ ვინ ნაიკითხავს თქვენს შინაარსს. იქნება თქვენი საპირისპირო ნარატივი მიმართული ახალგაზრდების, პოლიტიკოსების ან რელიგიური ლიდერების მისამართით? თუ თქვენს საპირისპირო ნარატივს მიმართავთ ახალგაზრდობის მიამართით, უნდა გამოიყენოთ ახალგაზრდობისთვის გასაგები ენა და მოერიდოთ აკადემიურ ტერმინოლოგიას. ამგვარად, თქვენი კონტენტი კონცენტრირებული უნდა იყოს აუდიტორიის კონკრეტულ სეგმენტზე, რომელიც პოტენციურად თქვენი საპირისპირო ნარატივის წამკითხველი და მასში მონაწილეა.
- ტონი ძალიან მნიშვნელოვანია აუდიტორიასთან მუშაობის პროცესში. იმ მიზნების გათვალისწინებით, რომელთა მიღწევაც გსურთ (კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ უნდა განსაზღვროთ თქვენი მიზნები გასაგებად), შეცვალეთ ტონი სხვადასხვა აუდიტორიების მიმართ, რომლებთანაც მუშაობას გეგმავთ და თქვენი კონკრეტული ქმედების შესაბამისად. მაგალითად, ვიდუორგოლი, რომელშიც ყოფილი ექსტრემისტები ჰყვებიან თავიანთ პირად ისტორიებს, შესაძლოა იყენებდეს სენტიმენტალურ ტონს, კომიკოსს შეუძლია გამოიყენოს სატირული ტონი, და პოლიტიკის შემქმნელთათვის მომზადებულ პრეზენტაცია შეიძლება ოფიციალური ტონი ჰქონდეს.

შეჯამებისთვის: გაითვალისწინეთ თქვენი მიზნები და აუდიტორია!



ისარგებლეთ ქვემოთ მოცემული ნიმუშით, რათა დაადგინოთ თქვენი სამიზნე აუდიტორია, შინაარსი და ტონი, და მათ დასაკავშირებლადგაავლეთ ხაზები



სამიზნე
აუდიტორია 1

შინაარსი:

შინაარსი:

სამიზნე
აუდიტორია 2

ტონი

სამიზნე
აუდიტორია 3

ტონი

შინაარსი:

სამიზნე
აუდიტორია 4

შინაარსი:

სამიზნე
აუდიტორია 5

ტონი

ტონი


სამიზნე
აუდიტორია 6

შინაარსი:

ტონი

შინაარსი:





უზრუნველყავით ადამიანის უფლებების მიდგომა

ადამიანის უფლებების ღირებულებების და მიდგომების დაცვა კრიტიკულად მნიშვნელოვანი საფეხური იმის უზრუნველსაყოფად, რომ თქვენ არ ახდენთ მჩაგვრელი ნარატივის კვლავწარმოებას თქვენი საპირისპირონარატივის მეშვეობით, და რომ ამასთანავე, თქვენ მკვეთრად უსვამთ ხაზს ადამიანის უფლებების მნიშვნელობასა და უნივერსალურობას. თქვენი საპირისპირო ნარატივი ძლიერად უნდა ასახავდეს ადამიანის უფლებებს, და მკაფიოდ მიუთითებდეს ადამიანის უფლებებზე და იმაზე, თუ რა საფრთხის ან გამოწვევის წინაშე დგანან ისინი მჩაგვრელი ნარატივის გამო. მართალია ეს საკითხი საფუძვლიანად არის განხილული მე-6 თავში, მაგრამ ამ საფეხურზე ჩვენ მოვამზადებთ იმ ძირითადი პუნქტების მოკლე საპირისპირო ჩამონათვალს, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნას დაგეგმვის ფაზაში.



საკონტროლო სია:

- **ახდენს ჰუმანიზებას?** მჩაგვრელ ნარატივში ჩართული პირების ჰუმანიზება მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელსაც ხაზი უნდა გაესვას თქვენს საპირისპირო ნარატივში. მჩაგვრელი ნარატივის მიერ წამოჭრული ერთ-ერთი ჭეშმარიტი საფრთხე ინდივიდის ან ჯგუფების დეჰუმანიზებაა. დეჰუმანიზაციის პროცესის მიზანია კონკრეტული ინდივიდის ან ჯგუფის ნაკლებად ადამიანურად წარმოჩენა. ფილიპ ზიმბარდო, თავის წიგნში „ლუციფერის ეფექტი“ (2007), აღწერს დეჰუმანიზაციის პროცესს, რაც „ინყება სხვის შესახებ სტერეოტიპული ცნებებით... ცნება სხვის შესახებ, რომ იგი უსარგებლოა, რომ იგი ყოვლისშემძლეა,... რომ სხვა ჩვენი ნალოლიავეები ღირებულებების და შეხედულებებისთვის ფუნდამენტური საფრთხეა.“ აქედან გამომდინარე, დარწმუნდით, რომ ეს ელემენტი არ იქნას უგულებელყოფილი.
- **ახალისებს იგი სოლიდარობას?** სოლიდარობა ნიშნავს მჩაგვრელი ნარატივის სამიზნეთათვის თქვენი მხარდაჭერის გამოხატვას და მათ დახმარებას. იგი გამოიხატება განსხვავებული ფორმებით: დანყვეთული ქუჩებში ქალთა უფლებების დასაცავად გამართული სოლიდარობის მარშიდან, ქალაქის ცენტრებში შემლუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით მოწყობილი ფლემ-მობ აქციებით დამთავრებული; სოციალურ ქსელში პროფილის ფოტოს შეცვლიდან პეტციების ხელმოწერამდე. ისინი, ვინც მჩაგვრელი ნარატივის გამო იტანჯებიან, ძირითადად მდუმარენი და იზოლირებული არიან, რასაც ისინი დეპრესიამდე და სუიციდამდე მიჰყავს. მათდამი თანაგანცდისა და სოლიდარობის გამოჩენა ფუნდამენტური ღირებულებაა, რომელიც თქვენ შეიძლება უზრუნველყოთ თქვენს საპირისპირო ნარატივში.
- **ხელს უწყობს მონაწილეობას?** მონაწილეობა დემოკრატიის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. აქტიური, თავისუფალი და მიზნობრივი მონაწილეობა ასევე უნივერსალური უფლებაა ყველასთვის, ვისაც სურს იმ გადაწყვეტილებების მონაწილეობის მიღება, რომლებიც გავლენას მოახდენს მათ ადამიანურ უფლებებზე. მაგალითად, თუ თქვენი საპირისპირო ნარატივი ორიენტირებულია ლტოლვილთა პრობლემებზე, შეგიძლიათ უზრუნველყოთ, რომ მათ ხელი მიუწვდებოდეთ ინფორმაციაზე მათთვის ის გასაგები ენით და ფორმით.

• **ახალისებს ინტერკულტურულ დიალოგს?** ინტერკულტურული დიალოგი, ევროპის საბჭოს განმარტებით, აღნიშნავს: „კულტურათმორისი დიალოგი, რომელიც გვაძლევს მულტიკულტურულ მსოფლიოში მშვიდობიანი და კონსტრუქციული თანაცხოვრების შესაძლებლობასა და აჩენს ერთობისა და მიკუთვნების შეგრძნებას. იმის უზუნველყოფა, რომ განსხვავებული კულტურები წარმოდგენილი იქნება თქვენს საპირისპირო ნარატივში არა მხოლოდ კულტურულად ამდიდრებს თქვენი საპირისპირო ნარატივის შინაარსს, არამედ ამსხვრევს მითებსა და ცრუ წარმოდგენებს, რომ „ზოგიერთი“ კულტურა სხვებზე აღმატებულია. ეს მუშაობს, როგორც სტერეოტიპიზაციის, რასიზმის, ქსენოფობიის, შეუწყნარებლობის, შიშის, უარყოფის, დისკრიმინაციის და ძალადობის ანტიდოტად - ყველა ჩამოთვლილი მახასიათებელი შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს მშვიდობას და ადგილობრივი და ეროვნული საზოგადოებების ძირეულ არსს.

• **ავრცელებს იგი არადისკრიმინაციულობისა და თანასწორობის ღირებულებებს?** არადისკრიმინაციულობა და თანასწორობა ნიშნავს, რომ უფლებების რეალიზების დისკრიმინაციის ყველა ფორმა აკრძალული, აღკვეთილი და აღმოფხვრილი უნდა იყოს. საპირისპირო ნარატივის გეგმის შემუშავების პროცესში არ უნდა გავებათ დისკრიმინაციის კვლავწარმოების მახემი: ანუ, დისკრიმინაციის დისკრიმინაციით ვერ შევბრძოლებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ყველაზე მარგინალიზებულ ჯგუფებს, რომლებიც თავიანთი სრული უფლებების რეალიზების პროცესში ყველაზე მეტად გამოუმწვევი დაბრკოლებების წინაშე დგანან.

• **არის თუ არა გამაძლიერებელი?** გამხნეება გულისხმობს სხვა ინდივიდის ან ჯგუფის - ხშირად ძალადობის, წამების, მკაცრული ნარატივის, მარგინალიზაციის ან დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის მათი სულიერი სიძლიერისა და უფლებების მოძიებასა და დაბრუნებაში მხარდაჭერის პროცესს. გაძლიერება შეიძლება სხვადასხვა ფორმის იყოს: საგანმანათლებლო და სასწავლო კურსები, ან საჯარო მიმართვის გაკეთების შესაძლებლობის მიცემა. გაძლიერება ნებისმიერ ადგილზე შეიძლება, მაგალითად, სკოლაში, სამსახურში, ოჯახში ან უბანში. გაძლიერება შესაძლებელია სხვადასხვა დონეებზე, როგორცაა ინდივიდუალური, ჯგუფური და საზოგადოებრივი დონე. ამდენად, მკაცრული ნარატივის სამიზნეების, იქნებიან ეს ინდივიდები თუ ჯგუფები, გამხნეების უზრუნველყოფა თქვენი საპირისპირო ნარატივის შემუშავებით მნიშვნელოვანი ნაბიჯია მათი წასახალისებლად, გადალახონ ცხოვრებისეული თუ სამსახურებრივი დაბრკოლებები, და აქტიურად იმუშავონ სხვა ადამიანებთან, ინსტიტუტებთან ან საზოგადოებასთან.


• **წახალისებს თუ არა ადამიანის უფლებების შესახებ სწავლას?** მნიშვნელოვანია გამოიყენოთ, მკაფიოდ მიუთითოთ და დაეყრდნოთ შესაბამის სახელმწიფო და საერთაშორისო ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტებს. სიძლიერის ენა წარმოადგენს ადამიანის უფლებების დარღვევას და უმრავლეს ქვეყნებში იგი რეგულირდება კანონით. თქვენი მესიჯები უფრო ძლიერი იქნება, თუ ისინი მიუთითებენ არსებულ სტანდარტებსა და ვალდებულებებზე, და ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნას.





„WeCAN“ (შეგვიძლია). როგორც ადამიანის უფლებების სწავლება

მოსწავლეთა ჯგუფმა “WeCAN”(„შეგვიძლია“), რომელსაც ოლი ხელმძღვანელობს, გადანაცვითა კამპანიის წამოწყება და სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება, დაწყებული სკოლის მუსიკალური ფესტივალით და სკოლაში ერთობლივი სამუშაო ჯგუფებით. ჯგუფის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მიზანია ადამიანის უფლებების კულტურისა და მრავალფეროვნების დაფასების ხელშეწყობა. ღონისძიებები ორიენტირებულია ალტერნატიულ ნარატივზე, აჩვენებს, თუ რისთვის არსებობს ჯგუფი. აქტივობები ერიდება ზოგიერთების „ცუდად“ ან „ბოროტმოქმედად“, ან „ვარგად“ ან „მსხნელად“ წარმოჩენას. სკოლაში გამართული სიმულაციური თამაშებისა და ერთობლივი დრამატული სესიების მეშვეობით, ჯგუფი უფრო მოელოს, რომ შექმნის უსაფრთხო სივრცეს პრობლემების განხილვისა და მათ შესახებ დიალოგისთვის, ვიდრე თავდაცვით რეჟიმში პირდაპირ უპასუხოს კომენტარებს ვირტუალურ სივრცეში. აქტივობების მიზანია ყველა მონაწილის ჩართვა და ალტერნატიული ნარატივის ერთობლივი განხილვა: საჭიროა კომუნიკაცია, ყველანი განსხვავებულები, მაგრამ თანასწორები ვართ.



აირჩიეთ მედია საშუალება

ინტერნეტისა და მსოფლიო ქსელის (World Wide Web – WWW) გამოგონებამდე, მედიას შეადგენდა პრესა, რადიო და ტელევიზია. ინტერნეტის გაჩენის შემდეგ, ინტერნეტტექნოლოგიებზე დაფუძნებული აპლიკაციების და პლატფორმების სრულიად ახალმა კატეგორიამ დაიწყო აღმოცენება. დღეს მედიის კატეგორიზება რთულია, რადგან მათი უმრავლესობა უფრო ჰიბრიდული გახდა, იმ გაგებით, რომ მეინსტრიმტელევიზიას შეგიძლიათ უყუროთ ტელევიზორში, მაგრამ ასევე შეგიძლიათ მისი ყურება ინტერნეტის მეშვეობით (პირდაპირი ეთერი) კომპიუტერში ან სმარტფონში, რომელიც შეიძლება შეიცავდეს რეალურ დროში მიმონწერის და სხვა დამატებით ფუნქციებს. მიუხედავად ამისა, მედიის ჩვეულებრივი, მეტად მარტივი და ფართო კატეგორიზაცია არის შემდეგი:

ძირითადი მედია საშუალებები:

- ტელევიზია
- რადიო
- პრესა

ინტარნეტ მედია საშუალებები:

- სოციალური მედია (მაგალითად, Facebook, YouTube, Instagram, Snapchat, Vkontakte)
- ვებგვერდები, ბლოგები და ვლოგები (ვიდეო ბლოგები)

- ვირტუალური რადიო და პოდკასტები
- ონლაინ გაზეთები

ოფლაინ სივრცე

- მონუმენტური მხატვრობა
- პოსტერები
- ფლაერები / ბროშურები

თითოეულ მედია საშუალებას თავისი აუდიტორია ჰყავს. აუდიტორიის ზოგიერთ სეგმენტი, მაგალითად ახალგაზრდობა, უფრო მიდრეკილია ინტერნეტ ტექნოლოგიებზე დამყარებული მედია საშუალებების გამოყენებისა და მათი მეშვეობით მონაწილეობისკენ. ამ საფეხებზე, თქვენ გააანალიზებთ და აირჩევთ მედია საშუალება, რომელიც არა მხოლოდ ხმას მიანდენს თქვენს აუდიტორიას, არამედ თქვენი საპირისპირო ნარატივის გავრცელების საშუალებადაც იქცევა.



- როდესაც განსაზღვრავთ თქვენს სამიზნე აუდიტორიას (მე-2 საფეხური) და მის კონკრეტულ სეგმენტებს, ისევე როგორც შინაარსსა და ტონს (მე-3 საფეხური), იფიქრეთ, რომელი მედია საშუალებით უფრო მიანდენთ ხმას თქვენს აუდიტორიას.
- დაადგინეთ, რომელია მედიუმის ყველაზე შესაფერისი ტიპი, რომელიც შესაძლებელია პლატფორმის ფუნქციას თქვენი საპირისპირო ნარატივის გაზიარებისა და გავრცელების მიზნით. ხშირად, ეს არის ონლაინ და ოფლაინ მედიის კომბინაცია, მაგალითად, სოციალური მედიის პლატფორმა და ქუჩის მხატვრობა კონკრეტულ ტერიტორიაზე. აირჩიეთ ყველაზე შესაბამისი კომბინაცია.
- გაითვალისწინეთ თქვენი სამიზნე აუდიტორიის ადგილობრივი კონტექსტები, მაგალითად, გირჩევნიათ არ გამოიყენოთ ინტერნეტზე დამყარებული მედია საშუალება თქვენი საპირისპირო ნარატივის ისეთი საზოგადოებისთვის გადასაცემად, რომელსაც ინტერნეტზე წვდომა არ აქვს.



WeCAN“ (შეგვიძლია) და მედია

მოსწავლეთა ჯგუფმა „WeCAN“ (შეგვიძლია)“, ოლის ხელმძღვანელობით, გადამწყვიტა ნამოყნყო კამპანია და იგი სკოლის მუსიკის ფესტივალის ორგანიზებით. კამპანია გამოიყენებს სოციალური მედიის პლატფორმებს მოსწავლეებისთვის და ტრადიციულ ადგილობრივ მედიას ადგილობრივი საზოგადოების ფესტივალზე მოსაწვევად. მარტი არის ჯგუფის ონლაინ საზოგადოების მენეჯერი. მან შექმნა ინტერნეტ საიტი და შექმნა ჯგუფები სოციალური მედიის პლატფორმებზე, რომლებსაც მოსწავლეები მოიხმარენ.





ისარგებლეთ ქვემოთ მოცემული ნიმუშით, რათა დაადგინოთ თქვენი სამიზნე აუდიტორია, შინაარსი და ტონი, და მათ დასაკავშირებლად გაავლეთ ხაზები

მაგალითი
სამიზნე აუდიტორია:
სოფლკულტურის მსახურები ქალები

მაგალითი
მედია:
რადიო
sms შეტყობინებები
ვირუსული
შეხვედრები

სამიზნე აუდიტორია 1



სამიზნე აუდიტორია 2



სამიზნე აუდიტორია 3




სამიზნე აუდიტორია 4



სამიზნე აუდიტორია 5

სამიზნე აუდიტორია 6



შედეგად სამომავლო გეგმა

ეს არის მეორე ფაზის საბოლოო საფეხური და იგი მოითხოვს საპირისპირო ნარატივის სამოქმედო გეგმის შექმნას. სამოქმედო გეგმა თავს მოუყრის მეორე ფაზის ყველა საფეხურს და დაგეგმვარებათ განსაზღვრით სამომავლო საქმიანობის გეგმი. სამოქმედო გეგმის შემუშავება შეიძლება დროის მოკლე (ერთი თვიდან 6 თვემდე) ან გრძელ (ექვსი თვიდან ხუთ წლამდე) მონაკვეთში. აქ გთავაზობთ გზამკვლევს თქვენი სამოქმედო გეგმისთვის, თქვენი საპირისპირო ნარატივის თაიმლაინის დადგენის გარეშე.



- ამ მომენტისთვის, მნიშვნელოვანია, რომ თქვენ კვლავ გადახედოთ თქვენს ამოცანებს და დააკვირდეთ, რა დრო, და ასევე, რა რესურსები დაგჭირდებათ მათ მისაღწევად.
- თქვენი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, უზრუნველყავით მაქსიმალური სიზუსტე. ყოველთვის ჩაინიშნეთ მათი სახელები, ვინც რაიმეზე პასუხისმგებელია, საბოლოო ვადების თარიღები, და ა.შ.
- უზრუნველყავით თქვენი სამოქმედო გეგმის გუნდისთვის გაცნობა და დარწმუნდით, რომ მის შესახებ ყველამ იცის. ეს განსაკუთრებით იმ გუნდის წევრებს ეხებათ, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობენ.





გამოყენეთ ეს ნიმუში თქვენი საშუალო გემის შესაშუალებლად

საკრიტიკო ნარატივის საშუალო გეგმა				
ლონისძიებები რა უნდა გავკეთდეს?	აკუსისგამგებლობები ვინ გავკეთებს?	დროის გეგმა როდის? (კვირა/თვე/წელი)	რესურსები ა) ხელმისაწვდომი რესურსები ბ) საჭირო რესურსები	უძენველი ბარიერები ა) რომელმა ინდივიდებმა და ორგანიზაციებმა მხრიდან ველოდით წინააღმდეგობას? ბ) რატომ? რა სახით?
1-ელი ღონისძიება: საბელევიზიო ინტერვიუს ორგანიზება, ლოგოტიპი და კრიზისი თემაზე		მაისის მე-2 კვირა, 2020 წელი	ა) მოვიძიეთ ტელევიზია და პრინციპით გადაცემა მოსამზადებლად გვესაჭიროება მედია ტრენინგი	ა) შესაძლოა ტელევიზიის მფლობელი მგვეჩინება-დამდგოს ბ) რადგან ის უკერს ანტი-ლოგოტიპის პრეზენტს და პრეზენტს.
მე-2 ღონისძიება:				
მე-3 ღონისძიება:				
მე-4 ღონისძიება:				
მე-5 ღონისძიება:				
მე-6 ღონისძიება:				
მე-7 ღონისძიება:				

გამოიყენეთ ეს ნიმუში თქვენი კალენდარის შესაბამისად

შეამავთ კალენდარი

დღე/კვირა 1	დღე/კვირა 2	დღე/კვირა 3	დღე/კვირა 4	დღე/კვირა 5	დღე/კვირა 6	დღე/კვირა 7	დღე/კვირა 8	დღე/კვირა 9	დღე/კვირა 10	დღე/კვირა 11	დღე/კვირა 12

გამოიყენეთ ეს ნიმუში თქვენი პროექტების იდენტიფიკაციისთვის

მოახდინეთ თქვენი მხარდაჭერის პროექტების იდენტიფიკაცია


მხარდაჭერის სახელი:

რომელ კონკრეტულ სემინარს მიეკუთვნება თქვენი მხარდაჭერი? (მაგ. პოლიტიკის, რელიგიური ლიდერი, ცნობილი სახე, ა.შ.)	თქვენი ნარატივის რომელ თემებზე იმუშავებს მხარდაჭერი? დააბუქეთ! (მაგ. ლტოლვილთა სამართლებრივი სტატუსი)
ენდობა სამიზნე აუდიტორია თქვენი მხარდაჭერის ხმას?	ყოფილა თუ არა თქვენი მხარდაჭერი ჩართული მსგავს ინიციატივებში წარსულში? თუ დიახ, გა-წმარტეთ, რა სახით და რომელ ინიციატივებში
რომელ მედიას იყენებს მხარდაჭერი? რამდენად ხშირად? რამდენად ფართო აუდიტორია ჰყავს? (მაგ. მიმდევართა რაოდენობა თნლაინ, ა.შ.)	რომელ მედიას იყენებს მხარდაჭერი? რამდენად ხშირად? რამდენად ფართო აუდიტორია ჰყავს? (მაგ. მიმდევართა რაოდენობა თნლაინ, ა.შ.)



7.3 | ფაზა მესამე: საპირისპირო ნარატივის განხორციელება

როდესაც უზრუნველყოფთ დაგეგმვის ფაზის ყველა საფეხურის გავლას და მომზადებული გაქვთ ყველა ელემენტი, დროა შეამოწმოთ თქვენი დაგეგმვის ფაზა თქვენი საპირისპირო ნარატივის განხორციელების გზით. ეს ის ფაზაა, როდესაც თქვენ იწყებთ მიაგვრელ ნარატივთან მუშაობას და უპირისპირდებით მას. აქ თქვენ იწყებთ სხვადასხვა მოქმედებების განხორციელებას, რომლებიც მოამზადებთ თქვენი მიაგვრელ ნარატივთან დაპირისპირების საყოველთაო სტრატეგიის ფარგლებში. ეს ფაზა მოიცავს სამ საფეხურს, რომლებიც დაგეგმვარებათ საპირისპირო ნარატივის დანერგვაში. დანერგვის ფაზის ხანგრძლივობა წინასწარ არაა განსაზღვრული. თქვენ თავად წყვეტთ რა დრო გჭირდებათ დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად.



მოემზადეთ დასაწყებად

სტარტი ნიშნავს ახალი ნაბიჯების ან ფაზის დაწყებას და მის საჯარო ნარდვენას. სტარტი უნდა აღნიშნავდეს იმ მომენტს, როდესაც თქვენს საპირისპირო ნარატივს გაიცნობს საზოგადოება და ერთმანეთთან ურთიერთქმედებას დაიწყებენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პირველი სტარტის მიზანია საზოგადოების და მედიის ყურადღების მიპყრობა, ისევე როგორც მათი ინტერესის მოპოვება.



რვა რამ, რაც უნდა გახსოვდეთ

- **დანიშნეთ თარიღი.** სტარტისთვის განსაზღვრეთ თარიღი, დრო და ადგილი (რეალური ან ვირტუალური). უზრუნველყავით, რომ მედიამ იცოდეს ამის შესახებ, რათა ისინი მოვიდნენ და გააშუქონ თქვენი კამპანიის გახსნა.
- **შეარჩიეთ იდეალური მომენტი.** მოგჯერ, შეიძლება კარგი სტარტის გეგმა გქონდეთ, მაგრამ ზუსტად იმავე თარიღსა და დროს, სხვა, უფრო მასშტაბური ღონისძიება ხდებოდეს თქვენს ქალაქში, რომელიც მედიის ყურადღებას მიიპყრობს. ეცადეთ, მოერიდოთ თქვენი ღონისძიების გაშვებას მაშინ, როდესაც პარალელურად რაიმე მნიშვნელოვანი ხდება. მეორე მხრივ, მოგჯერ შეიძლება მზად არ იყოთ სტარტისთვის, მაგრამ მოკლე დროში წარმოქმნილი გარემოებები იდეალურია თქვენი საპირისპირო ნარატივის სტარტისთვის. არ დაიცადოთ: ისარგებლეთ მომენტით და დაუყოვნებლივ გაუშვით ნარატივი.
- **გახადეთ საინტერესო.** თქვენი საპირისპირო ნარატივის სტარტი საინტერესო, მოგჯერ პროვოკაციული, მოგჯერ კი ემოციურიც უნდა იყოს. რისი გაკეთება შეგიძლიათ, რომ თქვენი სტარტი საინტერესოდ აქციოთ? გამოაქვეყნეთ „პროვოკაციული“ პრეს-რელიზი, რათა მოუხმოდ მედია საშუალებებს; შექმენით ისტორიები, რომლებიც თქვენს აუდიტორიას მისცემს ემოციის, კონტაქტის და ა.შ. შეგრძნებას.

• **შეფენით სასურველობა**, სანამ თქვენი საპირისპირო ნარატივის სტარტს დაგეგმავთ, სცადეთ დისკუსიის გაღვივება, ამრიგად საზოგადოებას ჩაუნერგეთ სურვილი და მოლოდინი. ეს შეიძლება გაკეთდეს მარტივად, ბლოგების გამოქვეყნებით, პირდაპირი ეთერის ჩართვებით ინტერნეტში და ა.შ. ეს მოამზადებს საზოგადოებას თქვენი საპირისპირო ნარატივის გახსნისათვის.

• **წინასწარ მოიპოვეთ მხარდაჭერა**. განსაკუთრებით ეცადეთ, წინასწარ მოიპოვოთ თქვენი მომხრეების მხარდაჭერა, იქნებიან ისინი მეცნიერები, ცნობილი სახეები, პოლიტიკოსები თუ სხვა. დაგჭირდებათ იმის უზრუნველყოფა, რომ მათი მხარდაჭერა გქონდეთ, მაგრამ ამასთანავე, ზუსტად უნდა იცოდეთ რა თემებზე და როდის ჩაერთვებიან ისინი სტარტის დროს.

• **ესაუბრეთ თქვენს აუდიტორიას**. ისაუბრეთ მათი ენით, ანუ, თუ ახალგაზრდებთან გაქვთ საქმე, მოერიდეთ აკადემიურ, რთულად გასაგებ ენას. მის ნაცვლად, გამოიყენეთ ახალგაზრდებისთვის გასაგების ენა და მაგალითად, კრეატიული ილუსტრაციები.

• **მიდით იქ, სადაც თქვენი აუდიტორიაა**. ისევ, თუ თქვენი აუდიტორია, ვთქვათ, სამეცნიერო საზოგადოებაა, მაშინ უფრო იოლი იქნება მათთვის ხმის მიწვდენა უნივერსიტეტებში, სემინარების ან კონფერენციების გზით მათთან მუშაობის მიზნით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს იდეალური გზაა რელიგიურ ლიდერებთან სამუშაოდ.

• **თქვენი სტარტი შეიძლება იყოს...** მრავალფეროვანი: ეს შეიძლება იყოს იმ პრემიერ-მინისტრის კომენტარი, ან ნაწყვეტი მისი მოსაზრებიდან, რომელმაც საჯაროდ განაცხადა პრო-ლეგბტ კანონი; ეს შეიძლება იყოს გარკვეული უმცირესობის მხარდასაჭერად და მათი კულტურული ღირებულებების ხელშესაწყობად თქვენს ქალაქში გამართული კონცერტი, ან შეიძლება იყოს სატელევიზიო დისკუსია, რომელსაც მოყვება ვიდეორგოლი სექსიზმის შესახებ. ამგვარად, არ არსებობს წესების იმის შესახებ, თუ რა ითვლება სტარტად. გახსოვდეთ: სტარტი ის მომენტია, როდესაც თქვენ გადანწყვტთ თქვენი საპირისპირო ნარატივის ამოქმედებას. და თქვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ გადანწყვტთ ამის გაკეთებას!



WeCAN“ (შეგვიძლია)“ და მისი სტარტი

მოსწავლეთა ჯგუფმა „WeCAN“ (შეგვიძლია), რომელსაც ოლი ხელმძღვანელობს, გადანწყვტა კამპანიის წამოწყება და სკოლის მუსიკის ფესტივალის მოწყობა, რაც კამპანიის სტარტის ფუნქციას შეასრულებს. ღონისძიების გასაშუქებლად მონვეული იქნება მედია. მთავარი სამიზნე აუდიტორია არიან ახალგაზრდები, რომლებიც არიან ფეხბურთის და მუსიკის ფანები, ასე რომ, ეს წარმოადგენს აქტივობას, რომელიც შემოთავაზებული და მიღებული იქნა თავად ახალგაზრდების ჯგუფის მიერ. ალფ და პიმი ხელმძღვანელობენ ლოჯისტიკურ მიმართულებას. აჰმე განაგებს მოსწავლეების და მედიასთან კონტაქტების მიმართულებას.



ფაზა

- 1
- 2
- 3
- 4

საფაზური



იმუშავებთ მედიასთან

მედიასთან მუშაობა ის პროცესია, რომელიც მუდამ უნდა შეინარჩუნოთ თქვენი საპირისპირო ნარატივის განხორციელების პერიოდში. მედია ის საშუალებაა, რომელიც მოგცემთ სივრცეს, რათა თქვენი საპირისპირო ნარატივის შინაარსი მიიტანოს აუდიტორიამდე და გაავრცელოს იგი. მედიასთან წარმატებული თანამშრომლობა უზრუნველყოფს საპირისპირო ნარატივის ეფექტურ გავრცელებას და უფრო ფართო აუდიტორიისთვის ხმის მიწვდენას.



რე უნდა გააკეთოთ

- დაადგინეთ, რა მედია საშუალებებს იყენებს, უსმენს, კითხულობს ან უყურებს თქვენი აუდიტორია. არის ეს ეროვნული თუ ადგილობრივი სატელევიზიო არხი? თუ რადიო? ყოველდღიური გაზეთი? თუ ინტერნეტ-გაზეთი?
- ასევე გაარკვიეთ, კონკრეტული მედიის რომელი განყოფილებებით / გადაცემებით არის დაინტერესებული თქვენი აუდიტორია: მაგ. სპორტული გადაცემა საკაბელო არხზე? დილის გადაცემა რადიოში?
- შეადგინეთ იმ ჟურნალისტების მონაცემთა ბაზა, რომლებიც პოტენციურად გააშუქებენ ღონისძიებას.
- დაადგინეთ, რომელ გადაცემაში გასურთ მოხვედრა და გაიგეთ მისი წამყვანის შესახებ. დანიშნეთ შეხვედრა წამყვანთან / ჟურნალისტთან და მსუბუქად მიანოდეთ იდეა გადაცემის შესახებ (ინსტრუმენტებში იხილეთ წარმატებული ფიჩინგის ტექნიკების შესახებ).
- თან იქონიეთ გარკვეული ზოგადი ინფორმაცია ან თქვენი ინტერნეტ საიტიდან რამდენიმე ფურცლიანი ამონაწერი, რათა ახსნათ, რა მიზნები აქვს თქვენს ორგანიზაციას და რატო არის მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმოს თქვენს საპირისპირო ნარატივს მედიაში.
- მოაწყვეთ შეხვედრები ან ღონისძიებები ჟურნალისტებისთვის ისეთ საკითხებზე, რომლებიც შეეხება თქვენს საპირისპირო ნარატივს, მაგალითად, სასწავლო კურსი გენდერზე დამყარებული ძალადობის შესახებ, ან მრგვალი მაგიდის დისკუსია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

რე არ უნდა გააკეთოთ

- ნუ დაუკავშირდებით მედიას ზოგადი მოსაწვევებით, რომელთაც მათ სა-ზოგადოებრივ საკონტაქტო ელ-ფოსტაზე გადაუგზავნიან.
- ნუ გამოაქვეყნებთ შეთავაზებას ან პრესრელიზს ბუნდოვანი, ზოგადი განცხადებებით. თქვენმა მონათხრობმა არა თუ უნდა გაახმოვანოს, არამედ თვალნათლივ წარმოაჩინოს საგანი, და თქვენ უნდა დაარწმუნოთ რედაქტორი, რომ გააშუქოს ის ახალი ამბები, რომლებიც ხელს უწყობს თქვენს ორგანიზაციას, და არა სხვას.
- გადამეტებულად ნუ შეაფასებთ ნაკლებად ცნობილი მედიის ძალას, როგორც ცალკეული საზოგადოებების გაზეთები, ადგილობრივი ტელევიზია და რადიო, სტუდენტური ჟურნალები და ა.შ. ისინი ზოგჯერ წარმოადგენენ ყველაზე ეფექტურ არხებს, რომელთა მეშვეობითაც თქვენი აუდიტორიის გარკვეულ სეგმენტამდე მიიტანთ თქვენს საპირისპირო ნარატივს. სხვადასხვა კუთხიდან შეხედეთ ახალი ამბების მედიის მთელ სპექტრს.



გამოიყენეთ ეს ნიმუში, რათა დაგეგმოთ თქვენი მედიასთან თანამშრომლობა

ნიშნავეთ მედიასთან

1. როგორ მედიასთან უნდა მიმართოთ?	მაგალითი: ეროვნული ტელევიზია „ABC“
2. როგორი განყოფილება / შოუ / პროგრამა? დაუახლოვდით!	მაგალითი: პროგრამა სახელწოდებით „შინაგანი ისტორია“
3. აღწერეთ განყოფილების / შოუს / პროგრამის ძირითადი თემატიკები	მაგალითი: „შინაგანი ისტორია“ ყოველკვირეული პროგრამაა, რომელიც შეეხება ცალკეული სოციალური პრობლემების სიღრმისეულ ისტორიებს. იგი გრძელდება 30-45 წუთი, ყოველ ოთხშაბათს, 18:00-18:45. იგი ტარდება პირდაპირ ერთდროში სტუდიაში დასწრე სხვა სტუმრებთან ერთად.
4. ვინ არის პოტენციური აუდიტორია?	მაგალითი: სოციალური საკითხებით დაინტერესებული შეახნის ასაკის მოქალაქეები
5. ვინ არის ამ განყოფილებაზე / შოუზე / პროგრამაზე პასუხისმგებელი პირი? დაუახლოვდით საკომუნიკაციო მენეჯერს	მაგალითი: პროგრამის რეჟისორი ამანდა დინი. პროგრამის ნამყვანია ჯონ სმიტი ტელეფონი: 00009999000 ელ-ფოსტა: amanda@insidestory.sf ტივტერი: @insidestory.sf @amandaTV.sf @johnTV.sf



ჟურნალისტთა მონაცემთა ბაზისთვის გამოიყენეთ ეს ნიმუში.

სახელი	ჯონ სმიტი	ფატიმა ასაფი	ლინა სვენსონი
ორგანიზაცია	ABC News, ავსტრალია	ალ-ჯაზარა ძირითადად ალ მონიტორი(მოგვჯერ) არაბების გაერთიანებული საემიროების ეროვნული ტელევიზია (მოგვჯერ)	Sydsvenskan
მედი	მხოლოდ ტელევიზია	ტელევიზია, გაზეთები ინტერნეტი	გაზეთები, ინტერნეტი
წვდომის დრო	ეროვნული	საერთაშორისო	ადგილობრივი
სამუშაო ოფისი	სიდნეი, ავსტრალია	სხვადასხვა: დოჰა, კაირო, ბერიუთი	მალმო, შვედეთი
მისამართი / მისამართი	მტატი	მტატარეშე	მტატი
ელ-ფოსტა	john.smith@abc.net.sf	fatimassaf@gmail.vz	l.svensson@sydsvenskan.ta
ტივტერი	@johnsmith8.sf, 900 -ზი მეტი მიმდევარი	@fatimassafTV.vz	@linafna.ta
ტელეფონი	ოფისი: 226762, მობილური : 07788112	-	

- რჩევები შეტყობინებათა რუკის (Message Map) მეშვეობით წარმატებული ფიჩინგის შესახებ შეიძლება იხილოთ შემდეგ ბმულზე: <https://www.youtube.com/watch?v=-phyU2BThK4Q>
- გამოიყენეთ „ალექსა“ პლატფორმა (www.alexa.com) რათა დაადგინოთ ონლაინ-პორტალების აუდიტორიის რაოდენობრივი მაჩვენებელი. (როდესაც ამ პლატფორმაზე შეხვალთ, გვერდის ქვედა მხარეს არსებულ ველში აკრიფეთ ახალი ამბების პორტალის ბმული (დაათვალიერეთ ტოპ-საიტების“ ქვემოთ.)






„WeCAN“ (შეგვიძლია) და გეღი

ჯგუფის „WeCAN“ (შეგვიძლია) საქმიანობის პირდაპირი სამიზნე აუდიტორია საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან. სოციალური პლატფორმის, ელექტრონული შეტყობინებების მთავარი დარბაზის დაფაზე განთავსებული პოსტერების მეშვეობით, ისევე როგორც გაკვეთილების დროს სიტყვიერად, ყველა მოსწავლე მონაწილე იქნა ფესტივალის მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად. ოლი და აპმე ყველა კლასს ეწვევიან. ოლი თავდაჯერებულად არ გრძნობდა თავს, როდესაც მართლს უწევდა კლასებში შესვლა. მას ეშინოდა, რომ ისინი იფიქრებდნენ, „იქნებ ეს როლონიელებს სჩვევიათ?“ ამგვარად, აპმე გაჰყვა მას და ისინი ერთად ლაპარაკობდნენ.

არაპირდაპირი სამიზნე აუდიტორიისთვის, ფესტივალის შესახებ გამოცხადდა სოციალური მედიისა და ძირითადი მედიის მეშვეობით - ადგილობრივ ტელეარხზე, ადგილობრივ რადიოსადგურში, განსაკუთრებით ცდილობდნენ გავლენიანი ჟურნალისტების დაინტერესებას, მაღაზიების ვიტრინებში და მუნიციპალურ ცენტრებში გამოკრული პოსტერების მეშვეობით. ადგილობრივ პოლიტიკოსებს ყველა პოლიტიკური პარტიიდან დაეგზავნათ წერილობითი მოსაწვევები ჩვეულებრივი ფოსტით.



გავლენის მქონე გავლენიანი აღქმები

გავლენიანი აღქმები არიან ისინი, ვინ აუდიტორიას მიმართავენ და პოტენციურად მასზე გავლენას მოახდენენ. ისინი გადასცემენ თქვენს მესიჯებს და ინფორმაციას. გავლენიანი აღქმები შესაძლოა სხვადასხვა სფეროებიდან იყვნენ: პოლიტიკა, სამეცნიერო წრეები, სპორტი, მუსიკა, მხატვრობა და ა.შ. ჩვეულებრივ, მათ ბევრი მიმდევარი ჰყავს და აქედან გამომდინარე, მაღალი ალბათობით, აქეთ წვდომა დიდ აუდიტორიაზე დროის მოკლე მონაკვეთში.



- განსაზღვრეთ სწორი გავლენიანი პირი, რომელიც შეეფერება თქვენი საპირისპირო ნარატივის თემას, მაგალითად, ისეთი აღქმები, რომელმაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა იმ საკითხს, რომლის გადაწყვეტასაც თქვენ ცდილობთ.
- სიფრთხილვით გამოიჩინეთ, რათა არ ითანამშრომლოთ ისეთ გავლენიან აღქმებთან, რომლებიც წარსულში მხარს უჭერდნენ მხაგვრელ ნარატივს და ხელს უწყობდნენ სიძულვილის ენას.
- ასევე იფიქრეთ, თუ რომელი აუდიტორია მოუსმენს გავლენიან აღქმებს და შეძლებენ თუ არა ისინი მასზე გავლენის მოხდენას. მაგალითად, თუ თქვენი საპირისპირო ნარატივი შეეხება რელიგიურ საკითხს, შეიძლება დაფიქრდეთ რელიგიური ლიდერების ჩართვაზე, რადგან მათ გავლენის მოხდენა შეუძლიათ.
- სანამ გავლენიან აღქმებს დაუკავშირდებით, მოამზადეთ კარგი, მოკლე წინადადება და მცირეოდენი ზოგადი ინფორმაცია. დარწმუნდით, რომ ზუსტად განმარტავთ, თუ რა იქნება გავლენიანი პირის მოვალეობა.

- სიფრთხილვე გამოიჩინეთ, რომ არ გადატვირთოთ ადამიანები ინფორმაციით და დავალებებით! რეალისტურად განსაზღვრეთ მათი როლი და დავალებები. წინასწარ მოამზადეთ ყველა მასალა (მაგალითად, თუ გავლენიანი ადამიანი არის მომდერალი, რომელსაც მილიონ მიმდევარი ჰყავს სოციალურ ქსელში, გადაეცით წინასწარ მომზადებული ფეისბუქ პოსტები და ტვიტები).



გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი გავლენიან ადამიანებთან სამუშაოდ

უკვე იკოვრეთ გავლენიანი ადამიანი თქვენი კამპანიის მხარდასაჭერად?

<p>1. დააღვიძეთ</p>	<ul style="list-style-type: none"> • ვინ არის თქვენი გავლენიანი პირი? • აუდიტორიის რომელი ჯგუფი მოუსმენს მას და ვისზე მოახდეს იგი გავლენას? • რა თემებზე/საკითხებზე იმუშავენ ისინი? • რომელ მედია-სამუშაოებს ეხება იყენებს? • მიუთითეთ ზოგადი ინფორმაცია თქვენი გავლენიანი პირის შესახებ
<p>2. დაუკავშირდით</p>	<ul style="list-style-type: none"> • რა არის თქვენი წინადადება, რომელიც მის მხარდაჭერას მოგიტანთ? • რა იქნება ამ გავლენიანი პირის მოვალეობები? • რა არის თანამშრომლობის ვადა?
<p>3. იმოქმედეთ</p>	<ul style="list-style-type: none"> • მოამზადეთ და გადაეცით წინასწარ მომზადებული მასალები (მაგ. ფეისბუქ-პოსტები, ტვიტები, დიაგრამები, და ა.შ.) • ჩაატარეთ ჩვეულებრივი შეხვედრები (ანუ, ყოველკვირეული, ყველთვიური, და ა.შ.) • მიანოდეთ უახლესი ინფორმაცია გავლენიან პირს შედეგების, გამარჯვებების და ა.შ. შესახებ. • მიუთითეთ და აღიარეთ გავლენიანი პიროვნების წვლილი

ისარგებლეთ კლაუტით (Klout, www.klout.com) სოციალურ მედიაში გავლენიანი ადამიანების მოსაძებნად.



„WeCAN“ (შეგვიძლია) და გავლენიანი ადამიანები

ძირითადი გავლენიანი ადამიანები, რომლებიც მხარს დაუჭერენ ფესტივალს, არიან ადგილობრივი ჯგუფის, „ჰაივისის“ წევრები, ალეს ბიძაშვილის წყალობით, რომელიც მეგობრობს ბენდის წამყვან გიტარისტთან. ისინი ძალიან პოპულარულები არიან ახალგაზრდებში. ქალბატონი ჰილტა დაუკავშირდა სილტას, ქვეყანაში ცნობილს მომდერალს, რომელსაც შერეული, როლონიური და მარკადიული ფესვები აქვს. და ბოლოს, სკოლის დირექტორი დაუკავშირდა მერს და ადგილობრივი სპორტული სტადიონის დირექტორს.



ფაზა



საფაზური



იმუშავეთ პროცესის ყველა მონაწილესთან

ყველა მჩაგვრელი ნარატივის უკან ადამიანები დგანან. როგორც მჩაგვრელი ნარატივის სამიზნეები, ასევე მისი მხარდამჭერები, ადამიანები არიან. საქმე სიძულვილთან გამკლავებაშია, და არა რომელიმე ჯგუფისთვის ბრალის დადებაში, ან თავდასხმაში. ორივე ჯგუფთან მუშაობა შესაძლოა საჭიროებდეს ძალისხმევას და იყოს რთული. მიუხედავად ამისა, ასეთ გარდაქმნელ პროცესში მონაწილეობას, წარმატებული შედეგების მოტანა შეუძლია.



რჩევები მჩაგვრელი ნარატივის გამაპრსკალებლათან და მის მხარდაჭერათან საუშაოდ

- **ფრთხილად აირჩიეთ, ვისთან იმუშავებთ.** სიძულვილის ენის გამაპრსკელებელი ან მხარდამჭერი შეიძლება ნებისმიერი ადამიანი იყოს: ახალგაზრდა, ხნიერი, პოლიტიკოსი, მეგობარი, ოჯახის წევრი ან სპორტსმენი. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ გავლენიანია, ვიდრე სხვები. თქვენი მიზნების ყურადღებით გათვალისწინებით, აირჩიეთ ვისთან იმუშავებთ.
- **ბოიკოტი.** ზოგჯერ ეს ყველაზე ეფექტურ გზაა ისეთ ინტერნეტ საიტებთან საუშაოდ, რომლებიც აქვეყნებენ, ავრცელებენ, სისტემატიურად, მჩაგვრელ ნარატივს. ბოიკოტირება წარმატებული ტაქტიკაა მათი გვერდის მნახველების რაოდენობის შესამცირებლად.
- **უპასუხეთ.** დაადგინეთ, რომელ წყაროებს, ინფორმაციას და ფაქტებს იყენებს სიძულვილის გამლვივებელი, და დაუპირისპირდით ალტერნატიული წყაროებით, ფაქტებითა და ინფორმაციით. დატოვეთ კომენტარები ისეთ ვებსაიტებზე, რომლებიც შეიცავენ არასწორ, მიკერძოებულ ან რასისტულ კონტენტს. გაუგზვნეთ შევითხვები და საჩივრები იმ ავტორებს / რედაქტორებს, რომელთა პოსტებში შეუწყნარებლობა შედავნდება.
- **შეატობინეთ გვერდის ადმინისტრაციას („დარეპორტეთ“).** გამოიყენეთ გვერდის ადმინისტრაციისთვის შეტყობინების მექანიზმები, საჩივრის პროცედურები, რათა აცნობოთ ინტერნეტსაიტის მფლობელებს ან სატელევიზიო შოუების რეჟისორებს მჩაგვრელი ნარატივის მაგალითების შესახებ. ასევე შეგიძლიათ შეაგროვოთ ინფორმაცია თქვენს ქვეყანაში რეგისტრირებული სიძულვილის საიტების, გაზეთების, რადიო-სადგურების, ან ტელეშოუების შესახებ. გაუგზავნეთ იგი თქვენს საპარლამენტო წამომადგენელს.
- **უგულვებლყავით ვირტუალური პროვოკატორები (ე.წ. „ტროლები“).** „ტროლებთან“ მუშაობის საუკეთესო გზა, მათთან მუშაობაზე უარის თქმაა. ეცადეთ, ყურადღება არ მიაქციოთ მათ. იგივესკენ მოუწოდეთ სხვებს.

რჩევები მრავალრიცხოვანი ნაწილის სამიზნეობის საკუთარ

- **შედეგი კონტაქტი.** მრავალრიცხოვანი ნაწილის სამიზნეობის ხშირად იტანჯებიან ემოციურად და ფსიქოლოგიურად. შეეცადეთ მათთან კონტაქტში შესვლას და გამოხატეთ თქვენი თანაგანცდა მათ მიმართ. მნიშვნელოვანია, დაანახოთ, რომ ისინი მართლ არ არიან. ასევე, აუხსენით, რისი გავლენა შეუძლიათ.
- **ორგანიზება გაუწიეთ.** მრავალრიცხოვანი ნაწილის სამიზნეობის ხშირად არის დამყარებული ცრუ იდეებზე, ფაქტებზე და მითებზე. მოუწოდეთ მრავალრიცხოვანი ნაწილის სამიზნეობის, მოიფიქრონ მათი ალტერნატივები, და გამოაქვეყნონ ისინი, სადაც შეძლებენ - ინტერნეტში, სოციალურ ქსელებში ან ნამყვან მედია-საშუალებებში. გარდა ამისა, მოაწყვეთ საჯარო აქცია, რათა სხვა მსხვერპლთა მიმართაც გამოხატოთ სოლიდარობა.
- **მიანოდეთ ინფორმაცია.** მრავალრიცხოვანი ნაწილის სამიზნეობა შეიძლება არ იცოდნენ იმ ღონისძიებების და მეთოდების შესახებ, რომლებსაც შეიძლება მიმართონ. მიანოდეთ მათ ინფორმაცია სამართლებრივი ინსტრუმენტების, მათი უფლებების, ასევე თავდაცვის ტექნიკების შესახებ.
- **გამოიჩინეთ სიფრთხილე.** მრავალრიცხოვანი ნაწილის სამიზნეობის მუშაობა ასევე ნიშნავს, რომ მოვარიდოთ ისინი და ჩვენი თავი შემდგომ საფრთხეებს. ამან შეიძლება მეტი ზიანი მოიტანოს. ყოველთვის ჰკითხეთ მონაწილეებს, გრძნობენ თუ არა მზად თავს სამუშაოდ, და რა სახით. ნუ დააძალებთ მათ, თუ ისინი ყოყმანობენ, მაგრამ უზრუნველყავით, რომ მათ ესმოდათ იმ მხარდაჭერის შესაძლებლობები, რომლის შეთავაზებაც თქვენ და თქვენს ორგანიზაციას შეგიძლიათ.

დამატებით რჩევები და მაგალითები, თუ როგორ უნდა მუშავოთ სიძულვილის ენის სამიზნეობის და გამავრცელებლებთან, მოცემულია პარაგრაფში 6.7.



„WeCAN“ (შეგვიძლია) და ყველა იმ ჯგუფის მონაწილეობა. როგორც საკითხი ახლა

აქტივობების მიზანია, ახალგაზრდებისთვის შეიქმნას სივრცე, სადაც ისინი შეძლებენ მსჯელობას და მიიღებენ მრავალმიზნელოვან ცხოვრებისეულ გამოცდილებას, და არა უბრალოდ გადასცემენ „სწორ“ ინფორმაციას. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ დიალოგისთვის შეიქმნას უსაფრთხო გარემო, მაგალითად, ღონისძიებების ერთად დაგეგმვის, ან სიმულაციური თამაშის გამოყენებით. სიმულაციური ან როლური თამაშები / როლების გაცვლა აყენებს ჯგუფს იმის მსგავს სიტუაციაში, რომელიც უკავშირდება სიძულვილის ენას, მაგრამ თავს არიდებს ადამიანების წარმოდგენას „დამნაშავედ“ და „მსხვერპლად“. ძირითადი აზრი სიძულვილთან გამკლავება, იარლიყის მიკვრის თავიდან არიდება და მონაწილეთა ჰუმანიზებაა. ოლის და სხვა ახალგაზრდებს, რომლებიც იყვნენ სიძულვილის სამიზნეები, შესაბამისმა პროფესიონალებმა და ადამიანებმა შესთავაზეს მხარდაჭერა და რჩევები სამართლებრივი, ემოციური და საგანმანათლებლო კუთხით.



7.4 | ფაზა მეოთხე: საპირისპირო ნარატივის მონიტორინგი და შეფასება

ეს არის გზამკვლევის მეოთხე და უკანასკნელი ფაზა. ეს ფაზა მოიცავს თქვენი საპირისპირო ნარატივის მონიტორინგს და მის შეფასებას. მნიშვნელოვანი მომენტი, შეაფასოთ თქვენი გეგმვლენა და ის, თუ რა ხარისხით იქნა მიზნები მიღწეული. საბოლოოდ, ამ ფაზაში მოვიფიქრებთ და განვიხილავთ, საჭიროა თუ არა მორიგი მცდელობა.



განსაზღვრეთ ზეგავლენის ინდიკატორები

იმისათვის, რათა შეაფასოთ თქვენი საპირისპირო ნარატივის გავლენა, მნიშვნელოვანია განსაზღვროთ, თუ როგორი იქნება გავლენა, ანუ, რა კონკრეტულ ცვლილებებს ელით თქვენი ძალისხმევის შედეგად. თქვენს მოქმედებებს შესაძლოა განსხვავებული გავლენა ჰქონდეს, მაგალითად, ადამიანების მოსაზრებებსა და ქცევაზე, შესაბამისად, თქვენ დაგჭირდებათ გადანაცვითი, რომელ შედეგებზე და ცვლილებებზე გსურთ დაკვირვება და რა მიგანიშნებთ, რომ ეს ცვლილებები ხდება, რა მასშტაბით და რა სახით. შესაძლოა, დაგჭირდეთ პასუხები ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: ვის მიანვდინა ხმა ჩემმა კამპანიამ? როგორ აღიქვს მესიჯი? როგორ შეიცვალა მათი აღქმები საკითხის შესახებ?

შემფასებლები ხშირად მიმართავენ გავლენათა ჯაჭვს. მოკლედ, ვარაუდობენ, რომ ქმედებების ან საქმიანობის შედეგად, როგორცაა ვიდეორგოლის გავრცელება, ან სემინარის ჩატარება, ამ ღონისძიებებს ექნება გავლენა მნახველთა ან მონაწილეთა დამოკიდებულებებსა და აღქმებზე, და, საბოლოოდ, ამის შედეგად, მათი ქცევები ნაწილობრივ ან არსებითად შეიცვლება. მაგალითად, ადამიანები შეიძლება ხედავდნენ განსაზღვრულ კონტენტს, მაგრამ გარდაუვალი არ არის, რომ ამრიგ შეიცვალონ. ქვემოთ მოცემულია, როგორც რაოდენობრივი (რის შემთხვევაშიც, ცვლილების ზომა რიცხვებში გამოისახება), ასევე თვისებრივი (ცვლილების ხარისხი ან ტიპი) ინდიკატორები, ხსენებული ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპებზე:


დონე	ინდიკატორების გავლითაში
ძალიანმაკაა ან ნაყოფიარება (მანერსიხილაუბალი აძი-პობაი)	დარიგებული ფლაერების და პოსტერების რაოდენობა „შთაბედილებების“ რაოდენობა, ანუ, რამდენჯერ გამოჩნდა კონტენტი ნიუსფიდში ან სვეტოვან პოსტში სოციალური მედიის პლატფორმებზე იმ მედიის რელევანტურობა, სადაც თქვენი მესიჯი გამოჩნდა, მაგალითად, ძირითადი ან მრავალტირაჟიანი, კონკრეტული, მაგრამ მეტად რელევანტური თქვენი სამიზნე აუდიტორიისთვის
შედეგები	<p>გავრცელება ან ინფორმირებულობა რამდენი სტუდენტი ჰყავდა ონლაინ პორტალს მონონებების, კომენტა - რების და გამიარებების რაოდენობა, რაც მიუთითებს, რომ კონტენტი ნაკითხული და მნახველისთვის მინოდებული იქნა.</p> <p>ცვლილებები აღქმებში ვირტუალურ ონლაინ სივრცეში გამართული საუბრების შეფასებით, მაგალითად, იმ კომენტარების განალიზებით, რომლებიც აჩვენებს, რომ ადამიანებს ეჭვი ეპარებათ თავიანთ ვესტრემისტულ შეხედულებებში და მიუთითებს კრიტიკულად აზროვნების უნარებზე, ან კომენტარები, რომლებიც აჩვენებენ, რომ მათ შეხედვლობაში მიიღეს სრულიად განსხვავებული მოსაზრებები, გამოხატავენ შემწინარებლობას და პატივისცემას.</p> <p>ცვლილებები ქცევებში ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ითხოვენ დახმარებას, ექსტრემისტული ჯგუფიდან გამოსასვლელად. ადამიანები, რომლებიც ამუღანებენ, რომ შეუძლიათ სხვებთან მუ - აშაობა, დაძლიეს ცრუ შეხედულებები და შიშები, და თავიანთ ქმედებებში დანერგეს ადამიანის უფლებების ენა.</p>
გაკვება	<p>ცვლილებები სოციალურ ურთიერთობებში სიძულელის ენის მატარებელი კომენტარების რიცხვი იკვებს ექსტრემისტულ ჯგუფებში განვერებული ადამიანების რიცხვი იკვებს იმატებს იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც მონაწილეობენ საზოგადოების მშენებლობასა და ადამიანის უფლებების დონისძიებებში საზოგადოების შორის ურთიერთობებში ჩანს მეტი ნდობა და თანამშრომლობა, მაგალითად, ახალი ორგანიზაციებში და ჯგუფებში ნეგრიანდებიან განსხვავებული წარმომავლობის ადამიანები, რომლებიც ადრე მსგავს რამეს არ გააკეთებდნენ.</p>

იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეაფასოთ თქვენი საპირიპირო ნარატივის გავრცელება და დააკვირდეთ და გააანალიზოთ ვირტუალურ სივრცეში გამართული საუბრები, მეტის ნაკითხვას შეძლებთ ამ ფაზის მე-3 და მე-4 საფეხურებში.



- ახალგაზრდულ ორგანიზაციებზე დაკვირვებისა და შეფასებისთვის საჭირო ონლაინ გზამკვლევისა და ინსტრუმენტებისთვის, ენჯეთ „სასანავლო წირს“ ([The Learning Curve](http://www.unoy.org/evaluationguide), www.unoy.org/evaluationguide).
- იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შექმნათ დამატებითი ინდიკატორები სასანავლო აქტივობებისთვის, იხილეთ „ახალგაზრდული საანმანათლებლო შეფასება“ ([Educational Evaluation in Youth Work](#)), ინსტრუმენტთა ნაკრები №10, გამოქვეყნებულია ევროპის საბჭოს - ევროკავშირის ახალგაზრდული პარტნიორობის მიერ
- ონლაინ საპირისპირო ნარატივის სოციალურ ქსელში გავლენის ინდიკატორების საზომების შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და მაგალითებისთვის, იხილეთ საპირისპირო ნარატივის მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო “[Counter-narrative Monitoring and Evaluation Handbook](#)” და „საპირისპირო ნარატივების ზეგავლენა“ ([The Impact of Counter-Narratives](#)), „სტრატეგიული დიალოგისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის სანინაღმდეგო ინსტიტუტი“.





დააკვირდით და დასაბუთეთ კითხვები


ყურადღებით დააკვირვება იმაზე, თუ როგორ რეაგირებს თქვენს კამპანიაზე სამიზნე აუდიტორია, სასიცოცხლო მნიშვნელობისა თქვენი სადამკვირვებლო და შეფასების სამუშაოებისთვის. დამატებითი დეტალებისთვის, შეგიძლიათ შეაგროვოთ ინფორმაცია სხვადასხვა მონაწილეთათვის და დამკვირვებლებისთვის კითხვების დასმით, მაგალითად, ანკეტების ან ინტერვიუების მეშვეობით. ანკეტების და ინტერვიუების წარმართვა პირისპირ, ან ინტერნეტ ინსტრუმენტებით ან პლატფორმებითაც არის შესაძლებელი. ისინი შეიძლება შესრულდეს წერილობით, ხმოვანი, ან ვიდეო ჩანაწერით. თქვენზე დამოკიდებული, თუ რომელს აირჩევთ. არსებობს ანკეტების და ინტერვიუს სხვადასხვა ტექნიკები. ზოგიერთ მათგანს ჩვენ ამ საფეხურზე განვიხილავთ და ვნახავთ, რამდენად შეუძლიათ მათ დაგეხმარონ თქვენი საპირისპირო ნარატივის ზეგავლენაზე დაკვირვებასა და მის შეფასებაში.



- ინტერვიუები უნდა წარიმართოს იმ ადამიანებთან, რომლებიც თქვენი სამიზნე აუდიტორიის წევრები იყვნენ. ეცადეთ, დაადგინოთ, ვინ არიან ისინი და ჩაატარეთ მათთან ინტერვიუები. მაგალითად, თუ თქვენი სამიზნე აუდიტორია ექიმებისგან შედგებოდა, რომლებმაც უარი თქვეს ლტოლვილთა მკურნალობაზე, მაშინ წადით საავადმყოფოში და ითხოვეთ ინტერვიუ.
- როდესაც მიმართავთ ადამიანებს ან ჯგუფებს ინტერვიუს თხოვნით, ყოველთვის განუმარტეთ, თუ რის შესახებ იქნება ინტერვიუ, რამდენ ხანს გასტანს და გამოქვეყნდება, თუ კონფიდენციალური დარჩება. იყავით მათთან გულწრფელი. თუ მათ ინტერვიუს მოცემა მაშინვე არ შეუძლიათ, შეეცადეთ შეხვედრა სხვა დროისთვის გადაუტანოთ, ან ჩამოართვათ ონლაინ რეჟიმში.
- არჩიეთ ინტერვიუს მეთოდი: წერილობითი, ხმოვანი ან ვიდეო ჩანაწერი. ყოველთვის სთხოვეთ რესპოდენტებს, მისაღებია თუ არა მათთვის ინტერვიუს მეთოდი. თუ ინტერვიუს ვიდეო ინტერვიუს მეთოდს აირჩევთ, არ დაგავინწყდეთ, წინასწარ მოემზადოთ და შეამოწმოთ კამერა და მიკროფონი. ასევე უზრუნველყავით, რომ ხელთ გქონდეთ ინტერვიუს საორიენტაციო შეკითხვების მონახაზი.
- ინტერვიუს დაწყებამდე, ჩაინიშნეთ ინტერვიუს თარიღი, დრო და ადგილი. შესაძლო რისკი თავიდან ასარიდებლად, სთხოვეთ რესპოდენტებს, ხელი მოაწერონ დოკუმენტს, რომლითაც ისინი თანხმობას აცხადებენ ორმხივად შეთანხმებული პირობების საფუძველზე ინტერვიუს მიცემის თაობაზე.
- ეცადეთ ინტერვიუ იყოს მოკლე, გულღია და ლაკონური.



- ინტერვიუს სხვადასხვა მეთოდებისა და ტექნიკების შესახებ, იხილეთ „უკეთესი შეფასება“ (BetterEvaluation (www.betterevaluation.org/evaluation-options/interviews)).
- თუ მოქმედებთ რთულ გარემოში და გინდათ დაგროვებული მონაცემების დალაგება, გამოიყენეთ პაკეტი KoBo Toolbox (www.kobotoolbox.org). იგი უფასო და ღია კოდის მქონეა.
 - Google Forms პრაქტიკული ინსტრუმენტი დასაგეგმად, ინფორმაციის შესაგროვებლად და გასაანალიზებლად www.google.com/forms/about/
 - FrontlineSMS (www.frontlinesms.com) მორიგი ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას




„WeCAN“ (შეგვიძლია) მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგია

ჯგუფი განიხილავს, თუ რა მიუთითებს იმაზე, რომ მათ ძალისხმევას სასურველი შედეგი მოაქვს:

- ისინი ჩაინიშნავენ მათი სკოლის ონლაინ სოციალურ პლატფორმებზე გამოჩენილი დისკრიმინაციული კომენტარების ტიპსა და რაოდენობას.
- ისინი დააკვირდებიან, შეიცვალეს თუ არა კლასელებმა მათი დამოკიდებულებები და სხვებთან მოპყრობის გზები, მაგალითად, შეწყვეტენ თუ არა როლონიელების და სხვებად მიჩნეული ჯგუფების შესახებ ხუმრობას.
- ისინი ჩაატარებენ ანონიმურ ონლაინ გამოკითხვას.
- ისინი წამოაყენებენ სიმულაციური თამაშის (როგორცაა სახელმძღვა-ნელო „ბუქმარქსში“ მოცემული „თავისუფლებათა ჯახი“, თამაში, რომელშიც ორი, გამოხატვის თავისუფლების შესახებ საწინააღმდეგო შეხედულებების მქონე საზოგადოება ერთად ცხოვრობს ერთ კუნძულზე) ჩატარების წინადადებას. ისინი დააკვირდებიან დამოკიდებულებებს თამაშის განმავლობაში და მისი გაანალიზებისას გამოთქმულ მოსაზრებებს.
- როგორც გუნდი, ისინი შეიკრიბებიან პერიოდულად, რათა ერთმანეთს გაუზიარონ და გაანალიზონ თავიანთი დაკვირვების შედეგები.





მანსაზღვრათ გავრცელების არეალი

ამ საფეხურზე განსაზღვრავთ თუ სადამდე მიადგინა თქვენმა საპირისპირო ნარატივმა. თუკი პირველ ფაზაში თქვენ შეაფასეთ მრავალფეროვანი ნარატივის მედიაში გავრცელება, აქ თქვენ მიიღებთ თქვენი საპირისპირო ნარატივის გავრცელების უფრო დიდ სურათს და იმ ადამიანების დაახლოებით რაოდენობას, რომლებიც თქვენს ნარატივს გაეცნენ.



- გავრცელების შეფასება მეცნიერულ სავარჯიშოსავით უფერს, მაგრამ რეალურად, იგი გაცილებით მარტივია. დასაწყისისთვის, შეადგინეთ იმ მედია არხების სია, რომლებიც თქვენი საპირისპირო ნარატივის გასავრცელებლად გამოიყენეთ. როდესაც საბოლოო ჩამონათვალი გექნებათ, ეცადეთ გამომოთ გავრცელება არეალი.



- ძირითადი მედია-საშუალებების უმრავლესობას, როგორცაცაა გაზეთები, ტელევიზია და რადიო, შეუძლიათ მოგანოდოთ მათი აუდიტორიისა და გავრცელების შესახებ სხვადასხვა სტატისტიკა. შესაბამისად, თუ მინვეული იყავით სატელევიზიო შოუში, სთხოვეთ შოუს ნამყვანს, მოგანოდოთ მაყურებელთა მიახლოებითი რიცხვი. იგივე გაიმეორეთ გაზეთებისა და რადიოს შემთხვევაშიც.
- თუ თქვენი საპირისპირო ნარატივის გასავრცელებლად სარეკლამო აბრებს იყენებთ, მათი გამჭირავებელი კომპანიების უმრავლესობას აქვს მიახლოებითი მონაცემი, თუ რამდენი ადამიანი ნახულობს მათ ბილბორდს ყოველდღიურად, ადგილმდებარეობაზე დაყრდნობით. სთხოვეთ კომპანიას, მოგანოდოთ მონაცემები.
- თუ თქვენ იყენებთ მყარ ასლებს, როგორცაცაა მოხსენებები, ჟურნალები და ბროშურები, დაითვალეთ გავრცელებული მასალები.
- თუ მეტის გაგება გსურთ ონლაინ პორტალების მნახველების რაოდენობის შესახებ, ისრგებლეთ „ალექსა“ პლატფორმით (www.alexa.com).
- თუ გაქვთ ინტერნეტსაიტი და გაქვთ გვერდის მნახველთა რაოდენობის უფრო დანვრილებითი ანალიტიკური მონაცემების მიღების სურვილი, დააყენეთ და გაუშვით Google Analytics (www.google.com/analytics), თუნცა ბლოგების უმრავლესობა, როგორცაცაა WordPress, შეუძლია თავად მოგანოდოთ ანალიტიკური ინფორმაცია მნახველების შესახებ.
- თუ იყენებთ სოციალურ ქსელებს, მათ უმრავლესობას გააჩნია ინტეგრირებული ინსტრუმენტი, რომელიც გავრცელების შესახებ დანვრილებით ინფორმაციას განვდით.
- Hootsuite (www.hootsuite.com)- არის პლატფორმა, რომელიც საშუალებას გაძლევთ, ყველა სოციალური ქსელი გააერთიანოთ ერთ დაფაზე, აწარმოთ საუბრების მონიტორინგი და შეაგროვოთ სხვადასხვა მაჩვენებელი და ანალიტიკური მონაცემები

ფაზა



საფაზური



დააკვირდით საუბრებს

ნარატივები ინვესტ რეაქციებს, რომლებიც ძირითადად ადამიანებს შორის საუბრებში გამოიხატება. ამ საუბრებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს კლასიკური ფორმით, ფიზიკურ სივრცეში, ადამიანებს ან ჯგუფებს შორის, ან ინტერნეტ პლატფორმებზე. იმისათვის, რათა გაიგოთ, თუ რომელი აუდიტორია ან მჩაგვრელი ნარატივი რეაგირებს თქვენს საპირისპირო ნარატივზე, უნდა მოახდინოთ ონლაინ და ოფლაინ საუბრების მონიტორინგი.




- მიდით იქ, სადაც თქვენი აუდიტორიაა და ნახეთ, რა არის მათი რეაქცია, მაგალითად, თუ თქვენ თქვენს ინტერნეტსაიტზე გამოაქვეყნეთ სტატია და გააზიარეთ იგი სხვა სოციალურ ქსელებში, გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ინსტრუმენტები იმის დასადგენად, თუ ვინ გააზიარა თქვენი სტატია. ასევე გაიგეთ, როგორ მიიღო აუდიტორიამ თქვენი სტატია.
- მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტი გთავაზობთ არაერთ შესაძლებლობას, დააკვირდეთ ონლაინ საუბრებს, ნუ იქნებით ორიენტირებული მხოლოდ ვირტუალურ სივრცეზე. თუ, მაგალითად, გაავრცელეთ გაზეთი ანტისემიტიზმის საკითხებთან დაკავშირებით, რეალურ ადგილზეც მიდით და დააკვირდით, კითხულობენ თუ არა ადამიანები მას, და რა არის მათი რეაქცია.
- ასევე ეძებეთ საინააღმდეგო რეაქცია თქვენს საპირისპირო ნარატივზე. შესაძლებელია, თქვენმა ალტერნატიულმა ფაქტებმა და წყაროებმა შეაწუხა მჩაგვრელი ნარატივი და, აქედან გამომდინარე, ვირტუალურ სივრცეში, ძირითად მედია საშუალებებში ან რეალურ სივრცეში გამოიწვია საპასუხო რეაქცია.
- რეგულარულად ადევნეთ თვალი ძირითად მედია საშუალებებს და გაარკვიეთ, სხვა ადამიანებიც ახსენებენ თუ არა თქვენს საპირისპირო ნარატივს და რა კონტექსტში მოიხსენიებენ მას. შეიძლება, 24 საათის განმავლობაში ვერ მოახერხოთ თვალის მიდევნება, მაგრამ დაადგინეთ ის შესაძლო მოუები და პროგრამები, რომლებსაც შესაძლოა რეაქცია ჰქონდეთ თქვენს საპირისპირო ნარატივზე, ან გამოიყენონ იგი. გარდა ამისა, თუ გამოიყენებთ სარეკლამო აბრები ან სხვა უძრავი სივრცე თქვენი საპირისპირო ნარატივის გასავრცელებლად, დააკვირდით მათ და გაიგეთ, გამოიყენებულ იქნა თუ არა ისინი, ხომ არ შეღებეს, ან ვანდალიზება ხომ არ მოუხდენიათ? თუ დიახ, მაშინ აღრიცხეთ ისინი ფოტოსურათების გადაღების გზით.





- საძიებო სისტემებს, როგორებიცაა DuckDuckGo და Google, შეუძლიათ მოგაწოდოთ განახლებული ინფორმაცია რეალურ დროში სხვადასხვა კონტენტისა და ინტერნეტ ტრენდების შესახებ. გამოიყენე რომელიმე საძიებო სისტემა უფრო ფართო მონიტორინგისთვის.
- ფეისბუქის ძებნა მორიგი ინსტრუმენტია, რომელიც დაგეხმარებათ გაფილტრით თქვენი ძებნა ჰეშტეგებზე (ანუ, #აღამიანის_უფლებები), ადგილმდებარეობაზე, ინტერესზე და ა.შ. დაყრდნობით.
- Netvibes (www.netvibes.com) არის რეალურ დროში მომუშავე სოციალური მედიის მონიტორინგის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას გაძლევთ, გაფილტროთ, გაანალიზოთ, და შეაგროვოთ ინფორმაციის ფართო სპექტრი მაგლითად, თემები, ჰეშტეგების და ანგარიშების მონიტორინგის მეშვეობით.
- Keyhole (www.keyhole.com) არის ტვიტერისთვის, ინსტაგრამისა და ფეისბუქისთვის განკუთვნილი ჰეშტეგების მოძიებელი. იგი გაჩვენებთ, რამდენმა ადამიანმა განათავსა პოსტი თქვენი ჰეშტეგით, ხელახალ ტვიტებთან, მონიშვნებთან, შთაბეჭდილებებთან და ა.შ. ერთად.
- Social Mentions (www.socialmentions.com) არის რეალურ დროში მომუშავე სოციალური მედიის საძიებო და ანალიზის პლატფორმა, რომელიც აგროვებს მოხმარებელთა მიერ შემუშავებულ კონტენტს; მისი გამოყენება რეგისტრაციის გავლის შეგიძლიათ.
- Tweetdeck (<https://tweetdeck.twitter.com/>) არის რეალურ სდროში მონიტორინგის, მუშაობის და დალაგების ინსტრუმენტი. იგი საშუალებას გაძლევთ. ერთდროულად დააკვირდეთ რამდენიმე ანგარიშსა და ჰეშტეგს.



ზამთრის შეფასება

ეს არის წინამდებარე გამკვევების უკანასკნელი საფეხური. მას შემდეგ, რაც თქვენი აუდიტორიისგან ინტერვიუების მეშვეობით მიიღებთ პირველად ინფორმაციას, და მას შემდეგ, რაც შეაფასებთ გავრცელებას, დროა იმსჯელოთ თქვენი საპირისპირო ნარატივის გავლენაზე და შეაფასოთ მისი მიღწევები. ეს ის მომენტია, როდესაც თქვენ უნდა დაუბრუნდეთ მცდელობას და გადაწყვიტოთ, საჭიროა თუ არა მცდელობის გამეორება. ანუ ხელახლა გაიაროთ და განახორციელოთ ოთხივე ფაზა. თუმცა, მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, რომ თუ სხვა მცდელობის ჩატარებას გადაწყვეტთ, მაშინ უნდა მიიღოთ პირველი მცდელობის ოთხი ფაზა მიღებულ ინფორმაციაზე, წარუმატებლობებსა და შედეგებზე დაყრდნობით.



• შედეგების გამოშვა და შეფასება კრიტიკულად მნიშვნელოვანია სასწავლო ციკლისთვის. საპირისპირო ნარატივის მიერ მოხდენილი გავლენის კარგი შეფასების გარეშე, ინფორმაცია იტერაციის შემდგომი რაუნდის მიმართულების ან მიზნების შესახებ ხშირად არასრულია. შედეგების გამოშვა ეხმარება თქვენს გუნდს გაიგონ, რამ იმუშავა კარგად და სად არის ჩარევა საჭირო.

• შეფასება გუნდისთვის არ უნდა წარმოადგენდეს რაიმე დაბრკოლებას. თუ ამ ფაზას შეხედავთ, როგორც კარგ სასწავლო შესაძლებლობას, შედეგების გამოშვა ყველასთვის სარგებლის მომტანი პროცესი იქნება.

• შეფასების პროცესი იტერაციულია. დაუბრუნდით თქვენ მიერ ჩატარებულ ინტერვიუებს და შეაფასეთ გავრცელება. გამოიყენეთ მონათხრობი, რესპოდენტებისგან მონოდებული ინფორმაცია და მონაცემები, რათა დაადგინოთ, რომელი მედიუმი, შინაარსი და სპიკერი იყო ყველაზე წარმატებული, და რომელი არა. ჩაინიშნეთ ყოველი შედეგი!

• ბოლოს, დაადგინეთ და გადანყვიტეთ, შეფასების საფუძველზე, საჭიროა თუ არა საპირისპირო ნარატივის მორიგი იტერაციის ჩატარება. არ დაგავიწყდეთ: მჩაგვრელ ნარატივებთან დაპირისპირებას და გავლენის მოხდენას დროს სჭირდება. მო თმინება და შეუპოვრობა გესაჭიროებათ. არ დანებდეთ!




• Betterevaluations გთავაზობთ შეფასების მეთოდების, ტექნიკების და ნიმუშების ფართო ნაკრებს (www.betterevaluations.org)

• გამოიყენეთ „FSG/სოციალური ცვლილების ხელახლა წარმოდგენის“ (Reimagining Social Change) მიერ შემუშავებული ინსტრუმენტა კომპლექტი.1

• Keystone-მიერ შექმნილი Feedback Commons ასევე გთავაზობთ სასარგებლო ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებაში დაგეხმარებათ - feedbackcommons.org





„WeCAN“ (შეგვიძლია): სამომავლო პერსპექტივები

ლონისძიებების შემდეგ, ოლიმ მოაწყო გუნდის შეხვედრა მომდევნო აქტივობების დასაგეგმად. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ შენიშნეს ცვლილება საკუთარ და სხვა კლასელების დამოკიდებულებებსა და აღქმებში. ისინი ახლა თავს ძლიერად და მხნედ გრძნობენ, რათა ზაფხულის არდადეგების შემდეგ კვლავ დაკავდნენ მსგავსი აქტივობებით. სოციალური მედიის პლატფორმებზე არსებული ჯგუფები სავსე იყო კომენტარებით, ფესტივალის და სტრასბურგში მოგზაურობის ფოტოებით. თუმცა, არის რამდენიმე მოსწავლე და პოლიტიკოსი, რომლებიც არ ჩაერთნენ. როგორ უნდა მივწვდეთ მათ? რისი სწავლა შეუძლია ჯგუფს ამ გამოცდილებიდან? ჯგუფმა ბევრი ისწავლა მრავალ დონეზე, დისკრიმინაციის გაძლევიდან დანყებულთა, უნარების ფართო სპექტრით დასრულებული. მაგრამ შიშები და ბრაზი ფარული რჩება, და სოციალური პრობლემები მათ ქვეყანასა და რეგიონში ჯერ კიდევ გადაუჭრელია. მათ უნდა განაგრძონ საქმიანობა, და სიღრმეები უნდა აითვისონ. ახალი მცდელობის დროა, მაგრამ ეჭვი არ შეგეპართ, ჩვენ შეგვიძლია!

თავის შეჯამება 5 კუნძაღ

- შემოგთავაზებთ რამდენიმე ფაზა და საფეხური, რომელიც დაგეხმარებათ საპირისპირო ან ალტერნატიული ნარატივის კამპანიის შემუშავებაში. თუ ამის მოხერხება ოლიმ და მისმა მეგობრებმა შეძლეს, თქვენც შეგიძლიათ!
- ეს იწყება იმ მჩაგვრელი ნარატივის შესწავლით, რომელთან დაპირისპირება და რომლის დეკონსტრუქციაც თქვენ გსურთ.
- პროცესი გრძელდება თქვენი ქმედებების განსაზღვრით და ყურადღებით დაგეგმვით. არსებობს არაერთი ინსტრუმენტი, რომელიც დაგეხმარებათ თქვენი კამპანიის დაგეგმვაში. დაგეგმეთ ყურადღებიანად.
- კამპანიის განხორციელება გულისხმობს მის წარდგენას საზოგადოების წინაშე, და ყველა დაინტერესებულ მხარესთან და მედიასთან თანამშრომლობას.
- განიხილეთ თქვენი ღონისძიებების შედეგები, და რა გაიგეთ. იფიქრეთ, რა მიგანიშნებთ, რომ თქვენს მიზნებს მიაღწიეთ. გაითვალისწინეთ ნასწავლი გაკვეთილი, როდესაც თქვენი კამპანიის ახალი ინტერაქციის, ან სხვა შესაძლო ღონისძიების დაგეგმვისას.

სქოლიო

¹ www.fsg.org/tools-and-resources/impact-practical-guide-evaluating-community-information-projects#download-area
და www.fsg.org/tools-and-resources/trustee-evaluation-toolkit-0



დანართი:

დანართი 1 | ხშირად დასმული კითხვები

საპირისპირო ნარატივები მხოლოდ რადიკალურ და ქალადობრივ ისლამიზმს ეხება?

